ქუთაისის მუზეუმის განვითარების ასოციაცია
„საგანძური“

გივი ტყეშელაშვილი

გელათის საგანძური

ქუთაისი – 2006

ეძღვნება გელათის მონასტრის დაარსების 900 წლისთავს



წიგნი დაფინანსებულია ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ.

წიგნის გამოცემაში გაწეული თანადგომისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურს.

წიგნში შესწავლილია ცხრა საუკუნოვანი გელათის მონასტრის საგანძურის ისტორია. მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს გელათის საეკლესიო სიწმინდეებსა და მათთან დაკავშირებულ საინტერესო ამბებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

წიგნს დართული აქვს მონასტრის საარქივო დოკუმენტები, რომლებიც პირველად ქვეყნდება.

რედაქტორი –
მირიან სტეფანია

დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა –
სერგო წურწუმია

გამომცემლობა – შპს „თეთნულდი". ქუთაისი 2007 წ.

ზანდუკი

1. წინათქმა 5
2. მეორე ცა 7
3. ხახულის ღვთისმშობლის ხატი 22
4. ანყურის ღვთისმშობლის ხატი 39
5. გელათის ღვთისმშობლის ხატი 46
6. ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატი 52
7. ბიჭვინტის ღვთისმშობლის /უმცროსი/ ხატი 62
8. თეთრი უდაბნოს გზა 69
9. სამოთხის ოქრო 109
9. მაცხოვრის ყრმობის დროინდელი კვართი 119
10. იუდას ვერცხლი 122
11. ქრისტეს სუდარა და ტილოები 124
12. წმ. გიორგის თხემი 127
13. წმ. გიორგის ჯვარი 137
14. თამარ მეფის სარტყელი 149
15. წმინდა სამსჭვალი 151
16. დავით აღმაშენებლის ბეჭედი 153
17. წმ. გიორგის ცხენის ლაგამი 157
18. დიდი სანანილე 161
19. გელათის საწინამძღვრო ჯვარი 167
20. ძელი ჭეშმარიტი 172
21. მარიამ ღვთისმშობლის სიწმინდეები 178
22. საიდუმლო სერობის დროინდელი პინაკი 181
23. დარჩა აღმაშენებლი 184
24. დარუბანდის კარები 185
25. თამარ მეფის საფლავი 187
26. ხახულის ხატის სასნაული 194
27. გელათის სიწმინდეები ქუთაისის მუზეუმში 197
28. საარქივო დოკუმენტები 202

ვუძღვნი ძმისა და დედის
ნათელ ხსოვნას

წინათქმა

ცხრაასი წელია, რაც გელათის მონასტერი უფლის თვალივით გაცისკროვნებულა ქართველი კაცის სულსა და გულში. ეს სიდიადე გამოიხატებოდა არამარტო სამონასტრო კომპლექსის ჰარმონიულ ხუროთმოძღვრული გადაწყვეტით, არამედ მის კედლებში დაუნჯებული უდიდესი ქრისტიანული სიწმინდეები, ბაგრატიონთა სამეფო განძის არსებობით. ამიტომაც იყო თითქმის რვაასი წლის განმავლობაში ქართველობის თვალყური მისკენ მიპყრობილი და აღვივებდა ღვთაებრივ მადლს მის სულში, უსპეტაკებდა სასოებასა და კაცთმოყვარეობას.



გელათს არასდროს მოკლებია ყურადღება ქართველ მეფეთა, მთავართა, პატრიარქთა თუ უბრალო ადამიანთა მხრიდან; მისი განძთსაცავი საუკუნეების კვალდაკვალ მდიდრდებოდა და ივსებოდა ახალი შეწირულობებით, რომლებიც როგორც წმიდათა წმიდა ისე მიეძღვნებოდა მას და გადაეწასკვებოდა ქართული სულის ისტორიასთან.

დავით აღმაშენებლის სურვილი და მიზანი – საქართველოშიც არსებულიყო „მეორე იერუსალიმი", „სხვათა ათინა", „ახალი რომი" – გელათის სახით, განპირობებული იყო ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ნათესაური კავშირებით მარიამ ღვთისმშობელთან და ბუნებრივია ამავე დროს იესო ქრისტესთანაც.

ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის მოტივი, ყველაზე მეტად გელათის სახით განხორციელდა ამიტომაც...

მე-16 საუკუნეში გელათში იქნა გადმოტანილი ბიჭვინტიდან დას.საქართველოს საკათალიკოსო კათედრა და საეკლესიო განძეულობა. ამავე პერიოდში ხდება სამცხე-საათაბაგოდან საეკლესიო ქონების გადმოტანაც.

მიუხედავად, გვიანი შუა საუკუნეების ძნელბედობათა, გელათში მაინც შენარჩუნდა უმთავრესი სიწმინდენი და სამეფო განძი, ხოლო შემდგომ იმერეთის სამეფოსა და დას. საქართველოს საპატრიარქოს გაუქმების შედეგად თანდათან ხშირდება მონასტრიდან ძვირფასი და სათაყვანო რელიქვიების დაკარგვისა და დატაცების ფაქტები. ხშირად ასეთი შემთხვევები ძალმომრეობით ხასიათსაც კი იძენდნენ.

განსაკუთრებით რთული იყო მონასტრის ისტორიაში გასული საუკუნის ოციანი წლები, როცა მოხდა მისი გაუქმება, ხოლო მისი საგანძური კი, კულტურულ-ისტორიულ ღირებულებათა საფარველქვეშ დანაწილდა და დაკარგა მთლიანობის განცდა, რისი ფუნქციაც მას ჰქონდა მინიჭებული იმთავითვე სარწმუნოებრივი თვალსაზრისით.

ამგვარმა პროცესებმა უარყოფითი ზეგავლენა იქონია ხალხის თვითშეგნების დონეზე, რაც გამოიხატა მისი სულიერი დეგრადაციით, სახელმწიფოებრივი აზროვნების განცდის მოშლით და ეროვნულ მემკვიდრეობისადმი არასამართლებრივი დამოკიდებულებით.

ქართულ საისტორიო მწერლობაში ნაკლებად არის შესწავლილი გელათის საგანძური, ცალკეული ცდები ამა თუ იმ სიწმინდის განხილვისა, ხშირ შემთხვევაში დაფუძნებული იყო მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეობით, ფილოლოგიურ ინტერესებთან და ამით იჩქმალებოდა სიწმინდეთა საეკლესიო დანიშნულება.

ჩვენი მიზანი იყო წარმოგვეჩინა გელათის მდიდარი განძთსაცავის ისტორია. რა თქმა უნდა, შორსა ვართ იმ მოსაზრებისაგან, რომ დასახული მიზნის დაძლევა წარმატებით შევძელით. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასადგენი, მოსაძიებელი და შესასწავლი.

აქვე დავსძენთ, რომ ყოველ საქმიან და კრიტიკულ შენიშვნას გავითვალისწინებთ წიგნის შემდგომი გამოცემის დროს.

ქუთაისი – ბონკო, 2006 წ.

მეორე ცა

ქრისტეს შობიდან 1106 წელს წმინდა კეთილმსახურმა მეფე დავით აღმაშენებელმა სამოთხის მდინარე ფიშონის / ფაზისი–რიონი/ ხეობაში წყალწითელას მარცხენა ნაპირის „ყოვლად შუენიერი და ყოვლითურთ უნაკლო“ ფერდობზე გადაწყვიტა ღვთისმშობლის შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი მონასტრის დაფუძნება, რომელიც მემატიანის თქმით „საღმრთო მადლით“ იყო გამორჩეული.

ქართული ქრონიკები მშენებლობის დაწყებას მეტად ძუნწად გადმოგვცემენ:

„ქ–კსა: ტკვ /1106წ./ აქა დავით გელათი დაიწყოი“.

„ქ–კსა: სუდ: ამა ქორონიკონამდის გელათი რომ დაწყებულა: ფ /500წ./ გარდასულიყო“.

მხოლოდ შობილმა 16 წლის ყრმა უფლისწულმა მეფე გიორგისაგან მიიღო გვირგვინი მეფობისა, ხოლო „თვით-მამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვისი და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას: რამეთუ ხელი მისი შეეწეოდა მას და მკლავმან მისმან განაძლიერა“.

მონასტრის მშენებლობის დაწყებამდე, 1104 წელს დავით აღმაშენებელმა რუის-ურბნისში მოიწყვია საეკლესიო კრება. ბაგრატ IV-ის მეფობაში ეკლესია დიდგვაროვანთა თავშესაფრად იქცა და მრავალ უსამართლობას დაუდო საფარველი. გიორგი მთაწმინდელმა გაილაშქრა მის წინააღმდეგ „პირველად ყოვლისა აღლესა მახვილი მხილებისა მეფეთა მიმართ მრავალთა უწესობათათვის უშიშრად და თვალუხვად სიბრძნით და გონიერად, რომელ არა ჰყიდდეს

საეპისკოპოზთა კაცთა მიმართ უწესოთა და უსწავლელთა და ყოვლითურთ სოფლის შემსჭვალულთა და უწესობათა და მიმოსვლა და შინა აღზრდილთა".

მაგრამ გიორგი მთაწმინდელის მცდელობანი უშედეგო აღმოჩნდა. ამიტომ მეფის ბრძანებით მოწვეული კრება სახელმწიფოებრივ რანგში იქნა აყვანილი. მის გადაწყვეტილებათა შორის განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საეკლესიო სიწმინდეთა დაცვა და მოვლა-პატრონობა: „მერმეცა სამღდელოთა ჭურჭელთა და ღთისადმი შეწირულთა სიწმიდეთათვის. რომელ არიან ბარძიმ, ფეშხუმ, სამწერობელნი და ყოველივე ეკლესიათა და შეწირული და ერთგზის ღთისადა მიცემული: ოქროი, ვერცხლი, თუალ-მარგალიტი: ჭიქაი, სტავრაი, საქსოვი, სინი, რვალი რკინაი, ძელი, კეცი, ქვაი. ამას განვაწესებთ შედგომითა წმიდათა კანონთათა. რათა არავის ხელეწიფების ხმარებად მისსა არა რად: არცა ტყუეთა სახსრად: დაღათუ ცუდადცა და უხმრად მდებარე იყვნენ და ფერხითა დასათრგონველად ისხნენ ეკლესიასა შინა და საჭურჭლესა მის: ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს ამათგანისა რაისაცა გარევითარ რაზედცა სამსახურად ეკლესიასა, ანუ საკურთხევლისა შექმნილ იყოს, სხუად რადცა ხმარებად; მოელოდეთ აქა უკუე ბაბილოვნელთა მეფისა ბალტასარის და ანანიაის და საპფირაის სასჯელსა, ხოლო მუნ ცეცხლსა საუკუნესა განმზადებულსა ეშმაკთათვის და ანგელოსთა მისთათვის".

ვიდრე დავით აღმაშენებელი გელათში ღვთისმშობლის შობის ტაძრის აშენებას გადაწყვეტდა, მანამდეც რამდენიმე ეკლესია არსებობდა, მათ შორის წმ. გიორგისა და მთავარანგელოზისა, რომლებიც მურვან ყრუს შემოსევების დროს დაქცეულა. ამის შესახებ ცნობას გვაძლევს იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის სიგელი: „ჩვენ მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმა დედოფალმა ელენე... ესე სიგელი გიბოძეთ: ჟამსა ოდესმე მურვან ყრუსაგან დაქცეული და აოხრებული მთავარანგელოზის ეკლესია საფუძლამდის დაქცეული, აწ მოაქანამდის არავის ხელეყო აღშენებად მისად"... ამავე მეფეს მიეკუთვნება წმ. გიორგის ეკლესიის განხლება „წ-ისა ამის უდაბნოისა აღმაშენებლისა ბაგრატ

მეფისა საუკუნომცა არ სახსენებელი“. თ. ჟორდანიას მტკიცებით „აქ მოხსენიებულია ბაგრატ III /1014წ./ ეს იქიდან ჩანს, რომ ამ წარწერისა და ძისა მათისა გიორგი მეფისა, ფოტინა და თამარ დედისა მათისა საუკუნომცა არს სახსენებლი“. ამ წარწერას თუ ვერწმუნებით, გამოდის რომ გელათის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ბაგრატ III აუგია 1014 წელს, თუ იქვე მეორე წარწერა იხსენიებს მეორედ აღმაშენებელსა ამა ეკლესიისა ბაგრატს, ეს ის ბაგრატ IV უნდა იყოს, რომელსაც ეს ეკლესია შეუკეთებია“.

გელათის მონასტრის ისტორიის მკვლევართა მიერ სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული მონასტრის აშენების შესახებ. ფ. დიუბუას მტკიცებით, დავით აღმაშენებელმა მხოლოდ განაახლა გელათი, როგორც ეს ზემოთ მოტანილი ცნობებითაც მტკიცდება. დ. ბაქრაძეს მიაჩნდა, რომ რადგან დავით აღმაშენებელი ეკლესიის გარეთ არის დასაფლავებული, ამდენად, მისი დასრულება მის შვილს დემეტრეს უნდა მიეწეროს“.

ღვთის კარნახით მირონცხებულმა მეფემ ერისა და ქვეყნის ხსნისათვის ღვთისმშობლის ტაძრის აგება გადაწყვიტა მისადმი საქართველოს წილხვდომილობის ნიშნად.

დავით აღმაშენებლის მემატიანე გვაუწყებს: „რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამოირჩია მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაი გარდაკარვა ტაძარი ყოვლად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე აღმატებული წინანდელთა ქმნულთა, რომელიც ზეშთა მატს შუენიერებითა ყოვლითა, სივრცითა და ნივთთა სიკეთითა, სიმრავლითა და მოქმნულობითა შესწორებულობითა, რომელს აწ თანა მოწმობით ხედვენ თუალნი ყოველთანი“.

„ვითარცა მეორე ცაი გარდაათხა!

მემატიანის ეს ძუნწი, მაგრამ მაინც ტევადი და აღფრთოვანებული შესხმა, უთუოდ მშვენიერი სამკაულია ღვთისმშობლის ტაძრისადმი დღესაც!

ამ ტაძრის მშენებლობა საქართველოს დიდი მეფისათვის იყო ამავე დროს შინაგანი რწმენის განმტკიცების გზა,

ეშმაკეულთა და სხვა ბორგნეულთა წინააღმდეგობათა დაძლევის საშუალება, რომლის მეოხებითაც განმტკიცდებოდა და ერთიანდებოდა მაშინ საქართველო.

დავით აღმაშენებლის პიროვნების შესაცნობად, მისი სულიერი სარკის დასანახად არამარტო „გალობანი სინანულისანი“ კმარა, არამედ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში არსებული აზრი მცხეთაში, ქრისტეს ხელთუქმნელი კვართის არსებობის ფაქტს რომ შეეხება. მ.საბინინის მონათხრობით „დიდი იგი მეფეთა შორის დავით, სიტყუასა ყოველსა ზედა უფროს ყოველთა კაცთასა მსასოებელი ღვთისა და მხურვალედ ტრფიალი მსახურებისა, გარნა უკუე ხრლო ამის სვეტიცხოველისა მიმართ მხოლოდ განდრეკილობდა, რეცა გონებით და ესრეთ ორგულობით მეტყუელებდა ვითარმედ, რაი უწყი თუ რა არს კოქსა ამას შინა ანუ რაისა თაყუანისვცემთ და ესე იქმნა ბირებითა მისითა რომელ იგი მბრძოლ არს და უცხრომელი ნათესავისა ჩუენისა. უფროსღა წმიდათა და ღვთის მსახურთა კაცთა, ხოლო ერთგზის უკუე ქუემოთ კერძოთათ აღმომავალი ესე ღუთის მოყუარე მეფე, შემოვიდა ეკლესიად და თანა წარხდა სუეტის ცხოველისა წინაშე ლოცვისა, მათვე დაბრკოლებულთა გონებისა ქონებითა და ვითარცა ეკლესია მოილოცა წარვიდა; ხოლო მას ღამესა მირულებელსა უყუენა ესე სახედ; ვითარმცა ამას სუეტსა ზედა ზე თავსა ზედა მჯდომარე იყო მოხუცებული ვინმე სახედ ძუელისა დღეთასა და ბრწყინვალებისაგან ნათლისაგან მის, რომელ შანთნი ცეცხლისანი ჰკრთებოდეს ელვის სახედ, თუალნი კაცობრივნი ვერ შემძლებელ იყუნეს განცდად პირსა მისსა ყოვლადვე და ვითარ განკვირვებულ იყო ხილვასა მისსა მეფე შეშინებული, ხმა უყო ზედაითა საშინელებითა და ჰრქუა „დავით, დავით, არა უწყია თუ ვინა ვარ აქა შენ, რომელსა ესე მხედავ და ესე უწყოდე შენ და ყოველთა, რამეთუ რომელსაც აქუნდეს სასოება ჩემდა მომართ მტკიცე არა ოდეს სირცხვილეულ იქნეს და ნუ ურწმუნოებ ჩემდა მომართ ყოვლადვე, რამეთუ რომელნი ურწმუნოებდნენ მიიღონ თვისა თვისისა სასჯელი“. ხოლო დავითს მეფესა ვითარცა განუკრთა ძილი, შეშინებულ იყო ფრიად და მეყსეულად აღდგა ცხედრისაგან

თვისისა და ამხედრებული ჰუნესა ზედა თვისსა ღამე ყოველ მოინია ცისკრის ლოცუასა კათოლიკე ეკლესიად. ხოლო ვითარცა იხილა იოანე პატრიარქმან და ყოველთა მცხეთისა მოყუარეთა უჟამო იგი და უცხო მეფისა მოსვლა, ყოველნი განკვირდეს და შეძრწუნდეს. მოვიდა უკუე დავით მეფე წინაშე სუეტისა ცხოველსა, დავრდომილი პირსა ზედ თვისსა ცრემლით იატაკსა დაალტობდა და ითხოვდა მხურვალედ შენდობასა პირუელთა ცთომათათვის და ურწმუნოებისა, ხოლო იოანე პატრიარქი იკითხავდა მეფისაგან თუ რაი იხილეო, ხოლო მეფემან მიუთხრა ყოველივე იგი ჩუენებული ზედმიწნევით და მეფე პატრიარქისა თანა და ყოველი ერი ერთობით ადიდებდეს ღმერთსა და სუეტიცხოველსა"....

დავით აღმაშენებელს არამარტო მშვიდობიანობისას, არამედ ომის დროსაც მამაღმერთი და ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი მარიამი მფარველობდა. ერთხელ, როდესაც „კულად ციხესა რომელსამე ბრძოდეს ქართლს და მეფე კარსა თვისისა დგა, პერანგით მოსილი ოდენ, შუა – დღე და ციხით ვინმე შემოტყორცა ისარი და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელ ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე და ძალმან საღმრთომან განარინა მშვიდობით".

დიდგორის ომში კი წმ. გიორგის შემწეობა და ბრძოლა ქართველთა მხარდამხარ აშკარად იხილვებოდა. ამ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ დავით აღმაშენებელმა „გელათს დასხნა მუნვე დიდთა და ხუასროანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი და სასანთლენი და საკიდელნი ფერად-ფერადნი იავარად მოსხმულნი თუისნი და კუალად გუირგუინი და მანიაკნი და ფიალნი და სასუმელნი, რომელ მოუხუნა მეფეთა არაბეთისათა რა ჟამს თუით იგინიცა ტყუედ მოიყუანნა და მასვე ტაძარსა შესწირნა ღთისა სახსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკუირველისა".

მეფე დავით აღმაშენებელმა სიცოცხლეშივე იზრუნა და გელათის მონასტერს მდიდარი შეწირულობა უბოძა „მამული ლიპარიტეთი უმკუიდროდ დარჩომილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა და სამართლიანთა უსარჩლელ მიუხუეჭელთა სოფლებთა თანა მისცნა დედასა ღმრთისასა სამსახურებელნი წინაშე მდგომელთა მისთათუის და უზრუნვ-

ელი ტრაპეზი გაუჩინა, რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად. სასწავლოდ ყოვლის კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად საეკლესიოსა მშვენიერებისად. ხოლო სახელი მისი გელათი".

ღვთისმშობლის შობის ტაძრის მშენებლობა 1126 წლამდე გაგრძელდა. დავითი ვერ მოესწრო ტაძრის კურთხევას. შიო მღვიმის მონასტრისადმი მიცემულ 1123 წლის სიგელში გელათის მონასტერს ახალი საბოძვარით ამდიდრებდა „სხუაი ჭურჭელი იავარი სპარსთაი, რომელი არსენისდა და ივანესდა მიმითვალავს, იგი მისსა ჟამსა ჩემსა მონასტერსა გაგზავნოს ძემან ჩემმან დემეტრემ", ხოლო ანდერძში პირდაპირ ავალდებულებს თავის მემკვიდრეს ტაძრის დასრულებას და წუხილსაც გამოთქვამს, რომ საძვალე ვერ დაასრულა: „ხოლო დამრჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შვილთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთვისცა ტკივილი სამარადისო. იგი შვილმან ჩემმან მეფემან დემეტრე სრულყოს ყოვლითურთ საუკუნოდ ჩემთვის და მისთვის და მომავალთა ჩემთათვის".

დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს. გასაოცარი სრულქმნილებით აღწერს მემატიანე ამ ამბავს და ამასთანავე არ ივიწყებს, რომ გარდაცვალებით თუ რა დიდებული და მშვენიერი განსაცდელი მოელის: „ეგრეთვე ჟამსა შინა შუენიერსა და ჯეროვანსა მოუწოდა ღმერთმან შემყუარებელსა თვისსა და მარადის მოსურნესა სამარადისოდ მეფობად წინაშე მისსა... სადა თვით იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთქმნილთა ზედა, მუნ აღიყუანა მის თანა მეფობად უხრწნელთა და ბრწყინვალითა გვირგვინითა და პორფირითა შემკული, სადა იგი აწ მკვიდრ არს და იქცევის ნათელსა შინა ღმრთაებისასა.

და მუნ არს ცხოვრება, რომელს არა შეამღვრევს სიკუდილი"!

დავით აღმაშენებლის ცხედარი დაკრძალეს მონასტრის სამხრეთ შემოსავლის კარიბჭეს ქვეშ, რომელშიც სამწირველო იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში, როგორც ამას გვამცნობს გ. ავალიშვილი: „ამას შინა არს საფლავი დავით

აღმაშენებელისა. მარჯვნივ ახლოს კედლისა აღმოსავლეთ—სამხრეთით. სამარხოსა ამას მისსა ზედა მდებარე ქვისა წილ ჩუგუნი, შთამოსხმული ქართველისა საეკლესიოთა დია მსხვილითა ასოებითა, თუმცა დროთა გამო მრავალთა ადგილთა აღსპობილითა, გარნა ჯერეთცა ადვილ მისახვდომელითა იჩვენების, მით რამეთუ მსახურებს ესე მფარველად გვამსა, ოდესმე მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა და სრულიად საქართველოისა დიდებისა სულ გულისა, გონიერებითა და ძლიერებითა მკლავისა თვისისათა მფარველისა.

მარად სანეტაროისა მეფისა ამის მიერ არს აქა მოტანილ რვალისა კარი დარუბანდის ზღუდის ბჭეისა, აზიურისა ძველისა რომლისამე ენით ნაწერისა ასოებით. კარი ესე ყოფილა შედგმულ ნატაძრევისა ამის ბჭესა შინა, გარნა დღეს არის მოკლებულ ადგილსა თვისსა და მიყუდებულ ოდენ კედელსა ზედა".

დავით აღმაშენებლის საფლავზე მოქმედი სამწირველო მოხატული იყო ფრესკებით, „ვაზი ჭეშმარიტის" კომპოზიციით სამ წყებად. შუაში იყო ღვთისმშობლის ფრესკა, ვაზის ყლორტებზე კი ისხდნენ მოციქულები, ხოლო დასავლეთის თაღის მედალიონში ჩანდა იაკობის მსხვერპლად შეწირვის სცენა. სამწუხაროდ, ეს ფრესკები დღეს, თითქმის განადგურებულია და აღარ ჩანს.

არსენ იყალთოელმა, მისმა სულიერმა მამამ ამგვარად დაიტირა მეფე:

„გიამბობ სიფრიადესა დავითის აღმაშენთასა,
მტკიცესა მკლავსა განმგესა, წყობასა სპარაზენთასა,
მაღლით განცდასა, ქუენასა, ლალვათა აღნაგზენთასა
და ქუელთა საქმეთა ურიცხუთა გლახაკთად მინაფენთასა.

გითხრობ წმინდათა ადგილთა ნიჭთა მათ მოსახსენთასა,
ვინა მიიღო საზომი, უთვალავთა მათ ძღუენთასა,
ხიდთა, გზათა და ზღუდეთა, ხანაგათ კვლავ ნაყენთასა,
და იყო დიდი სიმრავლე განარკუთა, თქმულთა ბრძენთასა.

მკურნალთ ხადოდის სულისა და ხორცთ შემქნელთა
სენთასა,
მოწლედ სწავლობდის მოძღუართა ათონით მონავლენთასა,
ათენსა სწვრთნიდის ჭაბუკთა იყალთოს მონასმენთასა,
და სთესდის მადლსა და სიბრძნესა, სულმნათებდთა
აღმაფრენასა".

დავით აღმაშენებლის წმინდანთა დასში შერაცხვის ზუსტი ან მიახლოებითი თარიღი არ მოგვეპოვება. ზოგადად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ მისი წმინდანად შერაცხვის შემდეგ „გვამი მოწიწებით აღმოასვენეს და წმიდა ნაწილნი მისნი დაკრძალეს გაენათის საკრებო ტრაპეზსა ქვეშე. საფლავის ქვა საფლავისავე ადგილსა დაუტევეს".

დავით აღმაშენებლის საფლავის ქვის ეპიტაფია ამგვარია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი, უკუნითი უკუნისამდე, რამეთუ ესე მთნავს ამას დავემკვიდრო მე".

დავით აღმაშენებლის საფლავი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მონასტრის სამხრეთით ზღურბლის კარის ქვეშ არის. საერთოდ, ზღურბლის კარი საიქიოსთან არის გაიგივებული. ყოველი შემსვლელი, სურდა მას თუ არა, ფეხს ადგამდა გარდაცვლილის საფლავს. ამ გზით ხდებოდა გარდაცვლილის სულის აღორძინება, გაცოცხლება. როგორც ჩანს მსგავსი წესი თუ შეხედულება დავით აღმაშენებლის დროსაც არსებულა საქართველოში. ღვთის სახლში, ქრისტიანული რელიგიის საკულტო ობიექტში მარხავდნენ გარდაცვლილ მეფესა თუ დედოფალს, რიგ შემთხვევაში კულტის პირველ მსახურსაც. ადრეულ ქრისტიანულ ეპოქაში, ასეთ პირთა სამარხად გამოიყენებოდა საკულტო ნაგებობის ზღურბლი ან კარის უკანა მხარე, ან საკულტო ნაგებობის შემოსაზღვრული ტერიტორიის კარიბჭე. ამ ტრადიციის გამოხატულებას წარმოადგენს გელათში კარიბჭის ქვეშ მეფე დავით აღმაშენებლის დაკრძალვაც.

გვიანდელი ტრადიციით, ფეხის დადგმით საფლავზე გარდაცვლილის სული სახლდებოდა შემსვლელში და ამ

გზით ხდებოდა ზღურბლის დამლახველისათვის წინაპრის ხატად გარდასახვა და გარდაცვლილის აღორძინება.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გელათში დავით აღმაშენებლის საფლავის წინ, კარიბჭესთან მიყვანილი იყო წყაროს წყალი, სადაც მომლოცველებს შეეძლოთ დაებანათ ფეხები და მხოლოდ ამის შემდეგ, განბანილები გადალახავდნენ ზღურბლს.

ამ ტრადიციას მე-19 საუკუნეშიც ჰქონდა ადგილი...

საერთოდ, შევნიშნავდით, რომ წმინდანთა შერაცხვის წესი ანუ კანონიზაცია ქართულმა ეკლესიამ მიიღო საბერძნეთიდან, მაგრამ იქაც XII საუკუნემდე ეს საქმე ჯეროვნად არ იყო გამორკვეული და დაზუსტებული. ამ პერიოდისათვის, როგორც საბერძნეთში, ისე საქართველოში, საზოგადო წმინდანები ძალზე ცოტანი იყვნენ, ხოლო ადგილობრივი, ვთქვათ, ბერძნული, ქართული, რუსული და ა.შ. მრავალრიცხოვანი. დავითის წმინდანად შერაცხვის ფაქტზე ეკლესიური დადგენილების უქონლობა გამოწვეულია შესაბამისი დოკუმენტების განადგურების გამო. ხოლო მისი ღვთისმშობლის საკრებულო ტაძარში გადასვენება უნდა მომხდარიყო იმერეთის მეფე ბაგრატ III /1510–1565 წწ./ მეფობაში.

ეს ის დროა, როდესაც ეროვნული კულტურისა და სარწმუნოების აღორძინების პერიოდში ცხოვრებამ ყველაზე მწვავედ დააყენა ქართველ წმინდანთა ღვაწლის დაფასების საკითხი და საეკლესიო ცხოვრებაში მათთვის მტკიცე ადგილის მოპოვება.

ანტონ I კათალიკოსმა დავით აღმაშენებლის ხსენება 25 იანვრიდან 26 იანვარს გადაიტანა. ამასთან დაკავშირების ის წერს „ხოლო ხსენება წმიდისა კეთილმსახურისა მეფისა დავით მესამისა, რომელსაც აღმაშენებლად ზედწოდებულ ჰყოფენ, რომელი იყო წერილი იანუარსა კ~ე და აწ დავჰსდევ მე მასვე თთუესა კ~ვ ამისათვის, ვითარმედ დღესა კ~ე იანუარსა არს დღესასწაული დიდისა მოძღუარისა და ღმრთისმეტყუელისა და არა ეგებოდა დატევება ხსენებისა მისისა და უკეთუ ამას დავიდუმებდით, არა ეგებოდა დატოვება ხსენებისა მისისა და უკეთუ ამას დავიდუმებდით, ყოვლად უსამართლობამცა შთავცვენით ბრალსა, რამეთუ

თუ სადმე დავით არა მოევლინა ღმერთსა ჩუენდა, სრულიად აღიხოცამცა ჩუენ შორის ბილწ-ჰსჯულთა მახმედიანთა მიერ სახლი ქრისტესი, ვითარცა არს დღეს აღხოცილი ყაბარდისა შინა და ავაზაგიასა რომელნიც ჩუენ თანა იგინიცა ქრისტიანენი იყუნეს“.

დავით აღმაშენებლის განგება /კანონი დასდებლითურთ/ პირველად სწორედ ანტონ კათალიკოსმა შეადგინა თავისი სადღესასწაულოსათვის, თუმცა დავითის ხსენების დღე /25 იანვარი/ მანამდეც იყო დაწესებული:

„ეკლესია გაენათისა იხარებს დღეს ჩუენთანა
დღეს ხსენებასა ყოვლად უბრწყინვალესისა
დავითისსა მცხინუარედ
გაბრწყინდების ეკლესია გაენათისა“.



ამდენად, დავით აღმაშენებლის ხსენება 25 იანვრიდან 26 იანვარს გადაიტანა ანტონ I კათალიკოსმა, რადგან 25 იანვარს აღინიშნებოდა დიდი მოძღვრის გრიგოლ ღვთისმეტყველის ხსენება და ამით იჩრდილებოდა დავით აღმაშენებლის სახელი.

დავით აღმაშენებლის საფლავის შესახებ საინტერესო აღწერა და დაკვირვება აქვს მ. ბროსეს: „დავითი მარხია გელათის სამხრეთ პალატში, სადაც უწინ სამწირველო და ტრაპეზიც ყოფილა... ეს პალატი, სადაც ასვენია დიდი მეფე დავითი, დროთა ვითარების გამო თითქმის ინგრევა და როგორც ისმოდა ამ ბოლო დროს უპატიურად იყო და თივას ყრიდენ შიგ“. მ. ბროსეს ამ აღწერილობას კომენტარს უკეთებს მისი წიგნის მთარგმნელი ს. ღოღობერიძე და საყურადღებო ცნობას გვაწვდის „ყ-დ უსამღვდელოესმა იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა მიაქცია ყურადღება ამ პალატის გაუმჯობესებაზე და იმის კურთხევით დეკანოზი დ.ღამბაშიძე და ზოგიერთი სხვა პირები შეუდგნენ

საჯაროდ ფულის შეგროვებას დიდებული მეფის საფლავზე შესაფერი საჯვარის ასაგებად. რისთვისაც ქართველისაგან მადლობას დაიმსახურებენ. როგორც ვიცით, ფულიც საკმაოდ შემოიწირა და საჯვარის აგებას უკვე შეუდგნენ".

გასხვავებული აღწერილობა გვაქვს მიხ. საბინინთან, იგი წერდა: "ლოდსა ზედა იყო წარწერა ამოჭრილი იამბიკო ხუცურის ასოებით, რომლიც მავალთაგან და უდებობით წაშლილ არს, არამედ ფრიადის ღონისძიებითა და ტანჯვით აღმოვიკითხე ესე: 1/ ოდესმე ნაჭარმაგევს შვილთა მეფეთა მასპინძელ ვიქმენ 2/ თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღუართაგან სამეფოისა ჩემისაგან ვიოტე. 3/ გადავასხე თევზნი მდინარეთაგან ამერისათა მდინარეთა იმერისათა /რომელიც ნიშნავს ორ ზღვისა მფლობელობასა/. 4/ ყოველი ესე აღუასრულე, გულ-ხელ ვიკრიფე აღმასრულებელ".

ამასთანავე მ. საბინინისავე ცნობით „ვრცელი ცხოვრება წმიდისა მეფისა დავითისა, რომელიც იპოებოდა გაენათის მონასტერსა შინა, დროსა შინა დავით წერეთლისა ქუთათის მიტროპოლიტისა, საუბედუროდ დაიკარგა მონასტრიდგან უდებობისა მიერ მიტროპოლიტისა, როგორც მოგვითხრობენ, ვითომ თავის ნათესავს აჩუქაო, რომელიც შესაძლებელ არს.

გამოაჩინეთ ვისაც გაქუთ ეს საუნჯე ეკლესიისა, რომელიც უგუნურობით იცნობს მას და არ აჩენს და ალპობს. ვწყევი საბელით მიერ წმიდისათა და შეჩუენებულიმცა არს ხსენება მისი და იავარ სახლობა და ნათესაობა მისი მარად" .

მ. საბინინის ამ ვერსიას ემხრობა მ. ჯანაშვილიც: „ზედ არის წარწერა, რომელიც მოგვითხრობს: /როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს /თურქნი, სპარსნი და არაბნი/ სამზღვართა გარე ასე გამესხნეს; /თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს. ასე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს"/.

წმ. დავით აღმაშენებლის მიზანი იყო გელათში შეექმნა ისეთი ქრისტიანული სავანე, რომელიც თავისი მნიშვნელობით ზეაღემატებოდა ბიზანტიურსა და წინააღმოსავლურ ქვეყნების მართლმადიდებლურ კერებს. მეფეს მცდელობა არ დაუკლია ამ დიდი და უაღრესად საპატიო მიზნის მიღწ-

ევაში. ამიტომაც არის, რომ მისი მემატიანე სიამაყით აღნიშნავს. „აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად; სწავლად ყოვლისა კეთილისად მოძღვრად სნავლულობისდა, სხუად ათინად, ფრიბად უაღრესს მისსა საღმრთოთა შინა წესთა".

დავით აღმაშენებლის ამ მიზნის თვისებური გამოძახილია ცნობილი ქართველი პოეტის იოანე შავთელის მაღალფარდოვანი შესხმა გელათისადმი:

„ახალო რომო, შენთვის თქვეს რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაკრძალვენ წმინდა სხეულთა".

ახლად დაარსებულ გელათის მონასტერს დავით აღმაშენებელმა სხვა ღირსებაც შესძინა: გელათი გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი განძთსაცავი, სადაც დაბრძანებული იყო მრავალი ქრისტიანული საეკლესიო სიწმინდე და რელიქვია: „და აღავსო სიწმიდეთა მიერ და პატიოსანთა ნაწილთა და წმიდათა ხატთა და სიწმიდის სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძვირად საპოვნელად". ხოლო შიო-მღვიმის სიგელში მეფე უფრო აკონკრეტებს ამ მხრივ თავის წადილს: „ძემმან ჩემმან დემეტრე ძელი ცხორებისაი და ნაწილნი წმიდათანი, ორი მოთხე სავსე, ესე თვით ამას ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს".

სხვათაშორის, მთელს ქრისტიანულ სამყაროში და მათ შორის საქართველოშიც, ყველა წარჩინებული; მეფე, მთავარი, პატრიარქი, სამღვდელონი, ცდილობდა მოეპოვებინა ისეთი მნიშვნელოვანი სიწმიდეთაგანი, რომელიც არამარტო მისი საერო და სასულიერო ავტორიტეტს აღამაღლებდა სხვა სამეფოთა თუ ქვეშევრდომთა წინაშე, არამედ გულწრფელად სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც მეტ სულიერ სიმტკიცეს შესძენდათ.

ამდენად, გასაგებია დავით აღმაშენებლის სურვილი, როდესაც მან ახლადაშენებულ გაენათის /გაენატოს–ღვთისმშობლის შობის დღესასწაული – გ. ტ./ მონასტერში და-

ასვენა ხახულის მონასტრიდან გადმოტანილი ხახულის ღვთისმშობელი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით „თორთომის ხევზედ, შაფაქლუს მთის კალთას არს ეკლესია მონასტერი ხახულისა ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, დიდი, გუნბათიანი, დიდ-მშვენიერად გებული, შვენიერს კარგს ადგილას: ესე აღაშენა დავით კურაპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან... აწ უქმ, ცალიერ არიან და ხატი მისი არს გელათს".

გაენათის, ღვთისმშობლის შობის საკრებელო ტაძრის აგება და აქ ხახულის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის დასვენება პირდაპირ კავშირშია ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის სარწმუნოებრივ და სახელმწიფოებრივ დანიშნულებასთან, თავიანთ ბიბლიური გენეალოგიის სათავეებთან, რაც კიდევ უფრო აღმატებულს ხდიდა მათ სხვა სამეფო დინასტიებთან შედარებით და ხაზგასმულად მიუთითებდა ბაგრატიონთა გვარის ღვთიურ წარმოშობაზე და ღვთისმშობელ მარიამთან მათ ნათესაურ კავშირზეც.

პავლე მოციქული მეფეთა ხელისუფლების დადგინების გამო წერდა: „რამეთუ არა არს ხელმწიფება გარნა ღმრთისაგან და რომელნი არიან ხელმწიფებანი, ღმრთისა მიერ განწესებულ არიან".

ქართველ ბაგრატიონთა ღვთიური ჩამომავლობის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია" ჩამოყალიბებული. მამა გრიგოლი ასე მიმართავს აშოტ კურაპალატს – ბაგრატიონს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო", რადგან „მეფობაცა და სათნოებანიცა თავად ქრისტემ დაუმკვიდრა".

ქართველ ბაგრატიონებს მიაჩნდათ, რომ ისინი ებრაელთა მეფის დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან და მათი ხელისუფლებაც ღვთის მიერაა დადგენილი.

XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის სუმბათ დავითის ძის თხზულებაში მოცემულია გენეალოგიური ნუსხა ადამიდან აბრაამამდე, ეს როგორც მათეს სახარებაშია, ვიდრე იოსების, ღვთისმობელ მარიამის ქმრის ჩათვლით. სუმბათ დავითის ძის მიხედვით იოსები იყო ძმა კლეოპასი და მიდის

სოლომონამდე, რომელსაც ჰყავდა შვიდი ვაჟი: „სოლომან შვა შვიდნი ძმანი, რომელნი იგი მოსცნა ღმერთმან ტყუეობასა შინა და ესენი შვიდნი ძმანი, ძენი არის სოლომონისანი, წარმოვიდეს ქუეყანით ფილისტიმით, ტყვეობით წარმოსულნი ჰურიანი და მოიწივნეს ეკლეცს წინაშე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ იღეს... და ოთხი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს, ხოლო ერთი მათგანი სახელით გუარამ განაჩინეს ერისთავად და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა“. ბაგრატიონთა ბიბლიური წინაპრების გენეალოგიური სქემის მიხედვით:

„იესე შვა დავით მეფე, დავით მეფემან შვა სოლომონ.

მატათან შვა იაკობ. იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი და ძმა კლეოპასი.

იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი, რომლისაგანაც იშვა იესო, რომელსაც ჰქვია ქრისტე“.

ამრიგად, მთელი მოდგმა აბრაამიდან დავითამდე თოთხმეტ დგმას შეადგენს, დავითიდან ბაბილონში გადასახლებამდე – ასევე თოთხმეტ დგმას, ბაბილონში გადასახლებიდან ქრისტემდეც – თოთხმეტი დგმაა.

დავით აღმაშენებელი სამოცდამეთერთმეტე მეფე იყო ამ სქემის გათვალისწინებით.

დავით აღმაშენებლის შეხედულებით, ყოველგვარი მეფობა მიმდინარეობს ღვთისაგან. ღმერთმა მისცა მას მეფობა და „პორფირი თვითმმართველობისა თანა მეფობისაიცა“. ხოლო ყოველივე ამისათვის, ასეთი პატივის, მადლისა და მისიის გამო მან „ქედმოდრეკილმა“ და „მუხლმოდრეკილმა“ ანგარიში ღმერთს უნდა ჩააბაროს, მის წინაშეა ვალდებული. თავის ანდერძშიც იგივეს იმეორებს შემდგომ, რადგანაც მეფობა ღვთისაგან „ერწმუნა“ მას.

„დავითიანობის“ ტრადიციის გაგრძელებაა შემდგომში დავით აღმაშენებლის ძის – დემეტრეს იამბიკო „შენ ხარ ვენახი“, სადაც „ღვთისმშობლის სიმბოლო ახლად აყვავებული ვენახია, რომლის მტევანია იესო ქრისტე“, ხოლო „მორჩი კეთილი ედემსა შინა ნერგულში“, მიჩნეულია ღვთისმშობელი მარიამი, როგორც დავით წინასწარმეტყველის შთამომავალი, რაკი საქართველო იესიან-დავითიან-სოლომო-

ნიანი ბაგრატიონთა საგვარეულოს სამფლობელოა, ასევეა ის ღვთისმშობლის წილხვდომილი.

ბაგრატიონთა და ღვთისმშობლის მისია საქართველოში /რასაც მათი ათასწლოვანი მეფობის ისტორიაც ადასტურებს/ მიმდინარეობს მათი ურთიერთნათესაობითი კავშირების ძალით.

ამიტომაც იყო დავით აღმაშენებლის მიერ არჩეული დევიზი:

„მე – მესიის მახვილი".

ამიტომაც შემოჰყვებოდა გარშემო ქართულ სამეფო გვირგვინს ფსალმუნის სიტყვები: „ქ. უფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა /ფს.131.11/, და ქ.კვართი იგი რომელ იყო უკერველ ზეით გამქსოვილ ყოვლად / იოანე 19.23/.

„დავითიანობისა" და ღვთისმშობელთან ნათესაობის მესიანისტური იდეაა გატარებული თამარ მეფის სიტყვებში, როცა იგი სამეფო დარბაზს მიმართავდა, რომ სამეფო ტახტი „რწმუნებულ არს ჩემდა პირველ ღმრთისაგან და შემდგომად მშობელთა ჩემგან".

ამდენად, „დავითიანი სული" უნდა დამკვიდრებულიყო გელათში, რომლის ფუნქცია ამიერიდან გაცხადებულია, როგორც „საყოფელი ღვთისასა", ხოლო მონასტერში შემოკრებილი 12 მწირი იხსენიებიან „ყოველთა დიდისა დავითის ძმათათად".

ყოველივე თქმულის შემდეგ, იბადება კითხვა, რატომ მაინც და მაინც „ხახულის ღვთისმშობლის" ხატის სავანედ ააშენა დავით აღმაშენებელმა გელათი?

ხახულის ღვთისმშობლის ხატი

975 წელს გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ II და „დაშთა დედოფალი თეოფანა ორთა თანა ძეთა თვისთა ბასილი და კონსტანტინესსა, განუდგა მთავარი ბარდა სკლეროსი, რომელმაც დაიპყრა ყოველნი ადგილნი და თეოფანა ყრმებითურთ შეამწყვდია ქალაქსა შინა სასაყდროსა, მაშინ დედოფალი განიზრახვიდა, რომელ გარდა დავით კურაპალატისა შემწე ჩვენი სხვა არავინ არს და იძულებულ იყვნეს წარგზავნილ კაცისა თხოვნად შეწევნისა“. დედოფლისათვის ცნობილი იყო, რომ მთაწმინდაზე იმყოფებოდნენ ახლად შემონაზონებელნი შესანიშნავი მხედარმთავარნი: იოანე და თორნიკე და მათ მისწერა წერილი და სთხოვა დაეხსნათ საბერძნეთი სკლიაროსისაგან. თორნიკემ განიძარცვა საბერო და შეიმოსა სამხედრო“ მოვიდა საქართველოში, აცნობა მეფეს ვითარება და „მან მოსცა თორნიკეს ათორმეტი ათასი მხედარი „ყოვლითა სიმხნითა და ძლიერებითა სრულნი და გამოცდილნი გულოვანნი“.

ამ მხედრობით თორნიკემ და იოანემ „წარაქცია“ სკლეაროსი დააოტა. მაშინ „მოიღებდენ თვისთა სიმდიდრეთა და მისცემდენ მათ“. სწორედ ამ დროს უნდა მიეღო დავით კურაპალატს სასწაულთმოქმედი ხატი „იტყვიან მით, რამეთუ უკანასკნელი ესე იყოს დახატული წმიდისა მოციქულისა და მახარებლისა ლუკას მიერ რძეითა ყოვლად უბიწოისა დედისათა“, ამასთანავე, ფიცარი, რომელზედაც ლუკა მახარობელმა ღვთისმშობლის ვედრების ხატი შექმნა იყო – „ფიცარსა ზედა მას, რომელსაც ზედა იშვა თანადაუსაბამი მამისა ხორციითა იესუ, ძე მღთისა“.

პირველი დიდი შენაწირი ხახულის ღვთისმშობლის ხატს გელათში დავით აღმაშენებელმა მიუძღვნა „ჩემნი ალალნი /ლალნი/ და თვალმარგალიტი ხახულისა ღვთისმშობლისად შემიწირავს“. ამ შეწირული ძვირფასი ქვების სახელწოდებანი იყო: „კედელა“, „ობოლა“ და „მედეგა“.

მათს წარმომავლობაზე და ხახულის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედებაზე ასეთი ცნობაა დაცული „კალმასობაში“, „ხატი ხახულისა ღვთისმშობელისა, ლუკა მახარობელისაგან

გამოწერილი და შემკობილი ძვირფასად, რომელსაც გვირგვინსა უსხენან თვალნი ყეენისაგან შეწირულნი, ოდეს განუჭირდა მხედრობათა მისთა და თვით მას, რათა მშვიდობით განრინებულ იყო. ევედრა ხატსა მას და თვისის გვირგვინისაგან აღმოიღო სამნი თვალნი ძვირფასნი და შესწირნა მას".

როგორც ვხედავათ ეს შემთხვევა უნდა მომხდარიყო დიდგორის ომში. ამდენად ხატის სასწაულმოქმედ უნარზე ცნობები მაჰმადიანურ სამყაროშიც იყო გავრცელებული.



ხახულის მონასტრიდან გელათში გადმობრძანების შემდეგ ღვთისმშობლის ვედრების სასწაულმოქმედ ხატს გაუკეთდა ახალი კარედი. რა თქმა უნდა, ხატს ხახულშივე ჰქონდა შესანახი კარედი, მაგრამ მეფე დემეტრემ, მეორედ შეამკო იგი და მეტი ბრწყინვალება შესძინა. ამის დასტურია ხატის ორივე კარის ქვედა არშიაზე ასომთავრულით ამოჭედილი იამბიკო:

"ვ~რ ძეელსადვე მადლით ღ-თის მამაქმნილმან:.
შენ აღჰყუავენ რაი მის შორის დედოფალი:.
ამდიდრნა მკობად, ნივთნი შ~ნ ღ~თის ტაძრისა:.
ეგრეთ აწ დავით დ~თის მორჩმან ესე:.
სულით სხეულით, ტაძრითურთ გძღუნნ ქწლო:.

ხოლო ახალმან ვესელიელ სალომონ:
ძეობით ფლობით, მრჩობლ ტალანტნა დემეტრე:
და სამყაროის გზებრ, აცისკრა მორფი შ~ნი:
აწ ჟამმსა /რ/ავლობის ოხად ღ~თის მშობელო:
და ზენა /ქ/რისტეს შ~ბის ...ფობად".

ხატი შეიმკო დიდი რაოდენობის ძვირფასი ქვებით მინანქრიანი ხატებითა და მედალიონებით, სიწმინდეებით...

ხახულის ღვთისმშობლის ხატს მდიდრული შენაწირი გაუკეთა თამარ მეფემ. 1195 წელს, შამქორის ომში ქართული მხედრობის მიერ მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების გამო უმთავრესი ნადავლი ხალიფას დროშა „წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულის ღვთისმშობლისასა, მსგავსად მამისა პაპისა მათისა: მაშინ მას /დავით აღმაშენებელს – გ. ტ./ წარეგზავნა მოძრცვილი ქედისაგან დორბეზსა სადაყაის ძისა, ჟამთა დიდგორთა გაქცევისათა, მანიაკი ოქროსა, შემკული თუალებითა ძვირფასისათა, მიზეზად ძღუნისა შემწირველობისა და მვედრებლობისა". ქართლის ცხოვრება ამგვარად გადმოგვცემს ამ შემთხვევებას: „იქმნა თამარისა შეწყალება, რომლისათვის დროშა იგი ხალიფასი, რომელი მოიღო შალვა ახალციხელმან, წარგზავნა ესე მონასტერსა დიდსა წინაშე ხახულისა ღმრთისმშობლისასა".

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა მ. ბროსეს კომენტარი: „ხალიფას დროშა, რომელიც სპარსელებს ნაბოძები ჰქონდა, ახალციხის მეციხოვნეთა უფროსმა შალვამ წაართვა მათ ომში და თამარ მეფის ბრძანებით შესწირა ხახულის ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის მონასტერს, სადაც ის შეინახეს ოქროს გულსაკიდ ქვასთან /ამბარჩასთან/, რომელიც დავით აღმაშენებელმა 1121 წელს ომში ურწმუნოებს წაართვა და რომელიც ძვირფასი თვლებით შემკობილი იყო. ამ შემოხვევის გამო თამარმა მადლობა შესწირა ღმერთს იამბიკონით, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია".

მ. ბროსეს მხედველობაში ჰქონდა XVIII საუკუნის ერთ ხელნაწერში დაცული იამბიკო, რომელიც მასზე დართული ხელნაწერის მიხედვით ხახულის ღვთისმშობლის ხატზე ყოფილა წარწერილი:

„ქალწულებრივითა შენთაგან სძალო,
ობედ საიდუმლოდ ზენაისა განგებისად,
ღვთისა ძისა ძედ მეშვ იქმენ არსთა მცხოვნად;
მე, თამარ, მჩენი ტომთაგან დავითებრთაით

მამკვე, შემამკე, მადიდე, აღმამაღლე!
აწ მეცა ხელვყავ შემკობად ხატისა თქვენისა –
დედისა ძითურთ და მეც ძითურთ მფარველად.

ცასა ცათასა დამწყებ არს ღმერთმთავრობა
ძე საუკუნობს პირველი და კუალადი.
სულმან მას ღმერთმან სრულ ყო მოქმედებადი
სამებით სრულმან ერთითა ღმრთაებითა,
მიწით პირველის, პირმშოის კაცისა.

შენ მიერ მისთვის დრკუსა მის განმგებელი,
დრკუი მიდრკა უვნებელი ვნებისადმი,
ივნო და ვნება პირველი უვნებელ ყო
შენგან შობილმან ჩვენ ღირს გუეევნა აღმოშობად
ბნელით ნათელსა, ნთელთა მხედველობად.

შენგან, ქალწულო, რომელსაც შენთვის დავით
როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე თამარ, მიწა შენი და მიერივე,
ცხებულობასა ღირს მყავ და თვისობასა,
ედემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით.

შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთელობ,
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა
შევრთე, ცრუ – სჯულთა მოძღვრისა ღაზოდ მძღუანი,
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით.

ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩუენნი მხედარნი, მოსავნი შენნი, სძალო,
მოწყლნეს, მოსწყვდნეს აგარის ნათესავნი
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევწირავ! მიოხე ძეებრ, ღმერთო!

მე-18 საუკუნის ერთ-ერთ გელათურ მარტირიკაში ამ იამბიკოს ასეთი მინაწერი აქვს წამძღვარებული: „იამბიკო ესე არს თქმული რუსთაველის მიერ, რომელ წერილ არს ხატსა ხახულისა ღვთისმშობლისასა".

მართალია, ზოგი ქართველი მკვლევარი იამბიკოს ავტორად თამარ მეფეს მიიჩნევს, მაგრამ გამორიცხული არ არის რომ შ. რუსთაველი მართლაც იყოს მისი დამწერი. ამ მინაწერის მიხედვით, ზუსტად არის მითითებული, რომ „ხახულის ღვთისმშობლის ხატი თამარ მეფეს უცხოდ მოუჭედინებია, უცხოს თვლითა და მარგალიტით და ზედ ეს იამბიკო დაუწერინებია: გაენათს ვიხილეთ". მინაწერის ბოლოს ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იამბიკო თამარ მეფეს „დაუწერინებია", რა თქმა უნდა, შ. რუსთაველს და არა მეფეს, მას მხოლოდ შეუმკია და მოუჭედია ხატი.

სხვათაშორის შამქორის ომში ქართველთა ამ გამარჯვებას დიდი გამოხმაურება ჰქონდა მაშინდელ და მერმინდელ მსოფლიოში. ამ ომს იხსენიებენ და აღნიშნავენ რუსი მწერლები XVI საუკუნეშიც და ქართველთა ამ გამარჯვებას მუსულმანებზე მაგალითად მოუხმობდა ყაზანის ალყის დროს ივანე მრისხანე და ასე ამხნევებდა საკუთარ მებრძოლებს:

„Слишаете иногда божию бывшую великую милость и пречиетыя богородици помоч, яко премудрая мужемная царица Иверская сотвора и колику победе покоза на небожны персах".

ამ მხრივ აღსანიშნავია თამარ მეფისაგან გაცემული სიგელი, რომელშიც მონასტრისადმი მზრუნველობა და მფარველობაა გაცხადებული: – „აღშენებასვე მის მონასტრისასა ზედა თორმეტი მწირი იყო დაწესებული სპონდიოსა გარეთ და არა იყო საზრდელი მათდა თვინიერ რომელ, თუ ვინ გარეთმან გარდაიხადოს აღაპი, მაშინ შეუშუნით ტრაპეზსა და სხუებრ არღა ჰქუნდა ტრაპეზთაგან და ყოვლითურთ უღონონი ეგრეთ უცხოდსა საზრდელსა მიმღოდენ; იჭირვოდეს – ესე ეწყინა მეფობასა ჩუენსა, რადგან განწესებულად ჩანდეს".

თამარ მეფის ღვაწლშემოსილი სახელი ქართულმა ეკლესიამ წმინდანთა რანგში აიყვანა, ხოლო ხალხის მეხსიერებაში ის დარჩა იმგვარ უდიდეს მეფედ „რომელთა მოთხრობა შეუძლებელ არს... უკეთუმცა შეკრბეს ბრძენნი ყოვლისა სოფლისანი, ჯეროვნად ხელჰყოფენ დუმილსა, ვერა მიწვდომისათვის სიტყვის გამოთქმად საქმეთა თამარისათა“.

ხახულის ხატისა და გელათისადმი მდიდრული შენაწირი აქვს მიძღვნილი თამარ მეფის შვილიშვილს დავით ნარინს, როგორც ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიდან ირკვევა „პატრონთა რუსუდანის ძისა დავითს, მეფეთ მეფისა წყალობითა მათად სადიდებლად და სულისა ჩემისა სალოცველად მე დიდის მონასტრის დეკანოზმან იაკობ გავაჩინე ესე: პირველად ხატი მაცხოვრისა მოჭედილი ბერძული, კარედი ხატი ხახულისა ღვთისმშობლისაი თუალინ-მარგალიტე/ბია/ნი მინითა, მისითა კუბოითა, ესე თვით ხახულისა ღთისმშელსა წ~ე სასუნებლად მომიხსენებიან. მამული ჩემი მკვიდრი პატრონთაგან ბოძებული მაღლაკს აბანოისა სახლი პირველცა სადეკანოზოდ შემექმნა...“ ეს სიგელი დაწერილი უნდა იყოს 1246–50 წლებში, როგორც თ. ჟორდანია მიუთითებს. სხვათაშორის ამ სიგელზე არის მე-16 საუკუნის ხუცური წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია დავით აღმაშენებელი და ამ მინაწერის ავტორი ზემოთ დასახელებული შენირულობას მას მიაკუთვნებს: „სიგელი: ესე: მეფეთ-მეფისა დ~თ აღმაშენებლისა“:

შემდგომი შენირულობა ეკუთვნის ასევე დავით ნარინს 1267–1888 წლებს შორის: „სახელითა ღთისათა, /ჩუენ/ დავით ბაგრატიონმან, ძემან სულკურთხეულისა მეფეთ-მეფის რუსუდანისაგან, ნებითა ღთისათა აფხაზეთისა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფემან, შარვანშა და შანშა და ყ~სა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელმან... ვიყიდე სოფელი საბანელა სულის მწირველთა კანონოხის გამზრდელთაგან ნაყიდი, მივეც ფასი... რომლითა შეჯერდა, სათნო ვიჩინე მოხსენებად დიდსა მონასტერსა ხახულის ღვთისმშობელს, რომელმან აურაცხელი წყალობანი ყვნა ჩემზედა, რათა ყოველთა მარიამობათა დღეთა კანდელაკის ხე-

ლითა მიიღებდნენ ბეგარასა... რაიმე ბეგარა ცვილი გაგვიჩენია ხახულისა ღვთისმშობლისათვის ორმოცდაათი ლიტრა და არც ქუთაისის მეგერგილეთა და ამირათგან რა ეწყინებოდეს და არც ვის სხვისგან და არც კანდელაკისაგან კიდე არც ვისი ხელი შევიდოდეს სამებლის მცველთა და სხვათა... ნუ ვინ დააკლებთო, თქუენ წ-ნო მღვდელ-მოძღუარნო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო".

გელათის უპირველესი სიწმინდისადმი ყურადღება არც მომდევნო საუკუნეებში განელებულა. არამარტო იმერეთის მეფეები, ცალკეული წარჩინებულნი, არამედ გურიისა და სამეგრელოს მთავრებიც გაიღებდნენ უხვ შესაწირავს ხახულის სასწაულმოქმედი ხატისადმი. ასეთია მაგალითად იმერეთის მეფის ალექსანდრე II-ის შეწირულების წიგნი: „...მეფეთა მეფემა ალექსანდრე და თანამეცხედრემა ჩუენმა პატრონმა დედოფალმა თამარ და ძეთა და ზეშთა აღმატებულისა და ცათა მობაძავისა ახლისა იელუსარემისა დიდისა მონასტრისა გელათისა და მასაშიგან ბრძანებულასა ხახულიასა საკურთხევალისა ღარათაისა მშობელიასა... და შემოვსწირეთ ნაბარევი გაღმა გამოღმა რავარახმელასა მარგველასშვილები მათითა შესავალითა სამზღვარითა ტყითა ველითა..."

1513 წელს გელათის მოძღვართმოძღვარმა ილარიონმა ალექსანდრე მეფის სულის მოსახსენიებლად ხახულის ღვთისმშობელს შეწირა ქუთაისში „ცისკარასა შვილი დიდაკარსა შიგნითა უფლისაი და მიქელი" მისივე შეწირულია აგრეთვე სხვა მამულები და ყმები.

განსაკუთრებით მდიდრული შეწირულობა და ადგილ–მამული გაუჩინა გელათის მონასტერსა და მის ხატს იმერეთის მეფე ბაგრატ III:

„ესე წიგნი და ნიშანი მოგეცით... ჩუენის კარისა გამოსული და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს არა ჯურუმი, არა ყალანი, არა ულაყი, არა ჩასაყარი ტიკი, არა ტომარა, არა გოჭი, არა ქათამი, არასთანა კარისა ჩუენისა სათხოვარი გამოსაღები არაფერი გეთხოვებოდეს ერთის პატრონისა კურთხეულისა მამისა ჩუენისა ალექსანდრეს სააღაპოს მეტი..."

ბაგრატ III-ის, როგორც გელათის „მეორე აღმაშენებლის“ სახელთან არის დაკავშირებული მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესიის განახლება, რომელიც მურმან ყრუს შემოსევების შედეგად დაქცეულა და „ან მოაქანამდის არავის ხელეყო აღშენებად მისად“ ეკლესიის განახლება მეფემ ჯვარისმტვირთველ იოსებ ფანჩულიძეს დაავალა. 1527 წელს გაცემული წყალობის წიგნით, ჯვარისმტვირთველი ფანჩულიძე მეფემ გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადებისაგან, რამაც მას საშუალება მისცა განეახლებინა იგი. ამ ეკლესიის განახლებით, ბაგრატ III, ალბათ, აქ ფიქრობდა წმ. გიორგის საწინამძღვრო ჯვრის დასვენებას, რომელიც ჯერ კიდევ გელათში იყო, როგორც იმერეთის მეფეთა წილხვდომილი განძი ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამეფო განძიდან და რაც მათ შესაძლებლობას აძლევდა პრეტენზია განეცხადებინათ ქართლ-კახეთისა და სხვა სამთავროებზე თავიანთი უპირატესობის ნიშნად.

ამ პერიოდს ემთხვევა ხახულის ღვთისმშობლის ხატის პირის დამზადება ახალი შუამთის მონასტრისათვის. ცნობილია, რომ იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის ქალიშვილი თინათინი კახეთში გათხოვდა და მას მზითევში ხახულის ხატი პირი გაატანეს. ამიტომაც იწოდებოდა შუამთის მონასტერი გელათის მსგავსად „დიდებული ტაძარი ხახულისა ღვთისმშობლისა“.

ბაგრატ III და დედოფალმა ელენემ ხახულის ხატს შესწირეს „ჯვარი იაშმისაგან მოჭედილი ვერცხლით და მოოქრული სივრცით 71/4 X 5 ვერშოკი შემკობილი 39 ფასიანი ქვებით, ბოლოს აქვს ჩაჯენილი შუშები“.

1540 წ. ხახულის ხატს მდიდრული შენაწირი მიართვეს ჯანგაზ და ფირან მხეციძეებმა „ექვსი კუამლი... ხუცესი მიქელ, მისი ძმა ზოსიმე... და მახარტელი მგელაძე ნასყიდა, ახალაძე როსტე... და მისი შვილი ხუცესი გაბრიელ ხვინვიძე... თხე ქოცნაც სპათარია სულთამამა მამისა /ო/თხი ზუთხი ორი დეოქსი სამი მწყთლუ... ლთა გლეხთა ოცოცისა თეთრის საკლავი, ოციანითა, ერთი კოდი იფქლი... შემოგვიწირავს ჩვენითა... და გვიზმიდეს აღაასა,... ნათლისღებასა და გვიწირვიდეს ბატონი გენათე...ნი“.

ხახულის ხატისადმი ინტერესი მეტად დიდი იყო უცხოელ მოგზაურთა და მომლოცველთა მხრიდან, რომელნიც ვალდებულად თვლიდნენ თავს, თავიანთი თაყვანისცემა და მოწიწება გამოეხატათ. ამათგან, ზოგმა დაგვიტოვა ჩანაწერები, რომელთა მნიშვნელობაც განუზომლად დიდია ამ უდიდესი ქრისტიანული სიწმინდის ისტორიისათვის.

ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა მე-17 საუკუნეში იმერეთში მყოფი რუსი დიპლომატების ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლევის აღწერილობანი.

ნ. ტოლოჩანოვი ასე აგვიწერს ხახულის ხატს: „ზაქარია მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ლუკა მახარობლის დახატული ყოვლადწმიდას გამოსახულება და ღვთისმშობლის ორი ხატი ნაწილებით და ჯვარი კონსტანტინეპოლიდან მოიტანა თან, კონსტანტინე მეფის ქალიშვილმა ირინემ, რომელიც მან იმერეთის მეფეს დავითს /?/ მიათხოვაო. ამ ჩანაწერში აგრეთვე მოცემულია ამ სასწაულმოქმედი ხატის მდგომარეობა იმ ჟამად: „საკურთხევლის ჩრდილო კარებთან, მიტროპოლიტის ადგილისა და მარცხენა სამგალობლოს პირდაპირ რვაფურცლოვანი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატია, ზელზედა გამოსახულების, მლოცველი, ისე, როგორც მაცხოვრის „ვედრების“ ხატზე იხატება, ხელაპყრობილი უფლისადმი, საუცხოოდ შემკულია. მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ეს ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატი, წმიდა მსოფლიო მოციქულის, ლუკა მახარობლის დახატულიაო. ღვთისმშობლის ხატს პირისახე და ხელები მთელი აქვს, სურათი შესანიშნავად დახატული იყო, მაგრამ ახლა სამოსელი ჩამოცვენილია, გვირგვინი და არშიები ოქროთი არის მოჭედილი გვირგვინში და არშიებზე ოცდაოთხი ჟოლოსფერი იაგუნდი და ზურმუხტი ორმოცდაორი ქვა, დიდი და საშუალო რუსული კაკლის ოდენა.

გვირგვინის ქვების და ხატის კიდეები ორმუზდის დიდი მარგალიტებით არის შემოყოლებული, ღვთისმშობელს შუბლზე კავიან ოქროს ბალთაზე რუსული დიდი კაკლის ოდენა მარგალიტი აქვს. ღვთისმშობელს მკერდზე კომლის ფერი ალმასი აქვს, ნატიფია მცირე წახნაგებად, რუსულ კაკალზე მოზრდილია, ხატის შიგა ბუდე ოქროთი არის მოჭედილი და

იაგუნდითა და ზურმუხტებით არის შემკული, საშუალო და მცირე ზომის ქვებით და მრავალი მარგალიტით, ხოლო დღესასწაულები, წმინდანები და ფირფიტები მინანქრით არის გამოსახული. ხოლო გარეგანი დიდი ბუდე, მისი საკეტები და ბუდის თავი იმ ხატს ოქროთი დაფერილი ვერცხლით აქვს მოჭედილი. ბუდეზე და საკეტებზე დღესასწაულები და წმინდანებია ამოტვიფრული. ხატის ბუდეზე, ზემოდან, საყდრის იატაკამდე, გადაფარებულია მოქარგული ფარჩანარევი ხავერდის საფარი. ა. იევლევის აღწერილობა ძირითადად ემთხვევა ტოლოჩანოვისეულს. ამ ავტორებთან გვხვდება ცნობები ხახულის ხატის წარმომავლობის შესახებ. ა. იევლევი წერს: „ზაქარია მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ლუკა მახარობლის დახატული ყოვლადწმინდას გამოსახულება და ღვთისმშობლის ორი ხატი წმინდა სანწილებით და ჯვარი, კონსტანტინეპოლიდან მოიტანა კონსტანტინე მეფის შვილიშვილმა ირინემ, რომელიც მან იმერეთის იმეფეს დავითს მიათხოვაო".

1664 წელს „მეორედ იერუსალიმად აგებულ და შინაგან მსხდომსა ხახულისა და გაენათის" ღვთისმშობელს შეწირულობის წიგნი მიართვა გაენათელ-ნიკორწმინდელმა გედეონ ლორთქიფანიძემ: „მოგიბოძე და ტაძარსა თქუენსა ...კაცია კუჭაიძისაგან მაჭუტოური ვიყიდეთ. /არაგვეთს/ ძველი ციხე იყო და აღშენება დაუწყეთ და გლეხებს დასახლება და საზღვარი ამისა მუხურის მთამდის სკანდურს დაღმა, სკანდის შარას შემოღმა, აქათ თხილთა წყაროს ღელემდის და იქით სკანდის ღელემდის, ამ შვაზედ რაც მიწა ადგილია, ყველა უკლებლად და ხელშეუვალად ვიყიდე, არას კაცს ამაშიდ ხელი აღარ აქვს რა და ბაგრატ მეფის ბრძანებით და ნებადართულობით ხახულისა და გაენათისა ღთისმშობელს შევსწირე".

გელათისადმი ზრუნვა კიდევ უფრო გაასმაგა გედეონ გაენათელმა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, რასაც მოწმობს 1678 წლის საფიცრის წიგნი: „მოგართვი მე ყიფიანმა ბეჟან თქვენ გაენათელსა ბატონს გედეონს, ასრე და ამა პირსა ზედან, რაიმე ნიშანი მემართა თქვენი და სხვა ვერა გიშოვეთ რა და მაშინ ყიფიანისოული მოგართვით მიწა სა-

ყანა ცხრა თავი ასრე: არას ძეს კაცისას ამ საქმეზედ თქვენთან ხელი არ აქვს".

მე-18 საუკუნის 20-იან წლებში გიორგი VI-ის მეუღლეს დედოფალ როდამს „ხახულის მღვთისმშობლისათვის" შეუწირავს რობაქიძეები.

ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებით ირკვევა, რომ გელათის სხვადასხვა სახის შეწირულობანი გაუჩინა ალექსანდრე V. ამის მიზეზი იყო, რა თქმა უნდა, თამარის ეკვდერში მისი მეუღლის საძვალეს მოწყობა. მეფე ალექსანდრემ ამ ეკვდერში წინამძღვრად დააყენა ბერი კოპალიანი და შესწირა: საეკლესიო ნივთები, ხატები, საღმრთო წიგნები, ადგილ-მამული, მაგრამ ყოველივე ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, გაეძარცვა ხახულის ღვთისმშობლის ხატი. ვახუშტი ბატონიშვილი ასე გადმოგვცემს ამ ფაქტის შესახებ „კვალად განძარცვა ხახულის ღვთისმშობელი და მის ძალით ამ დიდ მარხვაში და მარტში მოკვდა ალექსანდრე".

უფრო ვრცლად გადმოგვცემს ხახულის ხატის გაძარცვის ისტორიას ნ. დადიანი: „შემდგომად შერიგდნენ მეფე და დადიანი, იქმნა მშვიდობა და მეფობდა ალექსანდრე იმერეთს, ხოლო რაოდენისა ჟამისა, ამა მეფემან განძარცვა ხატი ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა /რომელსა უწოდებენ ხახულისა ღვთისმშობელსა/ და ამის ძალით წარმოსცვინდენ ორნივე თვალი და მოკვდა თვესა მარტსა წელსა ქრისტესით 1749".

ამავე პერიოდს მიეკუთვნება რაჭის ერისთავის შოშიტას შეწირულობაც. მან ხახულის ღვთისმშობელს შესწირა ჩხარის საწინამძღვრო საყდარი, რომელიც „ჟამთა ვითარებისაგან და უბატონობისაგან... დაიკარგა და საერისკაცოდ გამხდარიყო და ჩვენგან ჩვენდა ხელად ჩამოვარდა. ჩვენ შევკარით და უმადელი პირველადაც შეწირული ყოფილიყო და ჩვენც თქვენთვის შემოგვიწირავს".

ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ჩხარის წმ. გიორგის ეკლესია, სადაც იმერეთის მეფეთა საწინამძღვრო ჯვარი იყო დასვენებული, თავიდანვე გელათის საკუთრება ყოფილა. შოშიტა ერისთავმა ის გამოისყიდა და კვლავ გელათის მონასტერს დაუბრუნა, უფრო ზუსტად, ხახულის ღვთისმ-

შობელს შეწირა, როგორც ამას შეწირულობის წიგნი გვამცნობს.

იმერეთის მეფე სოლომონ I გელათის მონასტერს შეწირა: „ხატი ღვთისმშობლისა, ხატი წმინდა მარინესი, ხატი მაცხოვრისა, გარდამოხსნა, ხომლის შანდალი სპილენძისა, ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა, კოვზი ვერცხლისა, ორი პატა სურა და ერთი ტაკუკი ვერცხლისა, ლანგარი და შანდალი ვერცხლისა, ხელთნაწერი სახარება 1/8 ფურცლისა ვერცხლის ოქროში დაფერილ ბუდეში და სხვა.

ხახულის ღვთისმშობელს საყურადღებო შეწირულობანი მიუძღვნეს იმერეთის სამეფოს უკანასკნელმა დედოფლებმა: 1774 წელს დედოფალმა გულქანმა შეწირა „ხომლი საშუალო ტანისა საკურთხეველში ღვთისმშობლის ხატის წინ დაკიდებული ექვსი სასანთლით". დედოფალმა მარიამმა „ვერცხლის ბარძიმი", დარეჯან დედოფალმა კი „ოლარი შეკერილი და მოქარგული ვერცხლის და ოქროს ძაფით ტილოზედ დიდად ხელოვნურად და კარგად".

ასევე მნიშვნელოვანი შეწირულობაა გელათისადმი დას. საქართველოს კათალიკოზ იოსებისაგან – „ორი ვერცხლის დიდი საცეცხურები და სამ სანთლიანი და ორ სანთლიანი პატარა შანდლები ვერცხლისა", აგრეთვე „სააიაზმე ვერცხლისა, ბარძიმი, ფეშხუმი კამარა, კოვზი ვერცხლისა".

აქ ჩამოთვლილ შეწირულებათა უმეტესი ნაწილი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

დავით ნარინისა და მისი მეუღლის მიერ ხახულის ღვთისმშობლისადმი იყო შეწირული ადგილმამულები და გლეხები ასევე კვახჭირსა და ჯიქეფონში.

მონგოლთა ბატონობამ და თემურ-ლენგის მრავალმა შემოსევამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქართულ ეკლესიას. მათი უღლის გადაგდების შემდგომ საქართველოს მეზობლად ძლიერდება ოსმალთა სახელმწიფო, რომელიც თანმიმდევრული ბრძოლებით ავიწროებს ბიზანტიის იმპერიას და ხშირად ბრძოლები უკვე კონსტანტინეპოლის კედლებთანაც კი მიმდინარეობს. ასეთ ვითარებაში გაიმართა 1438 წელს ფლორენტინის საეკლესიო კრება, რომლის მიზანი იყო აღმოსავლეთ და დასავლეთის ეკლესიათა შერიგება. ამ კრებაზე

საქართველოდან მიწვეული იყო მიტროპოლიტი გრიგოლი ერთ წარჩინებულ თავადთან ერთად. საქართველოს წარმომადგენელმა, როდესაც შეიტყო რომის პაპის სურვილი და აზრი ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში, იდუმალად წამოვიდა უკან და ხელი არ მოაწერა კრების განჩინებაზე.

1452 წელს ბიზანტიის საიმპერატორო კარზე გაიმართა შეკრება, სადაც გადაწყდა ახალგაზრდა იმპერატორის – კონსტანტინეს დაქორწინება საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის ქალიშვილზე. ელჩად გამოგზავნეს ფრანჩი პროტოვესტიარი, რომელსაც თან აურაცხელი სიმდიდრე და საჩუქარი გამოატანეს. „მას ახლდნენ მრავალი კეთილშობილნი, მცველნი, მეხრმლენი, ბერნი და მემუსიკენი. ქალაქნი და სოფლები სადაც კი გაივლიდნენ ისინი დიდი ყურადღებით ეგებებოდნენ მათ. სტუმართმოყვარულ საქართველოში ფრანჩმა აღირჩია მეფის სძლად ახალგაზრდა ასული ქართველთა მეფისა... მეფე გიორგიმ, კმაყოფილმა ბიზანტიასთან დამოყვრებით არა თუ არ მიიღო ქვეყნის ჩვეულებისამებრ საჩუქრები ქალისათვის, არამედ, პირიქით, მისცა ქალს 56,000 ოქროს დუკატი და დაუნიშნა მას ყოველწლიურად 5000 დუკატი სარჩოდ".

ელჩის კონსტანტინეპოლში დაბრუნების შემდეგ იმპერატორმა სიგლით დაამტკიცა სადედოფლოდ აღრჩეული ქალი მეფისა, თავისი ხელით დაასვა სამი წითელი ჯვარი და მეფე გიორგის მხრით გაგზავნილი ელჩი დაარწმუნა, რომ გაზაფხულის პირზე ბიზანტიელთა გემები წარმოიყვანდნენ საპატარძლოს", მაგრამ, 1453 წლის აპრილში თურქებმა ალყა შემოარტყეს კონსტანტინეპოლს, განზრახული ქორწინება დაირღვა და ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი გმირულად დაიღუპა კონსტანტინეპოლის კედლებთან.

ქართული ქრონიკები მეტად ძუნწად ეხმაურებიან ამ ფაქტს:

„აქა კონსტანტინეპოლი დაიჭირეს ურუმთა და საბერძნეთი",

„აქა კონსტანტინეპოლი დაიჭირეს თათართა",

„აქა კონსტანტინეპოლი დაიჭირეს ომანიანთა და ს~დ საბერძნეთი".

კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, საქართველოში მრავალი საეკლესიო სიწმინდე მოხვდა, დევნილმა მამებმა თან ჩამოიტანეს ისინი...

1461 წელს თურქებმა დაამხეს თამარ მეფის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერია. ახლა უკვე თურქები უშუალოდ გაუმეზობლდნენ სამხრეთ საქართველოს და მათი აგრესია პირველ რიგში აქეთკენ იქნა მიმართული.

1465 წელს ფარავნის ტბასთან სამცხის მთავარმა ყვარყვარემ დაამარცხა ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII და დაატყვევა იგი. ამის შემდეგ იმერეთის ერისთავთ-ერისთავმა ბაგრატ გიორგის-ძემ სასწრაფოდ დაიკავა ქართლი და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა.

იმერეთის მეფეთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი– გელათის მონასტერი, კვლავ ყურადღების ცენტრშია. ამგვარი ხასიათის არის 1495 წელს ალექსანდრე ბაგრატის-ძის შენირულობის სიგელი: „შევსწირეთ და მოვახსენეთ... ჩუენსა სულისა და ხორცისა შესავედრებელსა დიდსა და ცათა მობაძავსა, მეორესა იერუსალიმსა, მონასტერს გელათს, ტაძარსა ყ~დ წდ~ისა ღ-ისა მშობლისა ჟორჟოლაძის დავითის ნაქონები მამული გლეხები შვენიერის ძე ორნი კომლი, ვაჩაბერაძე. ჩიტაძენი მისითა ბეგარითა. მოვახსენეთ ესე გლეხნი გელათსა, ტაძარსა წ-ისა ღ~ისა მშობლისას და გავაჩინეთ ჩნ~ს სულისა /თვის/ ამაღლებასა დღესა აღაპი კარგაღებული ხარითა და ერთი ცხვარითა... მით აღაპს გვიზამდნენ, წინამძღვრის ხელით გარდაიხდებოდეს“.

ხახულის ღვთისმშობელს შესწირა აგრეთვე ალექსანდრე მეფემ ბანოჯისა და ნაბარევის მცხოვრებნი თავიანთი მამულებით.

1510 წლის ამბებს გელათური ქრონიკები ასე გადმოგცემენ: „ამა ქკ~ს: მოვიდა თათარი ნოემბერსა კგ: და დაწუეს საყდარი ქუთათისი და გელათი“.

„ამავე წელს ქუთათის თათარნი მოვიდნენ და დაწვეს დიდი მონასტერი გელათისა შიგნით და გარეთ, ქუთათისი და საყდარი, სხვანი ეკლესიანი და ციხე ვერ აიღეს და აურაცხელნი ტყუენი წაასხეს. თვე იყო ნოემბერი“.

ეს იყო გელათის მონასტერზე პირველი თავდასხმა.

როგორც ცნობილია ამ თავდასხმის მიზეზი იყო სამცხის ათაბაგის მზეჭაბუკის წინდაუხედავი მოქმედება. მან დაუბრკოლებლივ გამოატარა იმერეთისაკენ ოსმალთა ჯარები. ასევე ცნობილია ამ მთავრის ორპირული პოლიტიკა საეკლესიო საკითხებშიც. იგი ცდილობდა ჩამოეშორებინა მცხეთის საკათალიკოზო საყდრისათვის სამხრეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრები. მის მთავრობისას მღვდელ-მთავართა და ეპისკოპოსთა ხელდასხმა ანტიოქიის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ხდებოდა. ყოველივე ამის გამო იყო, რომ მაშინდელი ანტიოქიის პატრიარქი დოროთეოს II მზეჭაბუკ ათაბაგს უწოდებს „ღვთის მოშიშს" „მართლმადიდებელს", „დიდათ მეფედ ჩუენად და ყოვლისა აღმოსავლეთისა ხელმწიფედ". სამაგიეროდ, დანარჩენ ქართველ მეფეებსა და ხალხს ურჯულოდ მოიხსენიებს.



ამგვარი განღვიძებანი დიდ საფრთხეს უქმნიდა ქართულ ეკლესიას და სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოს.

1510 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე ადის ბაგრატ III. იგი ცდილობს გააფართოვოს თავისი სამეფოს საზღვრები, კერძოდ, მისი ყურადღება მიპყრობილია სამხრეთ საქართველოსაკენ, რადგან ამ დროს თურქეთის სულთნები ევროპაში წარმოებული ბრძოლებით არიან დაკავებულნი.

ბაგრატ III-ისთვის სამცხის ათაბაგთა პოლიტიკა მიუღებელი იყო, როგორც პოლიტიკური, ისე სარწმუნოებრივი თვალსაზრისითაც.

„ათაბაგი ყვარვარე მიუდგა ხონთქარსა და რა სცნა ესე... ბაგრატ, შეიყარა სპა თვისი იმერელნი და მივლინა კაცი კახაბერსა გურიელმა და მოჰყვა იგიცა ბაგრატს“.

ვახუშტი ბაგრატიონი ამ ლაშქრობის მიზეზად ასახელებს: „მოიხსენა შური მზეჭაბუკ ათაბაგისა, რამეთუ მიჰყვა გიორგი მეფესა იერუსალიმს და არა ამას და წარვიდა დაპყრობა სამცხისა“.

1535 წლის 12 აგვისტოს მურჯახეთთან მოხდა ბრძოლა „დღესა ხუთშაბათსა შეიბა მეფეთ მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყუარყუარე ახალქალაქსა და დაიხოცნენ მრავალნი კაცნი და გაემარჯვა მეფესა და დარჩა ყუარყუარე და მისნი ლაშქარნი და დაიპყრა სრულიად სათაბაგო ძემან ალექსანდრესამან“.

ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით „მერიქიფემან კახაბერის გურიელისამან, ისაკ ართუმელაძემან, ჩამოაგდო ათაბაგი ყუარყუარე, დაიჭირა და მოართუა გურიელსა და გურიელმან მოართუა ბაგრატს“. ურჩი ათაბაგი მეფემ გელათში, სამრეკლო ქვეშ დილეგში გამოკეტა და „გელათს ტყვედ მოკვდა“.

მხოლოდ ათი წლით შეინარჩუნა ბატონობა სამცხეზე ბაგრატ III–მ. 1545 წელს თურქეთის სულთანმა კვლავ გამოგზავნა ჯარი სამხრეთ საქართველოზე შესუსტებული პოზიციების გასამაგრებლად. მეფე ბაგრატმა კვლავ სთხოვა დახმარება გურიელსა და ქართლის მეფეს.

ბრძოლა მოხდა 1545 წელს სოხოისტას ველზე. ბრძოლის წინ მესხმა აზნაურებმა კატეგორიულად მოითხოვეს ბრძოლაში მეწინავედ მისვლა, ვინაიდან „ძუელითგანვე მეწინაობად მისვლა მესხთათვის განწესებულ არს და აწცა ჯერ არს ჩუენდ მისვლაო“, ამ უთანხმოების შედეგი ის იყო, რომ მესხებმა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღეს: „ინებეს განდრეკილება და არღარა მიჰყვნენ ომსა შინა“. ბრძოლა დილიდან გვიან საღამომდე გაგრძელდა. ქართველებმა „შემუსრეს ყოველივე საჭურველი და ესრეთ დარჩნენ, რომ საბრძოლველი იარაღი აღარა ჰქონდათ“.

ღალატმა და მტრის სიმრავლემ თავისი ჰქნა. იმერეთის მეფის ლაშქარი დამარცხდა. მაგრამ ბაგრატ III მაინც არ

შეეგუა მარცხს, ცოტა ხანში ისევ გადავიდა ლაშქრით სამცხეში და ამჯერად „წამოასუენა აწყურისა ღვთისმშობელი ციხეჯუარს და ვერღარა დაიპყრა სამცხე, ვინაითგან ციხენი სრულიად დაეპყრნათ ოსმალთა უკუმოიქცა და მოვიდა ქუთაისს“.

დ. ბაქრაძის აზრით, აწყურის ღვთისმშობელი ბაგრატ მეფეს მალევე უნდა დაებრუნებინა მესხთადმი, მაგრამ 1553 წელს მეფემ კვლავ წამოიღო აწყურიდან ხატი. იგი გელათში ღვთისმშობლის ტაძარში დაასვენეს, როგორც ჩანს იმ დროისათვის ხატი გაძარცვული ყოფილა. ბაგრატ III-ის ძე გიორგი II 1578 წელს ახლად მოაჭედვინა და შესაბამისი წარწერაც გაუკეთა: „ქ. ჩვენ მეფეთა მეფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩუენმა დედოფალთა დედოფალმა თამარ და მეფეთა ჩვენთა პირმშოთა ალექსანდრე და მამიამა მოვაჭედინეთ ხატი ესე ყოვლად წმიდისა წარსამართებლად მეფობისა ჩვენისათვის და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, ამინ.“

მხოლოდ შაჰ-აბასის ჩარევის შემდეგ მოახერხეს მესხებმა მისი უკან დაბრუნება.

1562 წელს ბაგრატ მეფემ კვლავ გადმოასვენა ხატი იმერეთში, ცოტა ხნით, როგორც ეს თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ პირველ წიგნშია ნაჩვენები: „იმერთა მეფე გიორგიმ და ათაბაგმან ზავ-ჰყვეს და აწყურის ღვთისმშობელი მისცა ათაბაგსა“.

ზემოთმოტანილ ცნობათა ქრონოლოგიური შეუსაბამობანი ცხადად ჩანს, ხოლო ზუსტი თარიღი, საბოლოოდ თუ როდის გადმოასვენეს ხატი აწყურიდან გელათს, ჯერჯერობით დაუდგენელია, თუმცა უკვე მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან გელათში მაწყვერელს განწესებული აქვს სამეფო შეწირულებანი, რაც ადასტურებს ხატთან ერთად გელათში მაწყვერელის საეპისკოპოსო კათედრის გადმოტანას.

აწყურის ღვთისმშობლის ხატი

ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში მოციქულებრივი მიზნით პირველად 30-35 წლებში იმოგზაურა. იესო ქრისტეს ამაღლების შემდგომ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს წილად ჰხვდა საქართველოს მოქცევა და ჩვენებით ეჩვენა მას ძე ღვთისა: „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წაივლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანა წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოიხატოს და შენ წილ ხატი იგი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა“. მაშინ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა და გამოიხატა ხატი ესევითარი, რომელ წიაღთა თვისთა ეტვირთა განხორციელებული ჩვილი, ყოვლად სახიერი სიტყვა ღვთისა, რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველ არს ხატი ყოვლადწმიდისა აწყვერისა ღვთისმშობლისა და მისცა იგი მოციქულსა ანდრიას და სთქვა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ, სადაცა ხვიდოდე და მეცა თანაშემწე ვერ ქადაგებისა მაგას და დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხვედრებელსა“.



ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლისას, პირველი სასწაულმოქმება ღვთისმშობლის ხატის იყო დიდ აჭარაში, როცა მოციქულმა მორწმუნეთა თხოვნისამებრ „შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატი მას-

ზედა და მეყვსეულად გამოისახა სახე უცვალებელი ხატისა და მისცა იგი მათ".

დიდაჭარიდან წმიდა მოციქული აწყურში ჩავიდა. წმიდა ხატმა აქაც მრავალი სასწაული ქნა, მკვდრეთით აღადგინა მიცვალებული, წარმართულ ტაძარში შემუსრა კერპები, ხოლო ხატი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა ბრწყინავდა ვითარცა მზე, დიდებითა და ჰავითა".

მორწმუნეთა სურვილის თანახმად ანდრია პირველწოდებულმა ხატი დაასვენა აწყურის ციხის მცირე ეკლერში, ხოლო აქაურ მრევლს „დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდელნი და დიაკონნი".

VII საუკუნის დასაწყისში, ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე კეისარი სპარსეთში გალაშქრების წინ ძელი ჭეშმარიტის დასახსნელად რომ მიემართებოდა, საგანგებოდ შეჩერდა აწყურში და თაყვანი სცა მას: „ესმა სასწაულმოქმედსა ხატისა მის, რომელი ღვთისმშობელსა გამოესახა, მივიდა კეისარი ერაკლე ხილვად და თაყვანისცემად ხატისა მის. მაშინ იწყო ერაკლემ აწყურის დიდისა საყდრისა საძირკველისა ჩაგდებად და შენებად. ვიდრემდის მიერითგან განსრულდა მორწმუნეთა კაცთა მიერ და მიერ შექმნეს საეპისკოპოსოდ".

აწყურის სასწაულთმოქმედი ხატი უდიდესი სიწმინდე იყო საქართველოში. მას უხვად ამკობდნენ ძვირფასი ქვებითა და თვალმარგალიტით და ქართველნი მეფენი მდიდრულ შენაწირს უძღვნიდნენ.

1477 წელს საქართველოს ირანის შაჰი უზუნ-ჰასანი შემოესია დიდძალი მხედრობით. ამ ლაშქრობისას ირანის მბრძანებლისათვის ცნობილი გახდა აწყურის ხატის ძვირფასი ქვებით მდიდრული შემკულობა. სამცხეში შეჭრილმა შაჰმა უკან გაბრუნების დროს აწყურის ხატი გაიტაცა და შემდგომ გაძარცვა: „აიყარა ოდენი და წარვიდა საყაენოსა და ტყვე ჰყვეს ხატი აწყურისა ღვთისმშობელი და წამოიყუანეს ქვეყანასა მათსა და იქმნა დიდი გლოვა და მწუხარება მოუთხრობელი სრულიად მესხეთსა ზედა". /ქ.ც. II გვ.479/.

სამაგიეროდ, აწყურის სასწაულმოქმედი ხატი გაუწყრა ურჯულოებს და „ქვეყანასა მას უცხოთესლთასა, ესევით-

არი რისხვა ღმრთისა მიავლინა: არც შობა დედაკაცმან, არცა პირუტყვმან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მიწამან აღმოაცენა და იქმნა დიდი გამოძიება მათ შორის უცხოსა ამისათვის საქმისა და იტყოდეს: „რაი-მე არს ესე?“ უბრძენესთა კაცთა მის ქვეყნისათა ესრეთ თქვეს: „ოდეს იგი საქართველოს ვილაშქრეთ, მაშინ ერთსა დიდსა საყდრიდამან ფიცარი ერთი, შემკობილი მრავლითა პატივითა, ვიხილეთ და წარმოვიღეთ და მგზავრობასა მას ჩვენსა უცხო სასწაული ვიხილეთ მისგან, რამეთუ მწუხრისა ჩავასვენეთ უღრმესსა ადგილსა ბარგისასა და ვითარცა გათენდის, აღმოვიდეს სიღრმისაგან და მალულად მჯდომარე იხილვებოდეს და ვითარცა მზე ბრწყინავდის და საქმე ესე უეჭველად მისგან იქმნა ქვეყანასა ჩვენსა და თუ გნებავს განრიდება ჭირისაგან მისგან, იგი მოვიძიოთ და ქვეყანასა მათსა განუტეოდ“. „მაშინ მოიძიეს წმინდა ესე ხატი და ჰპოვეს რა, ესრეთ განიზრახეს: „მოვედით და დავაკრათ კიცვსა უხედსა და უკეთუ წარვიდეს მართლად გზასა თვისსა უწყოდეთ, რამეთუ ამისგან არს ესე ყოველი და უკეთუ მიიქციოს სხვით კერძო, მაშინ შეცდომით რამე იქმნა და არა ამისგან?! და ვითარცა დააკრეს კიცვსა მას ზედა წმინდა ესე ხატი, ესრეთ მართლად წარემართა გზასა სამცხედ მომყვანებელსა, ვითარმცა საჩინო მხედარი და აღვირითა მპყრობელი და მმართებელი და ვითარცა იხილეს უცხო თესლთა საკვირველება ესე განიხარეს სიხარულითა, დიდითა ფრიად და წარმოგზავნეს პატივითა და თან წარმოჰყვა სიმრავლე ცხენებისა ფრიადი, რომელთა ზურგები ჩადრეკილები დღესაც ჰქადაგებს საშინელსა სასწაულსა. ხოლო უცხო თესლთა მათ არა რა იზრუნეს ცხენებისა მათისათვის. ვინადგან მან უზომოსი მის ჭირისაგან ხსნას მოელოდეს და განგებითა საღმრთოთა მცირედთა ჟამთა სამცხეს მოაწია ადგილსა, რომელსა აწ ელავსი ეწოდების და იქმნა დიდებული სასწაული. რამეთუ მყის განათლდა სრულიად სამცხე და განბრწყინდა წესისაებრ პირველისა და ვითარცა იხილეს ყოველთა ანასდათი იგ შეცვალება ბნელისა ნათლად და მიხედნეს ადგილსა მას და სახედ ელვისა ჰბრწყიავიდა ხატი ყოველწმიდისა, განკვირებელთა თქვეს: „რაიმე არს ესე ელვის სახედ

ბრწყინვალე!" და მიერითგან ეწოდა ადგილსა მას ელავსი. და შეკრიბეს ყოველნი და მივიდის და იხილეს ხატი ესე ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა ბრწყინვალედ მჯდომარე კიცვსა ზედა და სიმრავლე ცხენებისა გარემოსა მისსა, განჰკვირდეს უცხოსა მას ზედა საკვირველსა და ადიდეს ღმერთი და ყოველადწმიდაი ღუთისმშბელი და ცრემლითა მხურვალითა ღაღად-ჰყვეს მისსა მიმართ: „კურთხეულ არ მოსვლა შენი, დედაო სახიერისა ღუთისაო, რასათვის დაგვიტევენ ესეოდენთა ჟამთა ბნელსა შინა, რომელთა შენ მიერ ვიხილეთ საღმთო ძისა შენისა.

ეპისკოპოსსაც წმიდისა ამის დედაქალაქისა უბრძანეს, რათა ხატი ყოვლად წმიდისა აწყურისა ღუთისმშობელისა ციხესა საჭურჭლესა შინა დაასვენონ".

ღვთის განგებით უკან მობრუნებული ხატი ამის შემდეგ მესხთა განსაკუთრებულ მფარველად იქცა. ეს კარგად გამოჩნდა იმავე 1483 წლის არადეთთან ქართლის მეფე კონსტანტინესა და ყვარყვარე ათაბაგის შებრძოლების დროს. მეფის დაუკითხავად ათაბაგმა შირვანში ილაშქრა, სადაც მანამდე მისი ვაჭარი შეურაცხყვეს. სამცხელი აქებდა და ადიდებდა თავის ბატონს, რომელიც უთუოდ მაგიერს გადაგიხდის ამ შეურაცხყოფისათვისო. ყურებით არ დამაბას შენმა პატრონმა დუქნის დარაბაზეო, უთქვამს შირვანელს. გამწარებულმა ვაჭარმა შესჩივლა ათაბაგს, რომელმაც შეკრიბა 500 რჩეული მხედარი, გადავიდა დმანისის ხეობით შირვანში, ანაზდად გაჩნდა შაქში და მიაჭედა ყურებით მედუქნე თავის დუქნის დარაბაზე. უკან მობრუნებისას, ათაბაგს დაუხვდა ციცი ციციშვილი ჯარით და მეფის ერთგულებაზე დაფიცება მოსთხოვა. ათაბაგი თავს იმართლებდა, რომ გზაზე არცერთ ქართველისათვის ვნება არ მომიტანია, ხოლო ჩემი მოქმედებით ქართველის სახელი განვიდიდეო. მიუგზავნეს ათაბაგს რუისის ეპისკოპოსი, მაგრამ ვერც იმან გააწყო რა. მაშინ მოხდა სასტიკი ომი არადეთს: „მესხნი მოუბრუნდეს სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა აწყვერისა ღვთისმშობლისასა და განეწყვეს ურთიერთს...მესხთა გაემარჯვა და ესევითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომლის მსგავსი არა სად სმენილ არს". იმ ადგილს –

არადეთის მთასთან შემდეგ დაერქვა „ცეცხლის ჯვარი“. ქართლელები დამარცხდნენ და მესხებმა მათი ეპისკოპოსიც დაატყვევეს.

ბ. ეგნატაშვილი არადეთის ომისა და აწყურის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედებაზე ასეთ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს: „მაშინ შალიკაშვილი რომელი იჯდა ურასა კვიცსა ზედა იგი შალიკაშვილი და მაჩაბელი მიხუდენ ერთმანეთსა. შემოსცა შუბი შალიკაშვილმა და გაუხეთქა კუბო ფარისა და განვლო მხარსა შიგან და გარდმოაგდო ცხენიდამა; შეუძახა ესრეთ: „აწყურისა ღვთისმშობლის მადლმა, თუ ურა კვიცსა არა ვმჯდარიყავ შიგ გაგაგდებინებდიო“. მაშინ წამოიჩოქა მაჩაბელმან, გაიკრა ხრმალსა ხელი, შემოუკრა ცხენსა, ცხენს თავი გააგდებინა და ტახტზედ დაასო. და შესძახა მაჩაბელმან: „სპარსმა წმიდა გიორგისა, თუ გარდმოგდებულ არ ვყოფილიყავ შუა გაგკვეთდიო“.

1486 წელს იაყუბ ყაენი უზუნ-ჰასანის შვილი კვლავ შემოესია სამცხეს და ქართლის მეფეს კონსტანტინეს უბრძანა აეკლო ეს მხარე. და ვითარცა ესრეთ იქმნა ქრონიკოსა როდ მოვიდა ყაენი იაღუბ, ურიცხვითა ერითა და უბრძანა ერთსა თავადს და ლაშქარსა მისსა: „რათა ჩაუდგენ და მოიცვეს სრულიად და იავარ-ჰყვეს ქვეყანა სამცხესა... და მოწვიდეს აწყური და მოაოხრეს ქალაქი და ციხესა ვერ უძლეს ბრბოლითა აღებად და წარსვლა ინებეს, მაშინ ეზრახნეს ციხოვანთა და უქადაგეს მშვიდობა და არა დაქცევა საყდრისა და ციხისა. ამის ზედა გამოენდევანეს, შესცთენ მცველნი იგი ციხისანი და მაწყვერელი და მასთანა სხვანიცა ჩინებულნი განიზრახეს, აღიხუნეს კლიტენი ციხისანი და თვინიერ თხოვისა და ბრძოლისა უღთოსა მას მთავარსა მიარჱვეს და მან განიხარა ფრიად და აღუთქვა ვითარმედ: „არა რა ავნოს მათ და გამოენდევნეს ციხესა მას შინა მიეტევნეს, ვითარცა მხეცნი და იავარ-ჰყვეს ყოველი საჭურჭლე საყდრისა და ერი ურიცხვი დედებით და ყრმებითურთ, რომელნიმე მოსრნეს მახვილითა, ხოლო სხვანი ტყვედ წარიყვანნეს. ხოლო ხატი ყოვლად-წმიდისა სასოისა ჩვენისა, შემკობილი თვალთა მიერ პატიოსანთა და ცოდვათა ჩვენთაგან ტყვე-ჰყვეს და მიჰგვარეს უსჯულოსა მას მთავარსა,

ხოლო მას ფრიად განუკვირდა შემკობილება ხატისა მის და პატიოსნება თვალთა და ბილწითა ხელითა თვისითა განსძარცვა შემკობილება ხატისა და შემდგომად ამისა აღაგზა ცეცხლი ფრიად დიდძალი და მას შინა შთააგდეს, ხოლო ცეცხლი იგი დაშრიტა და ხატსა ყოვლადვე არ შეეხო, არცა თუ ნაბრძველი აჩინა, რომელი ესე მრავალთაგან და თვით თვალითაცა ჩვენითა სახილველ იქმნა. ესე რა სასწაული იხილა ერთმა ვინმე ლაშქართა მათ შინა მყოფთაგანმან ქრისტეანემან და სჯულითა არამართლმადიდებელმან აღიპარა ხატი იგი ყოვლად წმიდისა და წარახვია ფაკელსა წმიდასა ამას შინა.

ამ ქრისტიანმა ხატი თავის სამშობლოში წაასვენა და დიდი პატივით ინახავდა, ვიდრე მას არ გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა: „უკეთუ არა წარმიყვანო ქვეყანასა ჩემსა, დიდი ბოროტი მოვაწიო შენ ზედა“ და წარმოვიდა მსწრაფლ კაცი იგი და აუწყა ყოველივე პატრონსა ყვარყვარეს და მანუჩარს. ხოლო მათ განიხარეს სიხარულითა დიდითა და მსწრაფლ წარგზავნეს კაცნი სარწმუნონი და იხსნა პატრომან მანუჩარ და ვითარცა მივიდეს იცნეს იგი და დაცვივნეს პირსა ზედა თვისსა და თაყვანისცეს და აღიქვეს და წარმოასვენეს წმინდა იგი ხატი, აღიყვანეს და დაასვენეს საყდარსა თვისსა აწყურისსა.

და ვითარცა მცირედ დღენი გარდახდეს, შემდგომად ტყვეობითი მოსვლისა წმიდისა მის ხატისა, რამეთუ არ დაუცევნა უფალმან კვერთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალთასა. არამედ ვინმე იტყოდეს ძლიერებათა შენთა უფალო, ანუ ვინმე სასმენელ ჰყვნეს ქებულებანი შენნი, რამეთუ მოავლინა ყოვლადწმიდან დედოფალმან რისხვა საშინელი სახლსა ზედა აღებისასა და ნათესავსა მისსა და ყოველსა გვარსა მისსა და მცირესა ჟამსა სრულიად დაუმხვნეს და მოისპნეს და აღოხრდეს, რამეთუ იაღუბ უღმრთოსა ესე ვითარი სიკუდილი ეუფლა, რომლითაც ხელითა იკადრა წმიდისა მის ხატისა ხელის შეხება მითვე ხელითა განზავა სასმელი მაკვდინებელი, ...კეთილსაგონებელ უჩინდა შეცთომისა მსჯავრთა მათ საღთოთა და შესვა მან და მიუძღვნა მისგან დედასა თვისსა და ძმასა და მიიღეს მათცა, რამეთუ

შესვეს რომელ არა ეგებოდა ურჩება მათგან და ვითარცა სვეს ერთბაშად მოსწყდეს ერთსა შინა ჟამსა სიკუდილითა სალმობიერითა და მათთანა სხუანიცა მთავარნი და წარჩინებულნი სახლისა მათისანი მოისრნენ რომელიმე მახვილითა და სხვანი სიკვდილითა უცნაურითა და მიერითგან სრულიად დაემხვა მთავრობა მათი, უკეთუ ცოდვათა ჩვენთა სამხილებელად მიშვებათა ღუთისათა მოივლინნეს და სახლი ღუთისა და წმიდანი სამსახურებელნი დასთრგუნნეს. არამედ ყოვლადწმინდამან ღვთისმშობელმან შეურაცხება ხატისა, არა თავს იდვა და ესევითარი რისხვა მიუვლინა, ვითარმდ ნათესავი მათი, ვიდრე დღეს აქამომდეცა არღარა სადა იპოვების“.

აწყურის ღვთისმშობლის სასწაულმომქმედი ხატი გელათში 1952 წლამდე იყო. 1952 წლის 29 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა კაბინეტმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომლითაც გელათიდან გადატანილი იქნა საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში სხვა სიწმინდეებთან ერთად აწყურის ღვთისმშობლის ხატიც.


მ. ნიკოლეიშვილი ასე იგონებს ამ ფაქტს: „მე და დირექტორი მ. გოგსაძე, დაგვიბარეს ქუთაისის საოლქო კომიტეტში და გაგვაცნეს მთავრობისა და ცკ-ს გადაწყვეტილება. ჩვენ ვიკითხეთ, რა იყო ამის მიზეზი საოლქო კომიტეტის მდივანმა ასეთი პასუხი გაგვცა „გვაქვს ინფორმაცია, რომ ამერიკელები აპირებენ ატომური ბომბის ჩამოგდებას ქუთაისზე, ამიტომ საჭიროა ამ უნიკალური ძეგლების გადატანა საიმედო ადგილას. ჩვენ, რადგანაც პარტიის წევრები ვიყავით, იძულებული გავხდით დავმორჩილებოდით ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებას.

დაცვის თანხლებით იმავე წლის 12 დეკემბერს ხატები ჩამოიტანეს მანქანით გელათიდან და ქუთაისიდან წაიღეს დახურული ვაგონით.

სინამდვილეში არავითარი ბომბი არ ჩამოვარდნილა, უბრალოდ, ეს ერთი კაცის შ. ამირანაშვილის ახირება იყო და მან მიაღებინა მთავრობას ასეთი გადაწყვეტილება.

გელათის ღვთისმშობლის ხატი

ბაგრატ III-ის მიერ გატარებულ საეკლესიო გარდაქმნებს შორის საყურადღებო ფაქტია, იმერეთში სამი – გელათის, ხონისა და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს დაარსება: „მეფეთ მეფემან ბაგრატ განყო ლიხთიმერი სამ საეპისკოპოზოდ“. ეს მოხდა 1519 წელს: ქორონიკონსა ხიზ მიიცვალა ქუთათელი გერასიმე, იანვარს ი. ამასვე წელიწადს დაჯდა მათი ძმისწული სვიმონ და წარვიდა ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტსაი ამასვე ქორონიკონსა მეფეთ მეფემან ბაგრატ განყო ლიხ იმერი სამ საეპისკოპოსოდ, ბრძანებითა აფხაზეთის კათალიკოზისა აბაშიძისათა. ინება ღვთივ გვირგვინოსამან მეფემან მეფეთაგან ბაგრატ და დედოფალთ-დედოფალმან ელენე დიდისა და ცათა მობაძავისა საყდრისა ახლისა იერუსალიმისა გაენათისა ეპისკოპოზისა მედქისედეკისა საყვარელის ძესა... იმასვე აფხაზეთისა კათალიკოზისა ხელითა საყდართა შიგან ბიჭვინტისათა, ქორონიკონი იყო ხიზ წარვედით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა კ“.



გელათში საეპისკოპოსოს დაარსებასთან დაკავშირებით ბაგრატ III-ის ბრძანებით გელათშივე დამზადდა ხატი „გელათის ღვთისმშობელად“ წოდებული. მ.ბროსე ამ ხატის შე-

ქმნას თავდაპირველად მიაწერდა ბაგრატ III-ის /986-1014 წწ/, შემდგომში მან ეს მოსაზრება უარყო. ნ. კონდაკოვი ამ ხატის შექმნას უკავშირებს იმერეთის მეფე ბაგრატ II-ის სახელს.

ხატი ვერცხლითა და ოქროთია მოჭედილი. ღვთისმშობლის თავი ხატი ჩასმულია სახატეში, რომელიც ვერცხლითაა მოჭედილი /8. 85 X 125 სმ/.

ღვთისმშობელი ყრმით წარმოდგენილია რელიეფურად: ღვთისმშობელი ზის ტახტზე, გვერდით, ზემო ნაწილში – მარცხნივ და მარჯვნივ მთავარანგელოზებია წარმოდგენილი, ქვევით – ღვთისმშობლისკენ მიბრუნებული და ხელებაპყრობილი დგანან მეფე და დედოფალი. მარცხნივ ბაგრატია ასომთავრული წარწერით: „მეფთ /მ~ფე „ბაგრატ", მარჯვნივ ელენე „დე~ფთ ელენე"/.

ღვთისმშობლის გამოსახულებასთან სამსტრიქონიანი წარწერაა:

„ქ.წ შევ /ქ~მნითა ხ~ტი /ესე: გელ/თისა


ღ~ისა: მშელი: მფ~რღ ჩ~უდ

იკითხება: ქწ, შევქმენითა ხატი ესე გელათისა ღვთისაისა მშობელი მფარველი ჩუენად".

მ. ნიკოლეიშვილიც ხატის შემქმნელად ბაგრატ II-ს ასახელებს, განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ბ. ლომინაძეს: „გელათში არის გაკეთებული ოქროზე ნაჭედი ცნობილი „გელათის ღვთისმშობელი", რომელიც შეუკვეთია, როგორც ამ ხატზე მოთავსებული მხატვრობიდან და წარწერიდან ჩანს, იმერეთის მეფეს ბაგრატს /1510–1565 წწ./.

ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ლ. ლომინაძეს რაიმე დოკუმენტი არ აქვს, მაგრამ გასათვალისწინებელია გელათის სიგელ-გუჯრების მიხედვით, ის ფაქტი რომ, მხოლოდ 1464 წლის სიგელშია მოხსენიებული ეს ხატი ქართლის მეფე გიორგი VIII შეწირულობის წიგნში „ქ. შე...ყ~დ წ~ო გელათისა ღვთისმშობელო" მაგრამ ჩვენი ვარაუდით ამ შემთხვევაში შეიძლება აქ იგულისხმება ხახულის ღვთისმშობელი. მართალია, ჩვენამდე ყველა დოკუმენტს არ მოუღწევია, მაგრამ გელათის ღვთისმშობლის ხატის მოხსენიება ბაგრატ II-ის მეფობაში სხვაგან არსად გვხვდება.

ამ მხრივ საყურადღებოა თ. ჟორდანიას შენიშვნაც: „ბაგრატ III-მ „მეორედ აღაშენა“ ე.ი. განაახლა 1510 წელს თათართაგან დამწვარი ეკლესია, დაახატვინა, საკათედროდ გადააქცია, აღავსო საეკლესიო ჭურჭლებითა და გაამდიდრა ადგილ-მამულების შეწირულებითა. ამის გამო მას სრული უფლება ჰქონდა თავისი თავიც გამოეხატა გელათის კედლებზე და ხატთა /!/ წინ მვედრებლად. ესეც რომ არ იყოს, ბაგრატ მეფე თვით სწერს, რომ მას ერთი ღვთისმშობლის ხატი მოუჭედვინებია და დაუბრძანებია გელათში, რომელი იქნება ეს ხატი? რასაკვირველია, არა ხახულისა და გელათის საკურთხევლის“ /ესრედ იწოდებოდა გელათის ხატი/ რადგან ესენი იმავე სიგელში დასახელებულნი არიან ამ ბაგრატისაგან მოჭედილს ხატზე უწინ. ცხადია, რომ ამ ბაგრატი დიდს ხატზე ვედრების ღვთისმშობელზე იტყვის, რომელიც მას მოუჭედვინებია, თვისი თავიცა ზედვე დაუხატვინებია წარწერითურთ და გელათში საჩინო ალაგას დაუბრძანებია. მიუხედავად, ამ საბუთებისა გ. წერეთელი ამ ხატს მიაწერს ბაგრატ დიდს... არ ვიცი, მერე რამ შეაცვლევინა აზრი“.



როგორც შევნიშნავდით, გ. წერეთელიც თავდაპირველად ამ ხატს ბაგრატ II-ს მიაკუთვნებდა, მაგრამ შემდგომ მან ეს აზრი შეიცვალა და ხატის შემქმნელად უკვე ბაგრატ III გამოაცხადა.

ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული სხვა ქართველ მეცნიერებს, მაგრამ მხოლოდ ერ-

თს აზრზე არაა შეჯერებული. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ხატი, რომელიც დღეს ქუთაისის მუზეუმშია დაცული, უნდა ეკუთვნოდეს სწორედ ბაგრატ III-ს, ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ჩვენ გვაფიქრებინებს ღვთისმშობლის ხატის ზურგში მოთავსებული სანაწილე ე.ი. ღვთისმშობლიხ ეს ხატი, ამავე დროს არის ხატი-სანაწილეც, ხოლო ამ სიწმინდეთა ხატში მოთავსება დაკავშირებული უნდა იყოს ქართველთა იმ ლაშქრობასთან იერუსალიმში, 1527 წელს, თურქებთან ერთად, რომელშიც მეფე ბაგრატ III აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული.

ქართველ ისტორიკოსთა შორის ამ ლაშქრობის ნამდვილობის შესახებ ერთსულოვნება არ არის.

ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ამტკიცებენ, რომ ოსმალეთის სულთანის მოწვევით საქართველოს მეფე-მთავრები იერუსალიმში სალაშქროდ წასულან წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად. სამცხის ათაბაგი ყვარყვარე თავისი ლაშქრით დამხმარედ გაჰყოლია არა ბაგრატს, არამედ ქართლის მეფეს გიორგის. ამის გამო იყო, რომ იმერეთის მეფემ „მოიხსენა შური... ყვარყვარე ათაბაგისა, რამეთუ მიჰყვა გიორგი მეფესა იერუსალიმს და არა ამას".

ამ ლაშქრობის შედეგი ის იყო, რომ „გეორგიანთა სრულად გოლგოთის მთა განისაკუთრეს სალოცუელად – იქმნა ესე მაშინ, ოდესცა ჯერეთ იერუსალიმი იყო სამფლობელოდ ეგვიპტის სულთნისა".

„ამ ცნობის გარდა, ქართველ მეფეთგან იერუსალიმის აღებას მოგვითხრობს ცნობილი რუსი მოგზაური და არქეოლოგი ა. მურავიოვი, რომელსაც ცნობები შემოუკრებია იერუსალიმის მონასტერში ნაპოვნ წერილთაგან. გრაფინია უვაროვაც ადასტურებს ამ ცნობებს და ამოწმებს, რომ „ბაგრატ III იმერთა მეფე, მოწვეულ იყო ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად მტერთაგან".

ბაგრატ მეფის იერუსალიმში ლაშქრობაში მონაწილეობაზე, როგორც თ. ჟორდანია მიუთითებს, მოწმობს მე-16 საუკუნის ერთი მინაწერი: „ღვთის გვირგვინოსაგან მეფემან ბაგრატ... მრავალნი ძალნითა სასწაულნი იხი/ლნა/... მნ/?/ ძილსა შინა და ცადად ...ხმელთა და წყალთა ძლე/ვით/ ...

შეწევნა და წარმატება იგულისმოდგინა თვით მპყრობელმან /მეფემა/ნ და უძლეველმან ხელმწიფე/მან/.

იერუსალიმზე გამარჯვების შედეგი იყო, რომ ქართველებს იარაღით და გაშლილი დროშებით შესვლის უფლება ჰქონდათ ქალაქში. ამასთანავე, იმ ნაალაფევს შორის, უდავოა, წმინდა ნაწილებსაც წამოიღებდნენ. ამდენად გელათის ღვთისმშობლის ხატში მოთავსებული წმინდა ნაწილებიც იქნებოდა ბაგრატ III-ის მიერ შეწირული მონასტრისადმი.

მ. ბროსე „ქართლის ცხოვრებაში" დაცულ ამ ცნობას ანაქრონიზმად მიიჩნევს.

ეს ხატი მე-17 საუკუნეში ინახულეს რუსმა ელჩებმა იევლევმა და ტოლოჩანოვმა, მათი აღწერილობით „ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატი მარადიული ყრმით /„ჩვილედი"/ ტრაპეზზეა დასვენებული, ოქროთია მოჭედილი და ძვირფასი ქვებით – იაგუნდით, ზურმუხტით და ლალით არის შემკული. ხატს შიგნით ორმოცდაჩვიდმეტი /კიდობანი/ „სიონი" აქვს ჩატანებული. სიონში სხვადასხვა წმინდანის ნაწილებია, წარწერები არა აქვს, მხოლოდ ერთი დაგვისახელა ანტიპ „პერგამოელის" კბილიაო. ხატი „კუბოშია". „კუბო"... კარებიანი. იგი ოქროცურვებული ვერცხლით არის მოჭედილი. ზედ ამოტვიფრულია უფლის თორმეტი დღესასწაული.

უფრო ზუსტია ხატში მოთავსებულ სიწმინდეთა ჩამოთვლაში ა. იევლევი „ღვთისმშობლის იმავე ხატს, უკან, ფიცარზე ორმოცდაჩვიდმეტი პატარა კიდობნები აქვს მიმაგრებული და ამ კიდობნებში მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მაღალღირსთა წმიდათაწმიდა ნაწილებია მოთავსებული და თითოეული მათგანი საკმეველშია ჩამჯდარი".

ზემოთ მოტანილი ორთავე ცნობიდან დასახელებულია მხოლოდ ანტიპ პერგამოელის კბილი, დანარჩენი, უცნობია თუ ვისი საკუთრებაა. სანაწილეზე ჩვენმა დაკვირვებამ დაგვანახა, რომ მასში მოთავსებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე ძელი ჭეშმარიტის ნაწილი და ჯვარცმის დროინდელი ღრუბლის ნაწილი, რომელიც ქაღალდშია შეხვეული. სიწმინდეთა უმეტესობა უჯრების ზედაპირზე კარგად მოჩანს, როგორც ჩანს, გარკვეული მოსაზრებით /დაკარგვის გამო/

წმინდა ნაწილებზე ვინაობის აღმნიშვნელი წარწერა არ არის. ალბათ, მომავალში შესაძლებელი იქნება მათი იდენტიფიკაცია.

თ. საყვარელიძე გელათის ღვთისმშობლის ხატის შესწავლისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „წარწერაში არაა გამეორებული შემწირველთა სახელები /ე.ი; ბაგრატ და ელენე/. „ქ. შევქმენითა ხატი ესე გელათისა ღმრთისა მშობელი მფარველად ჩუენად", როგორც ვხედავთ, დასძენს, მკვლევარი– ორი სიტყვა აქ ზედმეტი „ანით" არის დაწერილი. ხოლო ამეტობა, ჩვენ უკვე ვიცით, გავრცელებულია XVI საუკუნის სიგელ-გუჯრებშიც. გვხვდება იგი, კერძოდ, ოქრომჭედლობის ძეგლებზეც.

იქვე: XVI საუკუნის არცერთ სხვა ძეგლზე ჩვენ არ შეგვხედრია ღმრთისმშობლის ასეთი თვისებური, ნამდვილად გამორჩეული სახე. თ.საყვარელიძე აქ, კიდევ ერთ თავისებურებებზე მიგვანიშნებს: „ყურადღებას იქცევს ღმრთისმშობლის ტახტი, მისი ფორმა /დაბალი ზურგით/ და მისი დეკორი, განსაკუთრებით მდიდრულად მოჩუქურთმებული ფეხები... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ღმრთისმშობლის ეს ტახტი რეალურად არსებული ფორმის, სამეფო საყდრის, მიბაძვით იყოს გაჭედილი".

ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდში გელათი, ერთ-ერთი საუკეთესო საეკლესიო-საოქრომჭედლო შემოქმედებითი ცენტრი იყო საქართველოში. გელათის საოქრომჭედლო სკოლის ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია რაოდენობრივი და მაღალი მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში გელათური ოქრომქანდაკებლობის გაფურჩქვნა და განვითარება მამნე ოქრომჭედლის სახელთან არის დაკავშირებული.

ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი

ბაგრატ III მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა საეკლესიო რეფორმების თანმიმდევრულად გატარების საქმეში. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ბიჭვინთის საკათალიკოზო ტახტის გადმოტანა გელათში.

IX საუკუნიდან მოყოლებული XIX ს. 20-იან წლებამდე აფხაზეთის საკათალიკოსოს კათედრალს ბიჭვინთის ღვთისმშობლის ტაძარი წარმოადგენდა. ამდენად, აფხაზეთის საკათალიკოსო-ბიჭვინთის ღვთისმშობლად, ხოლო თვით აფხაზეთის კათალიკოსი „ბიჭვინთის ღვთისმშობლის საჭეთმპყრობელ კათალიკოზად ითვლებოდა. მისი მთავარი ხატი იყო ბიჭვინთის ღვთისმშობელი.



აფხაზეთის კათალიკოსები იმერეთის მეფე ბაგრატ III მიერ განახლებულ გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში დამკვიდრდნენ.

სხვა მრავალ საეკლესიო სიწმინდეთა შორის, გელათში იქნა გადმოსვენებული აფხაზეთის საკათალიკოსოს მთავარი მფარველის – ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც შემდგომ, 1568 წელს აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის დაკვეთით იქნა მოჭედილი: „ყოვლისა ჩრდილოეთისა

და აფხაზეთის კათალიკოსმან ევდემონ ჩხეტიძემ მოვაჭედვინე და შევამკევ ხატი ესე... ღ~თისმშობლისა... თავი ხატი ოქროთა და თვალთა მიერ და მარგარიტითა ბრწყინვალედ განშვენებულნი და კარნი ვერცხლითა და დავასვენე ტაძარსა წ-ისა ღ~თის მშობლისასა ბიჭვინთისასა".

საეკლესიო საბუთების მიხედვით ბიჭვინთის ღვთისმშობელში იგულისხმებოდა უპირველეს ყოვლისა – ღვთისმშობლის თავი ხატი, შემდგომ აფხაზეთის საკათალიკოზო საყდარი /ჯერ ბიჭვინთაში და შემდგომ გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში/ და ბოლოს – დასავლეთ საქართველოს ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო მთლიანად.

თავდაპირველად, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი მე-15 საუკუნის ერთ საბუთში იხსენიება დასვენებულად, ხოლო აფხაზეთის კათალიკოსი მჯდომარედ ანდრია პირველწოდებულის საყდარში „ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ მარჯვენაი იერუსალიმისა აფხაზეთის კათალიკოსი... დავაყენეთ და დავსვით აფხაზეთს საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა, ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერსა ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა".

ამგვარადვე გრძელდება მომდევნო საუკუნეებშიც: „რომელ არს საყდარი პირველწოდებულისა ანდრია მოციქულისა და მასზედ განსვენებულისა ღვთისმშობლისად ბიჭვინტისადა".

ნიშანდობლივია, რომ ამ მოხსენიებებში ხაზგასმულია ქართული ეკლესიის უპირატესობა მსოფლიოს სხვა საპატრიარქო ცენტრებთან. მართლაც, ქართული ეკლესია ხომ მოციქულთა შორის უპირველესის ანდრიას მიერ იყო დაარსებული. სწორედ ამ საყურადღებო ფაქტზე დაყრდნობით განუცხადა გიორგი მთაწმინდელმა /XI ს./ „თავსა მის მოციქულთაისა პეტრეს საყდარსა" ზედა მჯდომარე ანტიოქიის პატრიარქს ევდოსის – „შუენის ესრეთ, რაითა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რაითა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას და რაითა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ".

XVI საუკუნეში, იმერეთისა და საქართველოს სხვა მეფე-მთავრები, მიუხედავად თურქეთის მხრიდან აგრესიისა, ბიზ-

ანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ თავიანთ ვალად რაცხდნენ ეკისრათ მებარახტრეობა ქრისტიანობისა. ქართული სამეფო და საეკლესიო დიპლომატიის წარმატებულ ნაბიჯად უნდა ჩავთვალოთ ამ მხრივ გალაშქრება იერუსალიმზე და იქ მოპოვებული გამარჯვება. ეს ამაღელვებელი სულისკვეთება მთლიანად გასდევს ქართველ საეკლესიო და საერთო მოღვაწეთა მიზნებსა და ქმედებებს XVI საუკუნეში. ამ ძალმოსილების უტყუარი გაშოვლენაა, ისიც რომ აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია I აბაშიძე თავის თავს მსოფლიო პატრიარქს უწოდებდა როცა იმ დროს კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის საპატრიარქოები დამცრობილი და დასუსტებული იყო. ამ ლაშქრობით ქართულმა ეკლესიამ საგრძნობლად მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა წმინდა მიწაზე: „ოდეს გეორგიანთ. სრულიად გოლგოთის მთა განისაკუთრეს სალოცუელად, ამისთვის ადგილი არღა იყო ტაძარსა შინა და ეგრეთვე არმანთა /ე.ი. სომეხთა/ მექონთა საკურთხეულისათა, არა აქუნდათ ადგილი. ამისთვის ურთიერთის თანმხობითა არმანთა და გეორგიანთათა და ეგრეთუც გეორგიანთა და კათოლიკეთათა ესრეთ განიჩინა, რითამცა ნახევარი იგი გოლგოთის მთისა, რომელსაც ზედა ჯუარს აცუეს ქრისტე, მიეცეს კათოლიკეთა და კათოლიკეთა მისცენ მათ მესამე ნაწილი ზემო ასასულელი სალოცუელთა ზედა აბისინთა და სორუელთასა. ესე ვითარითა ხატითა გეორგიანთა და არმეანთა ამას ადგილსა შინა აქუთ საკურთხეველნი თვისნი, რ-ლ შელ /შესასვლელები/ ორთავე ცალკე აქვთ კიბე ხისა, სადათგანაც ტაძრით აღვალნენ მუნ“.

ბიჭვინტის ღვთისმშობელი არის ხატი – სანაწილე /ზ. 39, 5 X 32, 3 სთ/ ოდიგიტრიის ტიპის ღვთისმშობლის გამოსახულებით. ხატის ზედაპირი ოქროსია, რომელზედაც ცენტრში გამოსახულია – ფეხზე მდგარი ღვთისმშობელი მარცხენა ხელში ყრმა მაცხოვრით. მაცხოვარს მარცხენა ხელში გრაგნილი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი – კურთხევას იძლევა. ღვთისმშობლის თავთან ჩარჩოზე მოთავსებულია ასომთავრული წარწერა – ყ/ოვლა/დ წ/მიდა/ი ი/ეს/უ ქ/რისტ/ე. ღვთისმშობლის ირგვლივ მთლიანი ტანით გამოსახულია

ოთხი ფიგურა, რომელთა ვინაობას გვამცნობს ხატის ჩარჩოზე განთავსებული ასომთავრული წარწერები, საიდანაც ირკვევა, რომ ხატის ზედა ნაწილზე ღვთისმშობლის გასწვრივ, ხელში კვერთხითა და სკიპტრით გამოსახულნი არიან მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი, ხოლო ქვედაზე – წმ. იოანე ნათლისმცემელი და წმ. იოანე ოქროპირი. ხატის ჩარჩო მორთულია სტილიზებული მცენარეული მოტივით, ხოლო მთლიანად ხატის ზედაპირი შემკულია მარგალიტებით, პატიოსანი და ნახევრად პატიოსანი სულ 274 თვლით. ხატის გვერდები და ზურგი ვერცხლისაა. ხატის უკანა მხარეს გამოსახულია კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი, რომლის ფონზეც განთავსებულია 14 სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „ქ. პ/ირვე/ლვე მოგასწავეს, ყ/ოვლა/დ უხრწნ/ე/ლო მწყობრმ/ა/ნ წ/მიდამა/ნ წ/ინას/წ/არმეტ/ყ/ვე/ლთამ/ან/ნ. დ/ავი/თ მიწოდა კიდობნად სიწ/მიდ/ისა სოლომ/ო/ნ ცხედრად და ესაია ღრუბლად და კ/ვალ/დ მშ/ო/ბლად ეიმანოელისა. ხოლო აწ მეცა მრწმ/უ/ნებელმ/ა/ნ ამათმ/ან ხ/ე/ლვყ/ა/ შემკობად ხატ/ი/ საშ/ე/ნ/ი/სა წ/მიდის/ა. ჩრდილოსა და ყოვლისა აფხაზეთისა კათალიკოზმან ევდემონ რათა ღირს მყო მარჯვენით ძისა შენისა მდგომარეთა. ქ. წყ/ა/ლ/ო/ბითა ზეშთა ვემესხრისა ღ/ვთ/ისათა მე ყ-ოვლ/ისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზმ/ა/ნ ევდემონ ჩხეტისძემ/ა/ნ მოვაჭედინე და შევამკე ხ/ა/ტი ესე ყ/ოვლა/დ წ/მიდ/ისა დედოფლისა ჩ/ვე/ნ/ისა ღ/ვ/თისმშობლისა და მარადის ქ/ალ/წ/უ/ლისა მარიამისი ძითურთ. თავი ხატი ოქროთა და თ/ვ/ალთა მ/იე/რ და კარნი ვე/რ/ცხლითა, დავასვენე ტ/ა/ძარსა წ/მიდ/ისა ღთ/ი/სმშობლისასა ბიჭოინტას, სალოცველად და საუკუნოდ მოსახსენებლად და შესანდობელად და სალხინებლად ც/ო/დვილისა ს/უ/ლისა ჩე/მ/ისა და ც/ო/დვათა ჩ/ე/მთა მოსატ/ე/ვებ/ე/ლად ა/მი/ნ. ხოლო მოიჭედა და სრ/უ/ლ იქმნა ხ/ა/ტი ესე ქ/რონი/კ/ონ/სა სნვ დასაბამითგან წელთა – ოვ ქ/რისტე/ს მოსვლით/ა/ნ წ/ე/ლთა ჩვ ინდიკტიონსა ია ხ/ოლო/ ჩ/უე/ნ ზ/ედ/ა მყოფებისა ქ/რისტე/ს ღ/ვთ/ისა ჩ/ვე/ნისასა“.

ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატის წარწერა დათარიღებულია ქორონიკონით, ქრისტეს მოსვლითგან, ინდიქტიო-

ნით და დასაბამითგან, რაც სრულ საფუძველს გვაძლევს ხატი 1568 წელს დამზადებულად მივიჩნიოთ. მაგრამ ამ დათარიღებისას ერთი კითხვა იჩენს თავს. მაინც როდინდელია ეს ხატი? როგორც წარწერიდან ვგებულობთ ევდემონ ჩხეტიძეს შეუმკია და მოეჭედვინებია იგი. მკვლევარებიც მას მიაკუთვნებენ მის შექმნას. მაგრამ როდინდელია მაინც „თავი ხატი"? თუ ევდემონ ჩხეტიძემდელი დოკუმენტებში გარკვევით არის მითითებული ნახსენები: „ბატონი ბიჭვინტისა ღვთისმშობელი". უეჭველია აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებიდანვე და უფრო ადრეც, ბიჭვინტის ტაძარში იყო დასვენებული ღვთისმშობლის ხატი, რომელიც მე-16 საუკუნეში თურქების შემოსევების შედეგად ან დაიკარგა ან გაიძარცვა. მართალია, ამ მიზეზებს კათალიკოზი არ ასახელებს, მაგრამ თავის დროზე აღნიშნული ხატი, რომ დიდი სიწმიდეთაგანი იყო, ამას ხატის ზურგზე მოთავსებული სანაწილეც ცხადჰყოფს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ევდემონ კათალიკოზმა შეამკო და მოჭედა ის. ხატის ზურგი ანუ სანაწილე უჯრები, რომლებიც 36 ნაწილად არის დაყოფილი და მათ შუა ჯვრის ცარიელი ბუდეა დარჩენილი-ვერცხლისა. სანაწილეში ჩასვენებულია წმინდა ნაწილები-ცვილში ამოვლებული წმინდანის ძვლები. სამწუხაროდ, ვერ დგინდება მათი ვინაობა" – წერს თ. ქორიძე.

სწორედ ამ სანაწილის წმინდა ნაწილების დადგენით შესაძლებლად მიგვაჩნია „თავი ხატის" ქრონოლოგიური წარმომავლობის დადგენა.

ბიჭვინტის საკათედრო ტაძრის აშენება განეკუთვნებაV-VI საუკუნეებს. ქრისტიანობის გავრცელება დას. საქართველოში და ინტერესი ამ კუთხისადმი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც აღმოჩენილი იქნა იოანე ნათლისმცემლის თავი.

ცნობილია აგრეთვე, რომ წმ. იოანე ოქროპირიც აფხაზეთში იყო გადასახლებაში გამწესებული, ასევე მაქსიმე აღმსარებელიც. ამდენად იოანე ნათლისცემლისა და იოანე ოქროპირის ხატის პირზე გამოსახვა შემთხვევითი არ უნდა იყოს. მაშინ როცა არა გვაქვს ზედა ანდრია პირველწოდებულის გამოსახულება.

აგრეთვე, სანაწილის უჯრების გათვალისწინებით, მასში მოთავსებული იყო მნიშვნელოვანი და ღირებული რელიქვიები, უპირველელად კი მარიამ ღმრთისმშობლისა, იოანე ნათლისცემლისა და იოანე ოქროპირის. ხოლო „თავი ხატი" უნდა იყოს ანდრია პირველწოდებულის მიერ აწყურში დატოვებული ხატის პირი, რომელშიც შემდგომ ჩაუსვენებიათ სხვადასხვა სიწმინდენი.

კიდევ ერთი საბუთი, რომლითაც შესაძლებელია ევდემონ ჩხეტიძის ღვაწლის განსაზღვრა ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატისადმი. კერძოდ, ევდემონ ჩხეტიძის საფლავის ქვის წარწერა წმ. გიორგის ეკლესიაში. „ქ. განუსუენე სულსა მონისა შენისასა აფხაზეთის კათალიკოზს ევდემონ ჩხეტიძეს და მე დამარხულმან საფლავთა შინა მეფეთასა დავახატვინე საყდარი ესე და შევამკე ხატი ბიჭვინტისა ღვთისმშობელი სახსენებლად სულისა ჩემისა, ამინ".

როგორც ტექსტიდან ირკვევა კათალიკოზს მოუხატვინებია წმ. გიორგის საყდარი და რაც მნიშვნელოვანია ამჯერად ჩვენთვის, შეუმკია ბიჭვინტის ღვთისმშობელი.

ხატის შემკობა არ ნიშნავს ახლად შექმნას ანუ კათალიკოზმა შეამკო ანუ მოჭედა ძველი ხატი, დაზიანებული და ამის შემდეგ, იგი როგორც მყარი სიწმინდე დაასვენა გელათს თუ ეს გარემოება არ იქნა გათვალისწინებული, მაშინ გამოდის რომ ბიჭვინტის საყდრის „თავი ხატი„ ევდემონ კათალიკოსამდე არ არსებობდა და იგი სპეციალურად გელათში საკათოლიკოსო საყდრის გადმოტანის შემდგომ გაიჭედა. ამდენად, ბიჭვინტის ღვთისმშობელი არის უძველესი ხატი მათში განთავსებული სიწმინდეებითურთ და მისი ხელმეორედ შემკობა უკავშირდება ევდემონ კათალიკოზის სახელს.

ვფიქრობთ, ღვთისმშობლის ხატი ვიდრე მას ევდემონ ჩხეტიძე შეამკობდა, წარმოადგენდა ფიცარზე /ანდრია პირველწოდებულის მიერ დატოვებული/ ფერწერულ ხატს, რომლის ზურგზეც ჩასმული ან მიმაგრებული იყო წმინდა ნაწილები.

საყურადღებოა წარწერაში ნახსენები საგულისხმო გამოთქმაც „რწმუნებულმან მათმან ხელვყევ შემკობად ხატისა

შენისა წმიდისა“. აქ მკაფიოდ, ჩანს, რომ „თავი ხატი“ უკვე არსებობდა „ხატისა შენისა“, ხოლო „რწმუნებულმან“ კათალიკოზმან „ხელვყავ შემკობად“.

ზემოთ მოტანილი წარწერებიდან ჩანს, რომ ხატი დამზადებულია ოდიშის მთავრების შეწევნითა და დახმარებით, რადგან, ამ დროისათვის ბიჭვინტის ტაძარი ოდიშის მთავართა სამფლობელოში შედიოდა. მიუხედავად ამისა, ბაგრატ III-ის საეკლესიო პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რომ გელათი გამხდარიყო დასავლეთ საქართველოს მთავარი საეკლესიო ცენტრი. ბიჭვინტიდან საკათალიკოსო კათედრის გელათში გადმოტანის თარიღად მკვლევარები სიზუსტეს ვერ იჩენენ და ვარაუდობენ 1545–1569 წლებში.

ხატზე მოთავსებული წარწერიდან ირკვევა, რომ ოდიშის მთავრებს მამა და ლევან დადიანებს, რომელთა სამფლობელოში შედიოდა მაშინ აფხაზეთის სამთავრო, ევდემონ კათალიკოზისათვის მატერიალური დახმარება გაუწევიათ. ევდემონ კათალიკოზმა ხატი დაასვენა, მაგრამ როგორც ჩანს, გელათში დამკვიდრებისას, მას იგი არ გადმოუტანია. რუსი ელჩების 1650–52 წლების ელჩობის აღწერილობებში აღწერილია გელათის წმ. გიორგის ეკლესია და მთავარი სიწმინდე, იევლევის აღწერილობით: „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატია ძითურთ ექვსფურცლოვანი ღვთისმშობელი დგას, სახე და სამოსელი ამოტვიფრულია ოქროზე და ძვირფასი ქვებითა და მარგალიტით არის შემკული. სახატე და საკეტები ამოტვიფრულია და ვერცხლით არის მოჭედილი. დღესასწაულები და წმინდანთა სახეები და სამოსელი ამოტვიფრულია“. როგორც ვხედავთ, ეს აღწერილობა სრულებით არ მიესადაგება ბიჭვინტის ხატის ზემოთ მოტანილ აღწერილობას. რუს ელჩებს მეგზურობას უწევს ზაქარია ქვარიანი, მაშინდელი გელათის მიტროპოლიტი, მან დაათვალიერებინა წმ. გიორგის საყდარი, აჩვენა ევდემონ კათალიკოზის საფლავი, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ ახსენებს ბიჭვინტის ხატს, კათალიკოზის ტრაგიკულ აღსასრულს. გამომდინარე აქედან, ამ დროისათვის, 1650 – 52 წ. ხატი კვლავ ბიჭვინტაშია დასვენებული და მისი გელათში გადმოტანა უნდა მომხდარიყო სწორედ ზაქარია ქვარიანის დროს. ამას

მოწმობს ის ტრადიცია, რომელიც შეწირულობებით არის განმტკიცებული სხვადასხვა მთავრის მიერ. სხვათა შორის იმერეთის მეფე გიორგი II-ის 1586 წლის შეწირულობის წიგნში წმ. გიორგის ეკლესისადმი ნათქვამია „... შემოგწირეთ... შესაწირავი ტაძარსა მას მეუფისასა გელათს სადედოფლოსასა და ხატსა მას წმიდასა გიორგის... სადაც მოხსენიებული არ არის ბიჭვინტის ღვთისმშობელი.

1610 წელს მამია გურიელი მდიდარ შესწირავს უძღვნის „შენ საშინელსა და ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღვთისმშობელისა სახსრადი", სადაც მინიშნებულია ტაძრის ადგილსამყოფელი ეპითეტით „ცათა მობაძავსა" ისევე როგორც გელათი იხსენიებოდა.

ამგვარივე შინაარსისაა 1628 წელს ლევან დადიანის მიერ გაცემული სიგელი: „ყოველთა ქრისტიანეთა სასოვო და შესავედრებლო კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო". შემოგწირეთ შენ საშინელო დედაო ქალწულო მსწრაფლ შემწეო და მეოხო ბიჭვინტისა ღთისმშობელო. როგორც სიგელიდან ჩანს, დადიანმა, კათალიკოზს აჩუქა „ძველი სასახლე" და კვლავ იხსენიება, როგორც „კათალიკოზის სასახლედ".

მდიდრულ შეწირულობას მიართმევს კათალიკოზი მალაქია გურულის ძე 1639 წ. ბიჭვინტის ღვთისმშობელს: „ქ.შემიწირავს ჩუენ აფხაზეთის ჯხსა გურულის ძესა ბატონსა მალაქიას ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვის თვის ერთი მურასა ყელსაკიდი ხატი, ერთი მურასა ბარტყულა, ერთი მურასა სარმეზა, ერთი მურასა ტახტი, ერთი დიდი ნალბაქი ოქროსა ოთხასის ფლურისა, ერთი მძიმედ მოჭედილი კონდაკი, ერთი მძიმედ ჩარყაფად შეკერული სტიხარი, ერთი კარგი ვერცხლის ჯვარსანთელი, ერთი მომარგალიტული მაზარა ოთხის მურასას ღილითა, ერთი ოთხთავი, ერთი ძილისპირი, ერთი აბრეშუმის ომფორის ხალიჩა, შეკერილი საბეჭური მისის მურასას ჯვრითა, ერთი სტიხარი ნახტისა სამკლავები მძიმედ მოთვალმარგალიტული თორმეტის მუშაბახის ღილებითა, ერთი მძიმედ შეკერილი ოლარი, სამი მურასას ღილებითა, ერთი მურასათ ნაქნარი ამბრის ქამარა თურთმეტის ბალთებითა, ერთი მძიმედ შეკერილი ჩარყა-

ფათ ნაქნარი. ენქერი მძიმედ მოთვალმარგალიტული რვა ოქროს გორგოლითა, შვიდის მომარგალიტულს..., რვის თარნიშანის ღილითა, ერთი ნაახლისბისონ მოთოვალმარგალიტული, რვა მურასას ღილებითა, სამის ბროლის ღილითა, ერთი ოქროს ომფორი მძიმედ სირმით შეკერული მძიმედ მოთვალმარგალიტული სამი ოქროს ღილითა მურასათ ნაქნარიმ უშაბახისა მისის ნაქსოის ბაღჩითა მისის დახატულის სკივრითა გარჯიბლიგრის ბუდითა და კლიტითა. არის მეორე ჯვარიანის ომფორის იარაღი, ერთი მომარგალიტული ატლასის საბეჭური მისის რუსულის ჯვარითა, ერთი ნახლის სტიხარი, აშია ჩარყაფისა აქვს, ერთი სტავრის ოლარი, ერთი ოქროს დიდის ბალთითა მურასათ ნაქნარით ხუთმეტის ოქროს ღილითა, ერთი შავის ხავერდზედან ნაქნარი მძიმედ მომარგალიტული ქამარი, აბზინდი და წვერი მურასა ასის, ერთი მძიმედ სირმით შეკერილი მოთვალმარგალიტული სამკლავე ექვსის ვერცხლის ღილებითა, ერთი მძიმედ მოთვალმარგალიტული ენქერი ექვსის ვეცხლის ღილებითა, ერთი მძიმედ მოთვალმომარგალიტული ენქერი ოთხის ვერცხლის გრგოლითა, ერთი ბისონი სტავრისა მომარგალიტული თვრამეტის ოქროს მუშაბახის აბრიანის ღილებითა, ერთი მძიმედ მოთვალმომარგალიტული ომფორი, ორმოცდაექვსი ყირმიზი იაგუნდი და ინაური ფეროზა არის ზედა და სხვა მრავალი თვალითა და მა/რგალიტითა/, ოთხი მურასას ჯვარი აკერია ზედან, ორი ოქროს ღილი მურასა მუშაბახისა და ერთი საია მისის ნაქსოისა სახვევითა, მისის დახატულის სკივრითა და კლიტითა და გარე ჯიბლიგრის ბუდითა".

ამავე პერიოდისაა მალაქია კათალიკოზის სხვა შეწირულებაც: „ნებითა, შეწევნითა და წყალობითა ღვთისათა ჩვენ გურიელ კათალიკოზმან ...მალაქიაი შევსწირეთ ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა მცირე ესე შესაწირავი თვის ერთი წმიდის ანდრია მოციქულის ხატი მომიჭედინებია და თორმეტ საუფლოს კუბოში ჩამისვენებია და ბიჭვინტას დამისვენებია. ერთი ოქროითა თვალითა და მარგალიტითა შემკობილი პატიოსანის ძელითა და ნაწილებითა და ოქროს ჯაჭვითა ყელსაკიდი ხატი".

აქვე უნდა ვთქვათ, რომ გიორგი II ბაგრატის ძის შეწირულების სიგელში ნახსენებია წმ. გიორგის ხატი და არა ბიჭვინტის ღმრთისმშობელი. ს. კაკაბაძის ვარაუდი მინაწერების თაობაზე, თითქოს ეფთვიმე საყვარელიძის მინაწერი „დაწერილი უნდა იყოს მეორედ ქუემოდ მოყვანილ მინაწერზე უფრო ადრე. დაახლოებით, მაშასადამე 1600 – 1616 წლებზე არა უგვიანეს და შესაძლებელია მე-16 საუკუნის დასასრულსაც არ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, თუ რამდენად ავანტურია ეფვთიმე კათალიკოზის მიერ შესრულებული მინაწერი“. ყოველ შემთხვევაში, ეფთვიმე საყვარელიძის კათალიკოსობის პერიოდში 1578 – 1616 წწ. უფრო ზუსტად მეორე ნახევარში ბიჭვინტის ღვთისმშობელი უკვე გელათს ასვენია. სწორედ ამ ხანებში „ნებითა ღვთისათაი შევსწირე მე აფხაზეთის კათალიკოზმან ეფთვიმე საყურელიძემან ბიჭვინტისაი ღვთისმშობელსაი გვირგვინი ოქროსაი მოთვალმარგალიტული... ოქროს ხატი მძიმედ მოთვალმარგალიტული, სამსჭუელი და ძელი არის წმიდაი და პატიოსანი ნაწილები“.

ბიჭვინთის ღვთისმშობლის /უმცროსი/ ხატი

არსებობს ბიჭვინტის ხატის ასლი დამზადებული XVII საუკუნეში სამეგრელოს მთავრისა ლევან III დადიანის მიერ. ხატის უკანა მხარეს ასომთავრული წარწერა გვამცნობს: „ეჰა, ყ/ოვლა/დ წ/მიდა/ო დედოფ/ა/ლო, უბიწოე/ბ/ით მშობელო ღ/ვთ/ისა სიტყვისაო, ცათა უვრცელესო ბიჭუნტისა ღ/ვთ/ისმშობელო შე/ი წყალე/თ და მეოხ მწე და მფ/ა/რველ ყვენით წ/ინაშ/ე ძისა შე/ე/ნისა დადიანსა ლეონს და თანა მეცხედრესა მათსა დედოფ/ა/ლსა თამარს, ორთავე შინა ცხოვრებასა, რ/ომელმა/ნ ინება შექმნა და შემკობა ხატისა ამის თქ/ენ/ნისა, ამინ“.



ხატი დამზადებული უნდა იყოს 1661-1663 წლებში.

ხატზე გამოსახულია ოდიგიტრიის სტილის ღვთისმშობელი. იგი ვერცხლით ნაჭედია და მოოქროვილი /ზ. 29, 4 X 14, 5 სმ./ ხატის წინა მხარეს შუაგულში გამოსახულია ფეხზე მდგომი ღვთისმშობელი მარცხენა ხელში ყრმა იესოთი. მაცხოვარს მარცხენა ხელში გრაგნილი უჭირავს, ხოლო მარჯვენით კურთხევას იძლევა. ღვთისმშობლის თავზე გამოსახულ მაცხოვარს აქვს წარწერა – „ი/ეს/უ ქ/რისტ/ე“. ღვთი-

სმშობლის გარშემო ზედა ნაწილზე გამოსახულია მთავარანგელოზები მიქელ და გაბრიელი, წელს ზევით, სკიპტრისა და კვერთხის გარეშე. ღვთისმშობლის მარჯვნივ და მარცხნივ კი წმ. იოანე ნათლისმცემელი და წმ. იოანე ოქროპირია ამოტვიფრული შესაბამისი წარწერებით.

დედნისაგან განსხვავებით ეს ხატი ტრაპტიხი ყოფილა, რაზეც ჩარჩოზე დარჩენილი გადაბმის ადგილები მოწმობს, ხატი შემკულია პატიოსანი და ნახევრადპატიოსანი 81 თვლით.

სამწუხაროდ, საისტორიო საბუთებიდან არ ჩანს, თავდაპირველად თუ სად იყო დასვენებული იგი. შესაძლებელია ხატი ოდიშის სამთავროში იყო, კერძოდ ხობის მონასტერში, რადგან ეს ტაძარი ბიჭვინტის ტაძრის მეტოქი იყო. ამასთანავე, დას. საქართველოში ამ პერიოდში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო, აფხაზეთის კათალიკოსები შედარებით მუდმივად სამეგრელოში იმყოფებოდნენ, ხოლო ბიჭვინტის ღვთისმშობელის ხატი /ამ შემთხვევაში ასლი – გ. ტ./ და აფხაზეთის კათალიკოსი განუყოფელნი იყვნენ. ოდიშში ყოფნისას კათალიკოსს, რა თქმა უნდა, თავისი ძალაუფლების სრულყოფისათვის ეს ხატი ესაჭირეობოდა. მე–17 საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის კათალიკოსები უკვე ქუთაისსა და გელათში იმყოფებიან. სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო ხსენებული ხატის გადმოტანა გელათში. საერთოდ ქართული ოქრომჭედლობის ისტორიიდან ცნობილია „თავი ხატის" ასლის დამზადების შემთხვევები. ასეთ მაგალითს წარმოადგენს ამ პერიოდში დამზადებული შუამთის ხახულის ღვთისმშობლის ხატის ისტორია, რომლის დედანი იყო გელათის ხახულის ღვთისმშობელი.

ბიჭვინთის ღვთისმშობლის /ასლი/ ხატი მე-19 საუკუნეში ქუთაისის საკათედრო ტაძრის სამხრეთ კარიბჭეზე მინაშენ ეკლესიაში დაათვალიერა მ. ბროსემ. ბაგრატის ტაძარში გელათიდან ხატის გადმოსვენება დაკავშირებული უნდა იყოს დოსითეოს ქუთათელის სახელთან, რომელიც ითვლებოდა აფხაზეთის კათალიკოსის მოსაყდრედ და საკათალიკოსოს ფაქტიურ გამგებლად. რადგანაც ის ორივე მაღალ მღვდელმთავრულ თანამდებობას ერთდროულად აღა-

სრულებდა, ქუთაისში მას ესაჭიროებოდა საკათალიკოსო ხატი, ასეთი კი ზემოთაღნიშნული ხატი გახლდათ. ეს ხატი მე-18 საუკუნის საკათალიკოზო ტახტის საგანძურის ნუსხაში ასე იხსენიება: „ხატი უნცროსი ბიჭვინთისა ღთისმშობლისა". როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ხატი ამ დროს დასვენებულია გელათში, წმ. გიორგის ეკლესიაში.

იმერეთში ე. წ. „საეკლესიო ბუნტის" შემდეგ, როგორც ცნობილია აფხაზეთის უკანასკნელი კათალიკოსი დოსითეოსი, რუსეთში გაასახლეს, მაგრამ ის მოწამეობრივად აღესრულა გზაში და ანანურის ციხე-სიმაგრეში დაასაფლავეს. კათალიკოსის გასახლება მოულოდნელად მოხდა. მისი ქონება, როგორც საეკლესიო, ისე პირადი დარჩა ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში. სწორედ, ამდროიდან არის საგულვებელი ეს ხატი ბაგრატის ტაძარში დაბრძანებული. ალბათ, ეს მოტივი ამოძრავებდა შემდგომში იმერეთის მიტროპოლიტს დავით წერეთელს, როდესაც გელათიდან ბიჭვინთის ხატიდან წამოიღო მაცხოვრის გამოსახულებიანი ხატი–სანანწილე წმინდა სამსჭვალითურთ და ბიჭვინთის /ასლი/ ხატთან მოათავსა.

XIX ს. 40-იან წლებში ხატი დაათვალიერა და აღწერა ა. მურავიოვმა.

1871 წელს დასრულდა ქუთაისში ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის /ე.წ. „სობოროს"/ მშენებლობა. ხატი ბაგრატის ტაძრიდან აქ გადმოიტანეს.

1907 წელს მოხდა ქუთაისის საკათედრო ტაძრის გაქურდვა. 1908 წლის 17 მარტის რაპორტში ეპისკოპოსი ლეონიდე ამ ამბის შესახებ ატყობინებდა საქართველოს ეგზარქოს ნიკონის: „გაქურდვა შემჩნეული იქნა 1907 წლის 18 ნოემბერს, ტაძრის მეკლიტურის, ბერმონაზონ იოსებ კიკაჩეიშვილისა და მასთან მყოფ დიაკვან ისიდორე სვანიძის მიერ, როდესაც ისინი ღვთისმშობლის ხატს ამაგრებდნენ".

ეპისკოპოს ლეონიდეს რაპორტში, საინტერესო ის არის, ქურდობის შესახებ იგი ეგზარხოსს სამი თვის დაგვიანებით ატყობინებს, რომ დაკარგულია „ორი ოქროს კარედი ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ბიჭვინთის ხატის, შიგნით გამოსახული იყო ღვთისმშობელი მარადიული ყრმით, წმინდა

მოციქულები ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი, იოანე ოქროპირი. ასევე წმინდა გიორგი და თეოდორე ტირონი, ზემოთ კი – მაცხოვრის და მთავარანგელოზების გამოსახულებით. ხატი მორთული იყო 86 დიდი ზომის მარგალიტის თვლით და 68 დიდი ზომის ძვირფასი სხვადასხვა ფერის ქვებით".

როგორც საარქივო დოკუმენტიდან ირკვევა აღნიშნული ხატი მთლიანად შეფასებული ყოფილა 300 მანეთად.

აღიძრა საქმე. დაიწყო გამოძიება, მაგრამ უშედეგოდ.

1923 წელს ბიჭვინთის ღვთისმშობლის /უმცროსი/ ხატი, ვიდრე საკათედრო ტაძარს დაანგრევდნენ, გადაეცა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმს.

⌘⌘⌘

ბიჭვინთის საკათალიკოზო ტახტის საგანძური

ქ: კხლი კჩი მეფის ძე იოსებ რომ მიიცუალა და მეფე სოლომონმა კათოლიკოსობა ჩვენ გვიბოძა ბერი წულუკიძისაგან მოგვებარა ეკლესიიის სამკაული საკათალიკოსო და სახასო მამულები, რომელიც ამათ ქვემო სწერია:

ქ ერთი ოქროს ჯ~ი, ძელით თუალმარგალიტით და კუბოთი განყობილი, სამი ოქროს ღილი და ორი ვერცხლის თავისის ბუშტებით:



ქ დიბის სტიხარი, მეორე კიდე ძველი დიბის სტიხარი ორ რიგათ არშია ავლია თუალმარგალიტისა,

ქ ენქერი თუალმარგალიტით შეკერილი

ქ. ერთი წყვილი მარგალიტის საბუხრები:

ქ რუსული ოქრომკედით შეკერილი ენქერი თავისი ღილით და ბუზუმეთებით, კიდევ მისივე ნაკერი სამკლავები

ქ ორი ოდიკი ერთი ყვითელი და მეორე თეთრი

ქ ერთი ხელი სირმით ნაკერი დაფარნები

ქ ერთი ოლარი შავის ატლასით მარგალიტით შეკერილი

ქ მეორე ოლარი სირმით შეკერილი

ქ მარგალიტის ომფორი, სამი ოქროს ღილით

ქ ერთი საბეჭური

ქ თვლით და მარგალიტით შეკერილი სარტყელი ოქროს თავებით და ოქროს გასაყარით.
ქ საკათოლიკოსო ბარტყულა, თუალმარგალიტით და ჯუარით გაწყობილი.
ქ ბისონი მნუანე ხავედის სირმით ნაკერი თორმეტის ოქროს ღილით და ორი ეკლესის ღილით განყობილი.
ქ თეთრი სტობის ბისონი. ყვითელის არშიით და ბეჭუმეთით განყობილი.
ქ ერთი წყვილი მარგალიტის ქოში
ქ ერთი ხელი ბარძიმ ფეშხუმი კოეზი კამარა ოქროსი მარგალიტით განყობილი
ქ ხატი უნცროსი ბიჭვინთისა ღთისმშობლისა
ქ ხუთი არნივი
ქ ერთი თეთრი არდაგი. ესენი ერთს სკივრში აწყვია
ქ ესენი ნ~ის გიორგის ეკლესიაში დაკრძალულია
ქ ორი სჯულის კანონი
ქ ერთი სამოციქულოს თარგმანი
ქ იოსიპოსი
ქ მეტფრასი სეკდენბრისა და ოკდონბრისა ერთად
ქ ფებერვლის და აგვისტოსის მეტაფრასი ერთად
ქ მარტის მეტაფრასი
ქ აპრილის მეტაფრასი
ქ ივნისის და ივლისის მეტაფრასი ერთად
ქ დიონისი არიოპაგელის წიგნი
ქ.საწინასწარმეტყველო სტამბისა
ქართველთა მამათცხოვრება.
ქ ძველი სძლის /sic/ პირი:
ქ გიორგი მთანმიდელის ცხოვრება
ქ პატარა ძველი წიგნი კითხუა მიგებისა
ქ ჭრელი ნუსხა: ერთი ძველი კონდაკი
ქ გამოკრებული ძველი კითხუა მიგება
ქ დამასკელის კათიღორია ფორფირით: /sic/
ქ ერთი წმიდათ საგალობელი საზიარო
ქ გამოკრებული დოღმატიკა
ქ პატარა გულანი:
ქ სრულიად საკათოლიკოსო მამულის დავთარი
ქ ამათ გარდა ეკლესიაში სამრად /sic/ რომელიც წიგნი ძეს ესენი არიან
ქ ერთი დიდი გულანი
ქ სტამბის სახარება სამოციქულო დავითნი
ქ მოჭედილი სახარება ტრაპეზედ სასვენი
ქ: ეგრეთვე სახასო მამულები ძველითგან შენირულნი რომელიც ბერი წულუკიძისაგან მოგვებარა საკათოლიკოსო:
ქ რაჭას სოფელი ბარი და სასახლე.
ქ მუხს ყიფიანი და ხიმშს ყიფიანისეული გლეხები
ქ კრიხს გლეხები და ზუარი
ქ გაბაშვილი იოსებ, თავისი მამულით კუაცხუტით
ქ ოკრიბას სოფლები ნ~ის გიორგის ეკლესიისა,
ქ კ~დ ოკრიბას სორმონი
ქ ჩხარს ლაღიძეები და სომხები სოფელი
ქ გაღმართში სოფელი ოფჩა
ქუთაის, სოფია წმიდის ეკლესია და სასახლე ერთის მოჯალაბით.
ქალაქში სვანიძეები მამუკელა.

ქ კვაცხუტელი სომეხი სამი
ქ მამუკელა მურადაშვილი
ქ ვაკისუბანს გლეხები გიორგაძენი
ქ მესხეთს მოსახლე გლეხნი: გეგუთს ლაზარეშვილი
ქ ფარცხანაყანევს ერთი პატარა სოფელი
ქ მათხოჯი სოფელი და სასახლე. რატიანით აზნაურშვილით:
ქ ივანდითს ათი კუამლი კაცი
ქ ჯიგთ·უბანის სოფელი.
ქ სანავარდოს გელაზონიები
ქ ტყვირის საყდარი და ზედ მოსახლე გლეხნი:
ქ საჩინოს ავალიანი ლაზარე და გლეხები
ქ გუაზაურს ხამაშურაძე და ბოლქვაძე გლეხებით:
ქ ერთი კოლოფი ძველი დავთრები, მეფეთაგან და სხუათა დიდებულთა შენირ·ულობისა რიცხვით ოცდათორმეტი.
ქ კ~დ დადიანთა და სხ·უათა ოდიშის თავადთაგან ორმოცდაერთი
ქ თორმეტი გურიელის და გურიის თავადთა:
ქ თორმეტი კათოლიკოსების შენირულობის წიგნები და ერთი სჯ·ულისდების წიგნი
ქ.ოცდარვა ძველი წირვის იარაღის და ბეგრების ნუსხის წიგნი არის და სხ·უანიც არიან ძველნი დავთარნი რ~ლთა აღმოკითხუა შეუძლებელ არს. ესე ყოველნი მე კათალიკოსს მაქსიმეს მომებარა.
ბეჭედი ნარწერით: ჩრდილო აფხაზეთის იმერთა კათალიკოსი /ასომთავ./ მაქსიმე.
17765 ნ·უსხა საკათალიკოზო განძეულობისა, დაცული ბიჭვინთის საბ·უთებში
N74, დანერილია თეთრს ქაღალდზე. ნიშნები არა აქვს.
ქ. ბიჭვინთისა ღთისმშობელი თავის ვეცხლის კუბოთი.
ქ საკათოლიკოსო დიდი ჯვარი ოქროთა და თელით შემკობილი
ქ გვირგვინი და ბარტყ·ულა
ქ.სამსჭვალი და მწვანე მინითა და თელით განყობილი გულსაკიდი ხატი.
ქ.ბარძიმფეშხ·უმი ოქროსა და თელით განყობილი კოჭკამარათურთ.
ქ.დიდი ომფორი მარგალიტისა.
ქ.ნაკერი ბისონი,
ქ.სტიხარი თელითა და მარგალიტით ნაკერი,
ქ.სარტყელი ნაკერი თვალმარგალიტით და ოქროს ბალთებით
ქ ჯვარი მოჭედილი მარგალიტიანი
ქ მარგალიტის საბ·უხრები.
ქ.ორარი თვალმარგალიტით ნაკერი
ქ ენქერი თელითა და მარგალიტით
ქ.დიდი საბეჭ·ური სირმისა.
ქ.მაშიები მარგალიტისა
ქ.პერექლები და დაფარნა სირმით ნაკერი
ქ ომფორის ნარღვევი მარგალიტი ხატები და ქელჩები მარგალიტი არის / ეს ხუთი სიტყვა წაშლილია ხაზგადასმით/ და ოქროს 25 გამოყვანილი ხატები და ქულიჩები ოქროთვლიანი.
ქ.ათი ომფორის ღილები დაფერილი ფოჩებიანათ.
ქ.თეთრის სტოფის ბისონი.
ქ.დიბის სტიხარი ყვითელი.
ქ ერთი სარტყელი ვეცხლის ბალთებიანი.
ქ ოლარი კიდევ სირმით ნაკერი.

ქ.ატლასის ოდიკი ყვითელი,
ქ.შვიდი არნივი ძველი და ახალი,
ქ.ოცდაშვიდი მსხვილი ღილი დაფერილი.
ქ.ორი ხელსახოცი.
ქ სასაკმეველე ქვისა შავი.
ქ.ერთი არდაგი და ერთი უსუპი გატეხილი.
ქ.ერთი კონდაკი უფურცლოდ გრძლად დანერილი და ერთი კუთრხევანიევე.
ქ.ერთი გულანი.
ქ.ერთი გულანი.
ქ ერთი შეკერილი სრული დავთარი
ქ საძას ორმოცდათოთხმეტი ფუნდუხის წონა ზოდები ოქროსი ექვსი და პატარა კიდევ ნარჩენი.
ქ. ერთი კოლოფი დავთრები
ქ.ერთი ლაინის ომფორი
ქ.ენქერი და საბუხრები სირმით ნაკერი რუსული.
ქ.ერთი ძველის დორის პირი.
ქ.ჩვენ კათალიკოსს ქუთათელს მოგვებარა მეფის ბრძანებით ეს ზემონერილი ნუსხა ბერი წულუკიძის და ჩიჯავაძე ეახუშტის ხელით, 20 ივნისს იგ წელთა ჩღოვ.
ქ.ამას ზეით რომ ომფორის ნარღვევი მარგალიტი და ხატები სწერია, ისინი სამი ხატი არის, ერთი მაცხოვრის, მეორე ყ~დ ნ~იდის და მესამე ნათლისმცემელის თვალმარგალიტით გაწყობილი და მაცხოვრის ხატს ერთი თვალი აკლია მარცხენის მხრისკენ. სხუას არა აკლია რა და ორმოცდაცხრა ქულიჩის ბალთები არის თვლით გაწყობილი, სხუა კიდე ომფორის ნარღვევი მარგალიტი დიდი და პატარა რვათ არის ქაღალდის პარკში გახვეული. ესენი ამ ომფორის ნარღვევი რაც არის და ის ოქროს ზოდები ერთს პატარა ჩითის პარკში არის და ჩემის ბეჭდით არის დაბეჭდილი.

თეთრი უდაბნოს გზა

მართლმადიდებელი ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, მაჰმადიანთა რკალში მოქცეული საქართველოები / ქართლი, კახეთი, იმერეთი/ დას.საქართველოსა და აღმოსავლეთის საკათალიკოსოები მოკავშირის ძიების გზაზე, თვალს მიაპყრობენ ჩრდილოეთიდან გამეზობლებულ რუსეთისაკენ და ამგვარად ცდილობენ დაიხსნან ქვეყანა და დედა-ეკლესია გადაშენებისაგან. ამ სამასწლოვან ე.წ.ურთიერთობის მანძილზე თეთრ იმპერიას, რომელიც „მესამე რომობის" პრეტენზიას აცხადებდა იოტისოდენაც არ გაუკეთებია საქართველოსათვის და მთელი ეს დიპლომატიურ–პოლიტიკური მაქციერობა თანდათან საბედისწერო ხდებოდა...

1680 წელს იმერეთის მეფე არჩილ მეორე ამგვარ ვედრების წერილით მიმართავდა რუსეთის მეფეს: „საქართველო დიაღ შეწუხდა და დასუსტდა ქრისტიანობა და მოუძლურდა. გვარგე რამე, ამდენი საყდრებია და მონასტრები, ამდენი პატიოსანი ხატი და ჯვარი, ამდენი წმინდანი ნაწილები დაკარგვას აპირობენ, სულ წახდენას აპირობენ..." იმერეთის მეფე რუს ეპისკოპოზ სიმონ პოლოცკისაც შეაგონებდა ამაოდ: „დაგვიხსნან განსაცდელისა და შეჭირვებისაგან, რათა თქვენც გიხსნას უფალმან ყოვლისა განსაცდელისაგან სულისა და ხორცისაგან. ამდენი ხატისა, ჯვარისა და ნაწილებისა და ქრისტიანობის მოხმარება, როგორ დიდი მადლია თქვენ უკეთ იცით და უწყით". რესეთმა დიახ, კარგად უწყოდა ყოველივე და ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაუნჯებულ უდიდეს ქრისტიანულ სიწმინდეებს მოთმინებით ადევნებდა თვალს. ამაოდ ცდილობდნენ ქართველი მეფენი თუ სამღვდელონი ჭეშმარიტ ერთმორწმუნეობის საფარველქვეშ განმტკიცებულიყო ეს ურთიერთკავშირი. მაგრამ რესეთს მხოლოდ სიწმინდეები აინტერესებდა და არა ქართველთა ბედი. ამგვარი შინაარსით არის გაჯერებული არჩილ მეფის საქციელიც, როდესაც მას იმერეთის მეფობიდან საბოლოოდ ამოუძირკვეს ფეხი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით „განძიება არჩილისა" არა მხოლოდ სა-

ქართველოდან, არამედ დვალეთიდანაც მოითხოვა ყაენმა, სადაც იგი დროებით აფარებდა თავს. გიორგი მეფემ თავისი ძმა ლევანი და გივი ამილახვარი წარგზავნა არჩილთან და აუწყეს მძიმე ამბავი. არჩილი იძულებული იყო, ამ ეტაპზე დამორჩილებოდა ყაენის ნებას, ოღონდ იმ პირობით, თუ რუსეთში წასვლისთვის მიეცემოდა „სამსჭუალი ქრისტესი და სუდარი და საბელი: უკეთუ მომცეთ, წარვიდე რუსეთს", ესე შეუძნდა მეფესა, კათალიკოზ–ეპისკოპოსთა და მთავართა. გარნა შემდგომად მას პირსა ზედა მისცეს ესენი და წარვიდა არჩილი რუსეთს. ეს მოხდა 1699 წელს. დვალეთიდან გადასული არჩილი სამ წელიწადს დარჩა ასტრახანში. 1702 წელს „დღესა ახალ წლისასა აღუნთეს ლამპარი დიდი სამსჭუალსა, მოეკიდა ცეცხლი სასუენსა მას, რო არიან სახლნი ს~დ ხისანი და დაიწუნენ ყ~ნი სიწმინდენი და საგანძურნი არჩილისანი, ა~დ პოვნეს სამსჭუალი და ნაწილნი´უვნოდ კ~დ დაუჯდომელი დაუწვავი ცეცხლსა მას შ~ნა, გარნა ბ~დ შემკული სამსჭუალი კ~დ არჩილ მეფემან მერმე იოანემ და პეტრემ, მიიყუანეს მოსკოვს არჩილ და პატივი სცეს მეფაებრივ".

არანაკლები საუნჯე იქნა გატანილი რუსეთში მე–18 საუკუნეში. ამ მხრივ აღსანიშნავია ალექსანდრე V–ის მოქმედება, როდესაც ის სხვა სიწმინდეებთან ერთად მოსკოვში გაგზავნის „პირველ საუფლო სისხლსა ოქროშიდ ჩასხმულსა". ამ საუკუნის ბოლოს, რუსეთში დარჩა, კერძოდ კიევში, დას.საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის მაქსიმე II /აბაშიძის/ პირადი და საკათალიკოზო საყდრის ქონება. ზოგი მათგანი მოგვიანებით გაძარცული სახით დაუბრუნდა გელათის მონასტერს, კერძოდ, საკათალიკოსო მიტრა. 1859 წლის აღწერილობის მიხედვით: „მიტრა ახალი წარმოგზავნილი რუსეთიდგან განსვენებულის კათალიკოზის მაქსიმესაგან. სრულებით ეს მიტრა მოვოჭვილი არის სხვადასხვა ზომის მექონის მარგარიტებითა. მას ზედა არის ჯვარი შედგენილი თექსმეტის ბრილიანტისაგან, რომელიც არის მჭვრიდად ჩასმული. ჯვარის ქვეშ არის დიდი ქვა სეილანი შავ–წითლისა ფერისა როგორც ეს ეგრეთვე ოთხი ფინიკტის ხატი არა ძალიან დიდროანი, რომელიც სხედს

იმა მიტრაზედ გარშემოვლებულ არიან საკმაოდ მომსხროს მარგარიტითა, მაზედვე უსხედს წითელი სხვადასხვა ზომის თლილი იაგუნდი ვეცხლით ოქროთ დაფერილს ბუდეებში ას სამოცდათორმეტი და სახელდობრ გადაჯვარედინებულზედ ოცდარვა. ამ კუთხეებშიდ ოთხ-ოთხის ხატის გარშემო ოცდათორმეტი. ხატებს ქუეშ მიტრის გარეშე ექვსი გვირგვინი შედგენილი იაგუნდისა და მარგარიტისაგან, რომელიც უსხედს ბუდეებშიდ ყოველსავე ამა გვირგვინებში სხედს ორმოცდათორმეტი იაგუნდი და გვირგვინების ქვეშ ექვსი. ნაპირზედ ორ რიგად შემოვლებულს მარგარიტს შუა უსხედს სიმრგვლივ იაგუნდები რიცხვით ორმოცდარვა, ხოლო სრულებით იაგუნდი არის ას ორმოცდათორმეტი და მარგარიტნი მრავალს ადგილს აკლია".

ეს მიტრა 1860 წლიდან იყო ქუთაისის /ბაგრატის/ტაძარში, შემდეგ ახალ საკათედრო ტაძარში. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ის გაძარცვა გრაფინია ლევაშევამ.

1810 წლის შემდეგ, როცა რუსეთის ხელისუფლებამ ძალმომრეობით მიიტაცა უკანასკნელი იმერეთის ქართული სამეფო და შეუდგა მის მოწყობას, რომლის ფორმა და შინაარსი სრულიად მიუღებელი იყო მის მცხოვრებელთათვის, საეკლესიო ქონების აღწერა თუკი აღმოსავლეთ საქართველოში უმტკივნეულოდ და მშვიდობიან ვითარებაში ჩატარდა, დასავლეთ საქართველოში მან 1819-1820 წ.წ. საყოველთაო აჯანყება გამოიწვია. გამოსვლები დიდი სისასტიკით ჩაახშეს, აჯანყების მეთაურები ეფთვიმე /შარვაშიძე/ გაენათელი რუსეთში გადაასახლეს, ხოლო მიტროპოლიტი დოსითეოს /წერეთელი/ ქუთათელი, რომელიც იმავდროულად დას. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ და 1795 წლიდან /მაქსიმე II აბაშიძის გარდაცვალების შემდგომ/ ფაქტიურად კათალიკოს-პატრიარქი იყო, გადასახლებისას წამებით აღესრულა. აჯანყების ჩახშობის შემდეგ, როგორც ცნობილია საეკლესიო ქონება, მათ შორის გელათის მონასტრისაც აღიწერა. ეს მასალები ცალკე წიგნად არ გამოქვეყნებულა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს 1826 წ.მოსკოვში გამოცემული „ქართული იერარქიის ისტორია", რომელშიც ცალკე პარაგრაფად არის დაბეჭდილი

ამ დროს მოქმედი ქართული ეკლესია-მონასტრების აღწერილობაც. გელათის მონასტრის შესახებ ნათქვამია: „მონასტერი მდებარეობს ქუთაისის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 7 ვერსის დაშორებით, მდ. წყალწითელას აღმოსავლეთ მხარეს, მდინარიდან 80 საჟენის სიმაღლეზე მდებარე მოვაკებულ ფერდობზე. მონასტერს გარს მაღალი, განიერი ქვის გალავანი აკრავს ალაყაფის ორი კარით, რომლებიც თაღოვანი შენობების ქვეშაა მოთავსებული. ...მონასტრის ეზოში დგას ულამაზესი ღვთისმშობლის შობის სახელობის ძალზე დიდი ტაძარი, რომელიც მოყვითალო თლილი ქვისაგან არის აგებული. ტაძარში ტილოს კანკელია. კანკელზე 47 ხატია, მათ შორის ბევრი ძვირფასი ქვებით, მარგალიტებით და წმინდა ნაწილებითაა შემკული და ოქროთი და ვერცხლითაა მოჭედილი.

ღვთისმშობლის შობის ტაძარს 5 ეკვდერი აქვს.

1. სამხრეთის კარების აღმოსავლეთით, ანდრია პირველწოდებულის მოციქულის სახელზე.

2. სამხრეთ კარების დასავლეთით, მთავარმოწამე მარინეს სახელობაზე.

3. ჩრდილო კარებიდან მარცხენა მხარეს, აღმოსავლეთისაკენ, მაცხოვრის სახელობაზე, აქ ხის მოხატული კანკელი დგას.

4. ჩრდილოეთ კარებიდან დასავლეთისაკენ, მთავარმოწამის ირინეს სახელობაზე.

5. ტაძრის სტოვაში, დასავლეთის კარების მარჯვენა მხარეს იოაკიმეს და ანას სახელობის ეკვდერია.

ყველა ამ ეკვდერს საეკლესიო სამკაული საკმაოდ აქვს.

ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრის დასავლეთით, 4 საჟენის დაშორებით, თაღოვან სვეტებზე დგას პატარა, გუმბათიანი, წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომელიც საეკლესიო სამკაულით ღარიბია. ამ ეკლესიიდან დასავლეთით, იმავე მანძილზე, დიდი, ქვით ნაგები, თაღოვანი, 12 საჟენი სიგრძისა და 5 საჟენი სიგანის სატრაპეზოა. მას მიშენებული აქვს ხის დიდი ოთახი.

მონასტრის საკათედრო ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით 2 საჟენის სიმაღლის სამრეკლოა. ქვემოთ, დაბალი თა-

ღების ქვეშ, მილიდან წყალი გამოდის, რომელიც მონასტრიდან ჩრდილო-დასავლეთით, 90 საჟენის მოშორებით მდებარე წყაროდანაა გამოყვანილი მიწისქვეშა გვირაბით. აღნიშნული თაღების ზევით რვა სვეტით სწორკუთხა ოთახია, ხოლო მის ზევით რვა სვეტით კამარაა შეკრული. სამრეკლო, ისევე როგორც წმ. ნიკოლოზის ეკლესია, თუნუქითაა გადახურული. მონასტრის გალავნის გარეთ, წყაროს თავზე, დგას წყარო ცხოველის ღვთისმშობლის სახელობის პატარა ეკლესია, სადაც საეკლესიო სამსახური მხოლოდ ტაძრის დღესასწაულზე იმართება.

ამ მონასტერში ყოველთვის ცხოვრობდნენ მღვედმთავრები, რომლებსაც საკათედრო ტაძრის ჩრდილოეთით 11 საჟენის დაშორებით, ორი სახლი გააჩნდათ: ერთი-საგაზაფხულო, მეორე საზამთრო. პირველი სახლი ამაღლებულ საძირკველზე დგას და ერთი პატარა, ერთი დიდი და საკმაოდ ვრცელი დერეფნისაგან შედგება. მეორე სახლში ერთი დიდი და ორი პატარა ოთახია. აქვე, ახლოს, ქვის კიდევ ერთი, ერთოთახიანი პატარა სახლი დგას. აქვეა მოსამსახურეთა სადგომიც. ამ ორ სახლს შორის ქვისგან ნაგები ორი შენობა დგას. ერთი ორსართულიანია, რომელიც ზემოთ ერთი და ქვემოთ სამი ოთახისაგან შედგება. ეს სამი ოთახი საკუჭნაოს დანიშნულებას ასრულებს. მეორე სახლი ერთოთახიანია. სახლების დასავლეთით დგას ქვის სამზადი და ხის რამოდენიმე ქოხი; სატრაპეზოს ახლოს დგას ქვის პატარა ერთოთახიანი სახლი. ეკვდრების ოთხივე წინამძღვარი და ბერ-მონაზვნები მონასტრის ეზოში ღარიბულ ქოხებში ცხოვრობენ.

გელათის მონასტერი ფლობს ყმა-გლეხებს და სავარგულებს. მისი წინამძღვარია საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი არქიმანდრიტი ნიკოლოზი.

წმ. გიორგის, ძველად საკათალიკოსო მონასტერი. დგას გელათის მონასტრის ეზოში, გელათის ტაძრის აღმოსავლეთით 6 საჟენის დაშორებით. იგი მოყვითალო თლილი ქვისგანაა ნაგები და მთავარმოწამის წმ. გიორგის სახელობაზეა აგებული. ეკლესიაში დგას კანკელი ხატებით, საეკლესიო სამკაულით ღარიბია. წმინდა გიორგის ეკლესიის ჩრდილო-

ეთით 6 საჟენის დაშორებით დგას წინამძღვრის პატარა, 6 ოთახიანი ხის სახლი. აქვეა კიდევ ორი თითო-თითო ოთახიანი სახლი. ამ სახლებს ახლოს დგას არქიმანდრიტ ნიკოლოზის მიერ 1819 წელს თავის ხარჯით აგებული სადგომი მინის სამი სარკმლით. ამ მონასტერს ჰყავს ყმა-გლეხები.

წმ. გიორგის მონასტერზე მიწერილია „თაბორის უდაბნო“, რომელიც 1815 წელს დაარსა არქიმანდრიტმა ზაქარიამ, უდაბნო მდებარეობს იმერეთის ყველაზე მაღალ მთაზე. გელათიდან 30 ვერსის დაშორებით,რომლისგანაც 8 ვერსი მხოლოდ საცალფეხო ბილიკია. ამ უდაბნოში ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ხის ეკლესიაა და ხის ორი სახლი, ერთი სამოთახიანი, მეორე-ერთოთახიანი. თაბორის უდაბნოს ეკუთვნის საკმაო ფართობის სახნავ-სათესი მიწები, რომლებიც არქიმანდრიტმა შეიძინა და აგრეთე მისივე ნაყიდი ორი კომლი ყმა-გლეხი.

უდაბნოს წინამძღოლია მღვდელ-მონაზონი ბესარიონი, მონასტრის რიგით ბერებს შორის ორი მღვდელ-მონაზონია და ორიც იეროდიაკონი.

სოხასტერის მონასტერი ფერიცვალებისაა, მდებარეობს გელათის მონასტრიდან ჩრდილო-დასავლეთით, ასიოდე საჟენის მანძილზე. მონასტერს გარს უვლის ქვის დაბალი გალავანი. ეზოში დგას უგუმბათო, მცირე ზომის, თაღიანი, უფლის ფერიცვალების სახელობის ეკლესია, რომელიც საეკლესიო ნივთებითა და სამკაულით ღარიბია.

ეზოშივე, ეკლესიის ახლოს, დგას ქვის სახლი, რომლის პირველ სართულზე საჯინიბე და საკუჭნაოა მოწყობილი, ხოლო მეორე სართულზე-ერთი მთლიანი ოთახია, აქვე ეზოში, დგას კიდევ თითო-თითო ოთახიანი ორი ქვის და ერთიც ხის სახლი. ეკლესიის შესასვლელთან, გალავნის ახლოს, დგას ბოძებზე ხის ღია ფარდული. მონასტერი ფლობს ორ კომლ ყმა-გლეხს.

მონასტერს წინამძღვარი არ ყავს. წირვა-ლოცვას ატარებს ერთი მღვდელი მედავითნესთან ერთად.

ამ პერიოდისათვის, როგორც ამ ნარკვევიდან ირკვევა გელათის მონასტერზე იყვნენ მიწერილი მოწამეთის ხარების სახელობის მონასტერი და გოგნის უდაბნო.

1820 წელს ჩატარებული საეკლესიო რეფორმის შედეგად, გელათის მონასტერი გადაკეთდა საშტატო, პირველი კლასის მონასტრად. ჩამოერთვა ადგილ-მამული, ყმა-გლეხები და მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა იმ მწირ დაფინანსებაზე, რასაც მას რუსეთის მთავრობა აძლევდა. ბუნებრივია, ამგვარმა ქმედებებმა მძიმე კვალი დაამჩნია მონასტრის ცხოვრებას, მის აღმავლობასა და წინსვლას. რუსეთის სინოდზე დაქვემდებარებული საეგზარქოსო და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, ვერ პასუხობდა იმ ტრადიციულ საეკლესიო მოთხოვნებს, რასაც მონასტერში საუკუნეების მანძილზე მყარად ჰქონდა გადგმული თავისი ისტორიული ფესვები. ყოველივე ეს აისახა შიდა სამონასტრო ცხოვრებაზე, რომელმაც პირდაპირი გავლენა იქონია მონასტრის განძთსაცავზე. „საეკლესიო ბუნტის" ჩახშობის შემდეგ, გელათის მონასტრის კრებულში ირიცხებოდა სულ 11 წევრი: 1 წინამძღვარი, 5 იღუმენი, 3 მღვდელ-მონაზონი, 1 ბერ-დიაკონი და 1 მწირი ბერი.

მონასტრის არქიმანდრიტი ნიკოლოზი და იმერეთის არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი, განსაკუთრებით პირველი, მეტად დიდ ერთგულებასა და გულმოდგინებას იჩენდნენ რუსეთისადმი. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, მათი ამგვარი ლოიალური დამოკიდებულება მოძალადისადმი არ იყო განპირობებული რაიმე ტაქტიკური მოსაზრებით, უბრალოდ, ისინი საკუთარი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და თავსაც ვალდებულად რაცხდნენ რუსული მმართველობის წინაშე უსიტყვოდ გაეტარებინათ საეკლესიო ცხოვრებაში საეგზაროსოდან წამოსული ბრძანებულებანი. რა თქმა უნდა, მონასტერში იყვნენ ე. წ. ძველი ყაიდის, ანუ ეფთვიმე გაენათელის მიმდევრები, რომლებიც ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ თავიანთ რუსოფილ თანამოძმეებისათვის. ამგვარ დასებად დაყოფილი მონასტრის კრებულის ურთიერთობა და ურთიერთბრძოლა განსაკუთრებული სიმწვავით აისახა გელათის განძთან მიმართებაში.

1822 წელს რუსი თავადი პეტრე გორჩაკოვი უმორჩილესად თხოვდა იმერეთის არქიეპისკოპოსს სოფრონიოსს მა-

ცხოვრის ჯვარცმის ხატს, რომელიც მიტროპოლიტ დოსითეოსს საკათალიკოზო ქონებიდან დარჩენოდა დავით ერისთავს. ამ უკანასკნელს ხატი დაუგირავებია. ახლა, ძნელი სათქმელია როგორ მიაწოდეს პეტერბურგში ცნობები ამ ყოვლისშემძლე თავადს და ან თავად საიდან იცოდა ჯვარცმის ხატის ირგვლივ შექმნილი ვითარება. გორჩაკოვის წერილის ტონი არქიეპისკოპოსისადმი ზოგჯერ მლიქვნელურიცაა და ზოგჯერ ბრძანებლურიც: „მაშინ თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, ძალგიძთ მიცემად იმისი უკეთუ ეკუთვნოდეს და მიიღოთ საეკლესიო ფული, რაოდენიც შეხვდებოდეს".

არქიეპისკოპოსმა თხოვნა შეუსრულა რუს თავადს, დაიხსნა მაცხოვრის ჯვარცმის ხატი, გადაუგზავნა კიდეც და მიიღო ვითომც „საეკლესიო ქრთამი", რომლითაც მან მშვენიერი სახლი აიშენა ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ეზოში.

ცნობილია, რომ ეფთვიმე გაენათელი 1822 წლის 21 აპრილს გარდაიცვალა რუსეთში ალექსანდრე სვირელის სახელობის მონასტერში. მის პირად საკუთრებაში დარჩენილ ქონებიდან აღსანიშნავია:

1. ვერცხლის ჯვარი ჯაჭვით და წმინდა ნაწილებით, რომელიც განსვენებულმა მღვდელმთავარმა თავის სულიერ მოძღვარს, მღვდელ-მონაზონ იონას /ხელაშვილს –გ. ტ./ უანდერძა.

2. საათი კუს ფორმის ბუდით, მოვერცხლილი ხელჯოხი, ძველი კაბები, ანაფორები, საბნები და თეთრეული, განსვენებულის სურვილისამებრ, მოსამსახურე მახარე ცნობილაძეს გადაეცა.

ამასთანავე, 1824 წლის 24 ნოემბრის მოწერილობაში ნოვგოროდის სასულიერო კონკისტორია თხოვდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას, დაედგინა ეფთვიმე გაენათელის ნათესავთა ვინაობა, რათა მათ საკუთარი ხარჯით ნოვგოროდიდან ჩამოეტანათ განსვენებულის დარჩენილი ცხრა საეკლესიო წიგნი. ჩანს, მიტროპოლიტი გარკვეული სამზადისით დახვედრია რუსეთში გადასახლებას, მთავრობის განზრახულობა მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, როგორც 1828 წლის 12 სექტემბრის იმერეთის ეპისკოპოს სოფრონიოსისადმი მიწერილ-

ობაში ჩანს მიტროპოლიტის რუსეთში წაყვანის დროს მაინც დაკარგულია ოქროს გულსაკიდი ნაწილებიანი ხატი, რომლის შემდგომი ბედი უცნობია. გარდა ამისა, ეფთვიმე მიტროპოლიტისათვის ქუთაისში ჩამოურთმევიათ:

1. ჯვარი დიდი ვერცხლისა, მოოქროვილი ფინიფტის ხატებით,

2. ორი წვრილი ვერცხლის ჩარექა საზედაშე და საწყალე,

3. სამღვდელმთავრო კუერთხი, სადაფჩასმული, რქისა და სხვის ძვლით გაკეთებული,

4. ერთი წყვილი საბუხარი, შავს ხავერდზედ ნაკერი მარგალიტი დიდად კარგათ,

5. სარტყელი აბრეშუმითა და ოქრომკედით ნაკერი, რომელსაც ბოლოებზედ აქვს მოქსოვილი ვერცხლის ბალთები, რომლებსაც საშუალზედ არის გამოსახული ხატი მოციქულის პეტრესი ოქროს ფინიფტზედ, უსხედს ფ-დ მრავალნი ძვირფასი და უბრალო თვლები.

6. მანტია ანუ მდინარე ყვითლის ხარის, რომელზედაც ოქრომკედით არის ნაკერი ჯვრები და აქვს ოთხი ვერცხლის ღილი.

7. კონდაკი სამღვდელმთავრო და სადღესასწაულო.

აღნიშნული საეკლესიო ნივთები ჩაიბარა გელათის მონასტრის წინამძღვარმა ნიკოლოზმა და ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტმა სვიმონმა.

1829 წელს გელათის მონასტრის სიწმინდეთა ისტორიაში მოხდა მეტად შემაზრზენი ფაქტი; სანაწილე კიოტიდან ამოიღეს წმ. გიორგის თხემი და მას ჩამოტეხეს გარკვეული ნაწილი, თითქმის მეოთხედი. ეს შემჩნეული იქნა მონასტრის კრებულის მიერ, გამოირკვა, რომ სიწმინდე დააზიანა მღვდელმა სიმონ კანდელაკმა იოვანე წივწივაძესთან ერთად. მათ მოტეხილი ნაწილი გადაუციათ მონასტრის წინამძღვარ არქიმანდრიტ ნიკოლოზისათვის. დაკარგული ნაწილის შესახებ საქართველო-იმერეთის კანტორაში საჩივარი შეიტანა მღვდელ-მონაზონმა ისააკ დოლონაძემ, რომელიც მოწმეებად ასახელებს გელათის მღვდელ სვიმონ ჭირაქაძეს და მღვდელ-მონაზონ ნიკიფორე გვეტაძეს. როგორც ირკვევა წმ. გიორგის თხემის ნაწილის გარდა მღვდელ ს.კანდელაკს

დაუკარგავს და მიუტაცებია მრავალი წმინდათა ნაწილნი და საეკლესიო ნივთები. ამ საჩივრის შედეგად აღიძრა საქმე, დაიწყო გამოძიება, ხოლო მღვდელ-მონაზონი ისააკი, როგორც დამსმენი არქიეპისკოპოს სოფრონიოსის მიერ სხვა მონასტერში იქნა გადაყვანილი. მართალია, არქიმანდრიტ ნიკოლოზსა და არქიეპისკოპოსს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო, მაგრამ მაინც უბრალო და სიმართლის მღაღადებელი ისააკ დოლონაძე დაისაჯა. მისი ნამსახურებითი ნუსხიდან ჩანს, რომ „გაენათის მონასტერსა შინა უსწავლიეს საღმრთო წერილი, წერა და გალობა. მორჩილად ყოფილა გაენათის მონასტერში. მონაზვნად აღკვეცილ არს და იეროდიაკვნად ხელდასხმულ არს გაენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმის მიერ ჩყიე სექტემბრის იე-ს. ხოლო მღვდელ-მონაზვნად ხელდასხმულ არს მისივე გაენათელი მიტროპოლიტის მიერ ჩყით იანვარს 3.

კაი ყოფაქცევის არს და შემძლებელი თანამდებობის"

ასეთია მისი ოფიციალური დახასიათება. ისააკ დოლონაძე, როგორც შემდგომი მოღვაწეობიდან ჩანს, ერთგულად იდგა გელათის საგანძურის დაცვის სადარაჯოზე, ის არ დაგიდევდათ პირად დამცირებას, დაქვეითებას, ჯამაგირის დაკლებას, ოღონდაც კი ხელყოფისაგან შეენარჩუნებინა წინაპართაგან დატოვებული უდიდესი სიწმინდენი. მისი მხილებანი ყოველთვის იყო ჭეშმარიტი და სამართლიანი. ის, თითქმის ნახევარი საუკუნე კალთით იყო გადაფარებული მონასტრის განძეულობას და პირადადაც გამოირჩეოდა სისპეტაკითა და სიწრფელით. მისი განსწავლულობა და ერუდიცია კარგად ჩანს გადარჩენილ საარქივო დოკუმენტებიდან. ისააკ დოლონაძე მე-19 საუკუნის გელათის კრებულს შორის იყო ჭეშმარიტად ბერი მღვიძარი! თავის მისიაში ღრმადდარწმუნებული მღვდელ-მონაზონი ასე ინუგეშებდა თავს: „იტანჯებოდა რა... უნეტარესი მოციქული ანდრია, გამოეცხადა მაცხოვარი და ჰრქვა ანდრიას: „განძლიერდი, მე შენთანა ვარ, და ჰრქვა ანდრიამ: „შენ ღ~თო, ესრეთ ილოცევდი „მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს თანა წარმარედინ ჩემგან სასმელი ესე: ხ~ო არა ვითარ მე მნებავს: ა~დ შენ! ესრეთ იურვოდა კაცთათვის შემოქმედი ყ~თა რ~მე ათ-

ორმეტის წლითგან ვვედრებით კანონიერის ქაღალდებითა არა ხოლო ჩემთათვის, ა~დ გაენათისა დიდძალისა ნივთთა აღმოჩენისათვის“.

რუსული საეკლესიო მმართველობა ყოველნაირად ცდილობდა და ხელს უწყობდა მონასტერში გამეფებულიყო არაჯანსაღი ატმოსფერო, შფოთი და შური კრებულის ძმათა შორის, ხდებოდა გადაბირებანი, უმსგავსოთა აღზევება იერარქიულ კიბეზე, ხოლო ქართულ ეკლესიის ბედით დაინტერესებულ სასულიერო პირთა განტევება მონასტრიდან.

რაკი წმ. გიორგის თხემის ნაწილის დაკარგვის საქმე მიფუჩეჩდა, ვადაგასულობის გამო, იმერეთის ახალმა ეპისკოპოზმა მიტროპოლიტმა დავითმა გადაწყვიტა ისააკ დოღონაძის მონასტრიდან გაშვება. რადგან ამის პირდაპირი რაიმე ალიბი მას არ ჰქონდა. მღვდელმონაზონი ჯერ მოწამეთის მონასტერში გადაიყვანეს დროებით, 1841 წელს, თითქოსდა გელათური სამღვდელმონაზონო ჯამაგირი შეუნარჩუნდებოდა და მერე კვლავ მოაბრუნებდნენ. როგორც ჩანს, დათქმული ვადაც ამოწურულა და როცა ი. დოღონაძეს უკანვე დაბრუნება მოუწადინებია, მის ამ სურვილს, რა თქმა უნდა, კანონიერს, წინ აღდგომიან წმ. გიორგის თხემის ძარცვაში ეჭვმიტანილი მღვდელი სიმონ კანდელაკი, ქუთაისის საკრებულო ტაძრის მღვდელი ნიკოლოზ ქუთათელაძე და მისი ნათესავი გელათელი მღვდელი სიმონ ჭირაქაძე, რომელიც თავდაპირველად მოწმედ იყო დასახელებული ხსენებულ ძარცვაში. რაკი ვითარება ასე გამწვავდა, დავით მიტროპოლიტმა ისააკ დოღონაძე მოწამეთიდან გოდოგნის ეკლესიაში გადაიყვანა. თითქმის ოცი თვე დაუყვია აქ, მაგრამ ამის შემდეგ, უბრძანეს წასულიყო რაჭაში.

ამ დროისათვის ბერი უკვე სამოც წელს არის მიტანებული, ითხოვა არ გაეშვათ რაჭაში, ცივი კლიმატური პირობების გამო, თუ ეპარქიიდან მისი მოცილება სურდათ, მაშინ გურიაში გადასვლას ამჯობინებდა, იქ უფრო თბილი ზამთრი იცოდა.

შუამდგომლობა გორის ეპისკოპოსმაც გაუწია: „ყოფაქცევისათვის უკეთუ მისისა ვკითხოთ მცხოვრებთა გაენათისა, კურსებისა, მოწამეთისა და გოდოგანის სოფლებისათა“

წერდა ეპისკოპოსი ნიკიფორე დავით მიტროპოლიტს და თხოვდა დაებრუნებინათ ისააკი კვლავ გელათში.

საარქივო დოკუმენტებიდან არ ჩანს, ალბათ არც იყო საჭირო, მაგრამ კვალს მაინც დავით მიტროპოლიტთან და გელათელ ბერ-მონაზვნებთან მივყავართ, ისააკ დოღონაძის წინააღმდეგ საქართველო-იმერეთის კანტორაში შედის საჩივარი. სიმართლის დადგენა, გამოძიება და მსჯავრის დადება დაეკისრება ბლაღოჩინ გიორგი გოგიჯანოვს. მაინც რას შენამებდნენ და ვინ იყო შემწამე? საჩივარი აღუძრავს გელათელ მედავითნე ბესარიონ ჭირაქაძეს, იმავე სვიმონ მღვდლის, გელათის მეკლიტურის ვაჟიშვილს.

თურმე, მღვდელ-მონაზონი ისააკი „სჯულის ქცევათა" წინააღმდეგ ჩადიოდა დანაშაულს, კერძოდ: „აწარმოებდეს ვითომც აღრევასა და აბუნტებას ესრეთ, რ~ლ ყვარობდეს გაენათის მონასტერსა შინა მყოფსა მონაზონსა დარიას".

გამომძიებელი გოგიჯანოვი მომჩივნისაგან მოითხოვდა დაესახელებინა მას, თუ „სახელდობ ვის აბუნტებს და აბრიყვებს იგი ისააკი ხალხთაგან და აღვიძებს /!/ მათ უმართლის საჩივრისადმი და ვინ გემოწმებიან შენ სახელდობ, რ~ლ ყმა შენი გააბრიყვა მან ისაკმან საჩივლელად, რ~ლ ვითომც ისი იყოს ბუში და არ გეკუთვნოდეს შენ იგი ყმად".

1848 წლის 8 ივლისს ისააკ მღვდელ-მონაზონი სინოდის კანტორაში გაგზავნილ წერილში არამარტო იმართლებს თავს, არამედ პირიქით ბრალს სდებს ბესარიონ ჭირაქაძეს და ამხელს სასულიერო პირისათვის შეუფერებელ საქციელში, რადგან გამომძიებელს საქმესთან დაკავშირებით ის არ დაუკითხავს. მღვდელ-მონაზონი საქმის შინაარსს ასე გადმოგვცემს: „მომჩივანი არის შვილი კლიტის მქონებელისა მღვდლის ჭირაქაძისა ბესარიონ ... რ~ლ არს წლისა ჭირაქაძე ბესარიონ უმეტეს ოცდაცამეტისა, რ~ლ თვით ჰყავს მას თვის მრევლთან უკანონო შვილი კაცი წლისა რვისა და აქვს მონასტრისა ექვსი საჟენი და წ-სა მონასტერსა ვითომ დიაჩოქად ჰმსახურებს და ჯამაგირში თანამდებობს და ნებავს კურთხევასა განმზადებად".

ბერი იქვე ასახელებს კონკრეტულად, თუ ვინ წააქეზა ბ. ჭირაქაძე საჩივარი აღეძრა მის წინააღმდეგ: „ესე ამისთვის

შემზადეს რ-ა დაჰფარონ თვის შეცთომა პირველ განცხადებულ ჩემსა მონასტრისა, ახლა თანაშემწედ ჰყავს მას მომჩივანსა დაუდგრომელის ხასიათის მქონე მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ ნიჟარაძე", რომლის მოკლე ბიოგრაფიული ნუსხა ასეთია: ნიკოლოზ ნიჟარაძე დაბადებულა 1800 წელს; სწავლა-განათლება მიუღია ჯრუჭის მონასტერში, სადაც აღკვეცილა კიდეც ბერად 1817 წელს. 1842 წლიდან ის გადმოჰყავთ გელათის მონასტერში. შემდგომში ეს პირი სხვადასხვა დროს იყო კაცხის, ჭელიშისა და ჯრუჭის წინამძღვრად. 1859 წელს გადმოჰყავთ უკვე გელათის წინამძღვრად და სულ ცოტა ხანში ხდება მონასტრის გაძარცვა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯრუჭში მისი წინამძღვრობის პერიოდში, 1853-1856 წლებში ორჯერ მოხდა ამ ეკლესიის გაძარცვა, მაგრამ ამ შემთხვევებს ხელი არ შეუშლიათ მისთვის დაწინაურებაში.

ისააკი სამართალს ეძებს, მაგრამ ამაოდ, იგი გაკვირვებული კითხულობს თუ „ყოველნი ურიანი და წარმართნი მიიღებენ განათლებულსა რუსეთის კანონის სამართალს, მაშინ რატომ იდევნება ის უბრალო და უდანაშაულო?!

ამჯერადაც, მართლმსაჯულების სასწორზე არცერთი პინა არ იდო, რომ გაერჩია მტყუან-მართალი. ბერი დავით-გარეჯის მონასტერში გადაიყვანეს, ხოლო 1851 წელს მოთარეშე ლეკებმა გაიტაცეს დაღესტანში და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მოხერხდა მისი განთავისუფლება. ისააკ დოღონაძემ ტყეობიდან დაბრუნების შემდეგ აღწერა ლეკთაგან დავით-გარეჯის უდაბნოს დარბევა, რომელიც მოგვიანებით 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში" გამოაქვეყნა ი. კერესელიძემ. ამ ვითომცდა ურჩი და მაბეზღარი მღვდელ-მონაზვნის თავიდან მოშორებით სიმშვიდე და ძმათა შორის ურთიერთსიყვარულის ხანა უნდა დამდგარიყო მონასტრის სენაკებში. გავიდა ათი წელი. ბევრი რამ შეიცვალა მონასტრის შიგნით და მის გარეთაც. ახალი ცთუნების, სირცხვილის, მომხვეჭველობის ეშმა შეუძნდათ „ყოველთა დიდისა დავითის ძმათათა".

1859 წლის 20 თებერვლის რიცხვით მონასტრის კრებული განცხადებით მიმართავს საქართველო-იმერეთის

უწმინდეს სინოდის კანტორას „ვინაიდგან მდგომარეობს მონასტერი გაენათისა უკიდურეს იწროებაშიდ, თუმცაღა კრებულნი ითმენენ მწუხარებასა. გარნა ავიწყებსთ უმეტეს მონასტრის ოხრება, გარემოება ესე ვითარი შესდგება ყ ~დ სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსის გერმანეს მიზეზით, რადგანაც ქონებია ძველ დროებიდგან ხსენებულის მონასტერზე შური რომელისამე მიზეზით".

ძმათა კრებული შემდეგ ჩამოთვლის თვითეულ ბრალდებას:

ა/ შეულებლობით ოხრდება სახურავნი, რომელშიდაც ჩამოდის წვიმაცა და ოხრდება წმიდანი მხატვრობანი.

ბ/ ზარები დამტვრეულია, რომ ს~დ აღარ გამოდის ხმა და აღვიძებენ დროებით ერთი მეორეს ესრეთის მიხედულობით...

გ/ რახტი შამოსწირა ბატონიშვილმა ღირებული სამასი მანეთისა და ს~დ გაიბნა არავინ უწყის.

დ/ შესამოსლები არ არის და არცა კრუჟკის ფულები ს~დ ს~დ არ ჩანს.

ე/ მაგა უწმინდესის კანტორის გადაწყვეტილებით სამოწყალოდ აქვს და სანუგეშოდ კრებულს ღრუდე თევზიანი წყალი, ეკუთვნის ორი წილი კრებულს და მესამე წინამძღვარს, სხვათა უწყალობეს თანა, ესეცა მიაქვსთ ნახევარი წინამძღვარს, რომლისგანაც სარგებლობს ეპისკოპოსიცა.

ვ/ ხსენებული მონასტრის ჯამაგირები შესცვალა პირველი წყობილება და გაატანა გარეშე პირებზედ.

ა/ორმოცი მანეთი იოსოს მღვდელმონაზონს, რომელიც სცხოვრობს თავის ოჯახში ძმასთან.

ბ/ ორმოცი მანეთი ეძლევა მოსე ბერს საჩინოს, რომელიც სცხოვრობს მრევლშიდ.

გ/ ორმოცი მანეთი ეძლევა ქვრივს დედაკაცს მოწამეთას.

დ/ ორმოცი მანეთი ეძლევა ხონს ერის კაცს.

ე/ ორმოცდაათი მანეთი მართა მონაზონს ქუთაისშიდ, თავისუფალ ცხოვრებაში და არა დედათა მონასტერში და გაენათის კრებულს საზრდოც არა აქვსთ და ჯამაგირიცა გამორიცხა, გარეშე პირებს აძლევს და აქაურებს აბრკოლებს..."

მონასტრის კრებულს არაერთხელ მიუმართავს გერმანე ეპისკოპოსისათვის მსგავსი განცხადებებით, მაგრამ ამგვარი „რაპორტები უნდა ეგდოს გაუხსნელად მის კრაოტის ქვეშ ვიდრე სამოც დღემდე და არცა შემდგომში მიიღებს განხილვაშიდ" გაკვირვებულნი კითხულობენ ბერები!

ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რა რეაგირება მოახდინა სინოდის კანტორამ ამ საჩივარზე, საარქივო მასალებით ეს არ ჩანს, მაგრამ ორი თვის შემდეგ ეპისკოპოსმა გერმანემ მონასტრის კრებულს ახალი წინამძღვარი ნიკოლოზ ნიჟარაძე წარუდგინა. ეს დანიშვნა მოხდა 1859 წლის 9 აპრილს. ძველი მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერმანეთს: ერთი წინამძღვარია, მეორე-ბენედიქტე, იგივე ბესარიონ ჭირაქაძე უკვე მღვდელმონაზონი, ხოლო მამამისი სიმონი კი კვლავ მონასტრის მეკლიტურია.

აქვეა გელათში ისააკ დოღონაძეც...

ახალი წინამძღვრის დანიშვნიდან გადის ორ თვეზე ცოტა ნაკლები და...

1859 წლის 19 მაისს დილით, შვიდ საათზე, არქიმანდრიტ ნიკოლოზთან ქუთაისში, ჩავლენ მღვდელ-მონაზონი ვენედიქტე /ჭირაქაძე/ და მოსწავლე მღვდლის შვილი ესტატე ჯიშკარიანი. წინამძღვარმა 18 მაისს დატოვა მონასტერი და ქალაქში იყო რაღაც საქმეზე წამოსული, რომელსაც არ ასახელებს. მოამბეებმა მას განუცხადეს, რომ ღამით გაუძარცვავთ მონასტერი და გაუტანიათ ძვირფასნი ხატნი და ნივთები. არქიმანდრიტმა იმ დღესვე აცნობა ეს ამბავი იმერეთის ეპარქიის კანცელარიას, აქედან ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს და დაიწყო დათვალიერება-დაკითხვა. აღმოჩნდა რომ გაძარცული იყო ღვთისმშობლის ტაძარი.

1. ძვირფასი თვლებით შემკული ხახულის ღვთისმშობლის ხატი,

2. ე. წ. ოთხკუთხა ოქრო, ძვირფასი თვლებით შემკული,

3. მაცხოვრის ხატი,

4. საშუალო ზომის ვერცხლით მოჭედილი ღვთისმშობლის ხატი,

5. ვერცხლის დიდი კანდელი, რომელიც ენთო გელათის ღვთისმშობლის ხატის წინ,

6. ოქროს ნივთები: ჭურჭელი, ფიალა, კოვზი და ორი ვარსკვლავი,

7. ვერცხლის ორი თასი,

8. ერთი დიდი და ორი პატარა ზომის ვერცხლის თეფში,

9. ვერცხლის ერთი შანდალი,

10. ვერცხლით მოჭედილი დიდი შანდლის ზედა ნაწილი,

11. ორი ოქროსა და ცხრა სხვადასხვა ზომის მედალიონი,

12. ცამეტი ბეჭედი და ვერცხლის სამი საყურე,

13. სამი ნახევარმპერიალი,

14. ვერცხლის ორი სახელურიანი ფიალა.

იმავე დღეს, მონასტრის ირგვლივ გალავნისა და ღობის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ჭიშკრის საკეტი არ იყო დაზიანებული, ასევე არ აღენიშნებოდა დაზიანება მთავარი კარის შიდა საკეტებს, მაგრამ ადგილზე არ აღმოჩნდა ჩრდილოეთის მხრიდან შემოსასვლელი კარების გარეთა საკეტი. საკრებულო ტაძარში ხახულის ხატის კარედი ხელუხლებელი იყო, მაგრამ მარცხენა მხრიდან ხატის მინის ჩარჩო ღია იყო, ხოლო მისი სპილენძის საკეტი კი იქვე, იატაკზე ეგდო, გასაღების გარეშე. ჩარჩოს უკან დასვენებული ხახულის ღვთისმშობლის თავი ხატი ამოღებული იყო კარედიდან.

ძებნა მეორე დღესაც გაგრძელდა. ტაძრის ღობეში აღმოჩნდა ხელუხლებელი გასაღები, ხოლო მისგან მოშორებით იპოვნეს ხახულის ღვთისმშობლის ხატი გაძარცული და ორად გახეთქილი.

აღნიშნულ დანაშაულში ბრალი წაუყენეს სხვადასხვა პიროვნებებს, ესენი იყვნენ: სვანი ეზია ავალიანი, სტეფანე ალადაგოვი, სოლომონ მაზაპაშვილი, დავით აბაშიძე, ნიკა გლონიძე, ბასილა და ივანე ბაბუხადიები, თევდორე ბუხაიძე. ქვრივი ნინო კანდელაკი, მორჩილი ეკატერინე, ეგორ თამაზოვი, ეგორ ნერსესოვი, ბათრაჯი კუკია, ლეკი – ქაჯიევი, ივანე თავაძე, მათე კუხიანიძე. აქვე წინასწარ დავსძენთ, რომ მათი უდანაშაულობა 1860 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით სცნო ქუთაისის საგუბერნიო სასამართლომ. საბრალდებო დასკვნაში არ ჩანს თუ რა საბაბით იქნენ ზემოხსენებულნი მოქალაქენი ეჭვმიტანილად.

აგვისტოს თვეში გელათის მონასტერი მოინახულა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა, დაკითხა მონასტრის მეკლიტური სიმონ ჭირაქაძე. მისი ნამსახურებითი ნუსხა ასეთი იყო: „სოხასტრის დედათა მონასტრის მღვდელი სიმონ ჭირაქაძე, საღმრთო წერილი, წერა და გალობა უსწავლია გაენათის მონასტერსა შინა, გაენათის სოფლის წ-ის ელია წინასწარმეტყველის ეკლესიისა შინა უმსახურია მღვდლათ თორმეტს წელს და აგრეთვე გაენათის მონასტერსა უმსახურია მღვდლათ თორმეტს წელს და აგრეთვე გაენათის მონასტერსა შინა მსახურებს კლიუჩერობით და განსვენებულის სოფრონიოზ არქიეპისკოპოსის მიერ გაწესებულ არს სოხასტრის დედათა მონასტერსა შინა მღვდლათ ასრულებს ამასა თანამდებობას სიმარჯვით და თვნიერ ბრონძოვის ჯვარის არსთა ნიშანი მიუღია ერთგულებითის სამსახურისთვის. კაი ყოფაქცევის და შემძლებელი თანამდებობის“.

გამოირკვა, რომ მონასტრის გაძარცვის ღამეს ს. ჭირაქაძე იმყოფებოდა ბერ შიოს სენაკში და მონასტრის დიდი კარების გასაღებები ინახებოდა მასთან, ხოლო ხახულის ხატის კარედის გასაღები მის მიერ დამალული იყო საიდუმლო ადგილას.

თუმცა პირველად მიცემულ ჩვენებაში მღვდელი აცხადებდა რომ ღვთისმშობლის ხატის კარედის გასაღებებიც მასთან ინახებოდა, არ ვიცით, გენერალ-გუბერნატორის შიშით თუ სხვა მოსაზრებით, ეს შეუსაბამობანი გახდა მიზეზი მღვდლის მესამედ დაკითხვისა, მღვდელმა ჭირაქაძემ ეს ამბავი ასე ახსნა: „გასაღებები ხშირად მასთან ან საიდუმლო ადგილას იყო და ამ ადგილის შესახებ ცნობილი იყო მხოლოდ მისი ვაჟიშვილის ბერ ბენედიქტესათვის, ამასთანავე მან დეტალურად აღწერა საცავიდან ხატის ამოღების პროცესი: „ეს შეუძლებელია სანამ არ შებრუნდება ოქროს მილები, რომლებიც ხატს ოთხი მხრიდან ამაგრებენ და სანამ პატარა ზომის რკინის ასაწევით არ იქნება წამოწეული ხატის ზემოთ მდებარე საცავში ჩადებული დიდი ოქროს ბეჭედი. მხოლოდ კარგად გათვითცნობიერებულ ადამიანს შეეძლო დაუზიანებლად ხატის ამოღება ან კიდევ მას, ვინც რამდენიმეჯერ ნახა აღნიშნული პროცესი.

ამის შემდგომ დაიკითხა მღვდელ-მონაზონი ბენედიქტე ჭირაქაძე. მან განაცხადა: „რომ არ იცოდა თუ სად იყო აღნიშნული /18 და 19 მაისის/ ღამით მონასტრის ჩრდილოეთ კარებისა და ხახულის ღვთისმშობლის მინის ჩარჩოს კარებების გასაღებები". ამასთანავე დასძინა, რომ როცა მამამისი, მღვდელი ჭირაქაძე იქ არ იყო, დიდ გასაღებს ან მასთან ან მონასტრის სხვა ბერებთან ტოვებდა, ხოლო ხატის გასაღებს ხანდახან ინახავდა საკურთხეველთან ან კიდებდა მგლოვიარე ღვთისმშობლის ხატის წინ. როცა მამამისი მიდიოდა სადმე შვილს ყოველთვის მიუთითებდა ადგილს, სადაც ტოვებდა გასაღებს, რათა საჭიროების შემთხვევაში გაეღოთ ხახულის ხატის მინის კარები... ხან ამას აკეთებდნენ მონასტრის სხვა ბერები.

ბენედიქტე დაეთანხმა მამამისის ჩვენებას, რომ გაუთვითცნობიერებელი ადამიანი ვერ შეძლებდა გაეხსნა ხატის საცავი და დაზიანების გარეშე ამოეღო იქედან ხატი.

სხვათა შორის, სიბნელისა და სიჩქარის გამო, მძარცველებს ხახულის ხატიდან აუგლეჯიათ მხოლოდ ჭედური და მინანქრიანი ხატი, ბოლომდე მისი გაძარცვა ვერ მოუხერხებიათ. გალავანში, აღმოჩენილ მაცხოვრის შობის ფიცარზე დარჩენილი იყო „თექვსმეტი თვლები და ცხრა მარგარიტი, მარცხენა გვერდზედ ოქროს სალტით ამოცვენილის ერთის დიდის ქვით და სამის პატარათი, ერთი მარცვლის მარჯნით, ორის ვეცხლის ღილის ას ოთხმოცდაათის მარგალიტით, ერთის ბეჭდით და ორის პატარა ნაჭერის ოქროთი". შემთხვევით გადარჩენილი „დიდი ქვა" ქართულ საისტორიო ლეგენდებში მოხსენიებული „კედელა" იყო, დავით აღმაშენებლის მიერ შეწირული ხატისათვის...

ბერი ბენედიქტეს ჩვენებამ და საერთოდ აღნიშნულმა ძარცვამ დიდი ეჭვიანობა ჩამოაგდო მონასტრის ძმათა შორის. ამგვარი დაძაბულობა გაგრძელდა მანამ, სანამ გელათის წინამძღვარმა ნიკოლოზ ნიჟარაძემ არ განაცხადა ღიად: „ასეთი ადამიანი ბერი ბენედიქტეა, რომ ბერი გულგრილად და გაუფრთხილებლად ექცევა სიწმინდეებს, ხშირად არ არის მონასტერში, მისი ცხოვრება კი მეტად ჰგავს საერო, ვიდრე სასულიერო პირის ცხოვრებას, რომ როცა ბერები საუ-

ბრობდნენ მონასტრის გაძარცვის ფაქტის შესახებ, თურმე ბენედიქტეს სახე ეცვლებოდა, არ გამოხატავდა გულისტკივილს ამ უბედური შემთხვევის გამო". წინამძღვარმა ისიც დასძინა, რომ „ბენედიქტე ხშირად ამბობს, რომ დააპატიმრებენ მონასტრის გაძარცვის ბრალდებით" არქიმანდრიტის თქმით „მონასტერში მცხოვრებ ადამიანთა შორის ეჭვმიტანილად შეიძლება მხოლოდ ბენედიქტეს ცნობა".

ამგვარ პოზიციას აფიქსირებენ მონასტრის სხვა ბერებიც, რადგან მონასტრის გარეთ მცხოვრები პიროვნება ვერ მოახერხებდა ასეთი დანაშაულის ჩადენას.

ბენედიქტემ სცადა თავის მართლება, მან არ აღიარა დანაშაული და განაცხადა: „რომ მისთვის გაუგებარია თუ რატომ სდებენ ბრალს მას მონასტრის მესვეურები იმ დროს, როცა ამის ჩადენა ნებისმიერ მათგანს შეეძლო".

თუმცა დაგვიანებით, გაუგებარია რატომ, მაგრამ მაინც დაჩხრიკეს ბერ-მონაზონთა საკნები, მხოლოდ ბენედიქტეს საკანში აღმოჩნდა „შავად ნაწერი არქიმანდრიტ ნიკოლოზის შესახებ დაბეზღება სინოდში, სხვადასხვა სასიყვარულო წერილები ქალებისადმი, უხამსი ლექსები, გარყვნილების სამკურნალო რეცეპტი".

ბენედიქტე კვლავ შეეცადა თავის მართლებას და დასახელებული სამხილი თუ ნივთმტკიცებანი სხვას მიაკუთვნა, მისი განცხადებით „სასიყვარულო წერილის ავტორია დედათა მონასტრის მონაზონი ელენე /ელისაბედ/ ჭუმბურიძე და განეკუთვნებოდა აზნაურ დიმიტრი კანდელაკის მეუღლეს მაიას, ხოლო წერილი კი /დაბეზღება არქიმანდრიტზე – გ.ტ./ ჭირაქაძესთან შემთხვევით მოხვდა. გარყვნილების სამკურნალო რეცეპტი დაწერილია აწ გარდაცვლილ აზნაურ გიგოლა მეძმარიაშვილის მიერ და წამოღებულია ბენედიქტესაგან როგორც აღნიშნული დაავადებისაგან თავის დაღწევის სასარგებლო საშუალება. უხამსი ლექსები განეკუთვნებოდა მონაზონ ელენეს და გადაწერილია ბენედიქტეს მიერ ვიღაც უცნობისაგან გამოგზავნილი ეგზემპლიარიდან".

სასულიერო მხრიდან ამ საქმის გამოსაძიებლად დანიშნული იყო მღვდელი კანდელაკი, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავდა: „ბენ-

ედიქტემ გუბერნიის პროკურორსა და გამომძიებელთა თანდასწრებით განაცხადა შემდეგი: „მონასტრის ძარცვას თითქოს იღებდა საკუთარ თავზე, მაგრამ მოპარული ნივთების შესახებ არაფრის თქმა არ შეეძლო“ მღვდელ კანდელაკის ამ სერიოზულ შენიშვნას შემდგომში მხედველობაში მიიღებს სასამართლო, თუმცა ბენედიქტეს ეს გამონათქვამი, რატომღაც გამომძიებელთა ოქმებში არ არის შეტანილი. ამ ფაქტზე შემდგომ ყურადღებას გაამახვილებს მმართველი სენატი და აღნიშნავს, რომ ბენედიქტეს ბრალეულობა არ არის დამტკიცებული იურიდიულად იმის გამო, რომ „ადგილობრივმა მთავრობამ ძარცვის ფაქტის დადგენისას არ იზრუნა, რომ მონასტრის ყველა გასასვლელთან დაეყენებინათ დაცვა, მაშინვე არ მომხდარა მონასტერში მყოფი ბერების გაჩხრეკა, რის გამოც ხელიდან იქნა გაშვებული ნივთების ცხელ კვალზე პოვნის შესაძლებლობა“, ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ზემოთნახსენები არქიმანდრიტ ნიკოლოზის პატაკი იმერეთის ეპარქიის კანცელარიაში დარეგისტრირდა მხოლოდ 22 მაისს, ხოლო იმერეთის ეპისკოპოსმა გერმანემ ძარცვის შესახებ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში პატაკი 23 მაისს გაგზავნა...

1859 წლის მიწურულში ეპისკოპოსმა გერმანემ წერილით მიმართა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაეპატიმრებინათ ეჭვმიტანილი მამა-შვილი.

გელათის მონასტრის არქივში დაცული მასალების მიხედვით, ძიებამ ყურადღება გაამახვილა ბრალდებულის პირად საქციელზე, მის უზნეობასა და უხამსობაზე. ამ დოკუმენტებში ნათლად ჩანს, შეიძლება ამგვარი მიდგომა გამომძიებლებს განგებ ხელს აძლევდათ, წარმოაჩინონ მღვდელმონაზვნის პიროვნული ბუნება და არა დაკარგული ნივთებისა და სიწმინდეების შესახებ მოიპოვონ მამხილებელი დოკუმენტები.

გამოძიებამ დაადგინა, რომ უხამსი ლექსების ავტორი სულაც არ იყო მონაზონი ელენე. ჭუმბურიძის ქალი ამგვარ ახსნა-განმარტებას იძლევა ამ ბრალდებისა თუ ცილისწამების შესახებ და უარყოფს ლექსების წერას, საერთოდ: „მიმოთქმით გავიგონე ვითმოც მღვდელმონაზონს ვენედიქტეს

მიეჩემებიოს ჩემს სახელზედ ის საძაგელნი ბარათები, რომელნიც უპოვნიათ შეპყრობის დროს მთავრობას მის ჯიბაში და ესე ვითარნი ბარათები თუ ლექსები უწმიდესის სინოდის კანტორისგან წარმოგზავნილ იყვნენ ჩაკერებითა ჩვენის მეუფისა იმერეთის ეპისკოპოსისა, რომლის სმენა მე შეძრწუნებულს მყოფს და ვმწუხარობ სულით და ხორცით. ღირსო დედაო თქვენ ვითარცა გონიერი და ღვთის მოყვარე დედა მონასტერის ადვილად სცნობთ საქმე ესე არის მღვდელ მონაზვნის ვენედიქტეს მიერ აღდგენილი ჩემზე ერთის ოდენ შურისძიებათა მით უმეტესად რომელ რადგანაც მე უშლიდი მაშინ ჩემთან მდგომარეს დედათა მონასტერში ჩხეიძის ქალს ეკატერინას წინა აღმდგომს მონაზვნობის ხარისხისადმი ცუდს ყოფაქცევასა მღვდელ მონაზვნის ვენედიქტესთან შენიშნულსა ჩემ მიერ" საკუთრივ წინამძღვარი ქრისტინე ეპისკოპოს გაბრიელისადმი მიმართულ განცხადებაში ელენე მონაზონის შესახებ აღნიშნავს: ესე ვითარი შეწამებანი მღვდელ მონაზონის ვენედიქტესაგან როგორც თვითონ აცხადებს თვისს განმამართლებელს ქაღალდში, მონაზონი ელისაბედი, აგრეთვე დამარწმუნეს რათა ამა მონასტრისათა არა ერთგზის კითხვით ჩემ მიერ, და მე დროიდგან ჩემის ამა მონასტერში განწესებისა არა ვხედავა უწესობასა მისსა. ატარებს კეთილის და შესაფერის აღთქმათა მონაზონურის წესს სიმარჯვით და პატიოსნებითა, მიღებულ არს ამა მონასტერში მორჩილად მიტროპოლიტის დავითის მიერ ჩყმზ–სა /1847/ წელსა.

ქუთაისის ციხიდან მღვდელი სიმონ ჭირაქაძე, როგორც ხანდაზმული და უდანაშაულო 1860 წელს გაათავისუფლეს. 1860 წლის დეკემბერში განხილული იქმნა ბენედიქტე ჭირაქაძის საქმე სასამართლოში, რომელმაც ყურადღება მიაქცია შემდეგ გარემოებებს:

1. ეჭვმიტანილ ბენედიქტეს უწესო და დაუდევარ საქციელს.

2. გელათის მონასტრის წინამძღვრის მიერ მის არაკეთილსაიმედო დახასიათებას, ასევე ბერების მიერ საერთო დადანაშაულებას ძარცვაში.

3. თავად ბენედიქტეს ჩვენებას, იმის შესახებ, რომ არავის შეუძლია ხახულის ღვთისმშობლის ხატის ამოღება თავისი საცავიდან მისი დაზიანების გარეშე.

4. ბრალდებულის მამის ჩვენებას იმის შესახებ, რომ აღნიშნული ხატის საცავის გასაღები ინახებოდა მასთან, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში გადასცემდა შვილს ბრალდებულ ბესარიონს.

5. თავად ბენედიქტეს მიერ საგუბერნიო პროკურორისა და გამომძიებლების თანდასწრებით წარმოთქმულ სიტყვებს: „მონასტრის ძარცვას, ვთქვათ, საკუთარ თავზე ვიღებ, მაგრამ მოპარული ნივთების შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია“ ყოველივე ეს კი ძლიერი ეჭვის საფუძველს იძლევა გელათის მონასტრის ძარცვის საქმეში.

აღნიშნული საქმე განაჩენთან ერთად გადაეგზავნა ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორს, ხოლო მის მიერ საქართველო-იმერეთის სინოდალურ ბიუროს. ამ დაწესებულებამ საგუბერნიო სასამართლოს აცნობა შემდგომი: „ბიურომ განიხილა მღვდელ ჭირაქაძისა და მისი ვაჟიშვილის ბერ ბენედიქტეს ბრალეულობის საქმის ვითარება. ასევე იმსჯელა იმ პიროვნებათა შესახებ, რომელთაც უნდა დაეცვათ მონასტრიდან გასასვლელები, განსაზღვრა: 75 წლის ჭირაქაძე, რომელმაც არ აღიარა დანაშაული და მისი ბრალეულობის საკითხი არ იქნა დამტკიცებული, არ იქმნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხგებაში, ასაკის გამო გათავისუფლებულ იქნას მონასტერში დაკავებული მეკლიტურის თანამდებობიდან, ხოლო მისი ვაჟიშვილი, ბერი ბენედიქტე გადაეცეს სასამართლოს, რომლის დასრულების შემდეგ თუკი არ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი განსაკუთრებულად იქნას განხილული მის მიერ ჩადენილი სასულიერო პირისათვის შეუფერებელი საქციელი“.

პატიმრობაში მყოფ ბერმონაზვნის მცდელობები როგორმე თავიდან აეცილებინა საერო და სასულიერო სასჯელები უშედეგო აღმოჩნდა. თუმცა მას ამ მხრივ ცდა არ დაუკლია. როგორც მასალებიდან ჩანს, მონასტერში ბერს არამარტო მტრები, არამედ მოკეთეებიც ჰყავდა. მართალია ის ციხეში ზის, მაგრამ ყველაფერი იცის თუ რა ხდება მის არყოფნის

დროს მონასტერში, თუ როგორ გაუყიდეს პირადი ქონება, რომელთა შორის დასახელებულია ნაწილებიანი გულსაკიდი ხატი. სატუსაღოდან იგი მითითებებს აძლევს თავის ახლობლებს ყოველივე ჩაიბარონ ხელწერილით და სხვა. ამავე დროს ის აგროვებს ცნობებს მონასტრის წინამძღვარზე, ვისი წყალობითაც მოხვდა ამგვარ გაუგებრობაში. ბენედიქტე წერილით მიმართავს საქართველო-სინოდის კანტორასაც, ამ წერილით ბევრი რამ საგულისხმო ირკვევა. მოგვყავს რამდენიმე ამონარიდი: „დროიდგან მცირე წლოვანებისა ჩემისა მე, აღმოვიზარდე გაენათელის მონასტერშიდ, სადაც ვიმყოფებოდი იქ ვიდრე ამა უკანასკნელს ჟამამდე, რომელ მე ვიქმნები დღეს ორმოცი წლისა.

წარსულ წელში, მაისის თუეშიდ მოხდა საუბედუროდ ჩემდა გაცარცუა გაენათელის ღვთისმშობლის ხატისა და იქიდგან მოკიდებული ვიმყოფები სასტიკს ტყვეობასა ქუეშ... მაშინ ოდესაც მოვმართე საჩივარი არზითა კანტორისა თანა და განვაცხადე მას შინა ამა საქმესა შინა უბრალოდ წვალება და მასთან შევიწროება ჩემი უმართლო მტრისა ნიკოლოზ არხიმანდრიტის ნიჟარაძისა, რომელსაც აქუს ჩემთან პირველიდგან და რაისა მიზეზითა აქვს მას ჩემთან ესევითარი მტრობა სრულად არა ვუწყი... ამასაც დავსძინებ, რომელს უფალს ნიკოლოზ არხიმანდრიტ ნიჟარაძეს, არა თუ ერთი მხოლოდ ჩემზედა ემოქმედოს ესრეთი უწესოება, არამედ მსგავსი ამგვარნი უწესოება უხელმძღვანელებია, რომელსაცა ქვემორე ამის განვაცხადებ. ამის შემდეგ გატანილია, თუ როგორ გააჩუქა ნიკოლოზ არხიმანდრიტმა ეკლესიის /გელათის – გ.ტ./ ფულით შეძენილი ორასი ღერი ფიცარი, რომლის ფასი ცალის იყო სამი მანეთი.

...ნიკოლოზ არხიმანდრიტმან ამა აღნიშნულთა ყარაულებთა გარდაახდევინა ქრთამად პირველ გრიგოლა ჯანგავაძეს და გოგია ტყაპლაძეს ერთი საპალნე ღვინო, გლახუა კეზევაძეს ერთი ცხვარი... რომელიც ამგვარის უწესო მოქმედებით პირველიდანაც იყო ყარაულის დაუყენებლობა უჩასტკის ნაჩალნიკის მიერ, რომელ ამგვარად სთხოვდნენ მცხოვრებთა ქრთამსა და რადგან სიღარიბით ვერ აძლევდნენ, ამის გამო მოხთა ესრეთი უბედურებითი შემთხვეულება გა-

ენათლის მონასტერშიდ ერთის მხოლოდ უყარაულობისა გამო“.

ამგვარ დაუდევრობათა ისტორიიდან გელათის მაშინდელ სინამდვილეში, საინტერესოა გელათის საეკლესიო ყმის დავით ტყაპლაძის მოხსენება, დაწერილი 1862 წელში, როდესაც გელათის გაძარცვის ირგვლივ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მიღებული არ არის, ხოლო ყოფილი წინამძღვარი ნიკოლოზ ნიჟარაძე, ჩამოქვეითებულია /!/ და კაცხის მონასტერშია გამწესებული წინამძღვრად! ყოფილი ყარაული წერს: „...მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ მე გარდამაყენა ყარაულობისაგან დედათა მონასტრიდამ არხიმანდრიტმა ნიკოლოზმა, მისთვის რომელ ერთს ღამეს იგი არხიმანდრიტი ამოვიდა დედათ მონასტერზედ არა არა წმინდათ. ამ დროს ყოველს კაცს სძინავდა და მე ყარაულის წესისამებრ მღვიძარეი ვიყავი და გაიყვანა დედათა მონასტრიდამ იქით გალავანს გარეთ ელენე ჭუმბურიძის ქალი და ძაღლები გაეკიდენ. მე ვიღაცა ქურდი მეგონა და გავრინდდი და მოვმართე გატენილი თოფი და ეს არის ვესროლო, და რა დაუახლოვდი, ვნახე არხიმადრიტი ნიკოლოზი იყო და ელენე ჭუმბურიძის ქალი და რაი შემიტყო იქ ასვლა და მეორეს დღეს ყარაულობიდან გამაგდო. რაიც ვაჩვენე სიმართლე არს. ამას ფიცით დავამტკიცებ, ყმა დავით ტყაპლაძე, რადგან მე წერა არ ვიცოდი, ხელისმოწერა ავასრულე და მივანდე ნიკო ესაიშვილს“.

საქართველო-იმერეთის სინოდალურმა ბიურომ ეჭვმიტანილად სცნო ბერი ბენედიქტე, ხოლო უწმინდესმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება მისთვის სასულიერო წოდების ჩამორთმევის შესახებ. ბენედიქტემ შეიტანა აპელაცია, მაგრამ არ განიხილეს.

1864 წლის 30 მარტის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით მას ხარისხი აყარეს.

მანამდე, ერთი წლით ადრე რუსეთის სენატმა განიხილა გელათის გაძარცვის საქმე და მისი განაჩენის კვალდაკვალ ქუთაისის საგუბერნიო სასამართლომ მღვდელ-მონაზონი ბენედიქტე ჭირაქაძე უდანაშაულოდ სცნო. მას ჩამოერთვა გელათში ცხოვრების უფლება და გაბრიელ ეპისკოპოსის

განკარგულებით გაგზავნილ იქნა შორაპნის მაზრის ვანის მონასტერში. მისი არაერთი ცდისა, დაებრუნებინა სასულიერო ხარისხი, უშედეგო აღმოჩნდა.

მონასტრის მდგომარეობა, მისი განძთსაცავის დაცვა და მოვლა-პატრონობა არც შემდგომ წლებში გაუმჯობესებულა.

მღვდელ-მონაზონი ისააკ დოღონაძე ძმათა კრებულის დაბეზღების შედეგად 1864 წელს გელათიდან ახლა უკვე ჭელიშის მონასტერში გადაიყვანეს. გელათის წინამძღვარი ამგვარად ახასიათებს ბერს: „მღვდელ-მონაზონი ისაკი იყო ყოვლის ბოროტებით აღვსილი,... ეგრეთვე მედანოსე,... ეგრეთვე მრავალგზის დაუწერია საზიზღარი ლექსები დედათ მონაზვნებთადმი... და უკანასკნელ იყო წაყვანილი მიტროპოლიტ დავითისაგან გარეჯის მონასტერშიდ, საიდანაც მოიტაცეს ლეკებმა. გარნა დასასჯელად აქაურთა კრებულთა კ~დ მობრუნებული იქნა და რადგან დღეს არის მოხუცებული, მე ვაიმედებდი თავსა ჩემსას რ~დ ის იქნებოდა ამგვარის ბოროტებაზედ ხელაღებული, მაგრამ რაც მე ვხედავ მას არ გალბობია გული მოხუცებულობისა.

ის იქცევა ეკლესიაშიდ უშვერად, ამაყად, ამპარტავანად, სიცილითა და ლაპარაკითა და მოაქვს თავი თავი უმაღლეს ყოველთა აქა მყოფთა პირთა რ~ი მრავლის დარიგებითა არა დასდგა წესიერებაზედ“.

მღვდელმონაზონმა ისააკ დოღონაძემ გულისშეძვრამდე განიცადა გელათის გაძარცვა და რასაკვირველია, თუნდ უნებურად მონაწილენი ამ საქმისა, ვერ ჰგუობდნენ მის ჭეშმარიტ ღაღადებას და თავგანწირვას მრავალსაუკუნოვანი მონასტრის ღირსებისა და მისი საგანძურის დაცვის საქმეში. ისააკ ბერმა ასე გამოიტირა მონასტრის გაძარცვა:

„ჩყნთ /1859/ წელს მაისის ით /19/ დღესა

მოხსენება საშინელისა მის და ყოველთა შესაძრწუნებელისა ზოგად ქრისტიანეთათვის ოდეს მეორედ იერუსალიმად წოდებული და ცათა მობაძავ დიდი მონასტერი გაენათისა და ამას შინა ნივთნი დღესა ამას მოტაცებულ იქმნა ავაზაკთაგან დიდი ძალი იგი ნივთნი რომელნი აღწერილ არს აქა.

ხატი ყოვლადწმიდისა ხახულისა მღთის მშობლისა თვისით სამკაულითურთ. ესე მრავალთა სმენილ არს, ხატი ესე ყოვლადწმიდისა მღთის მშობლისა მხატვრობითა ხელოვნებისათა დახატულ არს ლუკა მახარებლისა მიერ, ფიცარსა ზედა მას, რომელსა ზედა იშვა თანადაუსაბამი მამისა ხორცითთა იესუ, ძე მღთისა. ხოლო თვით სძითა ყოვლადწმიდისა მღვთის მშობლისათა შემზადილ იყო წამალი იგი მხატვრობისა, ვითა ცხოვრება მისი მოგვითხრობს და სამკაული მას ზედა დიდი მეფის დავით აღმაშენებლის მიერ, რომელი კეისრისაგან მოეძღვნა მარგალიტითა თლვითა და ანთრაკითა, რომელ ვერცა რიტორთა და ფილოსოფოსთა შესაძლებელ არს ნივთთა ფასდადებად. ხოლო რაოდენიმე თამარ მეფისა მიერცა შეწირულნი ნივთნიცა მას ზედა და ყოვლად მეფეებთაგანც შეწირულნი ნივთნი. ხოლო სამნი იგი თვალნი შეწირულნი დავით აღმაშენებლისი მიერ შუბლისთანა იყო ყოვლად წმიდისა, რომელ მხილველნი ყოველნი განკვირვებულ იყვნენ და არცა თანა სწორი მათსა პოვნილ არს. რომელთა სახელები ესე არს: ობოლი, კერდული და შებეკა.

და დღესა მესამესა ჟამსა შვადღისა დღესა ოთხშაბათსა ვიხილეთ ხატი განძვრილი მონასტრის ზღუდის გარეგან უმეტეს ოთხისა საჟენისა, რომელ ორად განპობილ იყო.

ჰოი, საშინელსა მას სახილველსა და შესაძრწუნებელსა დღესა ამას! ვითა ძემან მისმან და შემოქმედმან ყოველთანამ ჯერ იჩინა ნეფსით ვნება ჯვარსა ზედა ურიათაგან, ეგრეთვე დედამან მისმან ჯერ იჩინა ნებსით მიშვება მას ზედა ავაზაკთა ხელთაგან და ესე ყოველი ჭეშმარიტად ცოდვათა ჩუენთათვს იქმნა. და ხატი იგი ყოვლად წმიდისა ღმთის მშობელისა კვალადვე კუბოსა თვისსა დასვენებულ არს. არამედ ვმადლობ მეოხებასა მისსა სრულიად არა უგულებელს გვყო და კუალად ღირს ვიქმენით თაყვანის ცემად მისსა. ჩუენ ცოდვილნი და ღირსნი ესე მუნ მყოფნი ძმანი წმინდისა ამის გაენათისა მონასტრისანი არამედ შენ ცათა უმაღლესო და ხერობინთა უწმინდესო დედაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო მარიამ, ნუ დაგვიტევებ. ითხოვე წინაშე ძისა შენისაგან გვეუწყოს ვის მიერ და რომლისა მწიკლოიანისა ხე-

ლთაგან მოტაცებულ იქმნა დიდ ძალი იგი საუნჯე შენი, ჰოი, დედოფალო! არა ვინ მხმობელი შენი უსმენილ იქმნა შენ მიერ. რამეთუ შენგან ყოველნი შესაძლებელ არს, რაიცა ითხოვო წინაშე ძისა შენისა ამისათვის ვითხოვეთ ვედრებით ნუ სძლევს სიმრავლე ბოროტთა ჩუენთა შენსა სახიერებასა და ფრიად მწუხარება ჩუენი შესცვალე სიხარულად, ჰოი, სულით და ხორცით კურთხეულო მარიამ.

და აწცა რომელნიცა ნივთნი მას დღესა მიტაცებული იქმნა მონასტერსა ამას გაენათისასა ესე არს: საყდარი ქრისტესი რაოდენიმე ნაწილი თვის ოქროს ჭურჭლითა და მას ზედა დაბმული ვერცხლის ჯაჭვითა და ოდეს შობასა უფლისასა აღმოსავლით მოინივნენ მოგენი ახლად შობილისა უფლისა ძღვნისა შეწირვად და შეწირეს მას ოქრო, გუნდრუკი და მური, ხოლო ოქროთი იგი სრულად მონასტერსა შიდა დასვენებულ იყო წინაშე მღვთისმშობლისა. სუდართა თანა დიდძალთა ნივთთაგან შემკული, რომელსა აქვნდა სიგრძე და სივრცე უმეტეს ხუთისა ვერშოკისა და დიდისა მეფისა სოლომონისა ძისა ალექსანდრე მიერ ჩღპ /1780/ წელს შინა შეწირულნი ფეშხუმი, კამარა და კობძი. ხოლო ვერცხლისა ტაკუკი ორი, ნალბაქი ვერცხლისა სამი და სასანთლე ვერცხლისა ორი და ამასთანავე ერთი ფრიად დიდი კანდელი ვერცხლისა. ყოველნივე ნივთნი ზემოაღწერილნი ერთბაშად მოტაცებულ არს.

ჰოი, დღესა ამას ყოველთაგან საგლოველთა მეფეთა და მთავართა, მღვდელმთავართა და ყოველთა დასთა სამღვდელოთა ერისკაცთა, მოხუცებულთა და ჩვილთ. რაი არს ესე ცოდვათა ჩვენთათვის მოწევნული, ვინ მიიბარა საუნჯე ესე დიდძალი, ვინ წარიტაცა სიქადული ჩვენი, არა ხოლო თუ ჩუენნი, არამედ ზოგადად ქრისტიანეთა. დედოფალო, შენ მარადის ძისა შენისათა სუფევ, ხოლო ჩუენ მწუხარებისა შინა სასოებასა არა წარკკუეთთ... ნუ ადროებ შენთა სიგრძესა ისწრაფე და ცხადად გვაუწყე ვის მიერ იქმნა და მწუხარებასა ჩვენსა ნუგეშინის ეც.

ჰოი, დღესა ამას საშინელსა! ჰოი, სასმენალადმცა საკდემელსა! ჰოი, დღესა მას მიმსგავსებულსა, ოდეს ჯვარსა ზედა გარდმოეკიდა ხორცითა თანა არსი მამისა და სულისა

წმიდისა იესუ ქრისტე, ძე ღთისა და უკეთუ ჯვარსა ეცვა, უწინარეს ადამისა იყო განზრახვა მამისა, რათა ჯვარს ეცვას იესუ და ჩუენ დანთქმულნი აღმოგვიყვანნა. ამისათვის საგლოველ არს უმეტესად დღე ესე ჩუენ ზედა და ზოგად ქრისტიანეთა.

და აწ შენ დაცა ჯერ არს მოხსენებად ყოველთა ტომთა შენთა, დიდო მეფეო დავით, ძირითაგან იესიანო, რტოთაგან დავითიან, გვარ-ტომობით სოლომონიანო, რომელმან განსდევნე ცრუ სჯულის დება მახმედიანთა. რომელსა ცხადად გაუწყებდა დიდი მთავარმოწამე გიორგი შეწევნასა და ამით სძლევდა მტერთა. და მისთავე შეწევნითა აღაშენე დიდი ესე მონასტერი გაენათისა და მას შეკრიბე ზემოაღწერილი ნივთნი დიდ ძალნი ფასდაუდებელნი, რომელ მოგიგიეს ჯაჭფარითა შენითა. ჰოი, მეფეთა შორის დიდებულო დავით! ხოლო წმინდანი ნაწილნი შენი აქა მდებარე არს, ხოლო წმიდა სული შენი ცათა შინა წმიდათა თანა სუფევს და აწ გევედრებით: მწუხარება ჩუენი შესცვალე სიხარულად და დაფარულნი იგი საუნჯენი გვეუწყოს ვის მიერ იქმნა ესე. არა ხოლო ჩუენთვის გევედრებით, არამედ სახელისა შენისათვის.

მღვდელ-მონაზვნისა ისაკის თქმული გარდმოვსწერე მე იოანე მღვდელის დოღონაძის ძემან, ისაკის ძმის წულის შვილმან ამბაკომ ჩყვი /1860/ წელთა, ივნისის იე-15".

ასე ჩაიფარცხა და მიჩუმათდა გელათის სიწმინდეთა დატაცების ეს სამარცვინო ფაქტი, მტყუან-მართალი ბენედიქტე ჭირაქაძე და არქიმანდრიტი ნიკოლოზი არავის გაუციმბირებია, არც ეპისკოპოსი გერმანე: ჩამოქვეითდნენ, ჩამოხარისხდნენ მხოლოდ თითქოს, სიმშვიდე და წესრიგი უნდა გამეფულიყო დავითის სავანეში, მაგრამ მოჩვენებითი ცის გადაწმენდა ღრუბლებისაგან დროებითი იყო...

1867 წლის აპრილში ქუთაისის გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის უფროსად დაინიშნა გრაფი ვ. ლევაშოვი. ის გახლდათ რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრის გრაფ პანინის სიძე. ამ დანიშვნიდან ორიოდე წლის შემდეგ მისმა მეუღლემ გრაფინია ლევაშოვამ, რომელიც გარეგნულად გულმოწყალე ქრისტიანის როლს თამაშობდა, მოისუ-

რვა გელათის მონასტრის საეკლესიო შესამოსელის შეკეთება. თავისი განზრახვა მან გააცნო გაბრიელ ეპისკოპოსს, რომელიც ბავშვის ნათლიადაც კი მოიწვია და მონასტრის წინამძღვარს ბესარიონს, ხოლო მიღებული თანხმობის შემდეგ გრაფინიამ, ვითომც საქველმოქმედო მიზნით გაყიდა „ქვები ნაკლებღირებული, სერდოლიკის, მთის ბროლი გაიყიდოს რათა თანხა გამოყენებულ იქნას შესამოსელის შესაძენად ვითომ /გაბრიელ ეპისკოპოსის შესამოსელისათვის ზრუნავდა გუბერნატორის მეუღლე – გ. ტ./ სხვადასხვა ვერცხლის პატარა ნივთები, ღილები გაიყიდოს წონითა და შესაბამისი ფასით და მონაგები გამოყენებულ იქნას მონასტრის საჭიროებისამებრ, დიდი მიტრა, ძველი, უკვე დაცვეთილი უხვად შემკული ვარდისფერი ღილითა და მარგალიტით, გარდაკეთდეს" და ა. შ.

გუბერნატორის მეუღლემ თავის ძმას გადასცა ძველი სახარება ტიხრული მინანქრით შემკული. ყდა გამოცვალეს ახალი ვერცხლის ჩარჩოთი, ხოლო ძველი დაიტოვეს და შემდგომში იგი პეტერბურგის მუზეუმში აღმოჩნდა. ინგლისელები სახარების ოქროს მოჭედილობაში ასი ათას ფუნტ სტერლინგს იძლეოდნენ. უძველესი საკათალიკოსო მიტრა, რომელზეც მიმაგრებული იყო ალმასის ჯვარი, ვახტანგ გორგასალის მიერ ჩამოტანილი ინდოეთიდან, რომელსაც ხალხი მრავალ სასწაულმოქმედებას მიაწერდა, აღარ ჩანდა. ამ მიტრის შესახებ საინტერესო მოგონება დაგვიტოვა შემოქმედის მონასტრის არქიმანდრიტმა თადეოზმა: „როცა უმანკო ყმაწვილი ვიყავი, მე ვლოცულობდი გელათის მონასტერში. სხვათა ძვირფასთა ხატთა და ნივთთა შორის, საკუთვნელთა მონასტრისა – ცხადად მახსოვს, იყო ერთი ძვირფასი კათალიკოზის მიტრა. ის მიტრა იყო თამარ მეფის დროს გაკეთებული, ძვირფასი თვლებით შემკული, ისეთი თვლებით, რომ უკეთესი, ვგონებ არავის უნახავს. ღამით, როცა ჯერ სანთელი არ იყო ანთებული მონასტერში, ის მიტრა თავის თვლებით ისე ანათებდა და ისე ბჟღიალებდა, როგორც სანთლის სინათლე. ერთი სიტყვით, რაც უნდა მდიდარი მეფის სასახლეში ყოფილიყო ის მიტრა, ყოველთვის მიიქცევდა ყველას ყურადღებას. ეხლა, ეს ნახევარი წელია,

რომ სულ ყოველ ღამეს მესიზმრება და ვიღაც სიზმარში გამომეცხადება ხოლმე და მეუბნება, რომ ერთმა ღვთის მლოცველმა ადამიანმა ითხოვა ის მიტრა გელათში მოსამსახურე ბერისაგან გასაახლებლად და გადასახალისებლადო და შემდგომ რამოდენიმე ხნისა დააბრუნა დიახ განახლებული და გადახალისებულიო, მაგრამ ვაი ამისთანა გადახალისებასო! ნაცვლად ძვირფასი იაგუნდისა, მარგალიტისა და სხვა მსგავსი ქვებისა, ჭიქის თვლებია ჩასმული და ის მშვენიერი თვლები გამოეთხოვა საუკუნოდ გელათის მონასტერს".

ცნობილი ფაქტია, რომ აღნიშნული მიტრა გაიყიდა საფრანგეთში...

საკათალისო მიტრის შესახებ მრავალმნიშვნელოვანია თვით გაბრიელ ეპისკოპოსის ახსნა-განმარტება: „მე 10 წლის მანძილზე ყველა მღვდელთმსახურების დროს ვატარებდი ძველ მიტრას, თბილისიდან ჩამოტანილს, რომელიც ისე დაიცვითა, რომ ტარება ბოლოს და ბოლოს შეუძლებელი გახდა. თუმცა იყო ეკლესიაში ერთობ ძვირფასი, ე. ი. საკათალიკოსო მიტრა, სწორედ ის, რომელზედაც გაზეთმა „დროებამ" მთელი სტატია მოათავსა, რომ ის გაქრა ან ვინმეს მიერ იქნა გატაცებული. მაგრამ იგი ისეთი მძიმეა, რომ დიდი ხნით მისი ტარება შეუძლებელია.

ერთხელ, ქუთაისში, მოედანზე გრაფინია ლევაშოვა ჩემეული სამღვდელმთავრო ბისონის სიძველით ისე იყო განცვიფრებული, რომ გამომთხოვა, დაკუწა და ახლობლებსა და ნაცნობებს დაუგზავნა, /!/ რომ დაერწმუნებინა იმაში, თუ როგორი ღარიბი იყო აქაური ეკლესია, რათა აღძვროდათ მათ შესაწირავის გაღების სურვილი..."

გაბრიელ ეპისკოპოსი „უბოროტო შეცდომებს" უწოდებს გელათიდან გატანილი ნივთების დაკარგვას.

დაკარგულ ნივთებს შორის იყო, აგრეთვე იმერეთის პატრიარქის შესამოსელი, რომელიც კონსტანტინეპოლის დაცემამდე იყო დამზადებული, მისგან, როგორც ნ. დურნოვო წერს, „8 ფუნტი ოქრო გამოადნეს, ხოლო ლალი და მარგალიტი გამოყენებული იქნა გულქანდების დასამზადებლად..." ასევე, მნიშვნელოვანი დანაკარგი იყო მთლიანი ლალისაგან

დამზადებული კათალიკოსის საწინამძღვრო ჯვარი, იგი სარდიონის ქვით შეცვალეს.

მრავალი ცილისმწამებლური თუ ჭეშმარიტების დადგენის სურვილით გაჟღენთილი საგაზეთო სტატია გამოქვეყნდა მაშინ ქართულ და რუსულ პრესაში, ბევრი იყო გესლი, შური, ცოტა სინანული და თანაგრძნობა. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთ ამონარიდს გაზეთ „დროების“ N93. 1875 წლის პუბლიკაციიდან „ოკრიბის გამოჩენილი მონასტრები გელათი და მოწამეთა დღეს ვეღარ ჰფენენ ამ ქვეყანას მაღალის ზნეობის სხივებს ადრინდულად. აქაური მღვდლისა და ბერის ქველმოქმედება მარტო იმაში მდგომარეობს, რომ მთქნარებას პირჯვარი ააყოლონ ცისკარსა და მწუხრზე და რადგანაც ხორცს არ მიირთმევენ, ზურგიელსა და წყალწითელას წვერა-ქაშაპს მაღლა ქველიძის ღვინითურთ მადიანად შეექცევიან და რამდენს ჭიქას გამოსცლიან, იმდენი კრიალოსნის მარცვალი უნდა გარდააცოცონ აბრეშუმის ზონარზე. ნუთუ მაგათი მოვალეობა მარტო ის არის, რომ გელათის ნივთების სანახავი ფულები აიღონ და მოწამეთის წმინდანების სუდარის ნახევები ჰყიდონ ორ-ორ შაურად“. ამ საგაზეთო ომამდე ცოტა ადრე გაბრიელ ეპისკოპოსმა მიიღო ცნობილი რუსი მოგზაურის, გელათის ნივთ-სამკაულისა და სიწმინდენის ერთერთი პირველი მკვლევარის ა. მურავიოვის წერილი, რომელშიც დიდი პატივისცემა და ქრისტესმიერი სიყვარულია გაცხადებული ა. მურავიოვს წარსულში დატაცებულ და ახლანდელ დროში გაბნეულ სიწმინდეთა ბედი აინტერესებდა და კიდევ „ხელუხლებელია თუ არა სალაროში ბაგრატის გვირგვინი და ბეჭედი დავითისა?“

ისტორიის გადასახედიდან ეს წერილი ავისმომასწავებელი აღმოჩნდა შემდგომში გელათის საგანძურთან მიმართებაში.

1904 წლის 19 ივლისს მოხდა გელათის მონასტრის მორიგი დაყაჩაღება. ორშაბათი დღე იყო. ოდნავ წვიმდა თუ ჟინჟღლავდა. გელათელი გლეხები მონასტრის ირგვლივ ფერდობებზე შეფენილ სიმინდის ყანებს თოხნიდნენ, ხოლო ბერები, ნაშუადღევის 5 საათზე საკრებულო ტაძარში ლოცულობდნენ. შუა ლოცვისას, ტაძარში შემოდის ვიღაც პა-

ლტოიანი კაცი, ყიდულობს სანთელს, ანთებს ღვთისმშობლის ხატის წინ და მხურვალედ ლოცულობს. ცოტა ხნის შემდეგ ის გაბრუნდება უკან და მალე ექვს შეიარაღებულ ყაჩაღს შემოუძღვება, თავდამსხმელები აიძულებენ ბერებს იატაკზე დაწვნენ, ხოლო ერთ ბერთაგანს უბრძანებენ სალაროს გაღებას. ბერი შეშინებულია და მორჩილად მიჰყვება სალაროსკენ. ამ დროს ხდება, ყაჩაღებისთვის მოულოდნელი გაუგებრობა, რადგან მათ კარგად, წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი და დათვალიერებული მონასტრის გარემო, ბერთა ყოფაცხოვრება და ზუსტად გათვლილი ყოველივე ნიუანსი, რაიმე შემთხვევითობისაგან რომ დაზღვეულნი ყოფილიყვნენ, უცებ, სამრეკლოზე ატყდება ზარების რეკვა. თურმე, როდესაც ყაჩაღები შევიდნენ ტაძარში, ამ დროს საკურთხეველში იმყოფებოდა ერთი ბერი, რომელმაც მოახერხა შეუმჩნევლად გამოსულიყო ტაძრიდან და ზარებიც დაარისხა.

სალაროდან ყაჩაღებმა საჩქაროდ გადმოალაგეს ნივთები და ჩაყარეს ტომარაში.

მამულში მომუშავე გლეხებმა ყვირილსა და ზარის ხმაზე აისხეს იარაღი და დაიწყეს გამაფრთხილებელი სროლები. რა თქმა უნდა, ყაჩაღები უკვე ტაძრიდან იყვნენ გამოსულნი, ტყეს შეაფარეს თავი; თან მოსაგერიებლადაც ისროდნენ. გლეხებმა ტყეში შესვლა ვეღარ გაბედეს, ანკი რა აზრი ჰქონდა უაზრო მსხვერპლს. იმ საღამოსვე, მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა სერაპიონმა გელათის სტანციიდან გამაოგნებელი და ძალზე ლაკონური დეპეშა გაუგზავნა იმერეთის ეპისკოპოსს: „გელათის მონასტერი გაძარცვეს". ბინამძღვრის მიერ შედგენილ პატაკში ჩამოთვლილია თუ რა ნივთები იქნა წაღებული დაყაჩაღებისას: „დავით აღმაშენებლის ბეჭედი, ერთი ოქროს ბარძიმი, ორი ვერცხლის ბარძიმი და ფულიც".

მეორე დღეს მონასტერში ამოვიდა იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე, რომელმაც უფრო დააზუსტა დანაკარგი და მომხდარის შესახებ აცნობა საქართველოს ეგზარქოსს; დაკარგულნი აღმოჩნდნენ: „ბეჭედი დავით აღმაშენებლისა, ოქროს ბარძიმი თვლებით მოჭედილი, სარტყელი ძვირფა-

სის თვლებით მორთული, ოქროს პანაღია, ორი ვერცხლის ბარძიმი და ვერცხლის სტაქანი, ფული – 252 მანეთი".

დაიწყო გამოძიება, ორი კვირის შემდეგ, როგორც მაშინდელი გაზ. „ივერია" იუწყებოდა, დაუჭირავთ ვიღაც ბალანჩივაძე, ხოლო ორი თვის შემდეგ სვირის სადგურზე შეიპყრეს: ალექსი ჩხეიძე, სილიბისტრო სვანიძე და გიორგი კანდელაკი, როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ეჭვმიტანილები მალევე გაუნთავისუფლებიათ, ძიება კი რამდენსამე წელიწადს კვლავ გრძელდებოდა ანუ არ მიმდინარეობდა საერთოდ...

მონასტრის გაძარცვიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გელათში ჩავიდა ახალგაზრდა ისტორიკოსი ს. კაკაბაძე, რომელმაც კიდევ უფრო დააზუსტა დაკარგული ნივთების ნუსხა და შემდეგ თავისი შთაბეჭდილებანი პრესაში გამოაქვეყნა, სადაც ის ასახელებს, თუ თუ კიდევ რა საინტერესო და მნიშვნელოვანი ნივთები დარჩა გელათის საგანძურში: „დანარჩენი ნივთები კი კერძოდ, იმერეთის მეფეთა დიაღ ძვირფასი სამეფო გვირგვინი, იმერთა კათალიკოზთა და გაენათელ მიტროპოლიტთა მიტრები, კათალიკოზთა წირვის დროს სახმარებელი ქოშები /ხალხში თამარ მეფისად ცნობილი/ და სხვები გადარჩნენ ავაზაკთა მურტალ ხელს".

ამ სამწუხარო შემთხვევიდან გავიდა კიდევ ერთ წელზე მეტი და 1905 წლის 5 ნოემბერს გელათის მონასტერზე კვლავ მორიგ თავდასხმას ჰქონდა ადგილი. გელათის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი ამ ფაქტს ასე გადმოგვცემს ეპისკოპოს ლეონიდესადმი გაგზავნილ რაპორტში: „წუხელ რვა საათზე დაეცნენ გელათის მონასტერს ავაზაკები და ასტეხეს ხშირი სროლა სამის მხრიდან. სროლაზედ პირველმა უპასუხა მონასტრის ყარაულმა არსენ კეზევაძემ და მეორე შიგ მდგომმა სტრაჟნიკებმა... იმ წამსვე ტელეგრამით ვაცნობე მაზრის უფროსს. ამასობაში გაიგო სოფელმაც და ნახევარი საათის შემდეგ მცხოვრებნი უკვე შეგროვდნენ ეზოს შიგნით და გარეთ შეიარაღებულნი...

რამდენადაც შეიძლება გამოცნობა განზრახვა ავაზაკებისა ის იყო, რომ სტრაჟნიკები გარეთ გაეტყუებინათ ქედზე სროლით, რომ ჭიშკართან ჩასაფრებულთ დაეხოცათ და

თითონ კი შიგნით შეცვივნულიყვნენ ბოროტმოქმედებისათვის..."

მონასტრის ბერ-მონაზონთა და ყარაულთა სიმამაცემ ამჯერად, გადაარჩინა გელათის საგანძური ხელყოფისაგან. ჩაიარა რუსეთის პირველმა რევოლუციამ. შემდეგ მსოფლიო ომმა, შიგადაშიგ ახალი რევოლუციების მოლოდინითა და განხორციელებით კიდევაც, და ქართული ეკლესიის თავდადებულ შვილთა წყალობით ქართულმა ეკლესიამ ჯერ, 1917 წლის 17 მარტს ავტოკეფალია აღიდგინა, შემდეგ კი, – 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ამ აქტიდან ცოტა ხანში, 1918 წლის აპრილის თვეში შიშიანობის გამო, როგორც ეს საარქივო მასალებშია ხაზგასმული, – თურქების შემოჭრით დას. საქართველოში, ანტონ მიტროპოლიტის განკარგულებითა და თანდასწრებით მონასტრის ძვირფასეულობა იქნა გადამალული, ხოლო ეკლესია დაიკეტა. მონასტრის კლიტეები ჩაიბარა მღვდელმონაზონმა ზენონმა და ყარაულმა ე. გელაძემ.

1919 წელს მღვდელმონაზონმა ზენონმა სამიტროპოლიტო საბჭოში შეიტანა რაპორტი, რომელშიც მან საჩივრის გვარად აღნიშნა, რომ „ხარლამბარში დარჩენილ ნივთებს და ფულს რაღაცეები უნდა აკლდეს". გამოიყო კომისია, დაითვალეს ფული, გასინჯეს საეკლესიო განძეულობაც და აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ადგილზე იყო.

1920 წლის თებერვალში ექ. თაყაიშვილმა განცხადებით მიმართა საეპარქიო მმართველობის საბჭოს, რათა მას საშუალება მისცემოდა დაეთვალიერებინა გელათის სიძველენი და აღენუსხა საგანძურის ქონება. გავიდა რამდენიმე თვე და მოულოდნელად მენშევიკურმა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რაზეც მონასტრის წინამძღვრის ერთგვარმა წინადაუხედელმა ნაბიჯმაც იქონია ზეგავლენა, – გადაეტანა გელათის განძეულობა ქუთაისის ხაზინაში. როგორც ჩანს, გელათის წინამძღვარსა და კრებულს რაიმე წინააღმდეგობა არ გაუწევიათ მთავრობის წარმომადგენლებისათვის და მათ საკუთარი ხელით გაატანეს ყოველივე. ამ ამბით აღშფოთებული მიტროპოლიტი ნაზარი გელათის წინამძღვრი-

საგან მოითხოვს ახსნა – განმარტებებს თუ როგორ და რანაირად მოხდა ეს ამბავი: „რატომ არ გამოითხოვეთ ჩემგან, როგორც ეპარქიის მმართველიდან აღნიშნული ნივთების მიცემის ნებართვა, კითხულობდა მიტროპოლიტი გაკვირვებული და მოითხოვდა „გამომიგზავნეთ თვით წიგნი გელათის განძეულობისა, სადაც არის ნივთების შემოწმების აქტი თაყაიშვილის, ტრიფონ ჯაფარიძის, ფალავანდიშვილის, დეკანოზ კორნელი კეკელიძის და სხვების ხელმოწერილნი – 1919 წელიწადში".

არქიმანდრიტმა ნესტორმა /ყუბანეიშვილი/ ამგვარად იმართლა თავი: „პროტესტი მიტომ არ განვაცხადე, რომ იმათ მითხრეს, თქვენ გინდა ნება განაცხადე, გინდ წინააღმდეგობაო, ჩვენ ამ ნივთებს მაინც წავიღებთო... ნებართვის გამოთხოვნის დრო აღარ იყო, ამიტომ როგორც მოვიდენ გელათში მაშინვე შეუდგენ ნივთების გამოტანას.

ამასთან მოგახსენებთ, რომ იმ დღეს დილას, თქვენთან გახლდით ადრე, გაცნობე მათი მოსვლა, გთხოვე წამობრძანება გელათში, რადგანაც მათ არ ინებეს თქვენი ნახვა და თქვენ არ ინებეთ წამობრძანება და არც მათი შეკითხვა ტელეფონით".

წინამძღვარსა და მიტროპოლიტს შორის ამ ამბავმა მძაფრ ურთიერთშეუთანხმებლობას ჩაუყარა საფუძველი სამომავლოდ, რამაც გარკვეულწილად გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია გელათის საგანძურზე და მთლიანად მონასტრის არსებობის მომავალზეც.

განძეულობის ქუთაისის ხაზინაში გადატანისას „ხახულის ღვთისმშობლის ხატზე ავარდნილა ქვა, იმ დროს, როცა ის აქონდათ ზემოთ ოთახში დასაცველად და ეს თვალი შენახა მყოფ ეკონომოს იღუმენს ზენონს სხვა ჩამონათვალ ნივთებთან ერთად".

აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით ქუთაისის საეპარქიო საბჭომ მიტროპოლიტ ნაზარის ხელმძღვანელობით დაადგინა: „გამეცხადოს საყვედური გაენათის მონასტრის წინამძღვარს და ძმებს იმისათვის, რომ მათ გადასცეს მთავრობის წარმომადგენლებს მონასტრის განძეულობა სასულიერო მთავრობის ნებადაურთველად".

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ მოხდა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ანექსია და ოკუპაცია.

კომუნისტებმა საფრანგეთის რევოლუციის გამოცდილების მაგალითზე დაიწყეს ათეისტური საზოგადოების ჩამოყალიბება, რაც ნიშნავდა კერძო საკუთრების გაუქმებასა და ეკლესიის განდევნას ხალხის სულიერი ცხოვრებიდან, ამ მხრივ, იმ უმძიმეს პერიოდში არც გელათის მონასტერი წარმოადგენდა გამონაკლისს; ჩამოერთვა თავდაპირველად ყოველგვარი საკუთრება, ის მცირეოდენიც კი, რაც ჯერ მეფის რუსეთის მთავრობიდან ჰქონდა მემკვიდრეობით შემორჩენილი და შემდგომ მენშევიკური მთავრობისაგან / ისინიც სოციალისტები იყვნენ – გ. ტ./ ძლივძლივობით შემორჩენილი მწირი ქონება. მიუხედავად ამისა, მიტროპოლიტი ნაზარი და გელათის მონასტრის კრებული ყოველგვარ ზომებს მიმართავდა, რათა თავიდან აეცილებინა „წითელი ავაზაკებისაგან" მონასტრის ქონების ხელყოფის მცდელობანი. საქართველოს გასაბჭოებისთანავე, როგორც ცნობილია, მენშევიკურმა მთავრობამ ექ. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით საზღვარგარეთ გაიტანა საქართველოს საგანძური, მათ შორის ქუთაისის ხაზინაში დაცული გელათის განძეულობაც. ქუთაისში მოხდა სასწრაფოდ განძეულობის დახარისხება. როგორც საარქივო მასალებიდან ცნობილია და შემდგომში გამართულ სასამართლო პროცესიდან, ბაგრატის ტაძრის ეზოში მდგომ სამიტროპოლიტო სახლის ქვეშ გადამალული იქნა გარკვეული ნაწილი საეკლესიო განძეულობისა, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე და მიტროპოლიტი ნაზარი. სწორედ იმ დღეებში, 1921 წლის 6 მარტს, როცა ჯერ კიდევ ქუთაისში იდგა მენშევიკური მთავრობა „იქმნა ჩამოსვენებული ხახულის ღვთისმშობელი მისი უწმინდესობის სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრირაქის ლეონიდის განკარგულებით და დათვლილ იქმნა ამოვარდნილი თვლების ალაგები და აღმოჩნდა შემდგომი: მარჯვენა ფრთაზე აკლია ოთხი თვალი, ხატის ძირზე ერთი და ზემორე ნაწილზე ორი, ხოლო მარცხენა ფრთაზე არც ერთი".

მონასტრის შეჭირვება და გაუსაძლისი მდგომარეობა გელათის კრებულს აიძულებდა ეზრუნა არამარტო საარსებო ულუფაზე, არამედ ამავდროულად საეკლესიო განძეულობის დაცვაზეც.

1923 წლის 6 მარტს მონასტრის კრებულმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება: „წინამძღვარმა, როგორც ამ დრომდინაც იყო, აწარმოვოს მიწერ-მოწერა მონასტრის საქმეების შესახებ, როცა დაისაჭიროს საქმემ, მოეხმაროს ეკონომოსს წიგნის წარმოებაში, თვალ-ყური ადევნოს ღვთის მსახურების აღსრულებას და სხვა სამონასტრო საქმეებს... მღვდელ მონაზონ ეპიფანეს მიენდოს გალავნის დიდი კარების და რკინის კარების გასაღებები და თავ-თავის დროზე დაკეტოს და გააღოს. მღვდელ მონაზონმა ათანასემ დაიცვას ეკლესიის ქონება“.

მაგრამ ამ დადგენილებას, ერთგვარად ახალ სამონასტრო ტიბიკონს, დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. 1923 წლის აპრილში საქართველოს საბჭოთა მთავრობამ დაიწყო თავისი ანტირელიგიური კამპანიის გატარება ცხოვრებაში. დაიხურა ასობით ეკლესია-მონასტრები, სასულიერო პირები გამოძევებულნი იქნენ ეკლესიებიდან, ხოლო საეკლესიო ქონება და განძეულობა, თავიანთი შეხედულებით, რომელთაც ისტორიული და კულტურული ღირებულება გააჩნდა, გადაეცა მუზეუმებს, რაც არ ჩათვალეს საჭიროდ, ზოგი „ტორგსინებზე“ გაყიდეს, ზოგი დაამტვრიეს და გაანადგურეს, ზოგიც საკუთარ ჯიბეში ჩაიდეს...

1923 წლის 5 ივნისს გელათში მუშაობას შეუდგა მონასტრის სალიკვიდაციო კომისია მაზრის მილიციის უფროსის პ. ქუთათელაძის ხელმძღვანელობით. კომისიამ დალუქა მონასტრის ტაძრები, გასაღებები ჩაიბარა და მონასტერში მყოფ ბერებს ებრძანათ ერთ კვირაში დაეტოვებინათ იქაურობა. თუმცა მოგვიანებით ბერების თხოვნისამებრ მათ მოსავლის აღებამდე გაუხანგრძლივეს მონასტერში ყოფნა, რა თქმა უნდა, ყოველგვარი წირვა-ლოცვის ჩატარების აკრძალვით.

გელათის მონასტრის ქონება გადაეცა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმს. იმავე 1923 წლის შემოდგომაზე, გელათ-

იდან ჩამოიტანეს ნაწილი საეკლესიო განძეულობისა, ნაწილი მომდევნო წელს, ნაწილი კი, მათ შორის ხახულის, აწყურის, ბიჭვინთისა და გელათის ღვთისმშობლის ხატები, აგრეთვე სხვაც, გელათში დარჩა 1952 წლამდე, როცა ისინი გადატანილ იქნა თბილისში. მონასტრის საგანძურის დაცარიელება ზოგადად ამით არ დასრულებულა. მხოლოდ 1980 წელს იქნა საბოლოოდ გამოტანილი მონასტრის, აგრეთვე დროებით იქ მოთავსებული დას.საქართველოს ეკლესია-მონასტრების ქონება, რადგანაც მუზეუმს საკუთარი ფართი არ გააჩნდა, გელათში ასაწყობებდნენ სამუზეუმო ნივთებად სახელდებულ ქონებას.

⌘⌘⌘

ქ: არის. სვეტის ცხოველის. შეწირულობის ვახმი:
/507. საეკლესიო მუზეუმის N357 სიგელი/

1/ ქ: ხატი. ყ~დ წმიდისა. არჩილ მეფის. შეწირული, მურასა. იმერეთს არის

2/ ქ. ხატი: მრავალნაწილისა. სვიმონ. ბატონიშვილის შემოწირული. მურასა. ნაწილები
მცხეთასა და. კარი. იმერეთს. არის.

3/ ქ: უფლისა. მღვთის.მშობელი. თვალებითა. იმერეთს. არის.

4/ ქ: ხატი. მაცხოვრისა. მურასა. იმერეთს არის.

5/ ქ: ხატი ყ~დ. წმიდისა. იოანე კ~ზის. გაკეთებული. მურასა. იმერეთს არის.

6/ ქ: ხატი ყ~დ. წმიდისა. ბატონიშვილის თეიმურაზისა. მურასა. იმერეთს არის.

7/ ქ: ხატი. კალობნისა. ვეცხლისა. იმერეთს არის.

8/ ქ. ბარძიმი. ვეცხლისა. სამი. იმერეთს არის.

9/ ქ: კამარა. ვეცხლისა. სამი: ორი იმერეთს არის და ერთი მცხეთას.

10/ ქ: სასანთლე. ვეცხლისა. შვიდი. ამისგან, სამი იმერეთს არის.

11/ ქ. სახარების ყდა. ვეცხლისა. იმერეთს. არის.

12/ ქ: სასანთლის ზირანდაზი. ოქროს ბირკებითა. იმერეთს არის.

13/ ქ: სამირონის. პირ:საფარებელი. მარგალიტისა. იმერეთს არის.

14/ქ: რუსული-სახარება. ვეცხლით. მოჭედილი. იმერეთს არის.

15/ ქ: სამირონის. კარები. მურასა. იმერეთს. არის. ვახტანგ. მეფის გაკეთებული

16/ქ: წინ საძღოლი. ჯვარი. ამილახორის. კ~ზის გაკეთებული, ვერცხლისა. იმერეთს არის

17/ქ. ბატონიშვილის. ლევანის. გაკეთებული. ხატი. მაცხოვრისა. ოქროთ მოჭედილი. იმერეთს არის.

18/ქ: ლევანის. გაკეთებული. ვეცხლის. კანდელი. ხუთი. იმერეთს. არის.

19/ქ: ვეცხლის. კანდელი. რვა. იმერეთს არის. თვის. ჯაჭვებით. თამარ დედოფლისა. შეწირული.

20/ქ: იერუსალიმის სახე ვეცხლისა. ბატონიშვილის. გაკეთებული. იმერეთს არის.

21/ქ: ვეცხლის კანდელი. დიდი. თვისის ჯაჭვებითა. დარეჯან ბატონიშვილისა. გაკეთებული. იმერეთს არის.

ქ:წირვის იარაღი

1/ქ: გიორგი. მეფის. გაკეთებული. გვირგვინი. მარგალიტისა: იმერეთს არის.

2/ქ. ლევან დადიანის. შემოწირული ჩაწყობილი ბისონი. თხუთმეტის. ღილითა. იმერეთს არის.

3/ქ: ხარის. ბისონი. ექვსის. ღილითა იმერეთს არის.

4/ქ: ხავედის ბისონი. ზურგზე რუსული. მარგალიტი. ჯვარი აკერია. უღილო. იმერეთს არის.

5/ქ. ვირმიხი. ძველი. ფილონი. იმერეთს არის.

6/ქ: სტიხარი. ძველი. დარაიბაბთისა. ორი. იმერეთს არის.

7/ქ: მდინარის-ტერფი. წყვილი. ერთი. სირმით ნაკერი. იმერეთს არის.


8/ქ: დიდი. სანაწილე. ვეცხლისა. ერეკლეს. მეფის. შეწირული. იმერეთს არის.

9/ქ: ოთხის. ხატის. ძველის. ხატის. ნაგლეჯი ვეცხლისა. დაფერილი. იმერეთს არის.

10/ქ: სურა. ვეცხლისა. ამილახორის. კ-ზის. შეწირული. სამ. თუმნათ გაჰყიდა და ბატონმა კ~ზმა და იმერელ. მეფეს. მიართო.

11/ საიაზმე. ჯვარის. ფეხი. ლევანის. შეწირული. იმერეთს არის.

12/ სამი. ვეცხლის. ჯვრის. მილი და სამი. ბურთი. იოვანე. კ-ზის. შეწირული. იმერეთს არის.



დაყიო აღძაძესებლის ჯვარი

სამოთხის ოქრო

„ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით, როცა მცხეთელმა ურიებმა გაიგეს, ვითომც „სპარსნი მიდიოდნენ იერუსალიმის ახალ მოტყვევნად და როგორ განიხარეს მათ, ვიეთმცა არასწორი აღმოჩნდა ეს ამბავი“; სინამდვილეში სპარსნი მოგვნი მივიდნენ თაყვანისცემად ახალშობილ მაცხოვრისადმი და „შესწირეს ძღუენი. ოქროი, გუნდრუკი და მური“. „განძთა ქვაბის“ წიგნის მიხედვით კი „რომელთა მოიღეს ძღუენი ესე, მეფენი იყვნეს და შვილნი მეფეთანი – ფირმიზა და მაქრაზა. ესე მეფენი სპარსთანი იყვნეს და ადრიბეჯან, ძე დალისი, მეფე საბასი, რომელ არს აღმოსავალი“.

ნეტარი ავგუსტინე და იოანე ოქროპირი ბეთლემში მაცხოვრის თაყვანისცემად მისულ მოგვთა რაოდენობას თორმეტი კაცით განსაზღვრავენ, ხოლო საეკლესიო ისტორიკოსის ბედა პატივმოსილის აზრით, ისინი სამნი უნდა ყოფილიყვნენ და მათ სახელებსაც ჩამოთვლის: მელქიორი, კასპარი და ბალთაზარი.

აღსანიშნავია, რომ მახარებელთაგან მხოლოდ მათე მახარებელი ადასტურებს იერუსალიმში მოგვთა ყოფნის შესახებ: „მოვიდნენ მოგვები აღმოსავლეთიდან... რათა თაყვანი ვცეთ მას“.

სამოთხიდან გამოძევების დროს ადამმა „შეკრიბა გარემოსა სამოთხესა ოქროი და გუნდრუკი და მური და შეიღო მის თანაქუაბსა მას შინა და თქუა, რაითა: იყოს ადგილი იგი სალოცველ მისადა და ძეთა მისთა და უწოდა „ქუაბი საგანძური“. სწორედ ამ ქვაბში დაკრძალეს შვილებმა ადამი გარდაცვალების შემდგომ, ხოლო წარლვნის წინ „შევიდა ნოე ქუაბსა მას საგანძურსა... და აღიღო გუამი ადამისი ნოე, სემ აღიღო ოქროი და ქამ აღიღო მური და იაფეთ–გუნდრუკი“.

საეკლესიო გადმოცემათა თანახმად, განვლო ორ ათასწლეულზე მეტმა ხანმა და სამოთხის ოქრო, აღმოსავლეთის, იგივე სპარსეთის მეფე-მოგვებმა, როგორც ნაწინასწარმეტყველევი იყო, გადაწყვიტეს მიერთმიათ „ახალ ადამისათვის“ ანუ ქრისტესათვის. ამ ქმედებით შემოქმედი მოა-

გონებდა ცოდვილ კაცობრიობას დაკარგული სამოთხის შესახებ.

ამიერიდან, მოგვთაგან მიძღვნილი სამოთხისეული ოქრო ინახებოდა იესო ქრისტესთან. მისი ჯვარცმის შემდეგ კი ეს ფასდაუდებელი საუნჯე დროებით კვლავ გაუჩინარდა...

875 წელს აღესრულა ბიზანტიის იმპერატორი რომანოზი. ამით ისარგებლა ბარდა სკლიაროსმა და შეეცადა ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. როგორც ქართული საისტორიო გადმოცემათა მიხედვით, ცნობილია, ამ დროს მთაწმინდაზე იმყოფებოდნენ ახლად შემონაზონებულნი მხედარნი საქართველოდან – იოანე და თორნიკე. დედოფალმა თეოფანამ მათი მეშვეობით დახმარება სთხოვა დავით კურაპალატს და „მან მოსცა თორნიკეს ათორმეტი ათასი მხედარი", რომლითაც „წარაქცია სკლიაროსი და აოტა". მემატიანის უწყებით, ნატყვენავი და ნაალაფარი, თუ რამ ბრძოლაში იშოვნა თორნიკემ და იოანემ დედოფალმა თეოფანამ გულწრფელად დაუთმო და უბოძა.

აგრეთვე, ბარდა სკლიაროსის მომხრე დიდებულები „მოიღებდნენ თვისთა სიმდიდრეთა და მისცემდნენ მათ".

სწორედ ამ ომის შედეგად მიიღო დავით კურაპალატმა სასწაულთმოქმედი ხატი, რომლისთვისაც ააგო ხახულის მონასტერი, ხოლო ხატი მასუკან იწოდებოდა ხახულისა ღვთისმშობლისად.

საეკლესიო და ისტორიული წყაროები ამ ხატის შექმნასა და წარმომავლობას ამგვარად გადმოგვცემენ: „რამეთუ უკანასკნელი ესე იყოს დახატულ წმიდისა მოციქულისა და მახარებლისა ლუკას მიერ რძეითა ყოვლად უბიწოისა დედისათა", საგულისხმო ფაქტია, რომ მხატვრობა შესრულებული „იყო ფიცარსა ზედა მას, რომელსა ზედა იშვა თანადაუსაბამო მამისა ხორცითა იესუ, ძე მღთისა".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოთ დასახელებულ უდიდეს ქრისტიანულ სიწმინდეებთან ერთად იყო სამოთხისეული ოქრო დაბრძანებული, მისი ღვთაებრივი დანიშნულებისა და ქრისტიანული და ძველი აღთქმისეული ურთიერთკავშირის გამო. გელათის მონასტრის მშენებლობისას დავით აღ-

მაშენებელმა აღნიშნული ხატი და სამოთხისეული ოქრო ხახულის მონასტრიდან გადმოაბრძანა და გელათში დაასვენა, როგორც მისი უმთავრესი ხატი და სიწმინდე.

შვიდი საუკუნის მანძილზე იმყოფებოდა ყველა ქრისტიანისათვის სათაყვანო საუნჯე გელათში.

1651–52 წლებში იმერეთში მყოფ რუსეთის ელჩებს ნ. ტოლოჩანოვსა და ალ. იევლევს გელათის საგანძურის დათვალიერებისას გელათელმა მიტროპოლიტმა ზაქარია ქვარიანმა ასეთი ახსნა-განმარტება მისცა შეკითხვაზე თუ საიდან და როდის მოხვდნენ გელათში ეს სიწმინდეები. მიტროპოლიტმა უპირველესად დაუსახელა ჯვარი, რომელსაც „ოქროს მცირე კიდობანი აქვს დატანებული... კიდობანს ოქროს საკეტი აქვსო. სიგრძე-სიგანე /ამ კიდობანს/ ნახევარი არშინი ექნებაო. გვერდებზე ქერუბიმნია ამოტვიფრულიო. საკეტს შუაში ჟოლოს ფერი დიდი კაკლისოდენა იაგუნდის თვალი უზისო. იმ საკეტს გარშემო, იქეთ-აქეთ, ჟოლოსფერი იაგუნდის და ცისფერი ძვირფასი ქვები და ორმუზის მარგალიტები უზისო. ზაქარია მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ის კიდობანი და მისი საკეტი იმ ოქროსაგან არის გაკეთებული, რომელიც ქრისტეს დაბადების ღამეს ღვთისმშობელს საჩუქრად მიართვეს სპარსელმა მოგვებმა“.

ალ. იევლევის აღწერილობისაგან განსხვავებით ნ. ტოლოჩანოვი სხვაგვარ ცნობას იძლევა აღნიშნული ჯვარის დახასიათებისას და ოქროს ჯვარს მთლიანად მოგვთაგან შენირულ ოქროსაგან დამზადებულად თვლის: „ზაქარია მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ეს ჯვარი იმ ოქროს ერთი ნაწილისაგან არის დამზადებული, ახლადშობილ ქრისტეს რომ მოგვებმა თაყვანისცეს და საჩუქრად ოქრო და კეთილსურნელოვანი საკმეველი მიართვეს. იმ ოქროსაგანაა გაკეთებული „სიონიც“ /კიდობანი/ რომელშიც ღვთისმშობლის კბილია ჩადებული“.

ჯვარი ორი არშინის სიმაღლისა იყო. ძვირფასი ქვებითა და მარგალიტით შემკული. რუსი დიპლომატის მითითებით ჯვრის სიონში, რომელიც სამოთხისეული ოქროთი იყო დამზადებული. ნ. ტოლოჩანოვის ჩანაწერის მიხედვით, რამდენადმე გაუგებარია ზაქარია მიტროპოლიტის პასუხი ჯვრის

საქართველოში მოხვედრის თაობაზე. ჯვრის მომტანად იგი ასახელებს ბერძენთა მეფეს კონსტანტინეს, რომელსაც თავისი ქალიშვილი ქართველთა მეფე კონსტანტინესათვის მიუთხოვებია. ჩვენთვის უცნობია ასეთი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში. უნდა ვიფიქროთ, მიტროპოლიტს არ გააჩნია ზუსტი პასუხი ან უბრალოდ მან იგულისხმა ბაგრატი IV–ის ქორწინება ბიზანტიის იმპერატორ რომან არგირის ძმისწულზე, როცა დედოფალმა ელენემ მრავალი ქრისტიანული რელიქვია მოიტანა მზითევში.

ამ ელჩობიდან გავიდა რამდენიმე წელი. 1660 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე III, რომელმაც ერთგულების ფიცი მისცა რუსეთის ხელმწიფეს და იმერეთში დაიწყო დიდი არეულობა. ამჯერად, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ იმერეთის მეფე ბაგრატ IV და მისი დედინაცვალი –ნესტან-დარეჯანი. ცნობილია, რომ 1668 წელს, დედოფალმა დასახმარებლად მოიწვია ახალციხიდან ასლან ფაშა, რომელმაც გაძარცვა იმერეთი და გელათიდან წაიღო სხვა საეკლესიო ქონებასთან ერთად ეს ჯვარი. გედეონ გაენათელისა და იმერეთის წარჩინებულთა თანადგომით, სასწრაფოდ შეგროვდა 20000 ეფიმკა და „სასახსროდ" დატყვევებული ჯვარი უკან დაიბრუნეს.

ამ შემთხვევის მოწმეა აგრეთვე ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელმაც თავის შვილთან ერთად დაათვალიერა გელათის საგანძური. იმერეთიდან იგი რუსეთში გაემგზავრა. სწორედ ამ პერიოდში ჩადის მოსკოვში გედეონ გაენათელი–ნიკორწმინდელის ელჩობაც. რუსეთის საგარეო საგანგიოში საგანგებო დაკითხვას მოუწყობენ პატრიარქის შვილს არქიეპისკოპოს პავლეს, რომელიც, რა თქმა უნდა დაადასტურებს, რომ გელათში „ Есть еше посреди великого креста от злата что принесли волхви и Вифлеом пресвятые Богородице".

ცხადია, ჯვარი ბიზანტიური საეკლესიო ჭედურობის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ნ. ტოლოჩანოვთან, მისდაუნებურად, ხაზგასასმელია ერთი მომენტის აღნიშვნა, როცა იგი ჯვარს სამოთხის ოქროს ერთ ნაწილიდან დამზადებულად აღნუსხავს, ამდენად, საფიქრებელია, რომ დანარჩენი სამოთხის ოქროს სხვა ნაწილიც არსებობდა, რომლის შესახებ

შუა საუკუნეთა ქართულ თუ უცხოურ წყაროებში, არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. არც თავდაპირველი გადმოცემა ზუსტი ზომა-წონის შესახებ არსებობს. შემონახული იყო მხოლოდ საუკუნეობრივი ზეპირგადმოცემითი ტრადიცია გელათის მონასტერში ამ სიწმინდის დაცულობის შესახებ. დოკუმენტალურად, სამოთხის ოქრო მხოლოდ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იხსენიება, კერძოდ 1842 წლის 12 იანვრის აღწერილობაში მასში ხახულის ღვთისმშობლის ხატზე, როგორც შემკულობა დასახელებულია „ოთხკუთხოვანი ოქროს ფიცარი, სიმაღლით და სივრცით სამ გრე ნახევარი, მას ზ~დ არის გამოხატული ოთხი ხატი, მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა, ნათლისმცემლისა და მთავარანგელოზისა, რომელიც არის შემკული სხვა და სხვა ძვირფასის ქვებით და მარგარიტით". როგორც ვხედავთ, გელათის საგანძურში დაცული ყოფილა სამოთხის ოქროს სხვა ფრაგმენტიც, რომლის ფორმაც და ზომა ზუსტად არის მითითებული: ის უნდა ყოფილიყო დაახლოებით 20 კვ.სმ-დე ზომის, სამწუხაროდ არცერთ შემდგომ საინვენტარო აღწერილობაში ამ „ოთხკუთხოვანი ოქროს" წონა მითითებული არ არის.

სამოთხის ოქროს შესახებ ცნობები დაგვიტოვა ცნობილმა რუსმა მოგზაურმა და საეკლესიო სიძველეთმცოდნემ ა. მურავიოვმა, რომელმაც მე-19 საუკუნის ორმოციანი წლების შუა ხანებში დაათვალიერა გელათის მონასტრის განძეულობა. მურავიოვის მიხედვით „При богатомь кивоте Хахулской иконы привешено на цепи золотое узвояние, в виде кадильной криши, осыпалное жемчыгом и четырьмя огромными лапами, с ликами спасителя, Божией Матери и Ангеловь, которые вычеканены на золоте между дорогихь камней. Оно висело некогда чадь большимь крестом честнаго дреба, и по преданию вилито изь того золота, которое принесли Волхвы изь Персиды, родившемуся вь Бифлеемь Царю, когда увидели звезду его на Востоке. Конечно нельзя ничемь утвердить достоверность такихь преданий, но как умилительно встретить ихь вь пустыне и следовать за ихь постепенностью, по краиней мере оть времень Тамари, Давида и Баграта". ა.მურავიოვის აღწერილობაში, ხაზგასასმელია იმის აღნიშვნა, როცა იგი „ოთხ-

კუთხოვანი ოქროს ფიცრის" თავდაპირველ ადგილმდებარეობის განსაზღვრისას, ზემოთაღნიშნულ ჯვარზე მიუთითებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-17 საუკუნის რუსი ელჩების აღწერილობაში ამგვარი რამ არ გვხვდება. ძნელი სათქმელია, თუ როდის იქნა გადმოტანილი ჯვრიდან ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედზე ეს სიწმინდე ანდა პირიქით.

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს სამოთხის ოქროს შემკულობის დასადგენად 1854 წლის 26 სექტემბრის აღწერილობაში. კერძოდ, 1842 წლის აღწერილობისაგან განსხვავებით უკვე: „მას აკლია ექვსი მარგალიტი და ორი თვალი დიდის ხნით".

ოქროს ოთხკუთხოვანი ფიცარი დამაგრებული იყო ხახულის ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატზე. ამ ფაქტს ქრისტიანული სიმბოლიკის თვალსაზრისით თავისებური გამართლება აქვს, რადგან თვით ხატის ფიცარი ანუ თავი ხატი, რომელიც ღვთისმშობლის რძით მოხატა წმინდა ლუკა მახარებელმა, იდო ბეთლემში, რომელზედაც იშვა „თანადაუსაბამო მამისა ხორცითა იესუ, ძე მღთისა" და სადაც სპარსელმა მოგვებმა მიართვეს სამღმრთო ძღვენი, ჩვენს შემთხვევაში – სამოთხის ოქრო.

ამდენად, ეს სიწმინდე, განსხვავებით გელათური ზეპირგადმოცემითი ტრადიციისა, თავიდანვე უნდა ყოფილიყო მიმაგრებული ხახულის სასწაულთმოქმედ ხატზე და საფიქრებელია იგი გელათში ამ ხატთან ერთად გადმოიტანა დავით აღმაშენებელმა. როგორც ვხედავთ, ზემოთ ხსენებული ოქროს ჯვრის სიონი, რომელიც ამ ოთხკუთხოვანი ოქროს ფიცრის ნაწილს წარმოადგენდა, ჯერ ჩამოაჭრეს, ხოლო დანარჩენ ნაწილზე გამოსახეს აღნიშნულ წმინდანთა სახეები და შეამკეს ძვირფასი ქვებით.

სამოთხის ოქროს უფრო მოკლე აღწერილობა გვხვდება ამ სიწმინდის დაკარგვის დროინდელ გელათურ ნუსხაში: „ქრისტეს დაბადების დროს შეწირული მოგვებთაგან ოთხკუთხიანი ოქრო თვალითა და მარგალიტით შემკობილი"...

1859 წლის 19 მაისის ღამით მოხდა გელათის მონასტრის სალაროს გაძარცვა. მძარცველებმა სხვა სიწმინდეებ-

თან ერთად გაიტაცეს ხახულის კარედის თავი ხატი; მღვდელმონაზონი ისაკი, შემსწრე ამ ამბისა, შეძრწუნებული და სასომიხდილი ასე გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებას: „და ... რომელნიცა ნივთნი მას დღესა მიტაცებულ იქმნა მონასტერსა ამას გაენათისასა ესე არს:... და ოდეს შობას უფლისასა აღმოსავლეთით მოიწივნენ მოგვნი ახლად შობილისა უფლისა ძღვნისა შეწირვად და შეწირეს მას ოქრო, გუნდრუკი და მური. ხოლო ოქროი იგი სრულად მონასტერსა შიდა დასვენებული იყო წინაშე მღვთისმშობლისა“.

მღვდელ-მონაზონი ისაკი ხაზგასმით მიუთითებს, რომ სამოთხის ოქროს ფიცარი „სრულად“ იყო დაცული გელათის მონასტერში.

საქართველო – იმერეთის სინოდალურმა კანტორამ 600 მანეთად შეაფასა დაკარგული „ოთხკუთხა ოქრო“, რომელიც მღვდელ-მონაზონ ისაკის თქმით „ვერცა რიტორთა და ფილოსოფოსთა შესაძლებელ არის ნივთთა მათთა ფასდადება“.

სამოქალაქო და სასულიერო საგამომძიებლო ორგანოები წლების მანძილზე ამაოდ დაეძებდენ ყაჩაღთაგან გატაცებულ ამ ფასდაუდებელ საუნჯეს. ძარცვაში ეჭვმიტანილნი, როგორც ხელშემწყობნი 1859 წლის დეკემბერში, დააპატიმრეს მამა-შვილი გელათის მონასტრის მეკლიტური, მღვდელი სვიმონ ჭირაქაძე და მღვდელ-მონაზონი ვენედიქტე. ერთი წლის შემდეგ ქუთაისის საგუბერნიო სასამართლომ განიხილა ბრალდებულთა საქმე, რომელზედაც მეკლიტური მღვდელი სიმონ ჭირაქაძე ხანდაზმულობის გამო მღვდლის თანამდებობიდან გაანთავისუფლა, ხოლო მღვდელ-მონაზონი ვენედიქტე დროებით ისევ ციხეში დატოვეს და 1863 წელს, იმავე სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო. სამაგიეროდ, იმერეთის ეპისკოპოსის წმინდა გაბრიელის წინადადებით მას ხარისხი აყარეს და გელათიდან შორაპნის მაზრაში, ვანის მონასტერში გადაიყვანეს. აქ, მან ნახევარ საუკუნეზე მეტხანს დაჰყო...

აშკარა იყო გელათის მონასტრის ძარცვა კარგად გაანგარიშებული და ორგანიზებული ჰქონდათ მის მომწყობთ. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მასში მონაწილეობ-

დნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები, რომლებსაც იმპერიის სატახტო ქალაქიდან ვიღაცის უხილავი ხელი მფარველობდა.

მიუხედავად ამისა, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მიეკვლია და გამოეშკარავებინა დაკარგული სიწმინდეები და ძარცვის მონაწილენი. ამ მიზნით მან, 1865 წლის ზაფხულში ახალციხეში გაგზავნა სანდო პირები, რომელთაც უნდა გამოერკვიათ ის მოარული ხმები, თითქოსდა მძარცველებმა ახალციხის გავლით თურქეთში გადაიტანეს ნაძარცვი ქონება და იმჟამად იქ იმყოფებოდნენ. მათი მფარველი იყო რუსეთის კონსული არზრუმში ვინმე ჟაბა და მისი თარჯიმნები, წარმოშობით ქართველი კათოლიკენი. ეს ვერსია საგულისხმო გახლდათ იმდენად, რომ ქუთაისელ კათოლიკე ვაჭრებს ახლო ნათესაური და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდათ ახალციხელ კათოლიკებთან.

ვითარების გასაცნობად გაგზავნილი დეკანოზი გ. გამრეკელი წმ. გაბრიელ ეპისკოპოსს ასეთ ინფორმაციას აწვდის: „ყ~დ უსამღვდელოესო მეუფეო! ვისწრაფვი მოხსენებათ გელათის ნივთების გარემოებასა ზედა, რა გიახელით მე და ივან ივანიჩი ახალციხეს აქ ორი სომეხი აქაური ვაჭარნი გიახლნენ ჩვენთან და მოგახსენებთ, რომ იმათ არზრუმს ენახათ გელათის გამტეხნი და ნამდვილად შეეტყოთ თუ ნივთები ვის მიხვდათ და დღესაც იციან სადაც საცეცხური კიდია, ვინ ბარძიმ-ფეშხუმი დაამტვრია და ოქროები ვისა აქვს. ჩვენ მრავალგზის გამოვიკითხეთ დაწვრილებით რომ არ შევიქნეთ დატყუებულნი, გულით აღგვითქვეს უკვე თუ ამაზედ მთავრობა ყურადღებას მოიღებოს ესრეთ, რომ ერთი კეთილსაიმედოვნო ჩინოვნიკი გაგვატანონ არზრუმის სარასკირთან, რომ იქაურმა ჩვენმა კონსულმა ჟაბამ არ იცოდესო, რადგან მისი პერევოდჩიკები ურევია ამ საქმეში და იმათაც მიხვდათ ნაწილი გელათის ნივთებისა. ეს საქმე არ უნდა იცოდეს არც უ. დომბროვსკიმ /ახალციხის მაზრის უფროსი – გ.ტ./, რადგან ამასაც ეს კაცები დაულახავს, როდესაც მოუხსენებიათ გელათის გარემოებაი და ამათი მიცემული განცხადება ჩაუღუპავს განზრახვით. ამ საცოდავებმა გუშინ საიდუმლოდ ბორჯომს წავიდნენ და ღენერალ-ღუბ-

ერნატორს თავის საქმეზე და ამაზედაც არზა მიართვეს და იხვეწებიან თქვენის მეუფების მხრით შემწეობას ბაშფორთისა და შემწეობის მიცემაზედ.

...ნუ დაიშურებთ თქვენს მოწყალებას ამასა ზედა მეუფეო ჩემი და ეკლესიათათვის, რწმუნებულთა თქვენის მწყემსმთავრულის კვერთხისადმი კეთილმზრუნველო და ღვიძარებითა ზედა მდგომელო.

ეს საქმე სხვა საქმეს არა ჰგავს".

მართლაც, სხვა საქმე იყო...

თუ, ამ არაოფიციალურ საგამომძიებლო ვერსიაში მოტანილ ფაქტებს დავუჯერებთ, გელათის გაძარცვიდან განვლილ ექვსი წლის შემდგომაც ადვილი იყო მძარცველებისა და ნაძარცვი სიწმინდეების მიგნება.

ზემოხსენებული წერილის მიღებისთანავე წმ. გაბრიელ ეპისკოპოსმა საქმის კურსში ჩააყენა ჯერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, შემდეგ საქართველოს ეგზარხოსი, მაგრამ ძიების საქმე წინ არ წასულა.

დეკანოზ გამრეკელის წერილში დასახელებული სომეხი ვაჭრები მარტიროსოვი და გასპაროვი პირდაპირ ხელს ადებენ კონსულ ჟაბას, მის თარჯიმანს ჰაჯი აკოფ ყაუხჩოვს და ახალციხის მაზრის უფროსს დომბროვსკის, რომელმაც ხსენებული ვაჭრები ჯერ დააშინა, შემდეგ კიდეც სცემა.

აღნიშნული საგამომძიებლო ვერსიის გაგრძელებას წარმოადგენს კათოლიკოს პატრიარქ ამბროსის, 1903 წელს ჩაწერილი ერთი ფაქტი, რომელიც მას გელათელი ბერისაგან მოუსმენია: „ერთ ათონელ ბერს თევდორეს მისთვის უამბნია, რომ ქუთაისელ კათოლიკე ვაჭარს, დამალულად, რუსეთში წაუღია გასასყიდათ საეკლესი ნივთები და მდიდარი რუსი ვაჭრისათვის შეუთავაზებია. უნახავს რა, უარი უთქვამს ყიდვაზე, რამდენადაც ისინი ისე ძვირფასნი იყვნენ, რომ მას მათ შესაძენად თანხა არ ეყოფოდა და რაც მთავარია, ეს ნივთები უეჭველად ეკუთვნოდა რომელიმე მდიდარ ეკლესიას და შეუძლებლად მიაჩნდა მისი ასე ღიად გაყიდვა.

ქუთაისელი ვაჭარი ისე შეაშინა მისმა ნაამბობმა, რომ თხოვა არ გაემხილა ეს საიდუმლოება, მიეცა სამგზავრო თა-

ნხა და დაუტოვა ნივთები. რუს ვაჭარს მიუცია 300 მანეთი და ქუთაისში დაბრუნებულა“.

კათალიკოს-პატრიარქის ამბროსის დაკვირვებით, გელათელი ბერი დარწმუნებული იყო ამბის სისწორეში და ის ნივთებიც გელათის მონასტრის საკუთრებად მიაჩნდა.

არც ამჯერად მოხდა გამოძიების დაწყება. ერთი რამ კი, თუ ზემოთ მოტანილ ცნობებს ვერწმუნებით ცხადია, რომ ორივე ვერსია ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთთან უშუალო კავშირშია. გელათის საგანძურის ძარცვის დამკვეთებმა შექმნეს ძარცვის მეტად საინტერესო სქემა, რომლის განხორციელებაც მათ იოლად შეძლეს 1859 წლისათვის, გელათის მონასტერში შექმნილი არაჯანსაღი ვითარების გამო.

სამოთხის ოქროს დაკარგვის გამო ღრმა მწუხარებაში ჩავარდნილი მღვდელ-მონაზონი ისაკი ისევ დავით აღმაშენებელს შესთხოვდა შველას: „ჰოი, მეფეთა შორის დიდებული დავით! აწ გევედრებით: მწუხარება ჩვენი შესცვალე სიხარულად, დაფარულნი იგი საუნჯენი გვეუწყოს ვის მიერ იქმნა ესე. არა ხოლო ჩვენთვის გევედრებით, არამედ სახელისა შენისათვის“.

ვერც მღვდელმონაზონ ისაკის გოდებამ, ვერც გაბრიელ ეპისკოპოსის ქმედითმა ღონისძიებებმა, ვერც მორწმუნეთა დალტობილმა ცრემლმა ვერ შეძლო ფასდაუდებელი საუნჯის გელათისათვის დაბრუნება.

ღვთის განგებით მოგვთაგან შეწირული სამოთხის ოქრო, გინა ოთხუკთხა ოქროს ფიცარი კვლავ გაუჩინარდა.

მაცხოვრის ყრმობისდროინდელი კვართი

1664 წელს ერთმა გუჯარმა გედეონ გენათელის მინაწერი შემოგვინახა, რომელშიც იგი ასე შეაჩივლებს ღვთისმშობელს იმერეთის სამეფოში შექმნილ გაუსაძლის ყოფას: „წილად ხდომილი ერი შენი ესრეთ იწროებასა, ოხრებასა მწუხარებასა შინა იყო ხუთს წელიწადს, რომ ესე ვითარი არაოდეს მოსულიყო ესრეთი შფოთი და ურვა".

თვალდამწვარ იმერეთის მეფე ბაგრატ IV–სა და მის დედინაცვალ დარეჯან დედოფალს შორის ბრძოლა არა თუ დასცხრებოდა, უფრო და უფრო სასტიკი და დაუნდობელი ხდებოდა. 1668 წელს დარეჯან დედოფალმა ახალციხიდან ასლან-ფაშა მოიწვია, ქრთამად აურაცხელი ოქრო-ვერცხლი, თვალმარგალიტი, მრავალი მურასა იარაღი მისცა და რაც უმთავრესი-ძმისწული ქეთევანი ფეშქაშად დაუმატა და სამეფო ტახტი დაიბრუნა კვლავ. უსინათლო ბაგრატმა ლეჩხუმს შეაფარა თავი – სრულიად ლეჩხუმისა და სვანეთისა, ჭყვისის ციხისა და ქალაქის მქონებელ დიმიტრის მიენდო.

სახელდახელო თათბირზე გადაწყდა გაეგზავნათ რუსეთში ელჩობა, გაენათელ-ნიკორწმინდელი გედეონი, რომელიც მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს სასწრაფოდ და დიმიტრი, ეზიკილევი /ასე მოიხსენიებენ რუსული წყაროები მას/, სარდალი დიმიტრის თანამზრახველი. რუსთა ხელწიფისათვის გადასაცემად პირველმა·მეფის სიგელი წაიღო, მეორემ კი – მალულად სარდლისა.

ცამეტი თვის მომქანცველი მგზავრობის შემდეგ, 1669 წლის ნოემბერში – გიორგობა დღეს, მოსკოვში ჩავიდა იმერეთის მეფის ელჩობა /!/ და ექვსი დღის მომაბეზრებელი ლოდინის შემდეგ მიტროპოლიტმა გედეონმა გადასცა მეფის სიგელი რუსთა ხელმწიფეს, სადაც ასე აღუწერდა ვითარებას: ქუთაისი და მონასტერი თურქებით იყო ავსებული, პატიოსანი ხატები და ჯვრები და სხვა სიწმინდეები, ოქრო და ვერცხლი... ყველაფერი გაძარცვეს და თან წაიღეს. რამდენიმე ხნის შემდეგს, თურქებმა შუამავალი გამოგზავნეს: თუ სურდა და თან შეძლებაც ჰქონდა შეეძლო გამოეყიდა და დაებრუნებინა.

მართლაც, მეფეს შეუკრებია იმერეთის ყველა დიდებული, თავადი და აზნაური, რათა შეეგროვებინათ „სასახსრო" 20000 ეფიმკა და გამოესყიდათ დატყვევებული მაცხოვრისა და ღვთისმშობლის კვართები, ჯვარი.

როგორც ისტორიული დოკუმენტებიდან ირკვევა, მეფე ადრე დაპირებია რუსეთის ხელმწიფეს აღნიშნული სიწმინდეების გადაცემას და ახლა ბოდიშს უთვლის, რომ მუსულმანთა შიშით ვერ გამოვგზავნეო. ამასთანავე, იმედს გამოთქვამს, თუ დიდი ხელმწიფე ინებებს იმერეთში თავისი ელჩების გამოგზავნას, მაშინ მათი ხელით გაეგზავნება ისინი.

მიტროპოლიტ გედეონს ახნა-განმარტება მოთხოვეს რუსეთის საგარეო უწყების ჩინოსნებმა, სადაც, მოკლედ აღწერილია ზემოთაღნიშნული სიწმინდეების წარმომავლობა და დაცულობა იმერეთის სამეფოში. მიტროპოლიტიც იძულებულია დაწვრილებით გაიხსენოს ყოველივე, რა თქმა უნდა, რაც იცის, ან რისი თქმის უფლება აქვს: „როდესაც ჩვენი მაცხოვარი ყრმა იყო, მას ეცვა სახელოებიანი ქსოვილის პერანგი და ახლა ინახება დადიანის მიწაზე, მარტვილის მონასტერში, დაკეტილ ხის მძიმე კიდობანში. ამ მონასტერში ეს სიწმინდე დაასვენა ივერიის მეფე დავით /აღმაშენებელმა/, რომელიც ფლობდა ძველ დროში მრავალ სახელმწიფოს, ხოლო რამდენი ხნის წინათ იყო ეს, არ იცის. ახლა დადიანის მიწას ფლობს ბაგრატ მეფე და მისი სარდალი დიმიტრი.

რაც შეეხება ღვთისმშობლის კვართს ისიც დადიანის მიწაზე, ხობის მონასტერში ინახება. ის მოთავსებულია ხის კიდობანში, რომელიც დაკეტილია და კლიტე ეპისკოპოსს აქვს. ღვთისმშობლისმშობლის მიძინების დღესასწაულზე კიდობნიდან ამოაბრძანებენ კვართს, დაასვენებენ ტაძრის შუაგულში, რათა მართლმორწმუნე ქრისტიანებს საშუალება მიეცეთ ამბორი უყონ. თავყვანისცემის დამთავრების შემდეგ კვართი ისევ კიდობანში ინახება. ღვთისმშობლის ეს კვართი დაათვალიერა ანტიოქიის პატრიარქმა მაკარიმ. ეს კვართი, ივერთა მეფის დავითის მიერ არის მოტანილი. ასეთი სიწმინდეები იმ მონასტერში მრავლადაა და თუ მისი უდიდებულესობა, ხელმწიფე ინებებს და ელჩებს გამოგზა-

ვნის იმერეთში, მაშინ მეფე ბაგრატი გადასცემს მათ. ოღონდაც, თავდაპირველად ერთ კვართს, ხოლო ორივეს ერთდროულად ვერ გამოგზავნის, იმ მიზეზით, რომ ქრისტიანები შეურაცხყოფილად იგრძნობენ თავს, რაც შეეხება თუ სად იშოვნა მეფე დავითმა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის კვართები არ იცის"...

როგორც შევნიშნავდით, მეფე და მიტროპოლიტი გარკვეულ დიპლომატიურ ხერხს მიმართავენ, ისინი ხელაღებით სიწმინდეების რუსეთისათვის მიცემაზე თავს არიდებენ, ცდილობენ დრო მოიგონ, რათა გამოჩნდეს რუსეთის სახელმწიფოს ჭეშმარიტი მფარველობის არსი და მიიღონ დახმარება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გედეონ მიტროპოლიტთან ერთად მოსკოვში იმერეთის სამეფოს სარდლის ელჩიც იმყოფება. იგი მიტროპოლიტის ზურგსუკან მოქმედებს, რაც გამოიხატება იმ წერილის შინაარსით, რუს ხელმწიფეს რომ უგზავნის სარდალი დიმიტრი. „ახლა ურუმნი მოვიდნენ, იმერეთი აღაოხრეს, ხატ-ჯვარი შეურაცხყვეს, ღვთითა წინა აღუდექით, ჩვენი ქვეყანა ასრე გავამაგრეთ რომე, ჩვენი ბატონიც და სულა მისი ყმანი, ცოლშვილითა ჩვენ შევიხიზნეთ და რაც საქართველოში პატიოსანი ხატ-ჯვარი იყო და ნაწილები ყველა მე გადავარჩინე... ერთი ფეშქაში გვიახლებია, რომ სრულად საქართველოშიდ იმის მაგიერი არა იყოს რა, პატიოსანი ნაწილი წმიდის ნიკოლოზის მისის ხატითა მიახლებია ჩვენის კარისა დეკანოზის სვიმონის ხელით და თუ ხელმწიფემან წყალობა ყოს ჩვენ ზედან და გვიბოძონ რამე, ამის ხელით გვიბოძონ და ბედნიერის ხელმწიფისაგან თუ წყალობას დავინახავთ, ხელმწიფე რომე ყოვლად წმიდის პერანგს ეძებს და უბრძანებია, ღვთით ისიცა და იესო ქრისტეს მარტვილობის პერანგი აგარიანთა შიშისათვის ჩვენ შევიხიზნეთ და ჩვენს ხელად არის და თუ ჯამაგირს გაგვიჩენენ და მაგათი წყალობა ჩვენზედ იქნების მოუშლელად, იმ ორშიდ, რომელიც ეპრიანება იმას მოვართმევთ ბედნიერს ხელმწიფეს".

როგორც ცნობილია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი დღესაც ინახება საქართველოში, რაც შეეხება

მაცხოვრის ყრმობის დროინდელ კვართს, მის შესახებ ცნობები შემდგომში აღარ მოგვეპოვება. სამწუხაროდ უნდა ვიფიქროთ, რომ იმერეთის სარდალმა დიმიტრიმ თავისი განზრახულობა შეასრულა – შედგა გარიგება მასსა და რუსეთს შორის.

მარცხით დამთავრდა გედეონ გაენათელის /ლორთქიფანიძე/ დესპანობა რუსეთის სატახტო ქალაქში. ამ დროსათვის იქ იმყოფებოდა ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე – ვახტანგ V-ის ძე ერეკლე, იგივე ნიკოლოზი, რომლის მრავალგზისი დაბეზღების შედეგად დააპატიმრეს იმერეთის ელჩი და მისი 26 კაციანი ამალა. გედეონ გაენათელი გაგზავნეს წმ.კირილეს მონასტერში, სადაც სამი წელი გაატარა პატიმრობაში. მხოლოდ დედოფალ ელენეს, იმავე ნიკოლოზის დედის თხოვნით, გაათავისუფლდა ტყვეობიდან და 1676 წლის სექტემბერში მობრუნდა სამშობლოში.

იუდას ვერცხლი

„როცა იუდამ, რომელმაც იესო გასცა, დაინახა
რომ მას მსჯავრი დასდეს, ინანა და უკან მიუბრუნა
ოცდაათი ვერცხლი მღვდელმთავრებს და უხუცესებს.
უთხრა: შევცოდე, მართალი სისხლი რომ გავეცი“
მათ კი უთხრეს: ჩვენ რა? შენ იცი.
დაყარა ვერცხლი ტაძარში, გამოვიდა, წავიდა და თავი ჩამოიხრჩო.
მათე 27. 3,4,5

იერუსალიმში ზეიმით შესულ მაცხოვარს, როცა ხალხი სიხარულით შეეგება, მასთან მივიდნენ ავგარ მეფის წარგზავნილები და ხელთუქმნელ კვართთან ერთად გადასცეს ოცდაათი დრაქმა ვერცხლი. მაშინ თქვა მაცხოვარმა: „მოვიდა ჟამი რომ განდიდდეს ძე კაცისა“. ჩაიცვა ხელთუქმნელი კვართი, აიღო ვერცხლი და შეეკითხა თავის მოწაფეებს: „საიდან არის ეს ვერცხლი“? მოწაფეებმა ვერაფერი უპასუხეს. მაშინ ქრისტემ უთხრა მათ: „დაიმახსოვრეთ. მე გე-

ტყვით თქვენ: ეს ვერცხლი პირველად გაჭედა თარამ, აბრაამის მამამ და დაუტოვა შვილს. შემდეგ აბრაამმა ამორეველთა ხეობაში იყიდა მიწა ისააკისათვის. ამორეველებმა ამ ვერცხლით გამოიყიდეს იოსები და ის დარჩა ეგვიპტის ფარაონთან. როცა სოლომონი იერუსალიმში ტაძარს აშენებდა, ფარაონმა საჩუქრად გამოუგზავნა იგი და სოლომონმა ტაძრის კარები მოჭედა. ნაბუქოდონოსორმა ეს ვერცხლი წაიღო ბაბილონში და საჩუქრად მისცა სპარსელ მოგვებს, რომლებმაც სხვა საუნჯესთან ერთად მოგვართვეს ბეთლემში. როცა ჩვენ გვდევნიდნენ, ვერცხლი დაგვრჩა ბეთლემში, იპოვეს ვაჭრებმა, წაიღეს და შემდეგში მწყემსებისაგან იყიდეს ეს კვართი. მწყემსებმა კი ვერცხლი მისცეს ავგარ მეფეს, მან კი დამიბრუნა ისევ. ახლა, აიღეთ ეს და მიუტანეთ მღვდელმთავრებს. ისინი შეგეკითხებიან თუ ვინ გამოგზავნა. უთხარით: „იოსების შვილმა გამოგზავნა იგი". მართლაც, მოწაფეებმა ვერცხლი მიუტანეს მღვდელმთავრებს, რომლებმაც მისცეს იგი იუდა ისკარიოტელს, მაგრამ როდესაც ქრისტე ჯვარს აცვეს, იუდა ჩავარდა მსჯავრში, ინანა და ოცდაათი ვერცხლი უკანვე მიუბრუნა მღვდელმთავრებსა და უხუცესებს. მათ ამ ვერცხლით მეჭურჭლე არტემანისაგან შეიყიდეს მინდორი უცხოელთა სასაფლაოდ, მაგრამ ამ დროს მოვიდნენ ჯარისკაცები გოლგოთიდან და და თქვეს: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით!". მღვდელმთავრებმა სასწრაფოდ გამოიძახეს საწყალი მეჭურჭლე, წაართვეს ის ოცდაათი ვერცხლი და ჯარისკაცებს დაურიგეს იმ პირობით, რომ დაეფარათ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა. ჯარისკაცებმა გამოართვეს ვერცხლი და წაიღეს თავიანთ სამშობლოში.

დიდხანს არ ჩანდა მისი კვალი.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეს ოცდაათი დრაქმა ვერცხლი, იწოდებოდა იუდას ვერცხლად, რომლისგანაც შედგომში დაამზადეს წმ. გიორგის ვერცხლის ხატი. საფიქრებელია, რომ ბიზანტიიდან ხატმებრძოლობის პერიოდში იგი საქართველოში იქნა გადმოტანილი. ამ ფაქტის შესახებ ცნობას გვაწვდის მე-17 საუკუნეში იმერეთში მყოფი რუსეთის ელჩებიც ნ. ტოლოჩანოვი და ა.იევლევი: „ამის მა-

ხლობლად მეორე ხატია წმ. გიორგის, მაგრამ დახატული კი არ არის, ისე ვერცხლზეა გამოსახული ... ზაქარია მიტროპოლიტმა გვითხრა ამ ხატის შესახებ, რომ ის იმ ვერცხლისაგან არის გაკეთებული, იუდამ რომ ქრისტე გასცა და ოცდაათი ვერცხლი აიღოო. ეს ხატი ოქროცურვებული კი არ არის, თეთრია ვერცხლისფერი, მაგრამ დიდი სიბრძნით / დიდი ოსტატობით/ არის გაკეთებული. ეს ხატი კონსტანტინეპოლიდან არის მოტანილი, როცა ხატბრძოლა იყო".

ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი, რომელიც იმერეთში იმყოფებოდა მე-17 საუკუნის შუა ხანებში, გელათის მონასტრის დახასიათებისას, ასეთ ჩვენებას აძლევს მოსკოვში რუსეთის საგარეო საგანგიოს: „Есть еше икона светого велика мученика Георгиа, облошена вся а тридесяти серебрених что продал Христа Июда".

XIX საუკუნეში, კერძოდ 1842 წელს მოხდა გელათის პირველი სრულყოფილი აღწერა: „ხატი წმ-ის გიორგისი, ჰუნეზედ მჯდომარე, სიმაღლით რვა და სივრცით ექვსი გრე, ვერცხლით შეჭედილი, რომელსაცა უსხედან ადგილ-ადგილ ქვები, ვგონებ არა ძვირფასი".

1854 წლის აღწერაში მოცემულია უფრო ვრცლად ამ სიწმინდის აღწერა: „და აკლია მრავალნი თვალნი".

იუდასათვის მიცემული ოცდაათი ვერცხლით დამზადებული წმინდა გიორგის ხატი, ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ქრისტეს სუდარა და ტილოები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჯვარცმის შემდეგ იოსებ არიმათიელმა პილატესაგან გამოითხოვა მაცხოვრის ცხედარი, მანამდე კი იყიდა ტილო და მასში შეახვია. ძველ იუდეველთა დაკრძალვის წესების თანახმად, ამ ტილოში წაგრაგნილი ქრისტე დაასვენეს სამარხში. ამის მოწმენი იყვნენ მარიამ მაგდალინელი და სხვა ქალები. მაცხოვრის დაკრძალვის შემდეგ ისინი წამოვიდნენ გოლგოთიდან და ყველაფერი უამბეს პეტრე-სიმონს, რომელიც სწრაფად წამოემა-

რთა თავის მოწაფესთან ერთად მოძღვრის საფლავის სახილველად. სამარხში პეტრემ დაინახა „დაწყობილი ტილოები, სუდარა, ტანზე რომ ჰქონდა შემოხვეული, იმ ტილოებთან კი არ იდო, არამედ ცალკე იდო. ერთ ადგილას დახვეული". იოანე მახარებელი აქ ხაზგასმით აღნიშნავს და ცალცალკე გამოყოფს სუდარასა და ტილოებს, რადგან ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებული დანიშნულებით გამოიყენებოდნენ და შემდგომში ხშირად ერეოდათ ერთმანეთში ქრისტიანული სიწმინდეებით დაინტერესებულ მკვლევარებს. როგორც მოსალოდნელი იყო პეტრემ და მისმა სხვა მოწაფეებმა მაცხოვრის ზემოთ ჩამოთვლილი ეს წმინდა ნივთები შეინახეს და ეკლესიას გადასცეს.

ჩვენთვის საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ზემოთხსენებული სიწმინდეთა – ქრისტეს სუდარისა და ტილოს ნაწილები ინახებოდნენ გელათის მონასტერში. პირველი ცნობა მათ შესახებ 1662 წ. ერთ დოკუმენტში გვხვდება, როცა რაჭა-ლეჩხუმის სარდალი დიმიტრი რუსეთის ხელმწიფე ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილ წერილში იხსენიებს „იესო ქრისტეს მარტვილობის პერანგს". ამ დღისათვის თურქთა შემოსევის გამო იმერეთში გელათიდან და სხვა ეკლესია-მონასტრებიდან დროებით გახიზნულია საეკლესიო განძეულობა. რა თქმა უნდა, აღნიშნულ წერილში საყურადღებოა ის, რომ ხსენებულმა სარდალმა კარგად არ იცის ქრისტეს რა სიწმინდეზეა საუბარი. მართალია იგი აზვიადებს მის სამფლობელოში დროებით დაცულ სიწმინდეთა მნიშვნელობას, მაგრამ აშკარად სცდება სიწმინდის სახელდების დროს. უბრალოდ, ყოვლად წარმოუდგენელია ლტოლვილ თეიმურაზ მეფეს სარდალ დიმიტრისათვის მიებარებინოს ისეთი დიდი სიწმინდე, როგორიცაა ქრისტეს კვართი, რომელსაც იგი ქრისტეს „მარტვილობის პერანგს" უწოდებს. საბედნიეროდ, სარდალ დიმიტრის გაზრახულობა ჩაეშალა, მან ვერ შეძლო ამ სიწმინდეთა რუსეთში გადაგზავნა, რასაც ადასტურებს მოგვიანებით, მე-19 საუკუნის შუა ხანებში ჩატარებული გელათის მონასტრის აღწერილობათა ნუსხები: კერძოდ, მათში ნათქვამია: „ერთი ოქროს სანაწილე, რომელშიც არის ქრისტეს სუდარის ნაჭერი".

ხოლო ა. მურავიოვი შემდგნაირ ცნობას გვაწვდის მის შესახებ უფრო დაწვრილებით და თავის შთაბეჭდილებასაც გადმოგვცემს: „Тут же под стекломь деревянного кивота, заключена вь золотом сердце, осипанномь жемчугомь и дорогими камнями, часть сударя господня, коим было обвито чело его при погребений и которой обретень, по словамь свангелскимь, святымь особо в гробе, по воскресенной Христовомь. Какая святыня! и кому она известна бь уединений Гелата? а без сомнения она была принесена Царевнами Греческими, Еленою или Ириною, когда они вступали вь супружество сь великими Багратомь и Давидомь".

რა თქმა უნდა ა.მურავიოვი ცდება, როცა დავით აღმაშენებელს მოიხსენიებს ბიზანტიის იმპერატორის სიძედ. აქ საქმე გვაქვს ბაგრატ III-ის მეუღლეზე. მართლაც, დედოფალმა ელენემ მრავალი ქრისტიანული სიწმინდე და რელიქვია მოიტანა საქართველოში. თუ ა. მურავიოვის ამ ვარაუდს გავითვალისწინებთ, ცხადი ხდება, რომ წმინდა სუდარა ჯერ ქუთაისის საკათედრო /ბაგრატის/ ტაძარში უნდა ყოფილიყო დასვენებული, შემდგომ კი, იგი გელათში გადაუბრძანებია დავით აღმაშენებელს.


აღნიშნულ ოქროს სანაწილეში წმინდა სუდარასთან ერთად ინახებოდა საფლავში მაცხოვრისათვის შუბლზე დაფენილი ტილოები. ამის შესახებ დაცულია ცნობა 1842 წლის 18 იანვრის გელათის მონასტრის ქონების აღწერილობაში: „ამ სანაწილეში არიან ორი ხელით ნაჟღლემი ტილოს მსგავსნი, მესამე მცირე შალის ნაჭერი და მეოთხე შავი მორგვალებული ძნელად განსარჩევი თუ რაი არის".

მაგრამ 1859 წელს გელათის მონასტრის გაძარცვისას, სხვა სიწმინდეებთან ერთად გატაცებული იქნა „ქრისტეს სუდარის ნაწილი თავის ხატით /სანაწილეთი/ და ვერცხლით ჯაჭვით, აგრეთვე მაცხოვრის ჯვარცმის დროინდელი ორი ტილოს ნაჭერი".

ამდენად, 1859 წელს რუსეთის მიერ კარგად ინსპირირებულმა გელათის მონასტრის სალაროს გაძარცვამ სამუდამოდ დაუკარგა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას სანუკვარი სიწმინდეები.

წმინდა გიორგის თხემი

ქრისტიანული ლეგენდის თანახმად, ღმერთმა გარდაცვალების შემდეგ მთავარმოწამე გიორგის სხეული დაანაწილა და მთელს დედამიწაზე მიმოაბნია. საქართველოში გავრცელებული თქმულება კი გვაუწყებს, რომ წმ. გიორგის სხეული 360 ნაწილად იქნა დაკეპილი, რომელთათვისაც წლის დღეების შესაბამისად ტაძრები ააშენეს. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, საქართველოში „არ არიან ბორცვნი და მაღალნი გორაკნი, რომელსა ზედა არ იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი".



დავით აღმაშენებელმა ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობასთან ერთად წმ. გიორგის ტაძრის აგებაც გადაწყვიტა. მეფეს ტაძრის აშენება უფრო მაღლა სურდა, მაგრამ მას გამოეცხადა წმ. გიორგი და მიუთითა იმ ადგილზე, სადაც ახლა ეკლესიაა აშენებული. მეფის მოძღვარ ბერ არსენს, რომელიც მეფესთან ერთად ლოცულობდა ამ სასწაულებრივი გამოცხადების ჟამს, გაუგონია მხოლოდ ზეციური ხმა და უხილავს, რომ მეფე დავითი დახრილა მიწაზე, მაგრამ ღირსი ვერ გამხდარა პირისპირ ეხილა მთავარმოწამე.

მეტად დიდი იყო მეფისათვის მთავარმოწამისადმი რიდი და მოწიწება. ეს განსაკუთრებით მაშინ გამომჟავნდა, როცა 1121 წლის აგვისტოში თურქთა უზარმაზარი კოალიცია შეიკრიბა საქართველოს წინააღმდეგ და მემატიანის თქმით „ვითარცა ქვიშა ზღვისა, რომლითა აღივსო ქვეყანა, და აგვისტოსა თურამეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს

ამათ ადგილთა". ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში წმ. გიორგი მოევლინა მფარველად და შემწედ მეფესა და მის ლაშქარს: „ხოლო წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრეიდა ზედა მოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ მოწამისა გიორგისსა".

ამის შემდგომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ წმ. გიორგი საქართველოსათვის ზეციურ მფარველად ითვლებოდეს. მეფის მოძღვარი არსენ ბერი ყოველივე ამის გამო აღნიშნავდა: „მეოხი და მფარველი და ხელის აღმპყრობელი ყოველთა მორწმუნეთა და უფროისად ნათესავისა ჩუენისა".

იმ მრავალ შენაწირ სიწმინდეთა შორის, რომელიც გელათის მონასტერს ანდერძით დაუტოვა დავით აღმაშენებელმა იყო წმ. გიორგის თხემის ნაწილი: „ნაწილნი წმიდათანი, ორი მოთხე სავსე, ესე თვით ამას ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს" გვაუწყებს თავად წმინდა მეფე 1125 წლის შიომღვიმისადმი მიცემულ სიგელში. სწორედ, ამ ორ მოთხეთაგან ერთ-ერთში იყო მოთავსებული წმ. გიორგის თხემი.

მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს, როცა ერთიანი სამეფო დაიშალა, წმ. გიორგის თხემი კვლავ გელათის მონასტერში დარჩა. ამ სიწმინდის აქ არსებობაზე ცნობები დაცულია რუსი მოგზაურების ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლევის აღწერილობებში, სადაც მოხსენიებულია დავით აღმაშენებლის მიერ შეწირული სანაწილე – მოთხე: „იმავე ხატის წინ ვერცხლით მოჭედილი პატარა სკივრი დგას, სიგრძით არშინის სამი მეოთხედი იქნება, სიგანით ექვსი ვერშოკი. სკივრი მეფის ბეჭდით არის დაბეჭდილი. მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ იმ სკივრში წმინდანების, მოციქულებისა და მოწამეთა ნაწილებიაო".

მე-17–18 საუკუნეთა მანძილზე იმერეთის სამეფოს დასუსტებამ, შინა-აშლილობამ და თურქთა აგრესიამ მისდაუნებურად გავლენა იქონია გელათის მონასტრის ცხოვრებაზე. ამ პერიოდში იწყება მონასტრიდან სიწმინდეთა დაკარგვა-გადინება. ეს ფაქტი კარგად ჩანს 1737 წლის შემთხვ-

ევაში, როცა იმერეთის მეფე ალექსანდრე V რუსეთში გაგზავნილ ელჩობას მიტოპოლიტ ტიმოთეს ხელმძღვანელობით, სხვა სიწმინდეთა შორის თან გაატანა წმ. გიორგის ერთი ნაწილიც. რუსეთის ხელმწიფეს ალექსანდრე V წერდა: „თავსა წმიდისა ფიტონისსა, ზედან გამოსახული ნაწილი წმიდისა გიორგისა მოგვიმძღვანებია მაგათ უპირველესის მეფობის მცველად".

საბედისწერო აღმოჩნდა ამ და სხვა სიწმინდეთა მიძღვნა იმერეთის სამეფოსა და უპირველესად გელათის მონასტრის განძეულობისათვის, რადგან წმ. გიორგი ხომ ბაგრატიონთა „მეფობის მცველად" ითვლებოდა! და მართლაც, 1810 წელს რუსებმა გააუქმეს უკანასკნელი სამეფო ქართველთა – იმერეთი.

1820 წლის 4 მარტს შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს გელათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე შერვაშიძე და ამით გააუქმეს გელათის საეპისკოპოსო.

ამ დროს, გაიბნა და დაიკარგა „ვერცხლის ხატი წმინდა გიორგის ნაწილებით". აღნიშნული ხატი იყო საკათალიკოსო საყდრის გელათში და დოსითეოს ქუთათელი, რომელიც კათალიკოსის მოსაყდრედ და ფაქტიურად დას.საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად ითვლებოდა, თან ატარებდა ამ გულსაკიდ, წმ. გიორგის ნაწილებიან ხატს. ცნობილია, რომ წმ. მღვდელმთავარი დოსითეოს ქუთათელი რუსეთში გადასახლებისას, წამებით აღესრულა და რუსებმა მისი გვამი მალულად დამარხეს ანანურის ციხე-სიმაგრის ეკლესიაში.

მღვდელმთავართა იძულებით გადასახლებისთანავე, 1820 წლის აპრილში დაიწყო, გელათის მონასტრის ქონების კამერალური აღწერა, რომელსაც არქიმანდრიტი ნიკოლოზი /ჩხეიძე/ ხელმძღვანელობდა. ამ აღწერილობაში კვლავ იხსენიება დავით აღმაშენებლის მიერ გელათისათვის შეწირული სანაწილე, რომელშიც, როგორც აღვნიშნეთ, მოთავსებული იყო წმ. გიორგის თხემის ნაწილი: „საკურთხეველში... სანაწილე ვერცხლისა, მოოქროვილი, საშუალო ზომისა და კუბო ვერცხლის სანაწილედ".

1833 წელს მონასტერში დამზადდა ახალი, მუხის ხის სანაწილე /ზ.1,52X76სმ/ რომელშიდაც გადატანილ იქნა სხვა

სიწმინდეებთან ერთად, წმ.გიორგის თხემიც. როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, გადატანის მიზეზი გამხდარა წმ. გიორგის ნაწილისათვის გარკვეული ნაწილის ჩამოტეხვა. ეს მომხდარა 1829 წლის სექტემბერში. თუმცა, არსებობს სხვა თარიღიც, რომელმაც გარკვეული სიცხადე უნდა შეიტანოს ამ ფაქტის ისტორიაში.

1829 წელს საქართველო – იმერეთის სინოდალურ კანტორაში შევიდა საჩივარი, რომლის ავტორიც იყო გელათის მონასტრის ბერმონაზონი ისააკ დოღონაძე. საჩივარი შეეხებოდა გელათში „მდგომისა იქ მღვდლის სიმონ კანდელაკზე, წარტაცებისათვის ვითამც ამ უკანასკნელისაგან წ-ის გიორგის ნაწილისა". ჩვენთვის, ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია ყველა ის საარქივო საქმე, რაც კი ამ ფაქტის შესახებ შესაძლოა არსებობდეს, მაგრამ ჩვენს ხელთარსებული დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ გელათის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ნიკოლოზის ბრძანებით, მღვდელმა ს. კანდელაკმა და დიაკვანმა ი. წივწივაძემ „რომელ ჩყლგ ანუ ჩყლბ წელსა შინა სექტემბრის თვეში ბრძანებითა განსვენებულის ძმისა ჩემისა გაენათის მონასტრის არხიმანდრიტის ნიკოლოზის მიერ, ერთბამ დიაკვნის იოვანე წივწივაძითურთ თხემსა ზედა წ-ის გიორგისა მოტეხეს მათ და მიართუეს არხიმანდრიტს".

ამ სტრიქონებს წინამძღვრის ძმა, „ნადვორნი სოვეტნიკი" დავით ჩხეიძე დაწერს შემდეგ. იერომონახ ისააკის საჩივრის კვალზე დაიწყო გამოძიება. თუ ვინ იყვნენ გამომძიებელნი თავდაპირველ დოკუმენტებში არ სჩანს, მხოლოდ ბოლო ეტაპზე საქმის გამომძიებლებად მოხსენიებულნი არიან იმხანად ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის დეკანოზი იესე გიორგაძე და ბლაღოჩინი მღვდელი იგოლ /!/ მესხი...

გამოძიებამ კი რამდენსამე წელს გასტანა, სრულად 15 წელი.

მაინც ვინ იყო არქიმანდრიტი ნიკოლოზ ჩხეიძე? იგი 1785 წელს ყოფილა დაბადებული. ყმაწვილკაცობისას მსახურად ედგა რაჭის არქიეპისკოპოსს სოფრონიოსს. 1802 წელს აღიკვეცა ბერად და ორი წლის შემდეგ ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად. ათი წლის შემდეგ არქიმანდრიტ-

ად აკურთხეს. ხოლო 1820 წლიდან ეფთვიმე გაენათელის გადასახლების შემდგომ იყო გელათის მონასტრის წინამძღვარი. ამავე დროს იგი ხელმძღვანელობდა1820 წლიდან ქუთაისისა და ვაკის ოლქების საეკლესიო ქონებათა და მოსახლეობის კამერალურ აღწერას. 1823 წელს არქიმანდრიტი ნიკოლოზი აირჩიეს საქართველო – იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად და ფაქტობრივად აქედან იწყება უთანხმოება მასსა და იმერეთის ეპარქიის მმართველ არქიეპისკოპოს სოფრონიოს შორის.

ჩვენთვის უცნობია სინამდვილეში თუ რა დაედო საფუძლად ამ განხეთქილებას. თუ კი მხედველობაში მივიღებთ არქიმანდრიტ ნიკოლოზის დაწინაურებას სინოდალური კანტორის წევრის თანამდებობაზე, აგრეთვე მის ერთგულებას რუსულ ხელისუფლებისადმი, გასაკვირი არ იქნება ის მაღალი ჯილდო, წმ. ანას მე-2 ხარისხის ორდენი, რომ გავითვალისწინოთ ის მფარველობა სინოდის მხრიდან წმ. გიორგის თხემის გაძარცვის გამოძიების ფაქტთან დაკავშირებით მის მიმართ.

ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ არქიმანდრიტ ნიკოლოზის „დამსახურებაა" იმ ხელნაწერთა დაკარგვა, რომელიც გელათის მონასტრის ქონებათა აღწერილობებს ეხებოდა 1689 წლიდან. დასახელებული ნუსხები მან 1826 წელს განსახილველად გადაუგზავნა თბილისში წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელ ეგნატე იოსელიანს. ამით დაიკარგა პირველხარისხოვანი დოკუმენტები, რომელთა გარეშე ძნელია გელათის მონასტრის ისტორიის შესწავლა და რაც უმთავრესი: დაიკარგა კვალი გელათის საგანძურის შესახებ, ხოლო არქიმანდრიტ ნიკოლოზის მიერ 1820 წელს ჩატარებული გელათის კამერალური აღწერა მეტად ზოგადია და ნაკლული.

ყოველივე ამან სათავე დაუდო მონასტრის განძეულობის მიზანმიმართულ ძარცვას. ეს უპირველესად შეეხება წმინდა გიორგის თხემს.

როგორც ირკვევა, წმ. გიორგის თხემისაგან მოტეხილი საკმაოდ დიდი ნაწილი არქიმანდრიტს გადაუცია თავისი ძმის „ნადვორნი სოვეტნიკ" დავით ჩხეიძისათვის. ამ ფაქტს

ამოწმებენ გელათელი მღვდელი სვიმონ ჭირაქაძე და მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე გვეტაძე. საქმის გამომძიებლებისადმი მიწერილ ახსნა-განმარტებით ბარათში დავით ჩხეიძე, რა თქმა უნდა, უარყოფს ძარცვის ფაქტს და დამბეზღებლებს ცილისმწამებლებად მოიხსენიებს: „რომლისათვის გამოვაცხადებ, რომელ ვითარც ნაწილი წმიდის გიორგის თხემისაგან მოტეხილ... თუცა არცა სხვისა რომლისამე წმინდათაგანის უბოძებიეს და არცა მე მისთვის ესე ვითარი არ მითხოვნია". ბრალდების უარყოფის კვალდაკვალ დ. ჩხეიძე მომჩივანთ მისი ძმის არქიმანდრიტ ნიკოლოზის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში ადანაშაულებს: „განმრჩოლებულის მეშურნეობითა ურთიერთს შორის ჰყოფენ მიცვალებულსა ზედა ესრეთსა უმართლოს შეწამებასა".

1838 წელს არქიეპისკოპოსმა სოფრონიოსმა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ არქიმანდრიტი ნიკოლოზი „გარდმოყენებულ იქმნა გაენათის მონასტრისაგან", მაგრამ საქმე ამით არ დასრულებულა და ძიება კვლავ გრძელდებოდა...

უარყოფდა რა დ. ჩხეიძე მისდამი წაყენებულ ვითომცდა უსაფუძვლო ბრალდებას, თავს იმით იმართლებდა, რომ წმინდა ნაწილის დაკარგვის დროს ის იყო „წარგზავნილ მთავრობისა მიერ შორაპნის მაზრაშიდ გაყოფისათვის ზოგად თავადთა წერეთლებთა შორის ჰყმისა და მამულსა შინა, სადაც მაისის თვიდამ ვიდრე ნოემბრის თვის მეორე რიცხვამდე ვიმყოფებოდი მუნ. მაშასადამე, მაჩუენებელთა მიერ ერთოდენ აღებული უმართლო შური არა დასცხრებიან აწცა მიცვალებულ ნიკოლოზ არხიმანდრიტსა ზედა და მისთვის ჰყოფენ ესრეთთა განუსჯელთა ჩუენებათა, გარნა მე ამასა შინა ყ~დ ყოვლითურთ უბიწო ვარ, რომელ წ-ის გიორგის თხემისაგან მოტეხილი ნაწილი ჩემს ძმას ნიკოლოზს არხიმანდრიტს არაოდეს არ უბოძებია და არა მოტეხა მისი მე სრულიად არა ვუწყი".

ეს ახსნა-განმარტება 1842 წლის 22 აპრილს იწერება– გიორგობის წინა დღეს! შევნიშნავდით, რომ მთავარი დამნაშავე ამ დროისათვის უკვე გარდაცვლილია. მანამდე კი, არქიეპისკოპოსმა სოფრონიოსმა, ზუსტად 1839 წელს გელათის მონასტრიდან „შტატგარეშეთ" მონასტერში გადაი-

ყვანა, ფაქტიურად გააძევა ბერმონაზონი ისააკ დოღონაძე. მოგვიანებით, 1847 წელს შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში ამ ბერმონაზონს რომ შეეხება, ნათქვამია: „შესმენისაბლით მისისა მღვდელს სიმონ კანდელაკზე დაკარგვისათვის მისგან წ-ა ნაწილთა და სხვათა საეკლესიო ნივთთა გაენათის მონასტრისათა“.

როგორც ამ ამონარიდიდან ჩანს, გელათელ მღვდელ სიმონ კანდელაკს, ბერმონაზონ ისააკის დასმენით, ბრალი არამარტო წმ. გიორგის თხემის ნაწილის მოტეხვაში მიუძღვოდა, არამედ სხვა სიწმინდეების დაკარგვაშიც, სახელდობრ თუ რა, დასახელებული არაა. აქვე აღსანიშნავია, ისიც, რომ არქიმანდრიტ ნიკოლოზის გელათის წინამძღვრობიდან გათავისუფლების შემდეგ დროებით, მაგრამ მაინც მღვდელი ს.კანდელაკი ასრულებდა მის მოვალეობას.

როგორც მისი საფლავის ეპიტაფიიდან ირკვევა ს. კანდელაკი ყოფილა მგალობელი: „დეკანოზი გელათისა“... გარდაცვლილა 1852 წელს.

ბერმონაზონი ისააკი, მღვდელი სიმონ ჭირაქაძე და მღვდელმონაზონი ნიკიფორე გვეტაძე ახლა ს. კანდელაკის წინააღმდეგ აგრძელებენ ბრძოლას და ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ დავით ჩხეიძემ როგორც დამკვეთმა და მიმთვისებელმა წმ. გიორგის თხემის ნაწილისა, სცადა დაეცვა გამომძიებელთაგან ს. კანდელაკი, რომლის მიმართ კვლავ იყვნენ შეთქმულნი დასახელებული მომჩივარნი „სხუათა პირთა მიერ ცრუ შეწამებისა და საჩივრისათვის“.

ალბათ, „სხვათა პირთა“ შორის დ. ჩხეიძე უთუოდ არქიეპისკოპოს სოფრონი ოსსაც მოიაზრებდა...

ზემოთ მოტანილ საარქივო დოკუმენტებში დ.ჩხეიძის მიერ ურთიერთსაწინააღმდეგო დათარიღებებია მოტანილი, თუ როდის იქნა მოტეხილი „თხემსა ზედა ნაწილი“ წმ. გიორგისა. უკვე აღვნიშნეთ, რომ მღვდელმონაზონ ისააკის ჩვენებით ეს მომხდარა 1829 წელს. „ნადვორნი სოვეტნიკის“ მიერ დასახელებულ თარიღების მიხედვით, თუ ვიმსჯელებთ, ეს „ვითომცა“ ძარცვა მომხდარა „რომელ ჩყლგ ანუ ჩყლდ წელსა შინა სექტემბრის თვეშიდ“. ის, დანამდვილებით ან ვერ იხსენებს ზუსტ თარიღს აღნიშნული ძარცვისას. ეს,

არცაა გასაკვირი. მაგრამ ამ ძარცვის ზუსტი დათარიღება დადგენა ჩვენ დაგვეხმარება, უფრო ღრმად ჩავწვდეთ აღნიშნული ძარცვის დეტალებში და საუკუნენახევრის შემდეგ მაინც დავსვათ ბრალეულნი და უბრალონი წმ. გიორგის სამსჯავროზე.

სინოდალური კანტორის ჩანაწერებით, რაც მღვდელმონაზონ ისააკ დოლონაძის საჩივარზეა დაფუძნებული, ძარცვა მომხდარა 1829 წელს. თვე და რიცხვი იქ არაა მითითებული. მაშინ, თუ ძარცვა მოხდა 1829 წელს, გამოდის, რომ წმ. გიორგის თხემი ჯერ კიდევ ინახებოდა დავით აღმაშენებლისეულ ვერცხლის სანაწილეში, რომელიც 1820 წელს ჩატარებული კამერალური აღწერის მიხედვით, საკუთრხევში ინახებოდა. სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, მძარცველებმა, თანაც სასულიერო პირებმა, ამ შემთხვევაში ჩაიდინეს მეტად მძიმე დანაშაული – ღვთის, მამულისა და წმ. გიორგის წინაშე – ხელჰყვეს სრულიად საქართველოსა და ყველა ქრისტიანისათვის უწმინდესი საუნჯე.

ქურდობის გამომჟღავნების შემდეგ 1833 წ. როგორც ჩანს, არქიეპისკოპოს სოფრონიოსის მითითებით დაუმზადებიათ ადრე ნახსენები მუხის ხის სანაწილე და ვერცხლის სანაწილედან მასში გადააბრძანეს წმინდანთა ნაწილები. ხის სანაწილეში, მინის ხუფის ქვეშ უფრო სახილველი იქნებოდნენ ისინი და ყურადღების ცენტრშიც მოექცეოდნენ.

დ. ჩხეიძის მიერ დასახელებული თარიღები „ჩყლდ“ – 1834 წელს თუ მივიღებთ მხედველობაში, მძარცველებს ხის სანაწილისათვის ჯერ მინის ხუფი უნდა ჩამოეხსნათ, შემდეგ ბუდიდან უნდა ამოეღოთ ცვილით ჩამაგრებული წმ. გიორგის თხემი და მოეტეხათ ნაწილი. ამგვარი ქმედება კი მონასტერში შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ და ძალზე სარისკო იყო. ამასთანავე, თუ ძარცვა ამ თარიღის ქვეშ მოხდა და ამის მოწმეებიც მოიპოვებოდნენ – საჩივარზე ხელმოწერის დადასტურებით, მაშინ არქიეპისკოპოსს სოფრონიოსს არ უნდა გაჭირვებოდა მოკლე დროში მათი განთავისუფლება გელათიდან და პასუხისგებაში მიცემა. მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი წინამძღვრობიდან არქიმანდრიტ ნიკოლოზის გადაყენება. როგო-

რც ჩანს, არქიეპისკოპოსს ძალზე უჭირდა ამის მიღწევა, მიუხედავად დიდი სურვილისა, რადგან არქიმანდრიტს საკმაოდ გავლენიანი წრე ჰყავდა, როგორც სასულიერო, ისე საერო მმართველობაში. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი ვერასდროს გამოიჩენდა ზედმეტ პრინციპულობას და მტკიცებულებას, რადგან რუსულ მმართველობაში კარგად ახსოვდათ მისი თხოვნა სხვა მღვდელმთავრებთან ერთად ჯერ კიდევ 1819 წელს წარდგენილი ეგზარქოს თეოფილაქტესადმი: „გვიშვამდგომლოთ ჩვენ მის იმპერატორებითის დიდებულებასთან მოწყალებაი, რათა თვითეული ჩვენგანი დაშთეს სიკვდილამდე უწინდელსამებრ თვის-თვისა ეპარხიასა შინა“.

ამდენად, არქიეპისკოპოსი შესაძლოა დროის გაყვანას უფრო ცდილობდა, ვიდრე დანაშაულის გახსნას. არადა მომჩივარნი არა თუ დასცხრებოდნენ, არამედ კიდევ უფრო დაასხამდნენ ცეცხლზე ნავთს... როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა საქმის გაჭიანურებით სინოდალური კანტორაც იყო დაინტერესებული. ეს ნათლად გამოსჭვივის 1844 წლის საქართველო – იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებულებაში, იმ დროს როცა უკვე გარდაცვლილნი არიან არქიმანდრიტი ნიკოლოზი, არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი – ნათქვამია: „მოისმინა საქმე შესმენისაგან ყოფილს გაენათის მონასტერში იერომონახის ისაკისა მდგომისა იქ მღვდლის სიმონ კანდელაკზე წარტაცებისათვის ვითამც ამ უკანასკნელისაგან წ-ის გიორგის ნაწილისა; გიბრძანეთ, საქმე ესე მოსწყდეს წარმოებისაგან და შეირაცხოს შესრულებულად ა~დ: /ამისათვის/ სიკვდილისა გამო არხიმანდრიტისა ნიკოლოზისა, პირველისა დამნაშავისა მოტეხაზე წ-ის გიორგის ნაწილისა, რომელიც არა ჩანს, თუ რა უქნია იმას იგი. მეორედ; დიდიხნობისა გამო ამა საქმისა რომელიცა მომხდარა ჩყკთ /1829/ წელსა, ესე იგი მას აქეთ იე /15/ წელიწადია და მერმედ ძალითა ა.მუხლითა ყ~დ უმაღლესის მანიფესტისათა ივ /16/ აპრილსა ჩყმა /1841/ წლისა. მესამედ ვითარიცა გადაწყვეტილება კანტორისა გეცნობოს რა თქ-უენ /დავით მიტროპოლიტს –გ.ტ./ ა-დ; ებრძანოთ მღვდელს ჩირაკაძეს /ჭირაქაძეს–მ.ტ./ და დიაკვან წივწივაძეს, ვითა-

რცა მონაწილეთა წარტაცებაში ნაწილისა წ-ის გიორგისა უგუნურებითის წერილებითა ბრძანებითა წინამძღვრისათა არა განიწმინდოს სინდისი ამა მოქმედებაში თავიანთ მოძღვართან და იერომონაზონ ისააკს შესმენისათვის".

ამრიგად, ძიება დასრულდა. მომჩივანი ისააკ დოღონაძე მონასტრიდან იქნა გაძევებული – სხვა ეკლესიაში გადაიყვანეს, ხოლო დანარჩენი – ერთი უკვე გარდაცვლილია, აქვე – გელათში წევს, სხვები ჯერჯერობით დამუნათებულნი – კრინტი არ უნდა დაძრან, ურთიერთბრალდებებს თავი დაანებონ, ყველაფერი წარსულს ჩააბარონ და მითქმა-მოთქმა შეწყვიტონ.

უკვე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ წმ. გიორგის თხემის ნაწილის მოტეხვა არც არქიმანდრიტ ნიკოლოზის, არც მღვდელ კანდელაკისა და სხვა ზემოხსენებულ პირთა თვინიერი განზრახვა არ ყოფილა. მათ უბრალოდ შეასრულეს დაკვეთა, რომელიც მომდინარეობდა „ნადვორნი სოვეტნიკ" დ. ჩხეიძისაგან, რომლის ზურგსუკან, როგორც დამკვეთი, იმჟამად საქართველოში „მოღვაწე" ვინმე რუსთაგანი იყო.

1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დროს ახალი ათონის მონასტრიდან შიშიანობის გამო, ლტოლვილმა რუსმა ბერებმა დროებით გელათის მონასტერს შეაფარეს თავი და საკუთარი სახსრებით დაამზადეს ახალი კიდობანი, „რომელიც მშვენივრად არის გაკეთებული. ამ კიდობანს შიგნით გამოყრული აქვს ვერცხლის თხელი ფურცელი. ამ ფურცელზე არის წარწერანი იმ წმინდანთა სახელებისა, რომელთა ნაწილები ინახებიან ამ კიდობანში. ლუსკუმს აქვს შესაფერისი სახურავი, ხოლო ზემო პირზედ შიდ ლუსკუმაში არის ხატვრობა ჩამოთვლილის წმინდანებისა.

ესე ლუსკუმა არის შემოწირული ახალის ათონის მღვდელ-მონაზვნის მამა არსენისაგან" წერდა ამ ფაქტის შესახებ ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და გამომცემელი დეკანოზი დ. ღამბაშიძე.

სანაწილე და წმინდა გიორგის თხემი, გელათის მონასტრის გაუქმების შემდეგ 1924 წლის 22 ნოემბერს – გიორგობის დღესასწაულის წინა დღეს გელათიდან ჩამოიტანეს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

2005 წლის ნოემბერში შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებით წმ. გიორგის თხემი კვლავ დაუბრუნდა დედაეკლესიას და ახლა ის 1833 წელს დამზადებულ მუხის ხის სანაწილეშია ჩასვენებული.

წმინდა გიორგის ჯვარი

წმ. გიორგის ნაწილიანი ჯვარი დამზადებული იყო იმ ხისაგან, რომელიც აღმოცენდა მცხეთაში, კვართის ადგილსამყოფელზე. ის იყო კვიპაროსის ხე და აღმოცენებისთანავე მრავალ სასწაულს იქმოდა: შეეძლო დაჭრილი ნადირის განკურნება „აგრეთვე ავადმყოფნი ანუ ფრინველნი მტკივნეულნი განიკურნებოდნენ“ მას შემდეგ რაც წმ. ნინომ ქართლი მოაქცია, ხე მოჭრეს და მის ადგილზე გადაწყვიტეს ეკლესიის აშენება, მაგრამ მისი აღმართვე ვეღარ შეძლეს. მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვითა და ვედრებით კვლავ აღიმართა სვეტი ჰაერში რამდენსამე ხანს და შემდგომ სადაც დაეყრდნო აღმოცენდა მირონი.



როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, ამ ხიდან სამი დიდი ჯვარი შექმნეს, ერთი აღმართეს მცხეთასთან, ჯაჭვის ეკლესიის ადგილას, მეორე თხოთის მთაზე, სადაც ნადირობისას მირიან მეფეს დაუბნელდა მზე და მესამე – უჯარმის მთაზე.

იოანე ბატონიშვილის ამ უწყებით შემდგომში „იტყვიან, სამეფო სამად რომ გაიყო, იმერეთის მეფეს მისცეს წმიდის გიორგის ნაწილით ჯვარი“.

როგორც შევნიშნეთ, ჯვარი ფიზიკურად ქართული წარმოშობის ქრისტიანული სიწმინდეა და რაც უმთავრესი მასში ჩაბრძანებული იყო წმ. გიორგის ნაწილები. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით მდებარეობს „მას შინა ბეჭი მთავარმოწამის წმიდის გიორგისა, მარადის სასწაულთმოქმედი".

აღსანიშნავია, რომ ეს წმინდა ჯვარი საისტორიო წყაროებში სხვადასხვა გვარად იწოდებოდა შესაბამისად მისი განსასვენებელი ადგილებისა: ბოლნურ ანუ ყორანთის; ატოცის, სადგერისა და ჩხარის ჯვრად.

ის იყო საქართველოს სეფე ჯვარი.

ის წინ მიუძღოდა ქართულ ლაშქარს ომებში.

ის იყო უმთავრესი სიმბოლო ქართველ მეფეთა კურთხევის ჟამს.

და რაც მთავარი და გადამწყვეტი: ის იყო საქართველოს მთლიანობის სიმბოლო! პირველი მოხსენიება წმ. გიორგის ნაწილიანი ჯვრის შესახებ გვხვდება დავით აღმაშენებლის მეფობისას, „როცა წმიდა მოწამე გიორგი გაცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა" ქართველთა მხედრობას დიდგორის ომში იგი გარდაცვალები წინ. მეფე დავითმა უანდერძა თავის ძეს – დემეტრეს „ამას ყოველთა თანა წარუძღუანე წმიდაი ძელი ცხორებისაი და მიეცა დროშა ჩემი სვიანი".

წმინდა ჯვარი მოხსენიებულია თამარ მეფის საზეიმო კურთხევისას: „აღმართეს სკიპტრა დიდებულთა, ძელი ჯუარისა და მისთანა დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი წინააღმდეგომთაგან ნიავთა და ყოველთა ერთხმაქმნილთა აწვიეს თამარს ხრმალი მამული მამისა მონიჭებული.

წმ. გიორგის ნაწილიანი ჯვარი მრავალგზის იყო მფარველი, შემწე და წინამძღვანი ქართული ლაშქრისათვის თამარ მეფის დროს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია სულტან ნუქარდინის წინააღმდეგ შეკრებილ ქართული ლაშქრის მიერ სასწაულთმოქმედ ჯვართან ფიცის დადება. „მოიყვანნა წინაშე თვისსა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა ერისთავთა, რათა თვითეული მათი მოვიდოდეს წინაშე წმიდასა ჯუარსა და თაყუანის ცემდენ და შეემთხუეოდიან, და იწყეს მოსვლად ყოველთა და ტირილითა ვედრებად, და თაყუან-

ისცემად პატიოსნისა ჯუარისა, და ამბორის-ყოფად და აგრეთვე შემთხუევად ხელსა თამარისსა; და ანდერძ-ყოფდეს ყოველნი სახლთა, შვილთა და სულთა წინაშე მისსა". ლაშქრის დალოცვისა და ბრძოლის ველზე გასტუმრების შემდეგ, თამარ მეფეს, როგორც მემატიანე გვაუწყებს, დაუთხოვია მასთან ერთად მყოფნი ეზოსმოძღვარი და ჯვარისმტვირთველი და რაკი მარტო დარჩენილა, „მერმე თვით მიიქუა პატიოსანი იგი ჯუარი ხელითა თვისითა, და ამხედრებულთა ზედა ყოველსა მხარსა ნიში ჯუარისა გამოსახა, სამგზის დალოცა, და ეგრეთ წარემართეს მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი".

„მორწმუნეთა და მეფეთა წინამძღუარმა" წმინდა გიორგის ჯვარმა დავითისა და თამარის ძლევამოსილ ომებში თავის საფარველქვეშ დაიფარა საქართველო. ხოლო თემურ-ლენგის მრავალგზისი ლაშქრობებით, რომლის მიზანი იყო „დასრულება ქართლისა", რასაც ნათლად გამოხატავს მისგან გაცემული ბრძანება: „დაარღვიეთ, დაარღვიეთ მისაფუძვლამდე მისა, ხოლო მხცოვანთა მამათა და დედათა, და უფროსღა სამღდელოთაგან რომელნიცა შეიპყრან, მოსრან ყოველივე პირითა მახვილისათა, და სხუანი წარტყუენონ და ტყუე ჰყონ, და მოწვან ცეცხლითა წმიდანი ეკლესიანი, და ყოველნივე დაბანი და შენობანი ქართლისანი".

ასე დროს, საქართველოს სეფე ჯვარმა შეიძინა ახალი ფუნქცია „ტომთა აგარიანთა" უკუნმქცევლისა. ეს უნარი წმინდა გიორგისა ჯვრისა ზუსტად არის ასახული მეფე ალექსანდრეს 1412 წლის სიგელში: „აჰა, ესერა ბრწყინავენ ოთხნივე საყდარნი მეფობისა ჩუენისანი და შეწევნითა და წინამძღვრობითა ძელისა ცხოვრებისათა სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულნარიან და ამის მიერთა ცვა-ფარვათა თქვენდა მონდობილმან და შევრდომით მოქენემან სუეტსა ღთ~ივ აღმართებულსა... კათოლიკე საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა, რომელ დააქციეს ტომთა აგარიანთა ჟამსა მას რომელ წარმოემართა ქუეყანით სამარყანით ბილწი იგი და მოძაგებული სახელით თემურ და მრავალნი საყდარნი და მონასტერნი დააქცივნა და ...მათნიც ბილწნი და შეურაცხნი სალოცავნი და მიზგათნი დააქცივნა".

ამ სიგელის გაცემიდან გავიდა ნახევარი საუკუნე.

1462 წელს, ჩიხორთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ, როცა ერთიანი ქართული სამეფო დაიშალა, იმერეთის სამეფოს წილად ხვდომია სწორედ ზემოთაღნიშნული წმინდა გიორგის ნაწილიანი საწინამძღვრო ჯვარი. ეს წილხვდომობა იმერეთის სამეფოსათვის შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული წმ. ჯვარი გელათის წიაღ გამოვლილი იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის.

ზუსტად, ცნობილი არ არის თუ რომელ წილიდან დაისაკუთრეს იმერეთის მეფეებმა წმ. გიორგის ჯვარი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ფაქტი მომხდარა 1462 წელსვე, ანდა 1465 წელს, როცა ყვარყვარე ათაბაგმა ტყვედ ჩაიგდო ქართლის მეფე გიორგი თავფარავანთან ბრძოლისას, მაშინ იმერეთის მეფე ბაგრატ II უმალ გადავიდა ქართლში და თავისი თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა, მაგრამ მატიანენი ამის შესახებ დუმან...

1509 წ. იმერეთის მეფე ალექსანდრემ კვლავ დაიპყრა ქართლი. იმ დროს როცა მეფე გორში იმყოფებოდა „მოუხდნენ ჩიხნი იმერეთს და მოარბიეს სრულად, ესე ესმა ალექსანდრეს ქართლის მყოფს, უკუმოიქცა და მოვიდა იმერეთის მოწყვეტად მათდა“. შესაძლებელია სწორედ ამ დროს მომხდარა ჯვრის გადმოტანა. ამას გვაფიქრებინეს „პარიზის ქრონიკის“ ცნობა: „გორის ჯვარი აქა გელათს მოასუენეს“. აღნიშნული ქრონიკა ამ ფაქტს 1519 წლით ათარიღებს, მაგრამ ამ დროისათვის შეუძლებელი იყო ჯვრის გადმოტანა ქართლიდან.

ყოველ შემთხვევაში ფაქტი ფაქტად რჩება. წმინდა ჯვრის განსასუენებელ ადგილად გელათი იქნა მიჩნეული. ამის დადასტურებას წარმოადგენს იმერეთის მეფის ბაგრატ III მეორე ჯვარისმტვირთველ ფანჩულიძისათვის ბოძებული წყალობის წიგნის პირი /„გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერთგულს და თავდადებით ნამსახურს სეფე ჯვარის მტვირთველს ფანჩულიძეს იოსებს“.../

წყალობის წიგნში მოხსენიებული სეფე ჯვარის მტვირთველი, როგორც ჩანს წმ. ჯვრის გელათში დაბრძანების

პერიოდში ფანჩულიძეთა გვარის წარმომადგენლები ყოფილან.

1526 წელს ქართლის მეფე ლუარსაბ I-მა ცოლად შეირთო იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ასული თამარი. ამ ქორწინებამ ორ სამეფოს შორის დაძაბულობა გაფანტა, და სამეფოებს შორის თანხმობა ჩამოვარდა. სწორედ ამ დროს, ოსმალეთის სულთანმა იერუსალიმის გასათავისუფლებლად მიიწვია საქართველოს მეფე-მთავრები. ვახუშტი ბაგრატიონის მონათხრობით „შემდგომად ამათთა წარმოევლინა სულტანს სულეიმანს სამთა ამა მეფეთა თანა დესპანი: გიორგის ქართველთა, ბაგრატ იმერთა და ლევან კახთა: რამეთუ ადგილი სჯულისა თქუენისა იერუსალიმი დაიპყრეს უსჯულოთა, აწ მომინიჭებიეს თქუენდა, მოვედით და განასხენით იგინი და დაიპყრენით თქუენდა:

ამის მსმენნი მეფენი სიხარულით შეიკრიბნენ სპითა თვისითა, ვინაითგან იყვნეს სიყვარულსა მტკიცესა ზედა და ათაბაგი ყუარყუარე მოერთო მეფესა გიორგის და წარვიდნენ მსასოებელნი ღვთისანი. მისრულთა იერუსალიმსა შინა მყოფთა მიუთხრნეს: „გვაუწყეთ, უკეთუ ხართ მტერნი, მცირედ გვიჩანთ და, უკეთუ სტუმარ, მრავალ ხართ“. ხოლო მეფეთა მიუთხრნეს: „მბრძოლნი ვართ ძალითა მაგავ ადგილისათა“. ამის მსმენელნი გამოვიდნენ ქალაქით იერუსალიმით და ეწყუნენ ურთიერთთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი. სძლეს საქართველოსათა, მოსწყიდნეს და ააოტნეს და შეჰყვნენ ქალაქად. წარუხუნეს ქალაქი, მოსწყვიდნეს და განდევნეს იგინი, ხოლო ნეშტნი დაიპყრნეს და აღიღნეს ალაფნი დიდნი და ნატყუენავი. სცნა ესე ყოველნი ხონთქარმან, მოანიჭნა ნიჭნი დიდძალი და წმიდანი ადგილნი საფლავი ქრისტესი, გოლგოთა, ბეთლემი და ჯუარის მონასტერი. ხოლო მეფეთა განათავისუფლეს იგინი და წარმოვიდნენ გამარჯვებულნი და მოვიდნენ თვის-თვისითა სამეფოთა შინა“.

ამ ბრძოლიდან დაბრუნების შემდეგ, წმ. გიორგის ნაწილიანი ჯვარი, რატომღაც გელათში არ დაბრუნდა. რა იყო ამის მიზეზი, ძნელი ასახსნელია, ხოლო წმ. ჯვრის ხდება და წინამძღვრობა გაერთიანებული ქართული ჯარისათვის იერუსალიმში – უტყუარი.

სადგერში წმინდა ჯვრის მოსვენებისა და მისი ხელმეორედ მოჭედვის შესახებ, ცნობები დაცულია სიმეონ დეკანოზის მიერ დაწერილ „ქებაი სადგერის წმიდა გიორგისში: „აქ მოსუენდა თხემი შენი და ტაძარსა მოიწყობდი“

„აწ წმიდაო, ეს სადგური შენ ირჩიე წილად შენდა“.

„აქ აღიშენე, მკურნალო, სადგურად ეს ტაძარია“...

შოთაძენი იყვნენ ჯვარისმტვირთველნი შთამომავლობით, როგორც „ქებაის“ ტექსტშია მინიშნებული წმ. ჯვრისათვის ტაძარი ორ წელიწადს შენდებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თარიღი 1532–34 წლებზე მოდის, რადგან, როგორც იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის სიგელიდან ვგებულობთ, 1534 წელს მან სიგელი უბოძა სადგურის წმ. გიორგის დეკანოზს გიორგი შოთაძეს და მის შვილებს, როგორც ჯვრის მხლებლებსა და მცველებს ჩხარში. ამ სიგელის ძალით, ჯვრისმტვირთებლებს ხელმწიფის სამსახური არ მართებდათ, მათ მხოლოდ ჯვრისათვის უნდა გაეწიათ სამსახური და ისინი უკვე ჩხარში არიან დამკვიდრებულნი.

ჩხარში წმ. გიორგის ნაწილიანი ჯვრის დასვენება კარგად გამიზნული ნაბიჯი იყო იმერეთის მეფისაგან. საისტორიო წყაროებით, ჩხარი და მისი ეკლესია, გელათის მონასტრის გამგებლობაში იყო და ამავე დროს მისი მეტოქი. ბაგრატ III სიწმინდის ჩხარში დაბრძანებით, ისე რომ იგი გელათის საკუთრებიდან არ გამოუცალკავებია, უფრო პოლიტიკური ნაბიჯი გადადგა და არც ტრადიცია დაარღვია, საქართველოში არსებული სხვა წმ. ჯვრების მთავარ კათედრალებიდან ან სატახტო ქალაქებიდან დაშორებით დასვენებისა.

სადგერიდან წმ. ჯვრის გადმოტანა წმ. გიორგის ნაწილებითურთ, სავსებით სრულად არ მომხდარა. როგორც ჩანს, იქ, დარჩენილა წმინდანის სხვა ნაწილებიც.

ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, 1578 წ. როდესაც „ლალა ფაშას ლაშქარი და მირმაღი გამოეგზავნა პატრონს მანუჩართან, ქართლს გაეძახა, ქართლს ვერ ჩაუვიდეს, სადგერს დადგეს და ამოსწყვიტეს სადგერი, წმინდის გიორგის განძი წახდა“. თუ რა დაიკარგა ამ თავდასხმას უცნობია.

1650–52 წლებში იმერეთის სამეფოში მყოფი რუსი ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ჩხარში წმინდა ჯვრისა და მასში დაცული სიწმინდეების შესახებ: „სოფელში წმ. გიორგის სახელობის ქვის საყდარია, საყდარში, აღსავლის კარებთან ორი არშინის სიმაღლის ჯვარია. ამ ჯვარში ჩატანებულ ოქროს „სიონში“ მთავარმოწამის გიორგის წმ. ნაწილებია, თავის ძვალი, ქალა“. განსხვავებულ ცნობებს იძლევა იევლევი „მონასტერში ქვის საყდარია წმინდა მოწამის გიორგის სახელობის... მარცხენა მხარეს აღსავლისა და ჩრდილოეთის კარებს შორის საჟენის სიმაღლის დიდი ჯვარია... ჯვარს ზემოთ ვერცხლის დიდი კიდობანია გაკეთებული... მღვდელმა თავისი ხელქვეითების თანდასწრებით გვიამბო, რომ კიდობანში გიორგი მოწამის თავი ასვენიაო. ჯვრის შუა ნაწილშიც კიდობანია გაკეთებული. დასაკეტი კარი ოქროსი არის... ამ კიდობანში გიორგი მოწამის ხელი ასვენიაო“.

რუს ელჩებს, საყდრის ხუცესი უამბობს, თუ საიდან და როდის იქნა მოტანილი აღნიშნული სიწმინდეები ჩხარში: „რომ ის, ორმოცი წლის წინათ არის ქართლის ქვეყნიდან მოტანილი, ხოლო ამაზე წინათ ის ჯვარი ქართლის ქვეყანაში ახალციხეშიო. და როცა ის ციხე-ქალაქი თურქებმა აიღეს, ის ჯვარი თბილისში ჩამოასვენესო, ხოლო როცა წინანდელმა შაჰაბასმა საქართველოს შევიწროება დაიწყო, ის ჯვარი იმერეთში გადმოიტანეს და ამ მონასტერში მოათავსესო“.

1668 წელს, დარეჯან დედოფლის მიწვევით იმერეთს თავს დაესხა ახალციხიდან თურქთა ჯარი ასლან ფაშას მეთაურობით. თურქებმა გაძარცვეს მთელი იმერეთი. ამის შესახებ იუწყება ბაგრატ უსინათლოს სიგელი რუს ხელმწიფისადმი გაგზავნილი „თურქებმა იმერეთიდან წაიღეს მრავალი პატიოსანი ხატი, სიწმინდეები და ჯვარი. იმერეთის მეფე არ აკონკრეტებს სახელდობრ თუ რა ხატი ან სხვა სიწმინდეები იქნა წაღებული „სასახსროდ“ ახალციხეში, მაგრამ ასახელებს მხოლოდ ერთადერთ ჯვარს, ანუ წმინდა გიორგის ნაწილიან ჯვარს, რა თქმა უნდა ჩხარიდან. აღნიშნული სიწმინდეები 20000 ეფიმკის საფასურად დაუხსნია მეფეს.

ერთიანი საქართველოს დაშლის დროს დადებული პირობა, რომლის ძალით წმ. გიორგის ჯვარი იმერეთის საკუთრება იყო, ხშირად ირღვეოდა. ეს დავა კარგად აისახა მე-17 საუკუნის უკანასკნელი პერიოდის ქართლისა და იმერეთის სამეფოთა ურთიერთდამოკიდებულებაში.

1674 წელს იმერეთის ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, არჩილ მეფე ახალციხეში გადავიდა შემწეობის მისაღებად. საფიქრებელია, რომ წმ. ჯვარი მან თან წაიღო ჩხარიდან და გირაოდ დაუტოვა ახალციხის ფაშას დახმარების სანაცვლოდ. არჩილ მეფეს იმედები გაუცრუვდა, ხოლო ჯვარი წინდად დარჩა ახალციხეში. ირკვევა, რომ აღნიშნული სიწმინდეები დაუხსნია მის ძმას – გიორგი XI, რომელიც იმჟამად სპარსეთში იმყოფებოდა. „კუალად წარმოგზავნა ხატი ოქონისა და ნაწილნი და ჯუარნი, რომელნი წინდად ეყო სამცხეს და მესხმან მან მუნ მიუღო ყოველნი და მეფემან მოანიჭნა უზომონი ნიჭნი“.

ეს მომხდარა 1708 წელს, რადგან თბილისში ჯვარი დიდხანს არ დარჩენილა. ვახუშტი ბაგრატიონი ამგვარად გვიხსნის ვითარებას: „ეზრახა იესე მეფე მეფე გიორგის დატევებისათვის ბიძის ასულისა თვისისა და გიორგი მეფემან აღუთქვა კუალად ...მის თანა და ითხოვა ჯუარი ჩხარისა, რომელ იყო ატოცსა. მან მისცა როდამ და ჯუარი იგი დაასუენეს ჩხარსვე“.

ამ ფაქტის კომენტირებისას მკვლევარები მიუთითებენ, რომ წმინდა ჯვარი იმერეთის მეფეს ესაჭიროებოდა, როგორც თავისი ძალაუფლების აღიარების სიმბოლოდ, ამასთანავე. ამით იგი ქართლის მეფისაგან სუვერენობის აღიარებასაც იღებდა. „გამაჰმადიანებელი იესე მეფე თავისი მდგომარეობის განმტკიცებას ცდილობდა, იმერეთის მეფესთან კეთილდამოკიდებულებას ეძიებდა, ისტორიული სეფე-ჯვრის ბედი კი მას, ცხადია დიდად არ აწუხებდა“.

ამგვარად, სეფე-ჯვარი ორ ქართულ სამეფოს შორის სტაბილურობის გარანტი შეიქმნა.

მე-18 საუკუნეში, როცა თურქეთმა საბოლოოდ შეძლო იმერეთის სამეფოს დამორჩილება და თავისი ცბიერი პოლიტიკის გატარებით ცდილობდა სარწმუნოებრივი საფუ-

ძვლების შერყევას, წმინდა გიორგის ჯვრისადმი, ზრუნვა და მოწიწება მაინც ძლიერი იყო როგორც სამეფო კარის წარმომადგენლების მხრივ, ისე უბრალო მოსახლეობაშიც. ამის თვალნათლივი დადასტურება ალექსანდრე V-ის, 1741 წელს გაცემული, წყალობის წიგნი, რომელიც ამასთანავე წარმოადგენს ქართული საეკლესიო სახოტბო ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშს წმ. გიორგის ჯვრისადმი მიძღვნილს:

„ახოვანო მხედარო უფლისაო და ყოველსა შინა სოფელსა სახელგანფენილო და სასწაულმოქმედო განმათავისუფლებელო პყრობილთა და უღონოთა ტყვეთაო, რომელმან იხსენ /...გან/ ვეშაპისა ასული იგი მეფისა მთიები, გამბრწყინვებელო გონებისა მორწმუნეთასა და აღმავსებელო ნაწილთა ზეგარდმოთა მიმღებო, უხვად ნაყოფისა მეტისა იერუსალიმისასა და გვირგვინთა უფრჭნოთა განშვენებულო წინმბრძოლო მეფეთაო ... მხნეო, ქველო და ღვაწლით შემოსილო, მოწამეთმთავარო დიდო მოწამეო და მხედარო ქრისტესო წმიდაო გიორგი.

ჩვენ ცვა ფარვითა თქვენთა მონდობილმან და მოსავმან... ხელმწიფემან მეფემან პატრონმან ალექსანდრე ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ შემოგწირეთ მცირე ესე შესაწირავი ისევე ტაძრისა და მამულისა შენისა სიახლოესა შინა მყოფი მოსახლე დავით რუხაძე და ძმა მისი კვირიკე".

განსაკუთრებული რიდითა და პატივისცემით ეპყრობოდა წმინდა ჯვარს იმერეთის უკანასკნელი მეფე. 1799 წელს სოლომონ II და დედოფალი მარიამ ახალი შეწირულების სიგელს უბოძებენ მას. რიცხვით შვიდას ორმოცდაათი მარჩილი შესწირა და დაუდვა ჩხარის წმინდის გიორგის და ღირსისა საბას ეკლესიასა ყოველ წლივ მოუშლელად და მოვალეობად დაუდგინა მოიჯარადრესა ქუთათის სამღებროისასა, რათა ზემორე აღნიშნული რაოდენობა შესწიროს ყოველწლივ წარადგინოს წინაშე მის მეფე სოლომონისსა რათამცა ნაკლულევანება სამკაულთა შეავსოს იმა შემოსავლიდამ".

იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, როდესაც მოუსავლიანობისა და სხვადასხვა ეპიდემიათა გავრცელების შედეგად მოსახლეობა თითქმის განახევრდა და „სამიტროპო-

ლიტო დიდებულნი ეკლესიანი დახშულნი, ყოვლადუსამღვდელოესნნი მიტროპოლიტნი სხუათა და სხუათა ტყეთა და ნაპრალებთა შინა არიან დამალულნი, აგრეთვე სხუანი სამღვდელონი დასნი წმ. ჯვარი კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. ჩხარი იყო აჯანყების ერთ-ერთი ცენტრი, რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ ამ აჯანყების შესახებ უ. ფ. გამბას აღწერილობაში საგანგებო ადგილი აქვს მიჩნეული: „1820 წელს იგი შეიარაღებული აჯანყების ერთ-ერთ კერას წარმოადგენდა. ჩხარის ეპისკოპოსი /წმ. ეფთვიმე შარაშიძე გაენათელი მიტროპოლიტი – გ.ტ./, რომელიც ამ მაზრაში სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფლებას ითავსებდა, ამ აჯანყების ერთერთ მეთაურად ითვლებოდა. ამიტომ რუსმა ჯარისკაცებმა შური იძიეს ქალაქზე და გადაწვეს იგი.

მცირე ხნით იმაზე ადრე, ვიდრე 1820 წლის ამბები დატრიალდებოდა, ეპისკოპოსმა ეკლესია აღადგინა.


ეკლესიის ინტერიერი მცირედ არის მორთული ხატებით და ყველაზე ღირსშესანიშნავი ფასეულობა აქ, რვა ფუტი სიმაღლის მუხის ჯვარია. იგი ძალზე ძველი ჩანს: მთლად დაფარულია მოოქრული ვერცხლის ჭედური ფირფიტებით.

იქვე, ჯვართან დევს დაახლოებით ორი ფუტი სიმაღლის კონუსისებური ფორმის მიტრების მსგავსი ხდის წყვილი ნაკეთობა, რომელსაც ძვირფასი თვლებით მოოჭვილი პატარა მოოქრული ვერცხლის ჯვარი ადგას თავს. ეს ნაკეთობები აქ იმ დროს ჩამოუტანიათ, როცა იმერეთის მეფეებმა ახალციხის მაზრა – იმდროს საქართველოს სამეფოს ნაწილი დალაშქრეს, მერე კი ისინი ჩხარის ეკლესიისთვის შეუწირავთ. მათ სასწაულთმოქმედ ძალად თვლიან, განსაკუთრებით მოურჩენელ დაავადებათა განკურნებისა და დემონურ ცდუნებათა აცილების უნარს მიაწერენ“.

ამ აღწერილობის აღნიშვნიდან გავიდა ზუსტად ასი წელი და 1920 წელს წმინდა ჯვრის არქეოლოგიური შესწავლის მიზნით მოინახულა ექ. თაყაიშვილმა. მართალია მისი იმდროინდელი აღწერილობა არ შემონახულა, მაგრამ მან ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ, დაგვიტოვა საგულისხმო აღწერილობა, რომლითაც ჩვენ სიწმინდის იმდროინდელ მდგომარეობას ვეცნობით: „ჩემი ყურადღება ყველაზე უწინ,

მიიქცია ჩხარის ეკლესიის მთავარმა განძმა, კანკელის წინ დასადგმელმა დიდმა ჯვარმა. ჯვრის სიმაღლე უქუდოდ 2 მეტრი და 30 სმ-ია. სიგანე 1 მ. და 6 სმ. ქუდი ჯვარს ორი აქვს: ერთი უფრო ძველი, სიმაღლით 30 სმ-ია, ხოლო მეორე უფრო გვიანი დროისა, უფრო მაღალია და ჯვარით თავდამშვენებული. ჯვრის ხე ძელქვა უნდა იყოს და ერთობ მძიმეა.

ჩვენ ჯვარი ეკლესიიდან გარეთ გამოვიტანეთ, დეტალურად გადმოვიღეთ ფოტოთი ყველა სურათები და გადმოვწერეთ წარწერები. ეხლა ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ჯვარს ჩვენს შემდეგ ზიანი განუცდია და ამ სახით აღარ მიუღწევია მუზეუმში.



ქრისტეს ქვევით ყოფილა ფიგურა წმიდა გიორგისა, მაგრამ ეხლა მოშლილია, მოსჩანს მხოლოდ მისი ხელის ნაწილი და ასომთავრული წარწერა: „წმიდისა გიორგისა თავი ხელთა აქუს“.

ამოტეხილი ფიგურის მაგიერ ეხლა მიკერებულია შემკობილი წრე, რომელიღაც ხატისა ეს ცენტრალური ფიგურა თავისი ვედრების ფიგურებითურთ შეადგენდა სახურავს ჯვრის ხის სისქეში ამოჭრილი დიდი სანაწილისას, რომლის შიგნით არეები სულ ოქროთი იყო შეჭედილი და სამ უჯრაში /რომელთაგან ორი ოქროსი იყო და ერთი ვერცხლისა/ მოთავსებული იყო ნაწილები, თავის ქალას ძვლები, ვითომდა წმიდა გიორგისა. ნაწილები დაფარული იყო მოქარგული ხავერდის საფარებელით, რომლებზედაც ამოქარგული იყო სახე ვეშაპის მგმირავი, ცხენოსანი წმ. გიორგისა. ეხლა ეს სანაწილე სულ გაძარცულია, ნაწილები, რა თქმა უნდა აღარ შენახულა, მთლად დაკარგულია აგრეთვე სანა-

წილის ოქროს მორთულობა და კერძოდ ორი ოქროსი და ერთი ვერცხლის უჯრა".

ექ. თაყაიშვილის ამ პუბლიკაციით, ვგებულობთ, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921–24 წლებში წმ. ჯვრის სიონიდან დაკარგულია წმ. მთავარმოწამე გიორგის თავის ქალის ძვლები. სამწუხაროდ, როგორც ირკვევა ექ. თაყაიშვილს წმინდა ნაწილთა ფოტოგრაფირება არ მოუხდენია.

ჩხარიდან წმ. გიორგის ჯვარი მეტეხის მუზეუმში იქნა გადატანილი. იმ დროისათვის, როცა ექ. თაყაიშვილის პუბლიკაცია გამოქვეყნდა, წმ. ექვთიმეს დაკვირვებით, ჯვარს „ზიანი განუცდია". თუკი ჯვრის დაზიანება, ანუ სანაწილის ბუდეზე მოთავსებული წმ. გიორგის ხატის მოცილება და სიწმინდეთა მითვისება ადგილობრივ ჩხარში მოხდებოდა, მაშინ გამორიცხულია, რომ მძარცველებს სანაწილეზე მიემაგრებინოთ „შემოკბილი წრე რომელიღაც ხატისა". ამგვარი „მიკერება" მაშინდელ საბჭოთა მუზეუმებში ხშირად ხდებოდა ე. წ. ხელოვნებათმცოდნეების მხრივ, რომლებიც ცდილობდნენ დაემალათ კვალი საბჭოთა ბარბაროსობისა. რადგანაც ეს ფირფიტა, ჩვენი ვარაუდით მუზეუმშია მიმაგრებული, ვფიქრობთ, რომ წმინდა გიორგის თავის ქალა, ბეჭი და სხვა ნაწილები ამ მუზეუმის ფონდსაცავებშია საძიებელი.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში გელათის მონასტერში მოღვაწეობდა ბესარიონ /დათუნა/ ქვარიანი. ზეპირგადმოცემით, რაღაც შემთხვევის გამო იგი გელათიდან გაუძევებიათ, შემდეგ კი თურქებთან ბრძოლაში დაღუპულა. მან გალექსა წმინდა გიორგი „წამება" და სასწაულები, სადაც მკაფიოდაა გადმოცემული იმდროინდელი ქართული საზოგადოების შთაბეჭდილებანი და განწყობანი, აგრეთვე სარწმუნოებრივი მსასოებლობა.

„ვინც ძვალნი ჩემნი სარწმუნოდ იხილოს, მოჰყოს ხელია,
რომ შეემთხვიოს სიწმინდით, მას მადლი ქონდეს მრთელია,
კურთხევა შენი მიჰფინე, განუქვრე სატანჯველია,
და ჩემგან მიიღოს კურნება და დღენი ჰქონდეს გრძელია".

თამარ მეფის სარტყელი

თამარ მეფე მეტად ღვთისმოსავი და მოშიში იყო უფლის მიმართ. ჯერ კიდევ სიცოცხლეში მისი თანამედროვენი განადიდებდნენ და ღვთისმშობელს ადარებდნენ. მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი კი „ღვთის სწორად“ მოიხსენიებს...

დღენიადაგი ზრუნვა ხალხსა და ეკლესია-მონასტრებზე კიდევ უფრო სათნოსა და კეთილს ხდიდა მის სულს, რისთვისაც ქვეშევრდომნიც მზად იყვნენ „მადლით სპეტაკი უფროს ნათლისა“, რათა ამგვარად განედევნათ სულიდან სოფლის საცთურებანი.

გელათისადმი, მამა-პაპათა საძვალისადმი მოწიწება, რომლის სავანეში დაბრძანებული იყო ხახულის ღვთისმშობლის ხატი თამარ მეფეს მუდამ ჰქონდა – სიყრმიდან – ვიდრე გარდაცვალებამდე.

ერთხელ, თამარ მეფე გელათის მონასტერში წირვაზე წასასვლელად ემზადებოდა და სამეფო სარტყელზე ძვირფას ღილებს იმაგრებდა. ამ დროს შემოვიდა მსახური და მოახსენა, რომ მის კარზე ერთი უპოვარი ქალი დგას და მოწყალებას ითხოვსო. მეფემ თურმე ბრძანა, რომ დალოდებოდნენ, მაგრამ როდესაც გამოვიდა პალატიდან და ქალის დასაჩუქრება მოინდომა, მთხოვნელი უკვე აღარ ჩანდა. შეწუხებულმა თამარ მეფემ მოიხსნა თავისი სამეფო სარტყელი და შეწირა ხახულის ღვთისმშობელს, რომლისთვისაც უფრო ღირსეული იყო, ვიდრე მისთვის.

ეს ლეგენდა ისტორიულ სინამდვილეს მოკლებული როდია. თამარ მეფის სამეფო სარტყელი ხელიხელ საგოგმანები განძი იყო მთელი ერისათვის.

1842 წლის გელათის ქონების აღწერილობაში თამარ მეფის სარტყლის შესახებ ნათქვამია: „ერთი სარტყელი შეკერილი ოქრომკედით, თავებში მოჭედილი ვერცხლით და მოოქროვილი თვლებით შემკული და ერთი დიდი მარგარიტი ვერცხლის ჯაჭვით კიდია“.

სამეფო სარტყლის უფრო დაწვრილებით აღწერილობა გვხვდება 1854 წლის ნუსხაში: „სარტყელი ნაკერი არა ძა-

ლიან წვლილითა და საკმაოდ კარგის მარგარიტით, რომელსაც შესაკრავი ბალთები აქვს ოქროსივე ჯაჭვი და შესაკრავი ჩხირი. გარშემო ერთს ბალთას აქვს მოვლებული ოქროს მავთული, ზედ ას სამოცდათვრამეტი და მეორეზედ ოთხმოცდაშვიდი მარცვალი, საკმაოდ მომსხო მარგარიტი. ნაკერებზედ აკლია რამოდენიმე მარგარიტები და შესაბნევიც მოტეხილი აქვს".

როგორც ამ უკანასკნელ ნუსხაშია დაზუსტებული, პირველი აღწერილობიდან გასულა თორმეტი წელიწადი და ამ პერიოდში სარტყლიდან უკვე დაკარგულა „ერთ ადგილას ას სამოცდათორმეტი მარგარიტები უნდა ყოფილიყო, გარნა აწ თვალად აღმოჩნდა ას ორმოცდა ცხრა, ხოლო გარდაბარჩენს ანგარიშისამებრ ოცდა ცხრისაგან".

ამ აღწერილობის შედგენიდან გადის ზუსტად ნახევარი საუკუნე და 1904 წლის 19 ივლისს გელათის მონასტრის წინამძღვარი სერაპიონი, გელათის „სტანციის" სადგურიდან ეპისკოპოს ლეონიდეს სახელზე გზავნის ასეთი შინაარსის დეპეშას: „გელათის მონასტერი გაძარცვეს. ყოვლად სამღვდელო ფრიად შეაწუხა ამ მოულოდნელმა და თავზარდამცემმა ამბავმა. მან, იმ ღამესვე მოინდომა გელათისკენ გამგზავრება, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ეპისკოპოსმა სასულიერო და საერო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართა მოლაპარაკებები ქუთაისში და მეორე დღეს, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, გაემგზავრა გელათისაკენ. აქ, მან დაწვრილებით დაათვალიერა მონასტრის სიძველენი და აღწერა დაკარგული ნივთები, რომელთა შორისაც იყო სახელგანთქმული თამარ მეფის სამეფო სარტყელი.

აღნიშნულმა ძარცვამ მთელი საქართველო შეაშფო თა. პროფესორ ალ. ხახანაშვილის თქმით იმდროინდელ „გელათის მონასტერში ისეთი ძვირფასი ნაშთნი არიან დაცულნი, რომ მხოლოდ ორი-სამი მუზეუმი ევროპაში შეძლებს მასთან ქიშპობას".

ასევე, მეტად შეწუხდა აკაკი წერეთელი. მან სამძიმრის ვრცელი წერილით მიმართა მთელს საქართველოს, შემდეგ კი ლექსითაც:

„და შეხებია, როგორც იუდას
ამბორის ყოფით გამცემი ხელი
გაუტაცია საისტორიო
საშვილიშვილო ნაშთები ძველი"!
ხოლო გამოძიება რამდენიმე წელი გაგრძელდა.
რა თქმა უნდა, უშედეგოდ!!!

წმინდა სამსჭვალი

„ხოლო მას ჟამსა ჯვარცმისასა,
ოდეს ლუსმარსა ჰკრა კვერი
მტარვალმან ხელთა ზედა უფლისათა,
ჟამსა მას მოიწყია ყურთა ელიოზის დედისათა".

იმერეთის მეფე ბაგრატ III, თავის მეფობის მიწურულს 1560-65 წლებში ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანა დას. საქართველოს საკათოლიკოსო ტახტი, რასაც ბუნებრივია, თან მოჰყვა ბიჭვინთის საკათოლიკოსო საყდრის ქონების გადმოტანაც. ამ დროს მოხდა გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში ბიჭვინთის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის დაბრძანება, რომელშიც ინახებოდა წმინდა სამსჭვალი, როგორც ამას გვაუწყებს მაშინდელი დას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფთვიმე I /1578–1616 წწ./ შეწირულობის სიგელი: შევწირე მე აფხაზეთისაი კათალიკოზმან ეფთვიმი საყვარელი ძემან „ნებითა ღვთისათაი: ბიჭვინთისაი ღვთისმშობელსაი გვირგვინი ოქროსაი მოთვალ-მარგალიტული... ოქროს ხატი მძიმედ მოთვალ-მარგალიტული, სამსჭუალი და ძელი არის შიდაი და პატიოსანი ნაწილები".

ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესიებში IV ს. შემდეგ დრო და დრო რამდენიმე წმინდა სამსჭვალი ინახებოდა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, იმ ფაქტსაც, რომ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი კათოლიკოს ევდემონ ჩხეტიძის დაკვეთით ხელმეორედ მოიჭედა 1568 წელს, მაშინ უნდა ჩავთვალოთ, რომ წმინდა სამსჭვალი ნამდვილად დაცული იყო ამ ხატის სანაწილეში.

იმდროინდელი საბუთები ნაკლებ ცნობებს გვაწვდიან, თუ როგორი იყო ამ სიწმინდის ზომა ან დაცულობა. ამის დადგენა დაახლოებით შეიძლება მაქსიმე მაჭუტაძის კათოლიკოსობის /1639–1657 წ.წ./ პერიოდში შედგენილი ბიჭვინთის საკათოლიკოზო ტახტის განძეულობის ანაწერის მიხედვით: „არის ერთი ოქროს ომფორის ხატი მისის ძელის ჭეშმარიტითა, სამსჭვალითა, პატიოსნის თვალითა და მარგალიტითა, მძიმედ მურასათ ნაქნარი, მოთვალმომარგალიტული, მისის ოქროს ჯაჭვითა გარ ჩარყაფის ბუდითა". ამ დროისათვის, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა წმ. სამსჭვალი უკვე აღარ იმყოფება ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის სანაწილეში. როგორც ჩანს, სიწმინდე ხატიდან ამოუბრძანებიათ და ახალ „ოქროს ომფორის ხატში" მოუთავსებიათ.

1776 წელს ნებაყოფლობით გადადგა საკათოლიკოსო ტახტიდან სოლომონ II-ის ძმა იოსები. ამასთან დაკავშირებით წმ. გიორგის ეკლესიაში დაცული საკათოლიკოსო ქონება დროებით ჩაბარდა იმერეთის სარდალ-მოურავ ბერ წულუკიძეს, რომლისაგან იმავე წელს მაქსიმე II /აბაშიძე/ ჩაიბარა: „ქ. სამსჭვალი და მწვანე მინითა და თვლით გაწყობილი გულსაკიდი ხატი".

1847 წლის 27 ნოემბერს იმერეთის მიტროპოლიტის დავით წერეთლის მოწერილობის ძალით გელათის წმ. გიორგის ეკლესიიდან ქუთაისში, ღვთისმშობლის მიძინების /ბაგრატის/ საკათედრო ტაძარში გადმოიტანეს „სანაწილე ოქროსი, სამკარიანი, ნაწილებიანია, ცხოველსმყოფელი ჯვარისა და ნაწილისა სამსჭვალისათა".

დავით მიტროპოლიტმა თვითნებურად დაშალა სანაწილე, მოხსნა მას ოქროს ჯაჭვი, რომელიც ოცდაათ მისხალ ოქროს იწონიდა და თავისი სამღვდელმთავრო პანაღიის ვერცხლის ჯაჭვის მაგიერ გამოიყენა, ხოლო სანაწილე და წმინდა სამსჭვალის ნაწილი დაასვენა პალიასტომის ღვთისმშობლის ხატზე. ამგვარ მდგომარეობაში იხილა იგი იმავე წელს ქუთაისში მყოფმა რუსმა მოგზაურმა ა. მურავიოვმა.

1871 წელს ქუთაისში, გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ ახლად ნაკურთხ ალექსანდრე ნეველის საკათედრო ტაძარში

ბაგრატის ტაძრიდან გადმოიტანეს სხვა სიწმინდეებთან ერთად წმ. სამსჭვალიც.

1876 წლის ტაძრის ქონების ნუსხაში მოცემულია მისი აღწერილობა: „მაცხოვრის ხატი ოქროსი, ორი ოქროს კარედით, მორთული 66 მარგალიტით, 76 ძვირფასი თვალით და ფირუზებით".

ხატის სანაწილეში მოთავსებული იყო 24 მცირე წმიდა ნაწილი სხვადასხვა წმინდანების და ნაწილაკი სამსჭვალისა, რომლითაც ქრისტე ჯვარს აცვეს.

ზემოთ აღნიშნული ხატი ამ აღწერის შემდეგნლებს, რატომღაც არ შეუფასებიათ.

1907 წლის 16 თებერვალს ტაძრის მეკლიტურმა ი. კიკაჩეიშვილმა და დიაკვანმა ი. სვანიძემ შენიშნეს, რომ ტაძრიდან სიწმინდე გამქრალიყო. მაცხოვრის ოქროს ხატი, რომელიც ღვთისმშობლის ხატზე იყო მიმაგრებული, აღარ ჩანდა.

გამოძიების შედეგად, სიწმინდეთა დაკარგვაში ეჭვმიტანილნი მედავითნე ბ. ქავთარაძე და დარაჯი ი. სირაძე იმერეთის ეპისკოპოსმა ტაძრიდან გააძევა.

სხვამხრივ, როგორ დასაჯა გუბერნიის „დამწვარმა სუდმა" დამნაშავენი უცნობია, ხოლო, რაც შეეხება დაკარგულ ნივთებს, ისინი ტაძრისთვის აღარ დაუბრუნებიათ.


ამგვარ, გაურკვეველ ვითარებაში დაიკარგა გელათიდან ქუთაისში გადმოტანილი კიდევ ერთი უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე.

დავით აღმაშენებლის ბეჭედი

ერთი ქართული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ გელათის ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობისას, სამხრეთის კედლის ყველაზე დიდი ქვა დავით აღმაშენებელს საკუთარი ხელით დაუდვია. მნახველი ყოველთვის გაოცებული და მეტად აღფრთოვანებულიც დარჩენილა მეფე-გვირგვინოსნის სიძლიერით, ოცნობებსაც მისცემის მის დევგმირულ ძალასა და ნებისყოფას თუკი წარმოიდგენდა... ხოლო ქვაზე

ამოკაწრული მზის საათი ავ და კეთილ დროთა დინებას დასტურჰყოფდა მხოლოდ და ბევრ ურწმუნო თომასდართ, გზას ტაძრის ჩრდილოეთის კედლის ფრესკაზე მიუთითებდა, რათა ყურადღებით დაკვირვებოდა მეფის მარცხენა ხელს, რომელშიც ტაძრის გეგმა უჭირავს და უთუოდ შეამჩნევდა მის ძლიერ თითებს და თუ ესეც საკმარისი საბუთი არ იქნებოდა, მაშინ ტაძრის სალაროში დაცულ ბეჭედს დაანახვებდნენ.

ალბათ, ამიტომაც წერდა მე-19 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულში დეკანოზი დ. ღამბაშიძე: „იმავე ხელის თითზე გამოხატულია შესანიშნავი ბეჭედი, რომელიც დღემდის ინახება ამ მონასტრის სალაროში... ბეჭდის სიდიდე უნდა იყოს მიზეზი, რომ ხალხი დღესაც ღონიერ კაცად სთვლის დავით აღმაშენებელს“.



ზუსტად, რვა საუკუნე მიითვალა მზის საათმა ამ ლეგენდის ჭეშმარიტება უკლებლივ, ვიდრე 1904 წლის 19 ივლისამდე.

ეს ის დროა, როგორც თავად სულმნათი მეფე ბრძანებდა, როცა „სხვამან მიიღოს სკიპტრა, სხვასა შეუდგნენ სპანი“...

ბეჭედი, როგორც ლეგენდა მოგვითხრობს, დავით აღმაშენებელს ჰქონდა სახელმწიფო ბეჭდის ნაცვლად. კეთილმსახური მეფე, როცა ხელს აწერდა, ხოლმე, რომელიმე სიგელს, ანდა ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტა სურდა, განსაკუთრებით კი – ბრძოლაში შესვლის წინ, ახდიდა, თურმე, ბეჭდის კიდობანს და მასში მოთავსებულ წმინდანთა ნაწილებს სთხოვდა შემწეობასა და მფარველობას.

ასე იყო გელათის მშენებლობისას, დიდგორის ომისას, „გალობანი სინანულისანის“ თხზვისას... ჩვენამდე მოაღწია

ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის ლითოგრაფიულმა ფოტომ და აღწერამ. მათი შეფასებით დავით აღმაშენებლის ბეჭედი იყო მსგავსი სამეფო და საეპისკოპოსო ბეჭდებისა, რომელიც თავისი დიდი ზომის გამო პრაქტიკულად არასოდეს არ ყოფილა ხელის სამკაული. ბეჭდის ზედაპირი ამობურცულია და ოქროში დაფერილი. მის სილრმეში ამოტვიფრულია წმ. გიორგი, რომელიც ფეხზე დგას, ბიზანტიელი პატრიცის პოზაში, ფარითა და შუბით ხელში.

ბეჭედი გადანასკვულია ქართული კვანძებით და ორნამენტებით და წარმოადგენს ქართულ-ბიზანტიური საოქრომჭედლო ნაკეთობათა მშვენიერ ნიმუშს.

ბეჭდის წარწერაა: „წმ. გიორგი, ძალითა შენითა ვსძლევ მტერთა ჩემთა". დ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის მოსაზრებით, ბეჭედზე დასმული ხელრთვა უნდა ეკუთვნოდეს თამარ მეფის მამა გიორგი III /1156–1184 წ.წ./, რომელმაც არაერთხელ დაამარცხა შემოსეული მაჰმადიანები და სრული უფლება ჰქონდა თავისი გამარჯვებანი წმინდა გიორგის მფარველობისათვის მიეწერა.

ჩვენი საისტორიო და საეკლესიო ტრადიცია ზემოთხსენებულ ავტორთა მოსაზრებებს არ იზიარებს. გელათის საგანძურში ეს ბეჭედი, როგორც დიდი სიწმინდე და სანაწილე, დაცულ იყო მხოლოდ დავით აღმაშენებლის სახელზე, ხოლო წარწერაში მოხსენიებული გიორგი, ადვილი შესაძლებელია, მართლაც შემდგომი ეპოქის რომელიმე მეფე გიორგი იყოს, მაგრამ ეს არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, თითქოს ბეჭედი დავით აღმაშენებელს არ ეკუთვნოდა და საგანგებოდ მისთვის არ ყოფილიყოს დამზადებული.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ზ. ავალიშვილის დაკვირვება, რომ დავითის ბეჭედზე იკითხებოდა ასეთი წარწერა: „ჯვარითა მტერთა მძლეველი – მე, დავით, ვარ უძლეველი".

ბეჭედში დაცულ სიწმინდეთა შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ და ამას ბეჭედზე ამოტვიფრული წმ. გიორგის გამოსახულებაც ადასტურებს, რომ სანაწილეში ძელი ჭეშმარიტის ნაწილთან ერთად მოთავსებული უნდა ყოფილიყო წმ. გიორგის ნაწილიც. ვინა-

იდან მეფე ძელი ჭეშმარიტჩის ჯვრისწინამძღვრობით, როგორც წმ. გიორგის მოყმე, ამარცხებდა მტერს და განაგებდა ქვეყნის ბედს.

გელათის საგანძურიდან რვა საუკუნის მანძილზე მფარველობდა ერსა და ბერს ეს ბეჭედი...

ხოლო ირისისფერ ქვაზე მზის საათი საბედისწეროდ იწყებდა მეჩვიდმეტე ერგასის მითვლას!

1904 წლის 17 ივლისს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ მიიღო გელათის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ სერაპიონის /ახვლედიანი/ დეპეშა: „გელათის მონასტერი გაძარცვეს“... სხვა სიწმინდეთა შორის ყაჩაღების მიერ გატაცებული აღმოჩნდა დავით აღმაშენებლის ბეჭედიც. პოლიციამ დაიწყო მძარცველების ძებნა და იმავე წლის 30 სექტემბერს დაბა სვირის რკინიგზის სადგურზე შეიპყრეს ვინმე ა. ჩხეიძე, ს. სვანიძე და გ. კანდელაკი, რომელთაც გელათის მონასტრის გაძარცვა დაბრალდათ. ეჭვმიტანილნი რამდენიმე ხნის შემდეგ გაათავისუფლეს, ხოლო დაკარგული ნივთების ასავალ-დასავალი უცნობი დარჩა.

ამ საზარელმა ფაქტმა დაამწუხრა ყოველი ჭეშმარიტი ქართველის გული.

იმავე წლის 8 სექტემბერს გელათის მონასტერში თქმული ქადაგების ბოლოს ეპისკოპოსმა ლეონიდემ ასე მიმართა მრევლს: „შევიგნოთ, საყვარელნო მსმენელნო, დღევანდელი ჩვენი დიდად საშიში მდგომარეობა, დავეთხოვოთ ნასესხს, სამარცხვინო, ყოველ ჭეშმარიტებას და სიმართლეს მოკლებულ მიმართულებას /სოციალიზმს – გ. ტ./ ბეჯითად დავადგეთ ისევ მამათა ჩვენთა სარწმუნოების კვალს, თუ არ გვსურს, ჩვენვე საკუთარი ხელით ყელის გამოჭრა და სიცოცხლის მოსპობა“.

გულდამწუხრებული აკაკი წერეთელი მომხდარი ამბის გამო სწერდა: „არ დავფიცავ, ბევრი რამ მამა-პაპათა ნაანდერძევი, დღეს დაკარგულ-დავიწყებული, მიგლოვია, მაგრამ არც ერთი ისე არ დამსობია გულზე, როგორც ეს უკანასკნელი უკულმართობა.

აკაკიმ ლექსით გამოიტირა დავით აღმაშენებლის ბეჭდის დაკარგვა:

და ის საცერე დიდი ბეჭედი,
აღმაშენებელს რომ თითზე ეცვა,
და კურთხეულმა მისმა მარჯვენამ
საქრისტიანო რითაც დაიცვა,
სხვა სიმდიდრესთან, ბოროტგანმზრახველს
გაუტაცია ისინიც ერთად,
აღარ უცვნია გადარჯულებელს
ტაძარი ტაძრად და ღმერთი ღმერთად.

პოეტის გულისწყვეტა და აღშფოთება იმდენად დიდი იყო, რომ იმედგადაწურული წერდა: „მკვდრებს თუ მივუტირებთ და მივუსამძიმრებთ, თვარა ცოცხლებს აღარა ეყურებათ რა!"

მომხდარის გამო გელათის წინამძღვარი გადადგა. წლები გადიოდა და გამოძიების შედეგები არ ჩანდა. უცხოტომელთათვის ძნელად აღსათქმელი იყო ქართველთათვის სათაყვანო სიწმინდის დაკარგვა...

ხოლო ირისისფერი ქვის მზის საათში გულმოდგინე მოყურიადე უთუოდ გაიგონებს მონანიე მეფის უკვდავ სიტყვებს: „არავის ხელეწიფების ხმარებად მისსა არა რად: მოეწოდეთ მუნ ცეცხლსა საუკუნესა გამზადებულსა ეშმაკთათვის.

წმ. გიორგის ცხენის ლაგამი

ღვთის კარნახმა უბიძგა დავით აღმაშენებელს ერისა და ქვეყნის ხსნისათვის აეგო ღვთისმშობლის ტაძარი, რომელშიც განსხეულდებოდა მისადმი საქართველოს წილხვდომილობა. მისი მემატიანე ამ ფაქტს ხაზგასმით აღნიშნავს: „გამოირჩია მადლმან საღმრთომან-ო" და როცა მას ეს განზრახვა უნდა აღესრულებინა, როგორც ეს ხალხის მეხსიერაბაში დავანებული ფოლინტები გვამცნობს, მეფემ შინაგანი რწმენის განმტკიცების გზაზე მრავალი ეშმაკისეული წინააღმდეგობა დაძლია, რა თქმა უნდა, მფარველ ანგელოზთა და წმინდა რელიქვიათა შემწეობით.

ეს ისტორიული ლეგენდები მეტ ზესშთამოსილებას იძენენ დღეს.

ერთი ხალხური გადმოცემა გვიამბობს: „დავით აღმაშენებელმა ერთად ჩაყარა სამი ეკლესიის ბალავერი: გელათში, მარტვილში და სუჯუნაში; მან დაიწყო ტაძრის მშენებლობა, მაგრამ ეშმაკი ყოველთვის უნგრევდა. ერთხელ, დავით აღმაშენებელი თვითონ გაუდარაჯდა, აცალა მას ტაძრის დანგრევა და, როდესაც ეშმაკი ჩავარდა წყალში ჩასაძირავად, ესროლა ბადე და დაიჭირა. გაუკეთა რკინის ლაგამი, რომელიც ჯორად იქცა მაშინვე.

შეჯდებოდა ჯორზე დავითი, ერთ ქვას გელათს ტაძარს დაადებდა, მეორეს მარტვილისას და მესამეს – სუჯუნისას.

ერთხელ, გელათიდან მარტვილს მიმავალ დავითს ჩუნეშში გარება შეექმნა. ერთ კლდეზე ჯორს გაუწყდა აბჟანდი. დავითი ჩამოხტა, თავის ხელით გაუკერა იგი და სამახსოვროთ ბრძანა იმ ადგილს ტაძრის აშენება. ეს ტაძარი დღეს დანგრეულია, მაგრამ იმ ადგილს კიდევ შერჩენია „აბჟანდ–ნაკერის“ სახელი. როდესაც ყველა ტაძრები ააშენა დავითმა, უბრძანა დიაკვანს: წაიყვანე ჯორი, ლაგამი არ მოხსნა, ისე დაბანე, წყალი დაალევინე და მომიყვანეო“. დიაკვანმა ბრძანებისამებრ წაიყვანა წყაროზე ჯორი. ჯორმა წყალი დასუნა, მაგრამ არ დალია. დიაკვანმა იფიქრა, ნამდვილად ლაგამი უშლისო ხელს და მოაძრო. მაშინ ჯორმა დაიყურყუმალა და დაიკარგა“.

მეორე ლეგენდა დავით აღმაშენებლის მიერ სხვა სასწაულის ქმნას მოგვითხრობს, ამჯერად უკვე სახელდებულ წმინდა გიორგის ცხენის ლაგამის შემწეობით:


„ერთხელ, თბილისიდან ქუთაისს მარტოდმარტო მომავალმა მეფემ მცხეთის სანახებში რქოსანი ცხენი შენიშნა, მოუხმო მას და შეიპყრო. ამ დროს მოვიდნენ თანმხლებნიც, რომელთაც უბრძანა შეეკაზმათ იგი წმინდა გიორგის ცხენის ლაგამით. რქოსანი ცხენი მკვირცხლი და ძალზე მალი იყო. მან არ იცოდა დაღლა და მოსვენება. მეფე ერთ დღეში შემოივლიდა ხოლმე ქართლს, კახეთს, სანს, სომხეთს, აფხაზეთს და მშენებლებს გაამხნევებდა, შეაგულიანებდა და ღმერთს მადლობას სწირავდა ასეთი საჩუქრისათვის“.

ამ ხალხურ გადმოცემას იმეორებს იოანე ბატონიშვილი უფრო დაზუსტებით და სხვა ისტორიული რეალებითაც გაამდიდრებს მოგვიანებით: „მასთანვე ღერბსა ამა მეფისას / იგულისხმება დავით აღმაშენებელი – გ. ტ./ შესძინეს ცხენი რქოსანი, რომელიც მოიპოა თვით მეფემან მარტომ ტფილისიდან ქუთაისს საშენებლად, ესრეთ, რომელ იხილა მცხეთის იწროთა ადგილთა შინა ცხენი ესე რქოსანი. დაუძახა მეფემან და მოვიდა მეფესთანა და შეიპყრა მეფემან და მაშინ მოვიდნენ მონანიცა მეფისანი, და ბრძანა მეფემან შეკაზმა ცხენისა ამისი და აღუდვა ლაგამი წმიდის გიორგის ცხენისა, რომელიც აწ არს გელათს შინა მიზეზითა. რომელს სული არ იყოს – რა ცხენი იგი, გარნა განგებითა ღვთისათა მიეცა ცხენი იგი რომელ დღე ყოველ ვლიდა უშენთა ადგილთა შორის და აგულსმედგინებდა მუშაკთა, რომელ ცხენი იგი ესრეთ მკვირცხლ და მარდი. რომელ ერთ დღესა ადრე მოვიდის ტფილისიდან ქუთაისს და მუნიდგან ქართლს, და ქართლიდან კახეთს, და ეს ცხენი არცა გხდის და არცა მოიღალის და მაშინ სცნნა წმინდამან, რომელ ცხენი ესე მიეცა განგებითა რათა მალიად მოვლიდეს თვისთა ქვეყანათა და განამხნობდეს მუშაკთა“.

ზემოთმოტანილ თქმულებათა კვალდაკვალ, ამ შემთხვევაში დავით აღმაშენებლის სასწაულქმედებანი და პირონება მაცხოვრის მიერ იერუსალიმში ჯორით შესვლაზე და ახალი, სულიერი იერუსალიმის მშენებლობასთან არის გაიგივებული. თუ რქოსანი ცხენისა ან ჯორ-ეშმაკის მოთვინიერებით მეფე ცდილობდა აეშენებინა გელათი „ვითარცა მეორე იერუსალიმი“, წმინდა გიორგის ცხენის ლაგამის შემთხვევაში კი ცხადდება დავითის დროინდელი ქართველობის, როგორც ქრისტეს მხედრობის სიმბოლური დანიშნულება და გამართლება.

ი. ბატონიშვილის ცნობაში ყურადსაღებია წმ. გიორგის ცხენის ლაგამის – როგორც ქრისტიანული სიწმინდის – გელათში არსებობის ფაქტი. როგორც ჩანს მე–19 საუკუნის პირველ ნახევარში მაინც, ეს სიწმინდე გელათში იყო. მართალია საარქივო თუ გელათის მონასტრის ქონებათა აღწერილობებში მასზე რაიმე კონკრეტული ცნობა არაა დაცული,

ისე როგორც სხვა მრავალ სიწმინდეზე მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით, წმ. გიორგის ცხენის ლაგამი, მოთავსებული უნდა ყოფილიყო იმ სანაწილეში, რომლის შესახებაც მოიპოვება დამადასტურებელი საარქივო დოკუმენტი: „ხის სანაწილე ხარლამპარიდან, ძვ. N88, ფარჩის პირბადე ფრიად დაფლეთილი დატოვებულ იქნა იქვე. N1050“. ეს დოკუმენტი შედგენილია 1923 წლის 22 ნოემბერს, როცა გელათიდან ქუთაისის მუზეუმში სხვა სიწმინდეებთან ერთად ჩამოტანილ იქნა ერთი ნაწილი მონასტრის განძეულობიდან.



როგორც ირკვევა, შემდგომში მუზეუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხის სანაწილეში მოთავსებული სიწმინდეები დააანაწილეს და წმ. გიორგის ცხენის ლაგამი, როგორც ეთნოგრაფიული ნივთი აღმოჩნდა შესაბამის საფონდო განყოფილებაში.

მუზეუმში დაცული წმ. გიორგის ცხენის ლაგამი არის იმდროინდელი ბიზანტიური ხელობის, რკინისაგან დამზადებული, ზედაპირი შემკობილია მასიური ამობურცული ბურთულებით. დაცულია კარგად.

დიდი სანაწილე

გარდაცვალების წინ დავით აღმაშენებელმა, გელათის მონასტერს ანდერძით დაუტოვა მრავალი სიწმინდე. მისი სურვილი გამჟღავნებულია 1125 წელს შიო-მღვიმის მონასტრისადმი მიცემულ სიგელში. „...ჩემმან დემეტრე ძელი ცხოვრებისაი და ნაწილნი წმიდათანი, ორი მოთხე სავსე, ესე თვით ამას ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს“.

როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა ეს „ნაწილნი წმიდათანი“ შემდგომში მოუთავსებიათ იმ სანაწილე კიდობანში, რომლის აღწერილობა შემონახულია იმერეთში რუსი ელჩების ა. იევლევისა და ნ. ტოლოჩანოვის ანგარიშში: „იმავე ხატის წინ ვერცხლით მოჭედილი პატარა სკივრი დგას, სიგრძით არშინის სამი მეოთხედი იქნება, სიგანით ექვსი ვერშოკი. სკივრი მეფის ბეჭდით არის დაბეჭდილი. მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ იმ სკივრში წმინდანების, მოციქულებისა და მოწამეთა ნაწილებიაო, ხოლო რომელი წმინდანის ნაწილებია, ვერ გვითხრა, ვერ მოიგონა“.

მე-17–18 სს. იმერეთის სამეფოში მეტად რთული პოლიტიკური ვითარებაა, იმერეთის მეფეები თურქეთის აგრესიის შესაჩერებლად მოკავშირეს ეძებენ რუსეთის სახით და მისგან ყურადღების მოპყრობის მიზნით, სიწმინდეთა ჩუქების გზით, სურთ მოიმადლიერონ შორეული მეზობელი. ამგვარ ქმედებათა შორის ყველაზე თვალნათლივი მაგალითია 1737 წელს იმერეთიდან მიტროპოლიტ ტიმოთეს ხელმძღვანელობით გაგზავნილი ელჩობა რუსეთში.

როცა მეფე ალექსანდრე რუსეთის იმპერატრიცას მიტროპოლიტის ხელით გაუგზავნის „საუნჯესა ფასდაუდებელსა და პირველ საუფლო სისხლსა ოქროშიდ ჩასხმულსა, მეორეს, ყოვლად პატიოსანის პირველმოწამის სტეფანეს ხელსა, მესამეს, დიდის კონსტანტინე მეფის ხირხიმალის ნაწილსა და ამას დიმიტრის ნაწილი აქვს. გუმბათი და საფლავი, რომელიც შეუმკია ბერძენთ მეფეს კონსტანტინეს და დედოფალს ევდუკიას, მეოთხეს, მკლავსა დიდი მოწამისა პროკოპისსა; მეხუთეს, კოზმას თავის ნაწილს; მეექვსეს, თავსა წმიდისა ფიტონისსა, ზედან გამოსახული ნაწილი წმი-

დისა გიორგისა მოგვიმძღვანებია მაგათ უპირველესის მეფობის მცველად".

1810 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა გააუქმა იმერეთის სამეფო, იმავდროულად დაიწყო საეკლესიო რეფორმის გატარება, რომლითაც საფუძველი ჩაუყარა გელათის მონასტრის საგანძურის მიზანმიმართულ ძარცვას.

1820 წლის გელათის მონასტრის ქონების აღწერილობაში მოხსენიებულია დავით აღმაშენებლის მიერ გელათისადმი შეწირული დიდი სანაწილე, „საკურთხეველში, კვ. სანაწილე ვერცხლისა, მოოქროვილი, საშუალო ზომისა და კუბო ვერცხლისა სანაწილედ".

1829 წელს მოხდა ამ სანაწილის გაძარცვა, მასში დასვენებულ წმ. გიორგის თხემს ჩამოატეხეს საკმაოდ დიდი ზომის ნაწილი, რის გამოც იმერეთის არქიეპისკოპოსი სოფრონიოსი იძულებული გახდა დავით აღმაშენებელისეულ სანაწილე კიდობანიდან ამოესვენებინა „ნაწილნი წმიდათანი" და მოეთავსებინა ისინი მუხის ხისაგან დამზადებულ სანაწილეში, რომელსაც მინის სარქველი გაუკეთეს.

აღნიშნული ხის სანაწილე /ზ.1,52 სმ X 76 სმ/ მოხატულია იმ წმინდანების ფერწერული ხატებით, რომელთა წმინდა ნაწილებიც მოთავსებული სანაწილის გულზე ამოჭრილ ბუდეებში, ხოლო წმინდა ნაწილები ცვილით იყვნენ მასში ჩამაგრებული.

ეს სანაწილე 1833 წელს იქნა დამზადებული, როგორც ამას მასზე გაკეთებული წარწერა გვაჩვენებს. სანაწილის დამამზადებელი და მომხატველი უნდა იყოს [illegible]ჟამად გელათის მონასტერში მოღვაწე ბერ-დიაკონი იოანე ბახტაძე. ამ დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს 1833 წელს გელათში მყოფი ფ. დიუბუა დე მონპერეს ჩანაწერი: „ზოგიერთი ბერი წერა-კითხვას ასწავლის ახალგაზრდებს, რომელთაგანაც უმრავლესობა შემდეგში სოფლის მღვდელი ხდება, სხვები, როცა ეკლესიაში თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფლდებიან ხატავენ სურათებს ან ხისგან კვეთენ ეკლესიებსა და ჯვრების პატარა ფიგურებს. მათ შორის იყო ერთი ბერი, რომელიც მშვენიერ ნივთებს აკეთებდა".

მ. კეზევაძის მოსაზრებით, ეს ბერი იყო იოანე ბახტაძე, რომელიც ქვაზე და ხეზე კვეთის ცნობილი ოსტატი იყო. ამის გაკეთებულია გელათის წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთ კედელზე წმ. გიორგის ბარელიეფი. აქედან, გამომდინარე სავსებით ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ზემოხსენებული სანაწილის ფერწერული ხატების ავტორი ბერ-დიაკონი იოანე ბახტაძეა.

ფერწერა ნაწილობრივ დაზიანებულია. მასში კარგად მჟღავნდება მდიდარი ქართული საეკლესიო ფერწერული სკოლის ჯანსაღი ტრადიციები. ფერების შერჩევა და სიმსუბუქე, წმინდანთა სახის გამომეტყველებაში უზადოდ არის შერწყმული მიწიერი და სულიერი ცხოვრების მკაფიობა, რომელთა აღბეჭდვა მნახველში სულიერი თანაგრძნობის განცდებს იწვევს. მხატვარს დაჭერილი აქვს სანაწილეში გამოსახულ მინდათა ცხოვრებათა ისეთი მომენტი, რომელიც იქვე მიმაგრებული მისი სხეულის კონკრეტულ ნაწილთან სარწმუნოებრივი აღტაცების მეტ სიმძაფრეს იძენს.

სანაწილის ბუდეებთან გაკეთებულ წარწერებით ირკვევა, რომ მასში დაცული იყო „თავის ქალა წმიდისა მოწამისა დიმიტრისა, ნაწილი თავის ქალისა წმიდისა მოწამისა გიორგისა, პირის სახის ნაწილი წმიდა თეოდორე ტირონისა, ნაწილი თეოდორე სტრატილატისა, ნაწილი წმიდა ემელიანესი, წმინდა ნაწილი სამსონ უცხოთ მიმღებისა, ნაწილი წმიდა ნიკოლოზ საკვირველ მოქმედისა, ნაწილი წმიდა იოანე ოქროპირისა, ნაწილი წმიდა მოციქულისა თომასი, ნაწილი წმიდა თეოქტიტესი, ნაწილი წმიდა ბენედიქტესი".

1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დროს ახალი ათონის მონასტრიდან შიშიანობის გამო ლტოლვილმა რუსმა ბერებმა გელათის მონასტერს შეაფარეს დროებით თავი და გაბრიელ ეპისკოპოსის ნებართვით, საკუთარი ფულადი სახსრებით დაამზადეს ახალი კიდობანი „რომელიც მშვენივრად არის გაკეთებული. ამ კიდობანს შიგნით გამოკრული აქვს ვერცხლის თხელი ფურცელი. ამ ფურცელზე არის წარწერანი იმ წმინდანთა სახელებისა, რომელთა ნაწილები ინახებიან ამ კიდობანში. ლუსკუმს აქვს შესაფერისი სახურავი, ხოლო ზემო პირზედ შიდ ლუსკუმაში არის მხატვრობა

ჩამოთვლილის წმინდანებისა. ესე ლუსკუმა არის შემოწირული ახალის ათონის მღვდელ-მონაზვნის მამა არსენისაგან" წერდა ამ ფაქტის შესახებ მოგვიანებით ჟურნალ „მწყემსის" რედაქტორი დეკანოზი დ. ღამბაშიძე.

საარქივო წყაროებიდან ირკვევა, რომ ახალი სანაწილე უკვე აღარ იმყოფება საკურთხეველში და ამჯერად ის დგას ტაძრის სალაროს გვერდით. ამ ახალ სანაწილეს აქვს ცამეტი ბუდე, აქედან სამი სიწმინდის სახელი უცნობია, ხოლო ძველ სანაწილზე 12 წმინდანის სახელი და ამდენივე ბუდე იყო გაკეთებული. რატომღაც, ახალ სანაწილეზე აღნიშნული არ არის წმ. ბენედიქტეს სახელი, მაშინ როცა მისი წმინდა ნაწილი მოთავსებულია მასში.

თუ რა მოსაზრებით იხელმძღვანელეს ახალი კიდობნის შემქმნელებმა და რატომ არ აღნიშნეს მისი წოდება, ამისი სათანადო დოკუმენტი არ მოგვეპოვება.

ჩვენი დაკვირვებით, უფრო სანდოდ მიგვაჩნია 1833 წლის ხის დიდი სანაწილის წარწერა და მხატვრობა, რადგან იმ წმინდა ნაწილთა შორის წმ. ბენედიქტეს ნაწილის ზომა ზუსტად ემთხვევა ძველი სანაწილის ბუდის ჭრილს. ეს უზუსტობა გაიმეორეს 1906 წლის გელათის მონასტრის ქონების აღწერილობის შემდგენლებმა და ჩამონათვალში საერთოდ გამოტოვეს ამ წმინდანის სახელი.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1833 წელს გაკეთებულ სანაწილიდან ახალში ყველა წმინდა ნაწილი არ გადმოუტანიათ. ეს ჩანს 1906 წლის აღწერილობის შენიშვნაში „ამ ნაწილების ნასვენებ კიოტში სხვათა შორის ასვენიან პატარა კიოტი, რომელშიდაც არის ხუთი პატარა ნაწილი.

კიდევ არის კიოტი სპილოს ძვლისა ნაწილით და ორი პატარა ნაწილიანი ხატი".

1921 წლის თებერვალში აღნიშნული სპილოს ძვლის ნაწილიანი კიოტი და ორ ნაწილიანი ხატი მენშევიკებმა გაიტანეს საზღვარგარეთ. სამწუხაროდ, 1945 წელს საფრანგეთიდან დაბრუნებული განძეულობის ნუსხაში დასახელებული სიწმინდეები არ ჩანს და დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

1923 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება გელათის მონასტრის გაუქმების შესახებ. მონასტერი და მისი ქონება ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა.

1924 წლის 22 ნოემბერს გელათიდან ქუთაისში ჩამოიტანეს 1878 წელს დამზადებული სანაწილის ლუსკუმა და ვერცხლის ბუდე. მისგან, როგორც ჩანს ამოულაგებიათ წმინდა ნაწილები და ისინი უბრალო ფანერის ყუთში მოუთავსებიათ. შემდგომში სამუზეუმო სპეციფიკის გათვალისწინებით, სიწმინდეები სხვა ნამარხეულ ნივთებთან მოუთავსებიათ, რამაც გაგვიძნელა მათი მიკვლევა რამდენი წელი.

1833 წლის სანაწილე, როდესაც მუზეუმს გამოეყო გელათი, რატომღაც იქვე დაუტოვებიათ. მხოლოდ 2000 წელს მოხერხდა მისი მიკვლევა.

ახალი ათონის ბერ-მონაზონ არსენისაგან დამზადებული სანაწილე ლუსკუმა დღეს ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.



წმ. თეოდორე ტირონის თავის ქალის ნაწილი შუბლის ძვლით წმინდანის შუბლზე ვერცხლის ლურსმნებით დაკრულია ვერცხლის მედალიონი წმინდანის გამოსახულებით. აქვს შესაბამისი წარწერა ბერძნულ ენაზე.

წმ. დიმიტრის თავის ქალის ზედა ნაწილი. თავის ქალას თავბოლოზე ჯვარედინად გადაკრული მოოქროვილი თითბრის რკალებია. ცენტრში გამოსახულია წმინდანის ფიგურა. აქვს წარწერა ბერძნულ ენაზე.



წმ. სამსონ უცხოთ შემწყნარეს ბარძაყის ძვალი სასახსრე ფოსოები დაზიანებულია. თავბოლოში და შუა წელზე გა-



დაკრული აქვს ვერცხლის რკალები. ზოგან აგლეჯილი. აქვს რუსული წარწერა ზ. 39 სმ.

გ. წერეთელი ამ სიწმინდესთან დაკავშირებით ასეთ ცნობას იძლევა: „სანაწილე, სავსე „წმ. სამსონ უცხოთმიმღების" ნაწილებით, და არა სამსონ ძლიერისა, როგორც ამას შეცდომით მოისსენიებს მ. ბროსე თავის „არქეოლოგიურ ჩანაწერებში".

წმ. იოანე ოქროპირის წვივის ძვალი, ბოლო ნაწილი ჩამოტეხილი აქვს, უწარწეროდ. ზ. 29 სმ.



წმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედის მხრის ძვალი. ქვედა ნაწილი დაზიანებულია, თავზე გადაკრული აქვს ჯვარედინი ვერცხლის რკალი, შუაში ვერცხლის ფირფიტა წარწერით. ზ. 32 სმ.



წმ. თეოდორე სტრატილატის წვივის ძვალი. სახსრის თავები დაზიანებულია. კიდურის ბოლოს ჯვარედინად ვერცხლის რკალი აქვს გადაკრული. ზ. 37 სმ.





წმ. თეოქტიტეს წვივის ძვალი. ბოლო ნაწილი დაზიანებულია. ძვლის თავზე შემორჩენილია ვერცხლის რკალის ფრაგმენტი. შუა წელზე ვინაობის აღმნიშვნელი წარწერიანი ვერცხლის ფირფიტა აქვს შემოკრული. ზ. 28 სმ.



წმ. თომა მოციქულის ბარძაყის ძვლის ნაწილი. სახსრის თავები დაზიანებულია. ზ.18 სმ.



წმ. ბენედიქტეს სხივის ძვალი. თავბოლო დაზიანებულია, ვერცხლის თხელ ფირფიტაზე წარწერა არ იკითხება. ზ.18 სმ.



წმ. ემელიანეს ძვლის ნაწილი. თავბოლო დაზიანებულია. აქვს წარწერა ბერძნულ ენაზე. ზ.15 სმ.

ამ სანაწილეში არის კიდევ ორი უცნობი წმინდანის ნაწილი.



2005 წლის სექტემბერში ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის, მეუფე კალისტრატეს თხოვნით აღნიშნული სიწმინდეები კვლავ დაუბრუნდა გელათის მონასტერს.

გელათის საწინამძღვრო ჯვარი

გელათის საწინამძღვრო ჯვარი დასავლეთ საქართველოლს კათოლიკოს-პატრიარქის ევდემონ ჩხეტიძის /1557–1578 წ.წ./ დაკვეთით შექმნა მამნე ოქრომჭედელმა. როგორც ვარაუდობენ, ჯვარი გელათშია დამზადებული. ჯვარზე არის რამდენიმე წარწერა, რომლებშიც მოხსენიებულნი არიან იმდროინდელი დას. საქართველოს ისტორიული პირები:

1. ქრისტე შეიწყალე: სული მეფეთ მეფისა; პანკრატისი: და დედუფალთ დედუფლისა; მართასი: და: ძე: მათი: მეფეთ მეფე გ~ი:

2. ქრისტე შეიწყალე სული: დადიანისა: მამიასი: დედუფლისა: ელისაბედისი: ძე: მათი: ლეონ: ადიდე: ორთავე: შინა: ცხოვრებად: მეოხ: ექმენ:

3. ცათა უმაღლესო, ბიჭვინტისა: ღვთისმშობელო: შეიწყალე: სულითა: აფხაზეთის კათალიკოსი: ევდემონ: რომელმან: შექმნა: ჯვარი: ესე: ძელო: ცხოვრებისაო: წინა მძღვარ და მფარველ: ექმენ: ორთავე: შინა: ცხოვრებათა:

4. ბიჭვინტისა: ღვთისმშობელო: შეიწყალე სული: მეფეთ მეფისა: ვახტანგ, ადიდე ღმერთო: ორთავე შინა ცხოვრებათა: ქრისტე: შეიწყალე: სული მამია: გურიელისა ძე მისი: გურიელი: როსტომ, ადიდეა ღმერთო: ამინ.



5. ოქრომჭედლისა: მამნესი: მეუღლისა: მისისა: ულუმპისი: ღმერთო: შეიწყალე: სული:.

საწინამძღვრო ჯვარი შედგება ორი ნაწილისაგან, თავად ჯვარი ვერცხლისგან არის შეჭედილი, ასევე ვერცხლითვე არის შეჭედილი ჯვრის ხეტარი. სიონი და ოთხი მილაკი, აგრეთვე ხუთი ბუშტი ოქროს მასიური ფურცლისგან არის დამზადებული, გამონაკლისია ერთი მილაკი.

ჯვრის ზედაპირი ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ღერძებზეა შექმნილი, ხოლო ზემოთ აღნიშნული წარწერები განაწილებულია ჯვრის მკლავებზე.

ჯვრის შუაში, გამოსახულია ძელზე გაკრული მაცხოვარი, მედალიონებში კი – ნახევარ ფიგურები, აქეთ-იქით ღმრთისმშობელი და იოანე მახარობელი, ზემოთ მთავარანგელოზი, ქვემოთ წმ. ნიკოლოზი, რომლის მედალიონი შედარებით დიდია, მინიან ჩარჩოში, რომელსაც აქვს საკეტი, იგი სანაწილეს წარმოადგენს და მასში მოთავსებული იყო წმ.

ნაწილები, კერძოდ კი – ძელიცხოვლის ნაწილები, როგორც ეს მოხსენიებულია ევ. ჩხეტიძის წარწერაში.

ჯვრის სიონი უხვად არის შემკული თვალ-მარგალიტებით და სხვადასხვა ზომის ძვირფასი ქვებით. სიონზე გამოსახულია ღმრთისმშობელი ყრმით, პეტრე და პავლე მოციქულები, მთავარანგელოზები, რომლებსაც ხელთ ხმლები უპყრიათ, როგორც მეომრებს. გვერდით წახნაგებზე კი ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მეორეგან – იოანე ოქროპირი და იოანე ნათლისმცემელია გამოსახული. სიონის ზედა ნაწილზე, გუმბათზე მოცემულია „ხატი მიძინების", მის საპირისპიროდ – „საყდარი განმზადებული" ბასილ დიდისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის წელსზევითი ფიგურებით.

გელათის საწინამძღვრო ჯვრის ერთ-ერთი პირველი აღწერილობა დაგვიტოვეს 1651–52 წ.წ. იმერეთში მყოფმა რუსეთის ელჩებმა ნ. ტოლოჩანოვმა და ა. იევლევმა.

ნ. ტოლოჩანოვის მიხედვით. საწინამძღვრო ჯვარი ასეა დახასიათებული: „აღსავლის კარების მარჯვენა მხარეს, სვეტთან, მღვდელმთავრის კვერთხივით არის მიყუდებული, მასზე „წმინდა ნაწილებით" „სიონია", „ფენგებზე" /გვერდებზე/ მაცხოვრის, ყოვლად წმ. ღვთისმშობლისა და იოანე წინამორბედის /ნათლისმცემლის/ სახეებია ამოტვიფრული. „სიონს" ზემოთ მოზრდილი ჯვარი აქვს, იგი ჩამოსხმულია, ოქროცურვებულია და ძვირფასი ქვებითაა შემკული".

ა. იევლევის აღწერილობა ოდნავ განსხვავდება: „მეორე, მარცხენა მხარეს დიდი ჯვარია საჟენის სიგრძე, ჯვარედინით ნახევარი საჟენი ექნება, მთლიანად ვერცხლით არის ორმხრივ სადად მოჭედილი. ჯვრის შუა ნაწილი ზევიდან კვარცხლბეკამდე და გარდიგარდმო, ხელის გულის სიფართეზე ოქროთი არის შემკული. ამოტვიფრულია ჯვარცმა და მთელი შუა ნაწილის ოქროზე სხვადასხვა ფერის მინანქრით; საუცხოოდ არის გამოსახული მთავარანგელოზები, ვნებანი და ქერუბიმები".

1842 წლის გელათის მონასტრის ქონების აღწერილობა საწინამძღვრო ჯვრის შესახებ უფრო დეტალურ დახასიათებას იძლევა: „ჯვარი ოქროსი დროშის მსგავსი წინ სატ-

არებელი სამწყმსოში მიმოსვლის დროს, რომელსაცა აქვს შუაზედ გამოსახული ჯვარცმა და ბოლოებზედ მრგვალი ხატები, ზეითგან მაცხოვრისა მხრებზედ ღუთისმშობლისა და ნინამორბედისა, ქვემოთ ნიკოლაოზ სასწაულთმოქმედისა, ჯვარცმის გარშემო არის მოვლებული ორმოცდათორმეტი მარგარიტი, რომელშიაც ურევია ორი საკმაოდ მოდიდო მარცვლები, და სხვები კი არიან საშუალონი, ორი ლალი დიდროვანი, რომელთაგანიც ერთი ფრიად მდაბალი, დანარჩენს ცხრა იაგუნდი და თერთმეტი ფირუზი არა ძალიან დიდროვანები, ჯვარის ქვეშე ბუშტი ოქროსივე ზედ წარწერილი და ამ ბუშტის ქვეშ ოთხ კუთხად გაკეთებული ყუთსავით ზევით ბუშტამდის ოთხკუთხადვე მორგვალებული ოქროსავე, რომელზედაც არის რვა გამობერილი ხატები და ესე ყოველივე კუთხეები მისი არის გარშემოვლებული მავთულზედ ასხმულის საშუალის სიდიდის მექონის მარგალიტებითა, რომელსაც რომელსამე ადგილებში აკლია და იმაზედ უსხედს ორმოცდაათი მსხვილი და წვრილი სხუა და სხუა ქვები, რომელთა შინაც ურევია უბრალოებიცა, შუაზედ აქუს ლულა ვეცხლისა და ამ ოთხ კუთხიდამ არის დაწყებული ტარი ვეცხლის ლულითვე ხუთ მუხლიანი ხუთის ბუშტებითა, რომელიცა არის ასასხმელი ხეზედ და ესენი არიან ვეცხლის ოქროთი დაფერილი".

1906 წლის აღწერაშიც მოხსენიებულია გელათის საწინამძღვრო ჯვარი, მაგრამ უკვე ის დაზიანებულია, კვერთხზე მოცილებულია და ცალკე ინახება: „კვერთხი თეთრი და შავი ძვლებისაგან აქვს 4 ალაგს მომსხმო მოსახსნელი სპილოსძვლისა, თავზედ აქვს სპილოს ძვლისაგან გველის სახე". შენიშვნაში აღნიშნულია რომ კვერთხი „გატეხილია".

ამგვარ მდგომარეობაში მოაღწია გელათის საწინამძღვრო ჯვარმა 1920 წლამდე, ვიდრე მას მონასტრიდან მენშევიკური მთავრობის გადაწყვეტილებით ჯერ ქუთაისის ხაზინაში გადაიტანდნენ, შემდეგ კი საზღვარგარეთ. ჯვარი 1945 წელს ნაწილებად დაშლილი ჩამოიტანეს საქართველოში დაზიანებული, აკლია რამდენიმე ნაწილი.

როგორც ირკვევა, საზღვარგარეთ მხოლოდ ჯვარი გაიტანეს, ხოლო გატეხილი კვერთხი, რომელზედაც ჯვარი იყო

დამაგრებული გელათში დატოვეს, საიდანაც იგი 1923 წელს შემოვიდა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში. კვერთხი გატეხილია სამ ნაწილად. მისი საერთო ზომა 96 სმ-ია. ხეზე გადაკრულ ვერცხლს 4 ბუშტი აქვს. კვერთხის ერთ-ერთ ბუშტზე გაკეთებული ასომთავრული წარწერა ასე იკითხება: „წმიდაო ძელო ცხორებისაო, მეოხ და მფარველ ექმენ მეფეთ მეფესა ბაგრატს. წმიდა დიდებულისა საყდრისა გაენათისა მღვდელთ მთავარეპისკოპოზსს მელქისედეგს საყვარელიძეს შეუნდვნეს ღმერთმან. შევქმენითა კუბო ესე და ზრუნვა ჩემის ვერცხლის ომფორიცა, ჩვენთა შევქმენით სულისა ჩვენისა საოხად და შესანდობელად საყდრისა გაენათის ღვთისმშობლისათვის სადიდებლად".

წარწერაში მოხსენიებულნი არიან იმერეთის მეფე ბაგრატ III /1510-1565 წ.წ./ და იმჟამად გელათის მონასტრის არქიეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე /1519–1529 წ.წ./.

როგორც ვხედავთ გელათის საწინამძღვრო ჯვრის ისტორია ძირითად ორ ეტაპად შეიძლება დავყოთ; ჯერ შექმნილა კვერთხი, ხოლო შემდეგ, როგორც გ. ჩუბინაშვილი შენიშნავს, მასზე ევდემონ ჩხეტიძისა და ბაგრატ III-ის ძის გიორგი II-ის დაკვეთით, მამნე ოქრომჭედელს დაუმაგრებია საწინამძღვრო ჯვარი.

ამ ჯვრის განსაკუთრებულობა, არამარტო დამზადების ოსტატობით იყო შესამჩნევი, არამედ ჯვრის სიონში მოთავსებული წმინდა ნაწილების არსებობით. მე-19 საუკუნეში, შემორჩენილი ტრადიციით, ძალზე ამაღელვებელი იყო ტაძრიდან ჯვრის გამოსვენების ცერემონიალი. აღდგომის მეორე დღეს ჯვარს საკრებულო ტაძრიდან სამღვდელოებასთან ერთად გამოასვენებდა მონასტრის წინამძღვარი, სამხრეთ კარიბჭესთან მრევლი ანთებული სანთლებით ელოდებოდა ჯვრის გამოსვენებას და შემდეგ ლიტანიობით მიყვებოდნენ მას კვალდაკვალ.


ეს ტრადიცია შეწყდა მე-20 საუკუნის დასაწყისში.

საწინამძღვრო ჯვარიც დაზიანებული იყო და ეს წესიც თანდათან მოიშალა...

ძელი ჭეშმარიტი

გელათის ერთერთ უპირველეს განძს წარმოადგენდა ძელი ჭეშმარიტის ნაწილი, რომელიც დავით აღმაშენებელმა თავისი ანდერძით ამ მონასტერს დაუტოვა: „ძემმან ჩემმან დემეტრე ძელი ცხოვრებისაი... ესე თვით ამა[illegible] ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს".

როგორც ირკვევა, დავით აღმაშენებლის მიერ შეწირული ძელი ჭეშმარიტის ნაწილისათვის ჩამოუჭრიათ მცირე ნაწილები და ჩაუსვენებიათ გარდამოხსნის ხატში, ცენტრალურ ნაწილზე. აღნიშნული ხატი-სანაწილე დღეს ქუთაისის მუზეუმშია დაცული, ძალზე დაზიანებული, მხატვრობა და წარწერები თითქმის გადაშლილი. მას კარედის გვერდები დაკარგული აქვს, თუმცა ორ ადგილზე შემორჩენილია წვრილი რკინის ლურსმნები, რომლითაც მაგრდებოდა მასზე კარედები. ხატი-სანაწილე მოჭედილი უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს მის ირგვლივ აშიებზე დარჩენილი მოჭედილობის კვალი. ეს ხატი სანაწილე ქუთაისის მუზეუმში ამგვარ მდგომარეობაში შემოვიდა 1923 წელს: „N1050. სანაწილე ხის. შუაში საჯვარეა და მას გარშემო 20 სანაწილე. სამ მათგანს შერჩენია ყვითელი ფირფიტებიდან გაკეთებული თავსახურავები, წვრილი ჩუქურთმის მსგავსად ნაჭედი. ორ უჯრაში დარჩენილია ნაწილები. დანარჩენში სანთლისდაგვარი მასაა". აქვე შევნიშნავდით, რომ ზემოთხსენებული ფირფიტები დღესდღეობით დაკარგულია, ხოლო საჯვრე დაცარიელებული.



სანაწილის ცენტრალურ ნაწილს ზემოთ, ხატის ფიცარში მჭიდროდ არის ჩასვენებული ძელი ჭეშმარიტისაგან შემდგარი მომცრო ზომის ჯვარი. სანაწილე ხატი თავისი იკონოგრაფიული შინაარსით უნდა მივაკუთვნოთ მე-12–13 ს.ს. რაზედაც მასზე დარჩენილი მხატვრობისა და წარწერების მანერით თუ განვსაზღვრავთ. თვითეული მხატვრობა დასათაურებულია შემდეგი რიგითობით:

1. ჯვარად ახსნაი
2. ანგელოზი ლოდსა ზედა მჯდ[illegible]ი
3. წაგრაგნაი ქრისტესაი
4. დედანი შევედრნეს ფერხთა უფალსა



5. დადება საფლავად

ამჟამად, ამ სანაწილე ხატის მდგომარეობა ძალზე სავალალოა და გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოებს საჭიროებს.

ძელი ჭეშმარიტისგან დარჩენილი ერთი ნაწილი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ბაგრატ III-ის მიერ დამზადებული გელათის ღვთისმშობლის ხატის სანაწილეში, ხოლო დანარჩენი მცირე ნაწილები, ზუსტად თუ რამდენი, ძნელია ამის თქმა, მოთავსებული იყო გელათის საწინამძღვრო ჯვრის სიონში: „ამ ჯვარზედ ჯვარცმის ქვეშ არის ხატი წმიდა ნიკოლოზისა, რომელიც იხმარება ნაწილთა შესანახის კარებად. ამ სანაწილეზედ არის გამოყვანილი პატარა ჯვარი, რომელსაც ბოლოზედ ჯვრები აქვს. ეს ჯვარი იყო სავსე ცხოველს მყოფელის ჯვრის ნაწილებით, რომლიდგანაც ახლა აკლია ბოლოებზედ პატარა ნაწილები".

როგორც ცნობილია, გელათის საწინამძღვრო ჯვარი 1945 წელს საფრანგეთიდან დაშლილი სახით დაბრუნდა და

იგი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ჩვენთვის უცნობია, შენახულია თუ არა მის სანაწილეში ძელი ჭეშმარიტის აღნიშნული ნაწილები. სამწუხაროდ, მისი დათვალიერების საშუალება არ მოგვეცა.

საერთოდ, საქართველოში ძელი ჭეშმარიტის სხვადასხვა ნაწილების მოხვედრისა ან დაკარგვის ისტორია მრავალმხრივ არის საინტერესო. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა დავით აღმაშენებელთან და მის ოჯახთან დაკავშირებული ამბები ძელი ჭეშმარიტთან მიმართებაში. ცნობილია, რომ მეფემ ყივჩაღების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით, გარკვეული პირადი მსხვერპლი გაიღო; 1118 წელს მეფე მეორედ დაქორწინდა ყივჩაღთა ტომის ბელადის ქალიშვილზე, ხოლო კანონიერი პირველი მეუღლე მონაზვნად აღიკვეცა და იერუსალიმში გაემგზავრა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საყურადღებო ცნობებია დაცული იერუსალიმელი კლერიკის ანსოს ეპისტოლეში პარიზის ეპისკოპოსისადმი. ამ დოკუმენტში მოთხრობილია საქართველოს ყოფილ დედოფალზე, დავით აღმაშენებელზე და ძელი ჭეშმარიტის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაზე იმ პერიოდისათვის:

„ანსელმის წმინდა საფლავის კანტორისაგან, პარიზის ღვთისმშობლის კრებულს იერუსალიმითგან.

ანსელუს, იესო ქრისტეს სახელოვანი საფლავის კანტორი და ხუცესი, გალონ ეპისკოპოზს, სტეფანე მთავარდიაკონს და პარიზის ღვთისმშობლის სრულიად კრებულს პატივისცემასა და სიყვარულს უცხადებს.

... იმ ნიჭთაგან, ღმერთმა რომ მომცა, ნიჭი ერთი, ფრიადი და შეუდარებელი, ესე იგი ჯვარი, წმინდა ჯვარის ძელითგან ქმნილი, მე თქვენმა მოყვარემ, თქვენი ეკლესიის, თქვენდა და თქვენი ქალაქის საპატივოდ, სასახელოდ და ასამაღლებლად, ანსელმს ერთგულს თქვენსა გავატანე, რომლისაგან თქვენი წიგნი ჩემდამი გამოგზავნილი მივიღე.

როგორც ბერძენთა და ასურთა ნაწერები გვასწავლიან, ქრისტეს ჯვარი ოთხ ძელთაგან ყოფილა შემდგარი. მათში ერთი ის იყო, რომელზედ პილატემ ზედწერილი დაწერა, მეორე – სად იესო ქრისტეს გაშლილი მკლავნი და ხელები მიმაგრებული იყო; მესამე, რომელს მისი ტანი ეკიდა, და მეოთხე

– რომელში თვით ჯვარი გამაგრებული იყო და რომლითაც გვერდის და ფერხთა სისხლის დაღვრით გავლილია და კურთხეული.

ხოლო ის ჯვარი, თქვენ რომ გამოგიგზავნეთ, ორი ძელითგან არის გაკეთებული. იქ, რომ ჯვარია ჯვარში ჩადებული, იმ ძელისა არის, რომელზედაც ეკიდა: სადაც ჩართულია, იმ ძელისაა ფეხთა ქვეშ რომ იყო და ჯვარს ამაგრებდა, ორივე პატიოსანი, ორივე წმინდა. ამ ჯვარს დავით, მეფე ქართველთა, სანამ ცოცხალი იყო უაღრესს პატივისცემას და სიყვარულს უძღვნიდა. ის დავით, რომელს, მისი წინაპრებივით, კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს – ეჭირა და დარაჯობდა. რასაც შვილი მისი აქამომდე ასრულებს. ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენში, ასე ვთქვათ, წმინდა ბურჯია.

შემდგომად დავითის სიკვდილისა და მისი შვილის გამეფებისა, მეუღლემ მისმა, უფრო სიწმინდისა, ვიდრე გვარიშვილობისათვის სათაყვანომ, წესი მონაზონობისა მიიღო, სარწმუნოების სამოსელი ინება და მცირეოდენ /მხლებლებით/ იერუსალიმს მოვიდა, ამ ჯვარისა და ბევრი ოქროს თანწამოღებით და იყო მისი წადილი არა შინ დაბრუნება, არამედ აქ მშვიდობასა და მყუდროებაში სიცოცხლის დასრულება.

იმ წამოღებულ ოქროთაგან წმინდა ქალაქის მონასტრებს წილები დაურიგა, აგრეთვე გლახაკთა და მგზავრთათვის მისაცემი გაიღო. შემდეგომად ამისა უფალ პატრიარქ გიბელინის ხელქვეით ქართველ დედათა მონასტერში, იერუსალიმს რომ არის, შესულა, მალეც, დათა და პატრიარქის თხოვნით წესი მონაზონობისა მიიღო.

ბოლოს, წამოღებული სულ დაარიგა, გასცა და მონასტრის საჭიროებისათვის დახარჯა. და ოდეს ჩვენი ქვეყანა შიმშილობამ შეაწუხა, თვითონ მისი ხელქვეითებით გაჭირვებაში ჩავარდა და თუმცა ბევრი რამ საჩუქრად ან სესხად მიეღო, მაინც მისი ქველის გრძნობით იძულებული გახდა იმ მონასტრის მოთხოვნილებისათვის, მას რომ ებარა, ისე მოქცეულიყო, როგორც საკუთარ ხორციელ საჭიროებისათვის არასგზით არ იმოქმედებდა.

ამრიგად, ის ძელი, არავითარი ფასის შესადარი, ამ მიზეზით ფასად იქცა და აჰა გამოგიგზავნეთ.

გევედრებით, გქონდეთ პატივი, როგორც გმართებთ, ხოლო რომ სახსოვარი იყო შემდგომთა და მემკვიდრეთა თქვენთა, საიდგან და როგორ გაქვთ, დაიწერეთ თქვენ წიგნთა შინა: „ანსელუსმა, ხუცესმა ჩვენმა, ჯვარი ესე, წმინდა ჯვრის ძელითგან ქმნილი ჩვენს ეკლესიას და ჩვენ მოგვაწოდა“.

გთხოვთ, აგრეთვე მაგიერი გადამიხადოთ და ჩემი სიკვდილის შემდგომ თქვენს ლოცვებში მომიხსენიოთ, რაიც შეეწევა ესოდენ განძის მომტანს და მოაღწია თუ თქვენამდე ბედნიერად, თქვენი წერილით შემატყობინეთ.

იკითხეთ, რა მიზეზით, რა საჭიროებით იგი ნაწილი უფლის ჯვარისა წამოღებულ იქმნა. მე რაც ამისათვის ასურთა წერილთაგან და მოხუცთა ნაამბობითგან ვისმინე და ვისწავლე. თქვენ გამოგიმჟღავნებთ:

იკითხება სახარებაში: მრავალნი სხვანიცა სასწაულნი ქმნა იესო წინაშე მოწაფეთა თვისთა, რომელნი არა დაწერილ არიან წიგნსა ამას.

თქვენც მრავალი წაგიკითხავთ, ხოლო არა ყოველი. ბერძნებს ხომ ბევრი აქვთ, რაც ლათინებს არა აქვთ. მაინც წაკითხული გექნებათ, რომ წმინდა ელენემ უფლის ჯვარი შუაზე გააჭრევინა და /ერთი/ ჯვარი შვილთან ერთად კონსტანტინეპოლს წამოიღო, /მეორე/ ჯვარი კი იერუსალიმს დატოვა და დატოვებული ქასრემ, იერუსალიმი რომ ააოხრა, მოიპარა და სპარსეთს წაიღო, ქასრე რომ მოკლეს, ერეკლე კეისარმა იერუსალიმს წამოიღო და ადგილსა გოლგოთისასა დადო, რათა ქრისტიანმა ხალხმა თაყვანი სცეს; ერეკლეს გარდაცვალების შემდგომ კი, ურწმუნო ერმა ისე შეაწუხა ქრისტიანები, რომ ქრისტეს სახელის წაშლასაც ცდილობდნენ და ჯვარის და საფლავის ხსოვნის აღმოფხრას. ამისათვის ხეთა გროვა დაყარეს და საფლავის ნაწილი დაცვეს და ჯვარიც ამგვარად მოისურვეს დაეწვათ, მაგრამ ქრისტიანებმა იგი დამალეს, რის გამოც ბევრი მათგანი მოკლეს.

ხოლო, ქრისტიანებმა, ითათბირეს რა, დაჭრეს და დაანაწილეს მრავალ კერძ და მორწმუნეთა ეკლესიებს დაურიგეს. ასე, რომ თუკი მის ერთ ნაწილს დასაწვავად წამოიღე-

ბდნენ სხვა ნაჭრები ამგვარად შეენახათ, მაშასადამე, კონსტანტინეპოლის ქალაქს, გარდა კეისრის ჯვარისა, არის სამი ჯვარი, კიპროსს ორი, კრეტას – ერთი, ანტიოქიას –ერთი, ედესას – ერთი, ასურებს აქვს ერთი, წმინდა საბას ბერძნებს – ერთი, იერუსალიმს – ოთხი, იოსაფატის ხევის ბერებს – ერთი; ჩვენ, ლათინთა წმინდა საფლავთან ერთი გვაქვს, სიგრძით ერთი მტკაველი და ნახევარი, სიგანით ერთი ცერი და იმავე სისქით. აგრეთვე ქართველთა პატრიარქს აქვს ერთი და ქართველ მეფესაც ჰქონდა ერთი, რომელიც ღვთის მადლით თქვენ გაქვთ"...

ზემოთმოტანილ დოკუმენტიდან ბევრი რამ საგულისხმო ირკვევა დავით აღმაშენებლის მეფობის დროინდელ საქართველოში ძელი ჭეშმარიტის არსებობის ფაქტის შესახებ. ქართული საეკლესიო ტრადიციის მიხედვით მონაზვნად აღკვეცილ დედოფალს არ შეეძლო ეკლესიის საუნჯედან წაეღო ასეთი ძვირფასი რელიკვია. თუ იგი მისი პირადი საკუთრება არ გახლდათ, ე. ი. მზითევში მოტანილი. ამდენად, ეკლესიის ავტორიტეტის გაუთვალისწინებლობა ამ შემთხვევისათვის, მცდარი იქნება. როგორც წერილიდან ირკვევა, დასადგენი ხდება თუ რომელ მეუღლეს შეეძლო გაეტანა ძელი ჭეშმარიტი საქართველოდან. წერილში აღნიშნული თარიღი არანაირად არ შეესაბამება დავითის ბიოგრაფიულ მომენტებს, რამდენადაც დავითისაგან პირველი ცოლის განტევების თარიღი უნდა ვეძებოთ 1116–18 წლებში, ვიდრე მოხდებოდა მეფის დაქორწინება ყივჩაღთა ბელადის ასულზე. აგრეთვე, საფიქრებელია, რომ იერუსალიმში ბერ-მონაზვნად აღკვეცილი დედოფალი უნდა იყოს სწორედ ეს უკანასკნელი, რადგან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ დავითის გარდაცვალების შემდგომ, ტახტზე ასულ დემეტრესა და დედინაცვალს შორის შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში. სწორედ გურანდუხტი შეიძლება აღმოჩენილიყო გაძევებული. ამის მტკიცების ფაქტები შეიძლება ვეძებოთ თვით დავითის პოლიტიკურ ანდერძსა და შემდგომში განვითარებულ მოვლენებს შორის. ერთი რამ კი შეიძლება დავასკვნათ; დავითის თუ მისი მემკვიდრის მეფობის პერიოდში მომხდარა ძელი ჭეშმარიტის გატანა საქართველოდან, ხოლო ეს სიწმინდე

შეიქმნა შემდგომში პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის მთავარი რელიქვია.

დავით აღმაშენებლისა და მისი ძის დემეტრეს სახელთან არის დაკავშირებული სახულის ხატის კარედისათვის ჭელი ჭეშმარიტის შეწირვა.

ხახულის ხატზე, მაცხოვრის გამოსახულების ქვემოთ მოთავსებულია ბრტყელი ორნამენტირებული ჯვარი, რომლის შუა გულში ჯვრის სახით დაცულია ნაწილი ცხოველმყოფელი ჯვრისა. სიწმინდის სახელურები აქეთ-იქეთ ხელთ უპყრიათ წმ. კონსტანტინესა და ელენეს, შესაბამისი ბერძნული წარწერებით. ხოლო ჯვრის კიდურებზე განლაგებულია ნახევარფიგურები ისაიას, ელიას, ელისეს, ელენესა და დანიელის გამოსახულებებით.

ხოლო ჯვრის მარცხნივ და მარჯვნივ კვადრატულ ფირფიტებზე გამოსახულია ოთხი მახარებლის ფიგურები.

ასეთია, რა თქმა უნდა მოკლედ გელათში დაცული ძელი ჭეშმარიტის ნაწილების არასრული მიმოხილვა.

მარიამ ღვთისმშობლის სიწმინდეები

1652 წლის 13 ივლისს გელათის მიტროპოლიტმა ზაქარია ქვარიანმა. იმჟამად ქუთაისში მყოფ რუსეთის ელჩებს ნ. ტოლოჩანოვსა და ა. იევლევს კაცი გამოუგზავნა და მონასტრის დასათვალიერებლად მიიწვია. ელჩებმაც არ დააყოვნეს და იმ დღესვე გაემგზავრნენ გელათისაკენ. რუსი ელჩები გელათს ციხე-სიმაგრეს უწოდებენ თავიანთ ჩანაწერებში და აღფრთოვანებულნიც დარჩენილან მონასტრის სიწმინდეთა მოხილვით.

უპირველესი სიწმინდე, რაც მათ ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში ინახულეს იყო გელათის საწინამძღვრო ჯვარი და მასში დაბრძანებული ღვთისმშობლის წმინდა ნაწილები. ელჩებს ახსნა-განმარტებებს მონასტრის წინამძღვარი ზაქარია /ქვარიანი/ მიტროპოლიტი აძლევდა.

ა. იევლევი ასე გადმოგვცემს თავის შთაბეჭდილებებს: „ზაქარია მიტროპოლიტმა გვიამბო, რომ ამ ჯვარს შიგნით,

ყოვლად ღვთისმშობლის კბილი აქვს დატანებულიო, შვიდი წლის ასაკის დროინდელიო. აგრეთვე ამ ჯვარს /ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის/ ის თმები აქვს დატანებული, ქრისტეს ჯვარცმის დროს რომ გამწარებულმა დაიგლიჯაო. ამ ჯვარში ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის რძეც არისო".

ნ.ტოლოჩანოვი ძირითადად იმეორებს ა. იევლევის აღწერილობას, მასთან მხოლოდ დაზუსტებულია, თუ საიდან და როგორ მოხვდა აღნიშნული სიწმინდეები გელათში: „ხოლო ის ჯვარი ძველად კონსტანტინე მეფემ გამოგზავნა, როცა თავისი ქალიშვილი ქართველ მეფეს, გიორგის, მიათხოვაო".

ჩანს, ან ზაქარია მიტროპოლიტმა ვერ მიაწოდა ზუსტი ცნობა ელჩებს ან კიდევ. თავად ელჩებმა ჩაინიშნეს ის არასწორად თავიანთ დღიურებში, რადგან ასეთი ქორწინების ფაქტი საქართველოს ისტორიისათვის უცნობია.

ერთი რამ კი საგულისხმოა, მარიამ ღმრთისმშობლის აღნიშნული სიწმინდეები მოთავსებული იყო სამოთხის ოქროს იმ ერთი ნაწილისაგან დამზადებულ ჯვარში ახლადშობილ ქრისტეს რომ მოგვებმა თაყვანისცეს და საჩუქრები მიართვეს. აქვე დავსძენთ, რომ ამ ჯვრის სანაწილე კოლოფში მოთავსებული იყო, აგრეთვე „იესო ქრისტეს თმები და წვერები, ჯვარცმის დროს რომ დაამცირეს და შეურაცხყვეს მაშინდელი", როგორც ნ. ტოლოჩანოვი აღწერს. მსგავსი რამ ა. იევლევთან არ გვხვდება.


ამდენად, სრულებით კანონზომიერ მოვლენასთან გვაქვს საქმე. სამოთხის ოქროსაგან დამზადებულ სანაწილეში ღმრთისმშობლისა და მაცხოვრის წმინდა ნაწილები რომ იყო მოთავსებული ერთად...

ეს ჯვარი, როგორც ცნობილია 1921 წელს საფრანგეთში იყო წაღებული. 1945 წელს ის საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ჩამოიტანეს. იმედია, ხსენებული სიწმინდეებიც მასში იქნება მოთავსებული კვლავ.


გელათში იყო აგრეთვე სხვა სიწმინდეც, რომელიც მარიამ ღმრთისმშობლის სახელთან არის დაკავშირებული. ეს არის გელათის მონასტრიდან 1923 წელს შემოსული ვერცხლის სანაწილე. სანაწილე იხსნება, მის ერთ მხარეს გამოს-

ახულია ღვთისმშობელი ყრმით ხელში, მეორე მხარეზე კი წმ. გიორგი, რომელიც ცხენზე ამხედრებული შუბით კლავს გველეშაპს.

სანაწილეზე რაიმე წარწერის კვალი არ სჩანს. ამ სანაწილეში სხვა სიწმინდეებთან ერთად არის მარიამ ღმრთისმშობლის კაბის მცირე ნაჭერი. ამის შესახებ ცნობას იძლევა თვით სანაწილეში მოთავსებული ქაღალდი მხედრული წარწერით, სადაც ჩამოთვლილია წმინდა ნაწილთა დასახელებანი, მარიამ ღვთისმშობლის კაბის შესახებ ნათქვამია: „ყ~დ წმიდა ღვთისმშობლის კაბის ნაწილი, რომელ ემოსა ჟამსა მას, რომელსაც იყო ღმერთი მუცელსა მისსა“.



ნაჭერი მუქი მოიისფრო სახისაა, ძალზე თხელი და მსუბუქი, ოდნავ დაკრავს გაურკვეველი ფერის ლაქები. სიწმინდე ძალზე პატარაა, დაახლ: 4 X 2 სმ-ის ზომის.



სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია იმის აღნიშნვა, რომ გელათში ხსენებულ სიწმინდეთა გარდა, სხვაც მრავალი იყო მარიამ ღმრთისმშობლის მიწიერ ცხოვრებასთან დაკავშირებული, კერძოდ გელათის ღვთისმშობლის ხატის სანაწილეში, ან კიდევ ღვთისმშობლის ხატში, რომელიც „ყოველთა სნეულთა მკურნალის“, სახელით იყო ცნობილი.

1854 წლის აღწერილობით ხატი ასეთ მდგომარეობაში იყო „ხატი ღვთისმშობლისა... სიმაღლით ორი ადლი და სამი ჩარექი, შეჭედილი გარშემო ვეცხლით და ოქროშიდ დაფერილი. გვირგვინები ღვთისმშობლის ორს რიგათ და შესამოსელი ერთ რიგათ, ორს შემოვლებულს წვრილის მარგარიტით, რომლისაგან მრავალნი დასცუენია. ღვთისმშობლის გვირგვინს ქუეშა წითელი იაგუნდი არა მომცრო, სხუათა და სხუათა ადგილთა არის თორმეტი“.

მოკლედ, ასეთია ის არასრული ნუსხა მარიამ ღმრთისმშობლის წმინდა ნაწილთა გელათის მონასტერში რომ იყო დაბრძანებული რვა საუკუნის მანძილზე...

საიდუმლო სერობის დროინდელი პინაკი

პირველი ცნობები საიდუმლო სერობის დროინდელი პინაკის შესახებ მე–19 საუკუნის მეორე ნახევარში გავრცელდა საქართველოში. პლ. იოსელიანის ცნობით სიწმინდე თავდაპირველად ქვათახევის მონასტერში ყოფილა, საიდანაც შემდეგ თბილისის დარიის მონასტერში გადაუბრძანებიათ. ეს ეკლესია მეფე ერეკლე მეორის მეუღლის დარეჯან დედოფლის კარის ეკლესია იყო, რომელმაც 1790 წ. გალავანი შემოავლო და ბურჯები და თავის სახელობაზე წმ. დარიის ეკლესია ააშენა. აქვე იყო მისი სასახლეც, რომელიც შემდეგში შეისყიდა მიტროპოლიტმა თეოფილაქტემ და მასში მოათავსა სემინარია და სასულიერო-სამრევლო სკოლები. ხოლო 1821 წელს აქ დაარსეს ფერიცვალების მონასტერი.

პლ. იოსელიანის მიხედვით სერობის დროინდელი პინაკი საქართველოში ჩამოიტანა მეფე ბაგრატ კურაპალატის მეუღლემ – ელენე დედოფალმა, ხოლო 1735 წლის შემდეგ ქართლში ლეკთა თარეშის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ის ქვათახევის მამათა მონასტრის სალაროდან გამოუტანიათ და მის მახლობელ მღვიმეში გადაუმალავთ. პლ. იოსელიანმა დაგვიტოვა ამ სიწმინდის პირველი აღწერილობაც. როგორც ირკვევა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში პინაკი ქვათახევიდან თბილისში გადაუტანიათ, კონკრეტულად თუ რომელ ეკლესიაში უცნობია, მხოლოდ 1790 წლიდან ჩანს ის დაბრძანებული წმ. დარიის ეკლესიაში.

აღნიშნულ ვერსიას ადასტურებს 1885 წლის ჟურნალ „მწყემსში“ /N9/ მოთავსებული მღვდელ მ.ხელაევის სტატიაც: „ამ მონასტერში არიან წმიდა ნაწილნი საკუთარის გარდამოხსნის კუბოს მსგავსად შექმნილს კიოტში, რომელთა შორის არის შესანიშნავი იმ ხის პინაკის ნაწილი, რომე-

ლსაც ზედა გარდამოცემისამებრ იესო ქრისტემ აღასრულა საიდუმლო სერობა. პინაკი ესე, როგორც იტყვიან, გარდამოტანილ არის იერუსალიმიდგან კონსტანტინეპოლში, ხოლო იქიდგან ბერძენთ მეფის ასული ირინესაგან, რომელიც იყო მეუღლე დავით აღმაშენებელისა. გარდმოტანილ არს საქართველოში და დასვენებულ მისგან დაფუძნებულს კავთისხევის /!/ მონასტერში".

ამგვარია ძირითადი ისტორიული ლეგენდა სიწმინდის საქართველოში მოხვედრის თაობაზე.



როგორც პლ. იოსელიანის მიხედვით ჩანს, პინაკი პირველად აღმოჩენილი იქნა 1851 წ. ძალზე დაზიანებული. ის დავით აღმაშენებლის დაკვეთით საგანგებოდ მოუჭედინებიათ გარშემო ოქროში დაფერილი ვერცხლით.

რა თქმა უნდა, ზემო ხსენებულ ავტორთათვის, იმჟამად უცნობი იყო იმერეთში 1651–52 წწ. მყოფი რუსეთის ელჩის ნ. ტოლოჩანოვისეული გელათის მონასტრის საგანძურის აღწერილობანი. ნ. ტოლოჩანოვი გელათის სიწმინდეთა შორის აღწერს სერობისდროინდელ პინაკს: „პინაკი....ოქროსია". სხვა დამატებითი აღწერილობა მას არ დაუტოვებია. ამ ფაქტით, ირკვევა, რომ მე-17 საუკუნის შუა ხანებში პინაკი ჯერ კიდევ გელათში იყო, მთლიანი სახით დაცული, რომელიც ჩვენი აზრით ამავე საუკუნეში მეფე შაჰნავაზის ან მისი ძის – არჩილ მეფის მიერ გადატანილი იქნა გელათიდან ქვათახევის მონასტერში. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი ისტორიული გარემოებანი. ქვათახევის ეკლესია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში თარიღდება XII-XIII სს. მიჯნით. თავდაპირველად ის დედათა მონასტერი ყოფილა, შემდგომ გადაუკეთებიათ მამათა მონასტრად. 1406 წელს

თემურ-ლენგის შემოსავის დროს დარბეულია, ხოლო „მუნ მყოფნი კაცნი, მამანი და დედანი, მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი, ცეცხლი შეუკეთეს და გამოსწვეს შიგ".

მოტანილ ცნობათა მიხედვით, რამდენადმე დასაზუსტებელია პლ. იოსელიანისა და მ. ხელაევის მოსაზრებანი, რადგან ბარგატ IV-ის დროს შეუძლებელი იყო ქართლში დედათა მონასტრის დაფუძნება, თუ მხედველობაში მივიღებთ ბარგატ IV-ის მეფობაში ქვეყნის შიდა პოლიტიკურ მდგომარეობას და საეკლესიო ცხოვრებას. ამასთანავე ქვათახევის ეკლესიის აშენება ქრონოლოგიურ ჩარჩოებში ვერ თანხვდება ზემოთ მოტანილ ისტორიული ლეგენდის რეალობას. საფიქრებელია, სიწმინდე მართლაც, ელენე დედოფალს ჩამოეტანოს საქართველოში, ყოველივე თქმულის შედეგად ის დას. საქართველოში უნდა დარჩენილიყო, უფრო საფიქრებელია – ქუთაისის საკათედრო ტაძარში, საიდანაც ის გელათში უნდა გადაეტანოს დავით აღმაშენებელს და მოუჭედინებია კიდეც. გელათის ტაძრის აგების სიმბოლურ ქვაკუთხედად სწორედ გრაალის თასის მოტივი მიაჩნდა ზ. გამსახურდიას უმთავრეს ნიშნად.

ამდენად, სწორედ ის „ოქროს პინაკია", რომელიც იხილა გელათში რუსეთის ელჩმა შემდგომ.

ჩვენამდე მოაღწია სერობის დროინდელი პინაკის რამდენიმე ფრაგმენტმა. კერძოდ, ისინი დაცულია მოსკოვის ისტორიულ მუზეუმსა და საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. მოსკოვის მუზეუმში სიწმინდის ნაწილი 1851 წლამდე მოხვდა, ხოლო თბილისის ფერიცვალების ეკლესიიდან პინაკი ჯერ ინახებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტთან არსებულ ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში, სადაც იგი მოხვდა ფერიცვალების მონასტრის დახურვის გამო და შემდეგ, 1930 წლიდან როცა გაიძარცვა უნივერსიტეტის მუზეუმი, გადაიტანეს ხელოვნების მუზეუმში. შემორჩა მხოლოდ ფოტოები იმ ფრაგმენტებისა, რომელიც ძარცვის შედეგად დაიღუპნენ.

ამჟამად, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ინახება მხოლოდ ერთი პატარა ფრაგმენტი, რომელიც ძარცვის შემდეგ გადარჩა. ეს ფრაგმენტი მუზეუმის საინვენტარო წიგ-

ნაში რეგისტრირებულია როგორც ნაწილი „ქრისტეს პინაკი-სა"-ხის ნაწილთან ერთად. ხის პინაკი აღდგენისას დიამეტრით 55 სმ-ის ტოლია, მისი ჩარჩოს მოჭედილობის სიგანე კი – 7 სმ-ი.

გადარჩენილი მოჭედილობის ფრაგმენტი და სერობის დროინდელი პინაკი მთლიანად შეესატყვისება ერთმანეთს და სრულ თანხვედრაშია.

დარჩა აღმაშენებელი!!!

გელათის მონასტრის ეზო ოთხმეტრიანი სიმაღლის გალავნითაა შემოზღუდული. იგი ტაძართან ერთად შენდებოდა. მეფე დავითი თავადაც მონაწილეობდა მის აგებაში. ერთხელ მუშაობისას მას უბედურება არ კი შეემთხვა: გალავნიდან გადმოვარდა და ძლიერ დაშავდა. სამას ხუთი ექიმი მოიწვიეს, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მოვიდა ერთი ექიმი და მან თქვა: თუ ირმის რძეში არ ჩააწვენთ, არა ეშველება რაო!

გაიკითხეს მთელ სამეფოში და არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც მეფის გადასარჩენად საკმარის ირმის რძეს იშოვნიდა და მოიტანდა. დაღონდნენ დავითის ერთგულნი და მახლობელნი, მაგრამ გამოჩნდა ერთი კაცი და თქვა:

– ავშანდაძეს უთქვამსო, თორმეტი ფური ირმის მოწველა".

ეს ავშანდაძე დარუბანდიდან იყო გვარიშვილობით და გაქართველდა და გაქრისტიანდა შემდგომ.

გაიხარეს მეფის სახლობამ და კარისკაცებმა.

გავიდა ცოტა ხანი და მართლაც შეასრულა ავშანდაძემ თავის ნათქვამი და მოიტანა თორმეტი ფური ირმის რძე. ჩააწვინეს მეფე ირმის რძის აბაზანაში და „იპრიანა ღმერთმან, დარჩა აღმაშენებელი"!!!

მეფემ გულუხვად დაასაჩუქრა ავშანდაძე: „სკანდას დაღმა, სადა ძევრეის წყალი შეერთვის ყვირილასა, ფისისანს და ჩხარას, მას დაღმა სატყისმცველო, წყალობად მიგვიცემია ავშანდაძისათვის"!

გამოხდა ორი საუკუნე, დავით აღმაშენებლის გადამრჩენის მემკვიდრემ, სიგელის გაახლება ინდომა და განუახლეს კიდეც: „შეგიწყალენით ავშანდაძენი არჯევან ... და გიბოძეთ ახალი სიგელი სასისხლო თქუენ და მომავალთა ყოველთავე ჩუენ, მეფეთ მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე. შეგიწყალეთ და გიბოძეთ მტკიცე და უცვალებელი სასისხლო სიგელი.

სიგელი ესე ქრონიკონსა ას ორმოცსა და ინდიკონსა მეფობასა ჩვენისასა მეათესა ხელით დაიწერა მთავარ ეპისკოპოსის დავითისათა“.

ავშანდაძის მემკვიდრეებს დღესაც შენახული აქვთ ეს სასისხლო სიგელი, ხოლო მეფე დავითის თიკუნი – აღმაშენებელი კი – პირველად წერილობით ამ სიგელშია მოხსენიებული.

მართლაც, დარჩა აღმაშენებელი!!!

დარუბანდის კარები

1124 წელს, აპრილის თვეში დავით აღმაშენებლის სპა „დაესხსნეს შაბურანს დარუბანდელსა და მოწვყიტნეს ქურდნი ლეკნი“. ამ გალაშქრების მიზეზი კი ეს იყო: ერთ ქართველს ვაჭარს საქონელი წაეღო დარუბანდში გასასყიდათ. გზაში თურმე ლეკები დაეცნენ და თუ რამე ებადა, ყველაფერი წაართვეს. ვაჭარი მივიდა ლეკთა ბელადთან თხოვნით: – შენს საბრძანებელში მოვედი, საქონელი მოვიტანე გასასყიდათ და შენმა ხალხმა სულ წამართვა, სამართალს ვითხოვ, წართმეული დამიბრუნეთო.

– შენ სადაური ხარ? ჰკითხა ლეკთა ბელადმა.

– მე ქართველი ვარ.


– ჰო, აბა მიდი საქართველოში და შენს მეფეს დავითს ფეხქვეშ ჩაუგორდი და სამართალი მას თხოვეო, უთხრა ლეკმა.

– სამართალს მე შენ გთხოვ, თორემ დავითს რომ ეს უთხრა, საქმე ცუდად წავა.

– ჰამ!... ცუდათ წავა!... რას მიზამს დავითი? დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნას!...

ვაჭარი დაბრუნდა საქართველოში და ყოველივე უამბო მეფეს. ისიც დასძინა ლეკთა ბელადმა რომ თქვა: „დავითმა დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნასო".

დავითმა ვაჭარს უბრძანა: – რადგან შენ ლეკებმა საქონელი წაგართვეს და მათმა ბელადმა შენი თხოვნა არ შეიწყნარა, ამისთვის მე იმ დაკარგულ საქონელს საქონლითვე უკან დაგიბრუნებო.



ეს თქვა და მოაყვანინა ათასი ცხენი, ათასივე მათი წინამძღოლი, გააკეთებინა ორი ათასი კიდობანი და თითოში ჩასვა თითო შეიარაღებული ქართველი. ცხენების წინამძღოლები გამოაწყო ვაჭრულად, წინ გაუმძღვარა ვაჭარი და გაისტუმრა დარუბანდში. თვითონ კი უკან წაჰყვა. როცა დარუბანდს მიუახლოვდნენ, დავითმა გაგზავნა კაცი ლეკების ბელადთან, საქონელი მომაქვს გასასყიდათ და ქალაქის კარები გააღეთო. ლეკებს გაუხარდათ, უფრო მეტ საქონელს ვიშოვითო და გააღეს კარები. დაღამდა. შუაღამისას დავითმა გაახსნევინა კიდობნები და ამოაშვებინა იქიდან შეიარაღებული კაცები. ფეხზე იდგა სამი ათასი გულადი მეომარი. ამათ აიღეს დარუბანდი, წაართვეს ქალაქის კლიტეები ლეკთა ბელადს და ნადავლით დაბრუნდნენ შინ. დავითმა ჩამოახსნევინა რკინის კარები, რომელნიც დარუბანდში შესავალ გზას იცავდა, შეუბა შიგ ლეკები და ისე ჩამოიტანა გელათში.

ხალხური გადმოცემით მეფე დავითმა მოთვინიერებული ჯორ-ეშმაკათი ჩამოიტანა გელათში დარუბანდის კარები – უკან შემოკრული.

დარუბანდის კარები მეფემ მონასტრის სამხრეთ კარიბჭეში ჩადგა.

1651 წელს გელათში მყოფი რუსი ელჩები ასე იხსენიებენ ამ კარებს: „მარცხენა მხარეზე არის სხვა ჭიშკარი ქვითკირისა, მაგარი რკინის კარებით“, „ის კარები მოტანილია დავით მეფის მიერ დარუბანდიდან.

მე-18 საუკუნეში სოლომონ I-ის მეფობის დროს, დავით აღმაშენებლის მიერ დარუბანდიდან ჩამოტანილი რკინის კარების ერთი ფრთა დაჭრეს ლურსმნებად ღვთისმშობლის ტაძრის გადასახურავად. ხოლო წარწერიანი ნაწილი შეინახეს და იგი დღესაც დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

თამარ მეფის საფლავი

1212 წლის ზაფხულში ნაჭარმაგევს „დგომასა შინა“ თამარ მეფეს გამოაჩნდა „სენი რამე მომაოხრებელი ჩუენი“. მეფე ქალი თავის ავადმყოფობას სხვებს უმალავდა, რათა არავინ შეეწუხებინა. ჭირმა თავი არ დამალა. მხლებლებმა სასწრაფოდ ტახტრევანით წამოიყვანეს თბილისში, აქედან ტაბახმელაში, მაგრამ მკურნალობას შედეგი არ მოჰქონდა: „უქმ იქნა მის ზედა ყოველივე ბუნებათა გამომეძიებელობა მკურნალთა ხელოვნებისა“.


მწუხარებამ მოიცვა ერი და ბერი, „დღემან იწყო მიდრეკად და მზემან დასლვად და ჰაერმან სხუად ფერად უფერულობა“.

უღონო ქმნილიყვნენ ჭირისუფალნი, რადგან ხედავდნენ თამარ მეფის თუ როგორ „ღაწუთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭკნობად; და თუალთა მათ, ტბათაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუმედ მიმართეს; ხელთა მათ, მსახურებისაგან გლახაკთასა არაოდეს დაცხრომილთა იწყეს მოუძლურებად; და ფერხთა მათ, მარადის ღრმთისათვის მაშურალთა იწყეს შედრეკად და ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხუად და სხუად ფერად იხილვებოდეს“.

მომაკვდავმა მეფე ქალმა სამეფო თვისი ქრისტე ღმერთს შეავრდომა და 1213 წლის 27 იანვარს „დაიძინა ძილი იგი მართალთა“.

გლოვამ მოიცვა სრულიად საქართველო ანუ „იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა, ყოველნი ფლასითა შეიმოსნეს“.

სამგლოვიარო პროცესია თბილისიდან გელათისკენ გამოემართა: „მაშინ უკუე აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს და მერმე უკანასკნელ თვით მუნვე გელათს დაამკვიდრეს, თვისსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკვიდრებულთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა“.



სხვა მემატიანის უწყებითაც თამარ მეფე „წარიყვანეს სამკვიდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა“.

კიდევ უფრო სარწმუნოა მისი ძის, ლაშა-გიორგის მემატიანის ცნობა:

„აღვიდა წინაშე ღმრთისა სადა იგი მკვიდრობენ წინასწარმეტყველნი და მამათმთავარნი და მეფენი, თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქორონიკონსა ოთხას ოცდა შვიდსა. დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს“.

თამარ მეფის განსასვენებლად შეარჩიეს ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთით მდებარე ანდრია პირველწოდებულის ეკვდერი. ქართულმა ეკლესიამ მეფე ქალი წმინდანთა დასში შერაცხა, ხოლო მისი საფლავი ქართველთათვის უდიდეს სიწმინდედ იქნა მიჩნეული.

ერთიანი ქართული სამეფოს არსებობის ხანაში თუ მისი დაქუცმაცების შემდეგაც სიყვარული, თაყვანისცემა და მოწიწება არ განელებია ქართველობას მის მიმართ.

1619 წელს, რუსეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა თეიმურაზ პირველის ელჩი ქურმულოს არქიმანდრიტი ხარიტონი. დევნილობაში მყოფი თეიმურაზი იმ ხანებში იმერეთს აფარებდა თავს. მიხეილ თევდორეს ძის კარზე არქიმანდრიტს ეკითხებიან თუ სად აფარებს თავს მისი მეფე. არქიმანდრიტი იძულებულია რამდენჯერმე გაიმეოროს და დაუზუსტოს ქართლის მეფის ადგილსამყოფელი: „თეიმურაზი ეხლა სცხოვრობს იმერეთში, სადაც დაკრძალულია წმინდა გვამი თამარ დედოფლისა“. ეს ცნობა საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მას წარმოთქვამს სასულიერო პირი, რომელმაც კარგად იცის თავისი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული მეფეთა მეფის საფლავის ადგილსამყოფელი და ანგარიშსაც უწევს რუსეთის სამეფო კარის ინტერესს, რადგანაც თამარ მეფის პირველი ქმარი ხომ რუსი იყო.

1730 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის მეუღლე მარიამ და მეფემ გადაწყვიტა საყვარელი მეუღლე დაესაფლავებინა თამარ მეფის ეგვტერში. ამის შესახებ მისი სიგელიც გვაუწყებს: „საცთურიანმა სოფელმა წარმიღო ჩემისა თვალისა ნათელი, მეუღლე ჩემი დადიანის ბეჟანის ასული, წარვიღე ცხედარი სასურველისა ჩემისა მეფეთა სასაფლაოს გელათს. ხოლო საძვალენი მეფეთანი აღვსილ იყვნეს მრავალითა შეწირულებითა. ამისთვის ცალკედ ვინებეთ მიღება მიცვალებულისა ჩემისა, რამეთუ მენება საყვარელისა ჩემისა ეგვტრის გაპატიოსნება, რაოდენ ძალ–მედვა. იყვნეს მუნ გელათსა კერძო მარჯვენით ეგვტერი დავიწყებული /!/. ჟამთა ვითარებისაგან არავინ უწყოდა, თუ ვისი საძვალე ყოფილიყო ანუ სახელსა ზედა წმიდისა შენება საყდრისა. ხელ-ვყავ გაშენებად და შემკობად მისა“.

ამ საკითხისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეფე ალექსანდრემ გაძარცვა თამარის ეგვტერი. ეს აზრი შეწყნარებას იმსახურებს იმდენად, რომ მირონცხებულ მეფეს ასეთ საქციელს არავინ მოუწონებდა, მითუმეტეს ქართველთა საფიცარი მზის, წმინდა თამარ მეფის საფლავის წაბილწვას, უბრალოდ „აფხაზეთისა კათალიკოზი გრიგოლი და სხვანი მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი“ თამარის საფლავის გახსნას არ დაანებებდნენ.

1730 წლამდე და შემდეგაც თამარ მეფის ეგვტერში ყოველთვის სრულდებოდა მისი სულის მოსახსენიებელი წირვა და თამარობის დღესასწაულზე პანაშვიდის გადახდა.

საგულისხმოა, რომ მეთვრამეტე საუკუნის არცერთი ქართველი ისტორიკოსი თამარის საფლავის წახდენის ფაქტს არ ადასტურებს.

ვახუშტი ბაგრატიონი: „აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გენაათი და აწ უწოდებენ გელათს... ამას შინა დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ... და სხუანიცა".

იოანე ბაგრატიონი: „იგლოვეს ვითარცა ჩვეულება არს ქართველთა და დიდის ცერემონიალით წარასვენეს გვამი მისი /თამარისი/ გელათს და მუნ დაასაფლავეს".

პეტრე ლარაძე: „დამარხეს გვამი მეფისა მის /თამარისი/ გელათსა შინა".

სხვათაშორის, პ. ლარაძე 1819 წელს თბილისიდან იერუსალიმს მიმავალ გიორგი ავალიშვილს თან ახლდა მოგზაურობაში, გზად მათ მოინახულეს გელათიც. ალბათ, ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებით არის ნაკარნახევი XIX ს. 20-იან წლებში პ. ლარაძის მიერ გალექსილი თქმულება თამარ მეფის შესახებ:

„ანდერძი ნახეს მეფისა, თამარის დატოვებული;
ვქმენითო სამნი კუბონი, თვალ-ოქროთ დამშვენებული
ერთი დამარხეთ მცხეთასა, ერთი ვარძიას დებული,
მე დამმარხევით გელათში; არ მყონ თათართა ვნებული".

მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის თამარ მეფის საფლავის ადგილმდებარეობის განსაზღვრა გაურკვეველი ჩანს. გ. ავალიშვილის ცნობით „მარცხენა კერძო შინაგან წმიდისა ტაძრის ამის კედელსა ზედა იხილვებიან სახენი საქართველოს მეფეთა, დედუფალთა და ძეთა მათთა – დავით აღმაშენებელისა და სხვათა. იატაკი ვითარცა საკურთხევლისა, ესრეთვე წინაშე კანკელისაცა არს დაფენილ თეთრისა თლილისა ქვითა. ამას შინა არიან დაფლვულნი მეფენი – გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან დედუფალი და სხვანიცა, რო-

მელთა სამარხვონი არღა უკვე იპოვნებიან ადრით ჟამითვე".

გ. ავალიშვილის ეს ცნობა რამდენადმე ცხადს ჰქმნის პრობლემის სირთულეს. ერთის მხრივ, ის ადასტურებს ალექსანდრე V-ის ცნობის სიმართლეს, რომ „იყვნეს მუნ გელათსა კერძო მარჯვენით ეგვტერი დავიწყებული. ჟამთა ვითარებისაგან არავინ უწყოდა თუ ვისი საძვალე ყოფილიყო". რაც იმთავითვე გამორიცხავს მეფე ალექსანდრეს მიერ საფლავის ხელყოფის ფაქტს და კიდევ; მიუთითებს, რომ თამარის ოჯახის წევრები ალექსანდრე V-ის მეფობამდე გადასაფლავებულნი ყოფილან საკრებულო ტაძარში, კერძოდ კანკელის წინ. თუ როდის მოხდა ეს, საისტორიო წყაროებში უცნობია. საერთოდ, გელათში ცალკე იყო მეფე-მამაკაცთა და ცალკე დედოფალთა სამარხები და თუ თამარ მეფე წმინდანად შერაცხვის შემდეგ გადაასაფლავეს კანკელის ან საკურთხევლის წინ, როგორც გ. ავალიშვილი წერს, მაშინ ეს სავსებით გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მისი ოჯახის სხვა წევრების ამგვარ პატივში დაკრძალვა წარმოუდგენელია. ეს ტრადიცია მტკიცედ იყო დაცული ქართველ მეფეთა და დას. საქართველოს პატრიარქთა მიერ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სოლომონ I-ის დაკრძალვის შემთხვევას.

„კალმასობის" ავტორის ცნობით, როდესაც ბერი იოანე ხელაშვილი გელათში ავიდა, მას ჯერ დაათვალიერებინეს ღვთისმშობლის ტაძარი და „მერმე აჩვენეს საფლავნი მეფეთანი და ამასთან თამარ მეფისა და დავით აღმაშენებელისა".

როგორც ვხედავთ მე-18 საუკუნის ბოლოსათვის, როცა ბერი იოანე სტუმრობს გელათს, მაშინაც არსებული ტრადიციის მიხედვით, ცნობილია თამარ მეფის საფლავის ადგილმდებარეობა და თუ ეს ასე იყო, მაშინ რატომ იმეორებს გ. ავალიშვილი განსხვავებულ მოსაზრებას. ი. ბაგრატიონის აღნიშნული ნაწარმოები სწორად გადმოგვცემს იმ ისტორიულ რეალიებს, რაც მის დროს ხდებოდა. არც ის შეიძლება დავივიწყოთ, რომ ი. ხელაშვილის მასპინძელი გელათში იყო მიტროპოლიტი ეფთვიმე შერვაშიძე, რომლის გადასახლე-

ბის შემდეგ რუსეთში, მისი სულიერი მოძღვარი სწორედ ი. ხელაშვილი იყო.

ამდენად „კალმასობის“ ცნობა, სავსებით რეალურია და იგი მხატვრული ფანტაზიის გამონაგონს არ წარმოადგენს.

საკრებულო ტაძარში თამარ მეფის ნეშტის დაკრძალვის პარალელურად არსებობდა მეორე მოსაზრებაც, რომლითაც ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერში იყო თამარის საფლავი. გელათური ტრადიციის მიხედვით იგი „თამარის ეკვდრის“ სახელითაა ცნობილი. XIX საუკუნის ორმოციან წლებში რუს მოგზაურს ა. მურავიოვს მიტროპოლიტი დავით წერეთელი უკვე გარკვევით მიუთითებს თამარის საფლავის ქვაზე: „ამ ეკვდერში, სოლომონის მამის, ალექსანდრე მეფის დრომდე ყოველწლიურად თამარის ხსენების დღეს ახდიდნენ მისი საფლავის ქვას და პანაშვიდს იხდიდნენ“.

ამ ცნობაში არის მეტად საყურადღებო მომენტი, რომ 1730 წლამდე ამ ეკვდერში, თამარის საფლავზე ამგვარი რიტუალი სრულდებოდა. ეს ტრადიცია მოგვიანებით აღსდგა. ზუსტი თარიღი უცნობია. პ. ჭაბუკიანის გადმოცემით „მონასტრის ბერებმა დოდო ჭიჭინაძემ, ეპიფანე გაბილაიამ, ეპიფანე ზაქარაშვილმა და სხვებმა 1910 წელს მიამბეს, რომ თამარის გარდაცვალების დღეს ყოველწლიურად გელათის მონასტრის გაუქმებამდე თამარის საფლავზე /სამხრეთის კედელთან/ პანაშვიდს ასრულებდნენ. საფლავს ახდიდნენ ქვას /სხვათა შორის, ფიქალს ერთი ნაპირი ჩამოტეხილი აქვს/, აკლდამიდან ამოყრიდნენ სილას, ძვლებს დაანახვებდნენ ყველას“.

როგორც ჩანს, გელათელ ბერებში ეს ხსოვნა თამარის ხსოვნის აღმნიშვნელ დღესთან დაკავშირებით, მარტო მიტროპოლიტ დავითის ნაამბობიდან არ მომდინარეობს. სამართლიანად წერდა 1909 წელს დ. ღამბაშიძე: დიდი მეფის თამარის დაკრძალვის ადგილი აქ არის, ამ ეკდერში და არა სხვა ადგილას“. ქუთაისის მუზეუმში დაცული ერთი ხელნაწერის თანახმად, რომელშიც აღნიშნულია გელათის ნეკროპოლში დაკრძალულ პირთა სია, თამარ მეფის საფლავზე ნათქვამია: „თამარ მეფე, ზეპირმეტყველებით წინაპრებისა გადმოცემით უნდა იყოს დასაფლავებული წმიდა მოციქუ-

ლის ანდრიას ეკვდერში /ეკვდერია პატარა/. ადევს ქვა წაუწერელი და ჩაკირული შიშისათვის მამადიანთა, რომლებმაც სიცოცხლეში ვერ დაიმორჩილეს და სიკვდილის შემდეგ ემუქრებოდნენ ხელში ჩაგდებას მის გვამისას და მისთვის საფლავი დაფარულია. ესეც ზეპირგადმოცემით არის და ქვეშ უნდა იყოს წარწერაო".

ეს დოკუმენტი ერთგვარად ამართლებს პ. ჭაბუკიანის ზეპირგადმოცემას. თუმცა თამარობის დღესასწაულის აღნიშვნა კვლავ აღსდგა 1917 წლის შემდეგ, მასუკან რაც საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ თავისი ავტოკეფალია დაიბრუნა.

1920 წლის 11 მაისს გელათის მონასტრის არქიმანდრიტ ნესტორს მიტროპოლიტი ნაზარი თამარობის დღესასწაულის აღსანიშნავად ავალდებულებდა გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა. საეპარქიო მმართველობის საბჭომ ამის შესახებ მოისმინა „წინადადება მათი მაღალ მეუფების მიტროპოლიტის ნაზარის, შესახებ ფულის გადადებისა – თამარის დღესასწაულის გაენათის მონასტერში პირველ მაისს გადახთის გამო მოსალოდნელი ხარჯების დასაფარავად, მიიღო რა მხედველობაში შინაარსი მთელი საქმისა, დაადგინა: თამარის დღესასწაულის ხარჯისათვის მიეცეს გაენათის მონასტერს საეპარქიო სანთლის ქარხნის საშუალებიდან ხუთი ათასი მანეთი". მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნებოდა როგორ ჩატარდა მაშინ ეს დღესასწაული, გაიხსნა თუ არა თამარ მეფის საფლავი.

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს გასჩენია სურვილი არქეოლოგიურად შეესწავლა სამარხი, რაზედაც თხოვნით მიუმართავს გაბრიელ ეპისკოპოსისათვის, მაგრამ, როგორც მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიის" ქართულად მთარგმნელი ს. ღოღობერიძე გვამცნობს, ეს განზრახვა მისმა ნაადრევმა გარდაცვალებამ ჩაშალა თურმე.

1920 წელს, 26 ივლისს ექვთიმე თაყაიშვილმა გელათში საიდუმლოდ აწარმოა არქეოლოგიური გათხრა. გათხრას ესწრებოდნენ მხოლოდ მიტროპოლიტი ნაზარი და ტრიფონ ჯაფარიძე. მუშაობაში დასახმარებლად მოუყვანიათ კურ-

სებელი მუშები ვ. გიორგაძე, მ. და პ. ბერეკაშვილები, ტაძრის მცველი ნ. ჯანგავაძე. მათ დააფიცეს, რომ არ გაამხელდნენ ამის შესახებ და დაინყეს მუშაობა. ე.თაყაიშვილმა გათხარა მხოლოდ ალექსანდრე V-ის საოჯახო საფლავი. მეორე დღეს, გელათში ხმა გავრცელდა, თითქოს სურდათ გელათის განძეულის გატანა. ე. თაყაიშვილი მოერიდა სამუშაოების გაგრძელებას. ასე დასრულდა თამარ მეფის საფლავის ძიება მაშინ გელათში.

ალბათ, დროა საქართველომ კვლავ იხილოს აღმოყვანებაი ნაწილთა წმიდისა თამარისი.

ხახულის ხატის სასწაული

სოლომონ დიდის მამა მეფე ალექსანდრე მხოლოდ სახელით იყო მეფე, თორემ თვით სამეფო კი სხვისი სახრავი იყო. ციხე-სიმაგრეები თურქებს ეჭირათ ხელში, ჯარი ჰყავდათ ჩაყენებული ყველგან და ქვეყნის ბედსა და უბედობას განაგებდნენ. მეფე მათი სურვილების აღმასრულებელი, ყურ-მოჭრილი ყმა იყო. მთავარ-მართებელი ფაშა იზმაილი ქუთაისის ციხეში იჯდა და იქიდან განაგებდა. თურქები ყოველთვის იმას ცდილობდნენ, რომ იმერლებისათვის რჯული და ეროვნული ელფერი ენასთან ერთად დაეკარგვინებინათ და გაემაჰმადიანებიათ, მაგრამ მათმა მეცადინეობამ სულ წინააღმდეგი ნაყოფი მოიტანა. ეს დაინახა ჭკვიანმა იზმაილმა და გამოცვალა პოლიტიკა: დაუწყო ლალიაობა დიდკაცობას, რომ გადაებირებინა თავისკენ გვარისშვილები და იმავე დროს სამღვდელოებასაც გადაუსვა ხელი თავზე. მოხუცებული ქუთათელი მიტროპოლიტი, ყოვლად ღირსი ქვეყნის მოძღვარი გადააყენებია ალექსანდრე მეფეს და მის ნაცვლად ახალგაზრდა ჩხეიძე აიყვანეს ქუთათელის ხარისხზე. უღირსათ და უსამართლოდ გადიდკაცებულმა ჩხეიძემ, რასაკვირველია, იზმაილის სურვილზე დაიწყო მოქმედება და სამღვდელოება არი-დარია: ღირსეულებს ჩაგრავდა და უღირსებს, მაგრამ მის მოდასტურეებს კი ანინაურებდა. ყველაზე უფრო დაწინაურდა ოკრიბელი მღვდელი ელიაშვილი.

ის გახდა მარჯვენა ხელი ჩხეიძისა და მთავრობის მიდგომითა და ყოველ-დღიური მაბეზღრობით გაძლიერდა: კარის დეკანოზობა მიიღო. ქვეყანას სძულდა, მაგრამ შიშით როგორ გაამხელდა და ან ვინ რას გაუბედავდა! ამავე დროს ცხოვრობდა ერთი ძველებური გამოჩენილი სამღვდელო პირი, გელათის დეკანოზი ოქროპირ კანდელაკი: როგორც ქვეყნის ერთგული, ის მთავრობას არაფრით ეჭაშნიკებოდა, მაგრამ ქვეყნის ხათრს მაინც იჭერდა და პირდაპირ არას ერჩოდა.

ერთხელ, დიდმარხვაში ამას შეხვდა დეკანოზი ელიაშვილი და ჩვეულებისამებრ სამღვდელო პირთა შენდობა მოთხოვა – „ქვეყნის ორგულს შენდობა არ მოგეცემაო"–მიაძახა ცივად და მოშორდა. ეს შეურაცხყოფა ველარ აიტანა გაზვიადებულმა ელიაშვილმა, დააბეზღა ქუთათელს და ქუთათელმაც გაუგზავნა ჩაფრები და დააჭერინა ოცდათხუთმეტი სული მისი ცოლშვილი და შვილიშვილები, ჩამოაყვანია და გარდასცა თურქებს, რომ სათათრეთში წაეყვანათ ტყვედ და სულ ცალ-ცალკე გაეყიდათ. წითელი პარასკევი იყო. ეს რომ ნახა ოქროპირ კანდელაკმა დაიღრიალა: „ღმერთო, რა შეგცოდე, რათ წამიწყმიდე სიბერეო?! ჩემი ცოლშვილი, ჩემი შვილისშვილები გაურჯულდნენ, წაწყდნენ და მე კი სასუფეველი ვეძიოვო?!" ალბათ, არ ვყოფილვარ ღირსი ცხონებისა და იყავნ ნება შენიო! მე იმს ოჯახს ვერც საიქიოს გავბორდები, რადგან ისინი ჯოჯოხეთში შევლენ, მეც იმათთან ვიქნებიო!" გალესა ხანჯალი, გაირჭო წელში ანაფორას ქვეშ და პირდაპირ შევიდა ქუთათლის სახლში.


ქუთათელს იზმაილ ფაშა ჰყავდა სტუმრად და მიუხედავად დიდი პარასკევისა, შემწვარ ბატკნის ხორცს შეექცეოდა! დაიჩოქა მღვდელმა და შეჰყვირა: „მღვდელმთავარო, რა დაგიშავე, რომ ცოლშვილი ტყვეთ წამოაყვანიეო?! თუ რამე შეცოდება მაქვს, გადამახდევინე მე და ბავშვებს რაღას ერჩიო? დიდხანს ევედრა ტირილით, თანდათან უახლოვდებოდა მუხლებზე ხოხვით, ბოლოს, როდესაც იფიქრა, რომ ახლა კი შემიძლია მოვიმარჯვო ხელიო უკანასკნელად ჰკითხა: მაშ აღარ აქვს საშველი ჩემი ცოლშვილის ხსნასო?! – „მხოლოდ ერთიო, სიცილით უპასუხა ქუთათელმა, თუ დაჯდები და შენც ჩვენ სუფრაზე და ხორცსა სჭამო".

თავზარი დაეცა ოქროპირს, მაგრამ იფიქრა: ჩემს ცხონებას ხომ მაინც არაფერი ეშველებაო, ამას მოვკლავ, მეც წავწყდები და ჩემი ცოლშვილიცო, ხორცს თუ ვჭამ, მარტო მე წავწყდები და ისინი კი გადარჩებიანო; დაეთანხმა მასპინძელს, ფირვანი გამოართვა ცოლშვილის დასაბრუნებელი და მიუჯდა სუფრას. პირველი ნაჭერი რომ აიღო აუკანკალდა ხელი, პირამდის ძლივს მიიტანა, მაგრამ კრიჭა კი აღარ ეხსნებოდა, გადმოყარა ცრემლები, გააღო როგორც იქნა პირი და ჩაიდვა ლუკმა. უცბად სახე გაუბრწყინდა, პირჯვარი გადაიწერა, სიამოვნებით გაუსვა ხელი ჭამას. „აი, ბარაქალა, ქეშეშ, ქეშეშ, მოაძახა იზმაილმა, გეგემრიელაო?„ – „დღეიდან შენც ჩვენი ხარო, უბრძანა ქუთათელმა. ახლა შეგიძლია შენი ოჯახი უკან დაიბრუნოვო“.

გაძღა ოქროპირ დეკანოზი და ნასადილევს გამოხსნილი ცოლშვილიანათ გაუდგა გზას. ეს ხმა მაშინვე გავარდა ხალხში ჭორათ. აღდგომა დღეს, როცა ლიტანია უნდა შემოევლოთ, ხალხმა შეაჩერა მისი საყვარელი მოძღვარი და უთხრა: თუ მართალია, რასაც რომ ამბობენ, დღეს ნუღარ გვიწირავო. დეკანოზმა დაადვა ხელი ხახულის ღვთისმშობელს და შეჰფიცა მრევლს: „ტყუილი გაგიგონიათ, შვილებო, ამისმა მადლმა მე იმ სუფრაზე ლობიოს მეტი არა მეჭამოს რაო და ისიც უმარილოო“. ხალხმა დაუჯერა რასაკვირველია და ამით გათავდა ეს უცნაური ამბავი. მხოლოდ, რამდენიმე წლის შემდეგ, სიკვდილის წინეთ, რომ გაენდო დეკანოზი ოქროპირ კანდელაკი მის მოძღვარს, აღსარებაში უთხრა, რომ ყოველი ნაჭერი, სანამდი პირთან მივიტაბდი, ხორცი იყო, მაგრამ ვენაცვალე ღვთის სასწაულსა და ძლიერებას, პირში რომ ჩავიდებდი, ლობიოდ გადაიქცეოდა ხოლმეო.

რჯულის კანონით მოძღვარს ნება არ აქვს, რომ მოწაფის აღსარება გამოაქვეყნოს, მაგრამ მისმა მოძღვარმა კი მრევლს გამოუცხადა ეს ამბავი.

გელათის სიწმინდეები ქუთაისის მუზეუმში



1. სანაწილე – ვერცხლის, ღვთისმშობლისა და ნმ.გიორგის გამოსახულებებით.



2. ხატი გულსაკიდი. ნმ. ნანილებით. მღვდელ-მონაზონ თეოდორეს /ერისთავი/ შენირული 1880 წ.



3. სანაწილე ხატი. ნმინდა ნანილებით – ვერცხლის. კათალიკოს-პატრიარქის მაქსიმე / აბაშიძის/ შენირული.



4. ხატი გულსაკიდი – ნმინდა ნანილებით.




7 ქრისტეს საფლავის მიწა.




11. წმ. პანტელეიმონის ნაწილი.






6. ღრუბელი – რომელს უსმევდნენ
აღზევებულსა ქრისტეს ურიანი.



9. წმ. პირველ მოწამის
სტეფანეს ნაწილი.



12. წმ. ხარლამპის ნაწილი.

გელათის მონასტრის წინამძღვარები /1529–1923 წ./ *

მანასე 1470–1505 წ. არხიმანდრიტი.

ილარიონ 1505–1519 წ. მოძღვართ-მოძღვარი, არხიმანდრიტი, 1519წ. 6 მაისს მიიცვალა გორის ჯვარში და აქედან წაასვენეს გელათში.

მელქისედეგ 1519–1529 წ. საყვარელიძე.

სოფრონ 1529–1544. ბაგრატ მეფემ ლიხთ იმერი სამ საეპისკოპოსოდ გაჰყო და გენათლოზა ამას მისცა. მელქისედეგი არხიმანდრიტად დარჩა. ესე სოფრონ თანაეყოფვოდა დედოფალსა. ქ-ცს. 271 გვ.

მელქისედეგ 1545–1591 წ. ბატონიშვილი, ბაგრატის ძე.

სიმეონ 1591–1603.

ანტონ 1604–1642 წ. მაწყვერელი.

ზაქარია 1643–1657 წ. ქვარიანი. ესე აკურთხა აფხაზეთის კათოლიკოსმა მაქსიმე მაჭუტაძემ 1653 წ. ივნისში.

აბრაამ 1658–1668 წ. დამსწრე არჩილის მეფედ კურთხევისა ქუთაისში.

გედეონ 1669–1684წ. ვგონებ ამის თხოვნით გაანთავისუფლა ბაგრატ მეფემ ლევან დადიანი და ცოლი წაართვა. გედეონი წარგზავნილ იქმნა მეფე ბაგრატისაგან მოსკოვში დესპანად ოქმით რუსეთის მეფესთან 1669 წ. ამ დროს აქ იყო ბატონიშვილი ნიკოლოზ /ნაზარალიხანი/,მომხრე ბაგრატის დედინაცვლისა დარეჯანისა /დედიდისა, თუ მამიდისა/, ანუ მოწინააღმდეგე ბაგრატისა და მისი დესპანის გედეონისა. ამას ჰკითხეს ვითარება ბაგრატის და დარეჯანის შორის შფოთისა და სრული სიმართლე უამბო რუსთ მთავრობასა, ე.ი. უმანკოება თვალ-დამწვარის ბაგრატისა და ბოროტება დარეჯანისა, მეფე ალექსანდრეს ქვრივისა. ამისათვის ნიკოლოზი გადაეკიდა გედეონს და იმდენი აბეზღა რუსეთის მთავრობასთან, რომ გედეონი დააპატიმრებინა 1672 წ. დეკემბერში კირილეს მონასტერში, სადაც 3 წელიწადი იტანჯებოდა საცოდავი. მხოლოდ დედოფლის ელენეს /ნიკოლოზის დედის/ თხოვნით გაანთავისუფლეს გედეონი 1676 წ. სექტემბერში და მობრუნდა სამშობლოში.

გედეონის დესპანობის შესასრულებლად ბაგრატმა თან დაადევნა ევდომოს ჭყონდიდელა.

ნიკოლაოზ 1695–1720 წ. მომხრე ვახტანგ VI და მისი ოჯახისა.

გედეონ 1721–1725 წ. ძმა რაჭის ერისთავის შოშიტასი, ამა გედეონს ეპყრა ოკრიბის ჯვარის ციხე.

გაბრიელ 1726–1740 წ. დადიანი, წინად ჯუმათელი, ამის შემდეგ კი ჭყონდიდელი.

ეფთვიმე 1741–1744 წ. შარვაშიძე.

იოსებ 1712–1772 წ. ძმა მეფის სოლომონ I, ერთ სისხლი ირაკლი II დის ანნასი, დიმიტრი ორბელიანის მეუღლისა.

ეფთვიმე 1773–1822 წ. ძე რაჭის ერისთავის როსტომისა. ესე ეფთვიმე მოვიდა სს, თანა 1789წ. ტფილისს და ითხოვდა ირაკლისაგან იმერთ-ამერთა შეერთებასა. უკანასკნელ შეიქმნა მსხვერპლი თეოფილაქტეს მძლავრებისა და ტყვეობაში აღსრულდა დიდის ტანჯვის შემდეგ.

ზაქარია 1809 წ. არხიმანდრიტი, მიქაძე, ძმა ამბროსი ნეკრესელისა და სიონის დეკანოზის იოანე ოსეს ძისა. აღმბეჭდი საეკლესიო წიგნთა ქუთაისში მეფის სოლომონ II ბრძანებით. იყო წინამძღვრალ გელათის მონასტრისა.

* /პ.ცხვილოელის მიხედვით/

ნიკოლოზი – /ჩხეიძე/ 1820–1838 წწ. არქიმანდრიტი.
სიმონი – 1838–1841 წწ. იღუმენი.
ექვთიმე – /წულუკიძე/ 1842–1844 წწ. არქიმანდრიტი.
ნიკოლოზი – 1844 წ.
სვიმონი – /წულუკიძე/ 1845–1852 წწ. არქიმანდრიტი.
იოანე – /იოსელიანი/ 1852–1853 წწ. არქიმანდრიტი.
იოსაფეტი – 1853 წ. იღუმენი.
თეოფანე – /გაბუნია/ 1853–1854 წწ. არქიმანდრიტი.
გაბრიელი – /ტუსკია/ 1854–1859 წწ. არქიმანდრიტი.
ნიკოლოზი – /ნიჟარაძე/ 1859–1860 წწ. არქიმანდრიტი.
ონიფანტე – /ნადირაძე/ 1860–1865 წწ. არქიმანდრიტი.
ბესარიონი – /დადიანი/ 1865–1875 წწ. არქიმანდრიტი.
ნიკიფორე – /კანდელაკი/ 1871–1872 წწ. მღ.მონაზონი.

სერაპიონი – /ახვლედიანი/ 1875–1904 წწ. არქიმანდრიტი.

ნიკოლოზი – /ნამორაძე/ 1904–1906 წწ. არქიმანდრიტი.

ნიკიფორე – 1906–1911 წწ. არქიმანდრიტი.


გიორგი – /ალადაშვილი/ 1911–1917 წწ. ეპისკოპოსი.

ნიკოლოზი – /ნამორაძე/ 1917–1918 წწ. არქიმანდრიტი.

ნესტორი – /ყუბანეიშვილი/ 1918–1923 წწ. არქიმანდრიტი.

მ. კეზევაძის მიხედვით

საარქივო მასალები



* * *

ქცსა ფ. 21 ს. 305 ფრ. 9.

ჩლენს საქართუელო – იმერეთის სინოდისკანტორისას მამა დეკანოზს დიმიტრის, არხიმანდრიტს სიღნაღის ეპარხიისას ნიკიფორეს და სეკრეტარს მისს უფალს კოლლეჟსკი ასსესორს პოკროვსკის.

მოწერილობისა ზ~ა თქვენსა N174 მაქვს პატივი უწყებად რ~ღ დაშთენილსა შ~დ განშორებისა იმერეთიდან მიტროპოლიტთა ქუთათელისა და გაენათლისათა ქონების ზ~ა სია შედგენილ იყო ჩინოვნიკთაგან სამოქალაქოისა მთავრობისათა, თუმცა თანადასწრებითა ჩემითა დეკანოზის ნიკოლაოზისათა და სხუათა სამღვდელოთა პირისა, გარნა ყ~ლი ნივთები იქნებოდა ზედამხედველობასა ქუეშე და განკარგულებასა მათკე ჩინოვნიკთასა, ხ~შ~დ რაოდენისამე დროს უკან გადაწყვეტილებითა მთავრობისათა, გარნა განაწილებაი მონათესავეთთანა, მათვე ჩინოვნიკთა მიერ განსვენებულისა პოდპოლკოვნიკისა ანდრეევსკის სეკრეტრის პოლოტაევისა რლ~ცა იყო იმერეთის მმართებლისა ხანადასწრებით პოდპოლკოვნიკისა გრიგორი წერეთლისა, თავადის როსტომ ჩხეიძისა... სხუათა სამღვდელო... განყოფილებისა დროსა დაიდვა საეკლესიოდ ნივთები, გარდა შემოწმებული თქვენ მიერ ქუთაისის სობოროსა და გაენათის მონასტერსა შ~ა ყოფილთა ნივთისა; რ~ლნიცა აღნიშნულ არიან შთადებულთა ამასთანა ორთა სიათა შ~ა. პირველში არის ნაჩვენები გასყიდულებისა რ~ლზაცა აღებული ფასი წარმოგზავნილ იქმნენ უკუც თქვენდამი ხ~უკანასკნელსა, რ~ლიცა არის ადგილსა ზ~ა ჩემს სასახლეში ნივთებსა ზ~ა პასუხისმგებლობასა, რადგანაც ნამდვილ მხოლოდ შემოსმულ იქმნა დროსა განყოფისასა საეკლესიოდ განკარგულებისა ძალით ზემორე წარწერით ჩინოვნიკისა, ხ~ დაშთენილი შ~დ განყოფისა მიტროპოლიტის გაენათლისა ნივთები დაცულ არს გაენათის მონასტერსა შ~ა, რლ~იცა როგორც არხიმანდარიტმან ნიკოლაოს დაგვარწმუნა შეგიმოწმებიათ თქვენ და მიჰბარებია მისის მონასტრის მღვდელსა ნუქიბსა, რომ სიმრთელით დაიცვას გარდა მისსა, რლ~იცა არს ჩემ-

თანა, სახელდობრ, პანაღია, ერთი სტაქანი ვერცხლისა და ორი კოვში სტოლისა ვერცხლის. ანაფორა მწვანე ხავერდისა გაიცა ჩემ მიერ განსვენებულისა საწირავში და პანაშვიდისათვის და ჯორი რლ~იცა წარგზავნილ იქმნა საქართველოსა შ~ა იოანე ნათლის მცემლის მონასტერში აღსასრულებლად ესევითარისავე წესისათვის. ამასთანავე მოგახსენებთ რ~ლ ხატი წმიდის გიორგისა ვერცხლისა ნაწილებითურთ ამის... ეთ იგი რლ~სა ზ~აცა გაუწყეთ... თქვენ მიწერილობითა ჩემითა N156 რ-ლ იგი მიჰბრუნებია კუთვნილებისამებრ გურიის დედოფალსა. მომცრო ვერცხლით მოჭედილი სახარება თვლებითურთ წაიღეს მონათესავეთა თავადთა... დროსა შემოწმებისასა გამომძიებელთაგან~ს მარტისას ჩუჳზ~ წელსა ქუთაისის სობოროსა შ~ა ნივთთისა, აღმოსჩნდნენ მა შ~ა შემდგომნი ნივთნი შესახვედრნი გაენათის მონასტრისადმი.

ა; ჯვარი დიდი ვერცხლისა, მოოქროვილი ფინიფტის ხატებით.

ბ; ორი წვრილი ვერცხლის ჩარექა საზედაშე და საწყალე.

გ; სამღვდელთმთავრო კუერთსი, სადაფ ჩასმული, რქისა და სხვის ძღვით გაკეთებული.

დ; ერთი წყვილი საბუხარი, შავს ხავერდზედ ნაკერი მარგალიტი დიდად კარგათ.

ე; სარტყელი აბრეშუმითა და ოქრო მკედით ნაკერი, რომელსაც ბოლოებზედ აქუვს მოქსოვილი ვერცხლის ბალთები, რომლებსაც საშუალზედ არის გამოსახული ხატი მოციქულის პეტრესი ოქროს ფინიფტზედ, უსხედს ფ~დ მრავალნი ძვირფასი და ურბალო თვლები.

ვ; მანტია ანუ მდინარე ყვითლის ხარის, რომელზედაც ოქრომკედით არის ნაკერი ჯვრები და აქუვს ოთხი ვერცხლის ღილი.

ზ; კონდაკი სამღვდელმთავრო და სადღესასწაულო.

ნამდვილ ხელ მოწერილ არს

ამ შემოწმების დროს დავესწარით; არხიმანდრიტი ნიკოლაოზ გაენათის მონასტრისა, არხიმანდრიტი სიმონ ჭელიშის მონასტრისა.

დაცვა და სიმრთელით ყოფა აღნიშნულთა ზემორე ნივთთა ჩუენსა პასუხისგებასა 8~ა კვლავ გარდაწყვეტილებამდე სინოდის კანტორისა და მას 8~ა ხელს ვაწერთ:

ქუთაისის სობოროს მღვდელი იესე ბაქრაძე

მისავე სობოროს მღვდელი დავით კანდელაკი.

შეთანხმება ზემო აღწერილისა იქმნა ჩვენგან, პროტოირეი დიმიტრი ალექსიევ. არხიმანდრიტი ნიკიფორე.

კოლლეღის ასესორი პოკროვსკი

ნამდვილისა თანა სწორე არს; პროტოირეი დიმიტრი ალექსიევ.

***

ქცსა. ფ. 21. ს. 4036.

დროისა შემოწმებისასა გამომძიებელთაგან მარტისას ჩყჳზ~ /1827 წ./ წელსა ქუთაისის სობოროსა შ-ა ნივთთისა, აღმოსჩანდნენ მა შ-ა შემდგომნი ნივთნნი შესახვედრნი გაენათის მონასტრისადმი:

ა/ ჯვარი დიდი ვერცხლისა, მოოქროვილი ფინიფტის ხატებით,

ბ/ ორი წვრილი ვერცხლის ჩარექა საზედაშე და საწყალე,

გ/ სამღვდელთმთავრო კუერთხი, სადაფჩასმული, რქისა და სხვის ძღვით გაკეთებული,

დ/ ერთი წყვილი საბუხარი, შავს ხავერდზედ ნაკერი მარგალიტი დიდად კარგათ,

ე/ სარტყელი აბრეშუმითა და ოქრომკედით ნაკერი, რომელსაც ბოლოებზედ აქვს მოქსოვილი ვერცხლის ბალთები, რომლებსაც საშუალზედ არის გამოსახული ხატი მოციქულის პეტრესი ოქროს ფინიფტზედ, უსხედს ფ~დ მრავალნი ძვირფასი და უბრალო თვლები.

ვ/ მანტია ანუ მდინარე ყვითლის ხარის, რომელზედაც ოქრო მკედით არის ნაკერი ჯვრები და აქუვს ოთხი ვერცხლის ღილი.

ზ/ კონდაკი სამღვდელმთავრო და სადღესასწაულო.

ნამდვილზედ ხელ მოწერილ არს,

ამ შემოწმების დროს დავესწარით;

არხიმანდრიტი ნიკოლაოზ გაენათის მონასტრისა,
არხიმანდრიტი სიმეონ ჭელიშის მონასტრისა.
დაცვა და სიმრთელით ყოფა აღნიშნულია ზემორე ნივთთა ჩუენსა პასუხისგებასა 8~ა კვლავ გარდაწყვეტილებამდე სინოდის კანტორიისა და მას 8~ა ხელს ვაწერთ:
ქუთაისის სობოროს მღვდელი იესე ბაქრაძე
მისავე სობოროს მღვდელი დავით კანდელაკი.
შემოწმება ზემო აღწერილისა იქმნა ჩვენგან, პროტოირეი დიმიტრი ალექსიევ არხიმანდრიტი ნიკიფორე.
კოლლეღის ასესორი პოკროვსკი.
ნამდვილისა თანა სწორე არს, პროტოირეი დიმიტრი ალექსიევ.

* * *

ქცსა. ფ. 21. ს. 4038.

ნადვორნის სოვეტნიკის თ-დის დავით ჩხეიძისაგან
გამომეძიებელთა ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის დეკანოზს იესე გიორგაძეს და ბლაღოჩინს მღვდელს იგორ მესხს.
ჩყმბ – წელს აპრილის კბ დღესა /1842. 22 აპრილი/

თანახმად ოტნოშენიისა თქუენის ყ-დ ღირსებისა მიერ მდგომარის აპრილის თვის პირველის რიცხვიდამ ნომრითა N16... მოთხოვნისათვის ჩემგან პასუხისა, შესახებელად შეწამებულის გაენათის მონასტრის დეკანოზობის თანამდებობის აღმასრულებელის მღუდლის სვიმონ კანდელაკისადმი, მოტეხისათვის წდ-ის მთავარმოწამის გიორგის თხემისა ზედა ნაწილისა, თქუენ პოვეთ კითხვისამებრ მასვე მონასტერსა შინა მყოფის მღუდლის სვიმონ ჭირაქაძისა და მღუდელ მონაზონის ნიკიფორე გვეტაძისა მიერ. რომელ მათ უწყიან რომელ ჩყლგ – ანუ ჩყლბ წელსა შინა სექტემბრის თვეშიდ, ბრძანებითა გასვენებულ ძმისა ჩემისა გაენათის მონასტრის არხიმანდრიტის ნიკოლოზისა მიერ ერთბამ დიაკვნის იოვანე წივწივაძითურთ თხემსა ზედა წ-ის გიორგისისა მოტეხეს მათ და მიართუეს არხიმანდრიტს და მან იგი მიბოძა მე, რომლისათვის გამოვაცხადებ რომელ ვითარცა

ნაწილი წმიდის გიორგის თხემისაგან მოტეხილ... თუმცა არცა სხვისა რომლისამე წმინდანთაგანის ნაწილი /.../ განსვენებულს ნიკოლაოსს არხიმანდრიტს ჩემთვის არაოდეს უბოძებიეს და არცა მე მისთვის ესე ვითარი არ მითხოვნია. განცხადებულისა ზემო მოხსენებულთა ორთა სამღვდელოთა სვიმონ და ნიკიფორეს მიერ ჩუენებანი რომელ /.../ თანამდებობის აღმასრულებელი ამას შინა გამოაცხადებენ / ... / ძმასა ჩემსა ნიკოლაოს არხიმანდრიტს აწ უკვე მიცვალებულსა, ხოლო მიმღებად ესე ვითარის ნაწილისა მე, ამისთვის არა დაუტევებ თქუენის ყ-დ ღირსებისამებრ თვინიერ განცხადებასა რომელ ჩყლ/.../ – წელს შინა შესმენისამებრ მიცვალებულის სოფრონიოს არხიეპისკოპოსისა მიერ. მაღალ ყ-დ უსამღვდელოესობის ეგზარხოსისადმი ძმაი ჩემი ნიკოლაოსს არხიმანდრიტი გარდმოყენებულ იქმნა გაენათის მონასტრისაგან, გარნა ესრეთს შემთხვევასა შინა აწ მაჩუენებელნი მღუდელი სვიმონ და მღუდელ მონაზონი ნიკიფორე შეთქმულნი თვით მღუდლის სვიმონ კანდელაკისადმი თვით თვისით ანუ წინადადებითა სხუათა პირთა მიერ ცრუ შეწამებისა და საჩივრისათვის ნიკოლოზ არხიმანდრიტზედ, რომელთაცა კიდეც აღასრულეს მასზედ მაშინ აქ მყოფს გამომეძიებლებისთანა უმართლონი საჩივარნი, გარნა ისინი არღაცა დღეს დაუტევებენ, არამედ განმრჩობლებელის მეშურნეობითა ურთიერთს შორის ჰყოფენ მიცვალებულსა ზედა ესრეთსა უმართლოს შეწამებასა, განმართლებისათვის მათთანა შეთქმულისა და ამხანაგისა მღუდლის სვიმონ კანდელაკისა, გარნა ესე ვითართა პირთა ჩუენებასა როგორც ვეჭობ არ ძალუძს კანონთამებრ დამსახურებად, და ეგრეთუ რორორცა ძე/.../ თქუენ ვითარცა მცნობმან ამა საქმის მდგომარეობისა ზემო ხსენებულთა სჯულიერთ მიზეზთა გამო ჩუენებანი იმა ორთა სამღუდელოთა არ უნდა მიიღოთ პატივის დებაშიდ. არა დაუტევებ /.../ მღუდელი სვიმონდა მღვდელ მონაზონი ნიკიფორეს განაცხადი მასზედა, რომ არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა მოსტეხა წის გიორგის თხემისა ზედა ანუ ჩყლდ – 1834 წელსა სექტემბრის თუეშიდ და მაშინ /.../ მაჩვენებელნი ესე თვით თვისით დაარღვევენ რა თვისსა /.../ მე თანამდებობისა გამო მაშინ ჩემ

მიერ მე /.../ სექტემბრის თვეშიდ ვიყავ წარგზავნილი, ხოლო ჩყლდ-წელსა შინა მე ვიქმენ წარგზავნილ მთავრობისა მიერ შორაპნის მაზრაშიდ გაყოფისათვის ზოგად თავადთა წერეთლებთა შორის ჰყმასა და მამულსა შინა სადაცა მაისის თვიდამ ვიდრე ნოემბრის თვის მეორე რიცხვამდე ვიმყოფებოდი მუნ. მაშასადამე მაჩუენებელთა მიერ ერთ ოდენ აღებული უმართლო შური არა დასცხრებიან აწცა მიცვალებულ ნიკოლოზ არხიმანდრიტსა ზედა. და მისთვის ჰყოფენ ესრეთთა განუსჯელთა ჩუენებათა გარნა მე ამასა შინა ყოვლად ყოვლითურთ უბიწო ვართ, რომელ წ-ის გიორგი თხემისაგან მოტეხილი ნაწილი ჩემის ძმას ნიკოლოზსს არხიმანდრიტს არაოდეს არ უბოძებია და არცა მოტეხა მისი სრულიად არა ვუწყი.

ნადვორნის სოვეტნიკი თავადი დავით ჩხეიძე.

* * *

ქცსა. ფ. 21. ს. 4286.

უქაზი მისის იმპერატორებითის დიდებულებისა, თვითმპყრობლისა ს-დ როსსისა, საქართველო – იმერეთის სინოდის კანტორაშიდგან, მმართველსა იმერეთის ეპარხისასა ყ-დ სამღვდელოს მიტროპოლიტს დავითს.

უქაზისამებრ მისის იმპერატორებითის დიდებულებისა კანტორამ მოისმ̣ინა არზა იერომონახის ისაკის ი-ივნისს მიღებული, რომელშიც სწერია შესმენისამლით მისისა მღვდელს სიმონ კანდელაკზე დაკარგვისათვის მისგან წ-ა ნაწილთა და სხვათა საეკლესიო ნივთთა გაენათის მონასტრისათა, ყოფილა იგი გაგზავნილ განსვენებულის არხიეპისკოპოსის სოფრონიოსისაგან.

მომნათლავსა ამა მღვდლისა ჩყლთ /1839/ წელსა შტატგარეთს მონასტერში რაიდგანაც თხოვისაებრ მისისა ყოფილა გადმოყვანილი მოწამეთაში ჩყმა /1841/ წელსა, რაზეც იცის კანტორამ მიწერ-მიწერიდამ საქმისა მისისა, სადაც არის რა ჩყმდ /1844/ წლამდე. ჰქონდა გამოცხადებული მას

სექტემბრის თვეში ჩყმგ 1842 წლისა უქაზი კანტორისისა, რ-ლ მას მოემატება ჯამაგირი მიბრუნებით გაენათის მონასტერში უწინდელსავით, რომელმაცა დასამტკიცებლად შთარდებს მასთანა ყ-დ სამღვდელოს ეპისკოპოზის ნიკიფორეს რეზოლუციის არზით მისა. შეუტყვია რა ესე /.../ ნათესავს მღვდელს სიმონ კანდელაკისას. მღვდელმონაზონს ნიკოლოზს და ყოფილს დეკანოზს ქუთაისის სობოროსის ნიკოლოზ ქუთათელაძეს, რომელიც აგრეთვე მოხვდება მღვდელს სიმონ ჭირაქაძეს ნათესავად /.../ მოწამეთის იღუმენი /.../ და მისის შეგნებით გადაყვანილ არს სოფლის ეკლესიაზედ, მას აქეთ არის ოცი თვე. ახლა გიბრძანებიათ მისთვის წასვლად უდაბნოში რაჭას და რადგან იგი არის სამოცის წლისა, ავადმყოფობს ფერდის ქარით, რაიც გამოჩნდება გამოძიებით, ამისთვის ვერ შეუძლიან ცივს ადგილს ცხოვრება. ურჩება უკეთუ მთავრობისა ვერ გაუბედავს. გარდა ამისა იანვრის თვეში, გაენათის მონასტრის არხიმანდრიტს სიმონს უთხოვია თქვენთვის რაპორტითა შეყვანაი მისი გაენათის მონასტერში და თქვენ შეგიწყალებიათ იგი, გარნა მღვდელმონაზონს ნიკოლოზს დაუშლია, რომელსაც დასამტკიცებლად აქვს მას მისი წერილი, რომელსაც ახლა ვერ წარმოგიდგენთ. საზოგადოდ სიმონ მონაზონს, რომლისთვისაც ითხოვს მილებას მისი გაენათის მონასტერში დაღათუ მოემატოს მას ჯამაგირი თანასწორ სხვათა მღვდელმონაზონთა, გინა გარდაყვანილ იქმნეს გურიის ეპარხიაში. /.../ ყოფაქცევისათვის უკეთუ მისისა ეკითხოსთს მცხოვრებთა გაენათისა, კურსებისა, მოწამეთისა და გოდოგანის სოფლებისათა. ამა არზაში უმაღლესის სახელზე გამოგზავნილსა, არა დაცულ არს /.../ არცა ტიტულში არცა პუნქტების დაწყობაში, არცა ხელისმოწერაში და არცა იმაში თუ რასა ეკუთვნის მირთმევა მისი. შ-დ გაშინჯვისა მილებულისა მისთა ქაღალდისა, გიბრძანეთ თუმცა იერომონახის ისაკის არზაში არა დაცულ არს ფორმა უმაღლესისა სახელზე არზისა, რომელიცა ძალითა 2279 /.../ ჩყმბ /1842/ წლისა არა ჯერ არს მილება, გარნა რადგან იერომონახი ისაკი ითხოვს ნებას გარდასვლისას გაენათის მონასტერში, თუ არა დათხოვნისა იმერეთის ეპირხიად გურიაში /.../ ამისათვის მის მთხოველი-

სადმი მოგეწეროს თქვენ, არა განიხილოთ რა გარემოება ესე და თუ რომლისამე მიზეზითა გამო არ შეიძლება შეყვანა იმა იერომონახის ისაკისა გაენათის მონასტერში. მაშა ნება დართოთ მას, რომ /.../ ყ-დ სამღვდელოს ეფთვიმეს გარდაყვანაი თავისი გურიის ეპარხიაში. თუ თქვენის მხრით არ იყოს /.../ დაბრკოლება დათხოვნისადმი იმა ისაკისა, რომელზედაც დაწერითა აწინდელსა თხოვნისათა წარმოიგზავნოს თქვენდამი უქაზი ჯეროვანის შესრულებისათვის და განკარგულებისა გამოსაცხადებლად ამისა საჩივრისა იერომანის ისაკისადმი.

ივლისის დ. ჩყმზ წელსა /1847/

ნიკიფორე ეპისკოპოსი გორისა, ვიკარი საქართველოსი.

* * *

ქცსა. ფ. 21. ს. 4286.

პირი არზისა მღვდელმონაზონის ისაკისა გამოგზავნილის კანტორაში ივლისის ც-ჩყმც წელს /1848 წ. 8 ივლისი/

იტანჯებოდა რა... უნეტარესი მოციქული ანდრია, გამოეცხადა მაცხოვარი და ჰრქვა ანდრიას, „განძლიერდი, მე შენთანა ვარ და ჰრქვა ანდრიამ, შენ ღ-თო ესრეთ ილოცევდი „მამაო ჩემო უკეთუ შესაძლებელ არს თანა წარმარედინ ჩემგან სასმელი ესე: „ხ~ო არა ვითარ მე მნებავს; ა~დ შენ ესრეთ იურვოდა კაცთათვის შემოქმედი ყ~თა რ~მე ათორმეტის წლითგან ვიევედრებით კანონიერის ქაღალდებითა არა ხოლო ჩემთვის, ა~დ გაენათისა დიდძალისა ნივთთა აღმოჩენისათვის. უკანასკნელ ესე მოშურნეთა ანგელოსთა და კაცთა გამო გამომიცხადეს ამა ივლისის თვესა კ~დ ვითომ მე არაწმინდებაში ვბორგავდე, რომელ არცა უსჯულოთა ჯერ არს თქმა. მომჩივანი არის შვილი კლიტის მქონებელისა მღვდლის ჭირაქაძისა ბესარიონ, და ერთის მხრივ ჰყუეს ძიება, და მე ს~დ არა რაი პასუხი ჩამომართვეს გამომძიებელმან და იქმნა შებღალულ სახოვანება ერთისა არაწმინდისა კაცისაგან, რ~ლ არს წლისა ჭირაქაძე ბესარიონ უმეტეს ოც-

დაცამეტისა, რ~ლ თვით ჰყავს მას თვის მრევლთან უკანონო შვილი კაცი წლისა რვისა და აქვს /.../ მახლობელ მონასტრისა ექვსი საჟენი და წ-სა მონასტერსა ვითომ დიაჩოქად ჰმსახურებს და ჯამაგირში თანამდებობს და ნებავს ჯურთხევასა განმზადებად. უკეთუ ვისდამი ერთმან სხუათაგანმან არავინ მიჩივლა, არათუ მომჩივნის შვილისა, ესე ამისთვის შემზადეს რ~თა დაჰფარონ თავის შეცდომა პირველ განცხადებული ჩემსსა მონასტრისა, ახლა თანაშემწედ ჰყავს მას მომჩივანსა დაუდგრომელის ხასიათის მქონე მღვდელმონაზონი ნიკოლოზ ნიჟარაძე და ვითხოვ მოწყალებით გამოიძიებდეს თხოვნა ესე და შ~დ გამოძიებისა უკეთუ ბრალეულ ვიქმნე საშინელისა მას ჩივილისა. მაშინ შესაკრებელთა ადგილთა ღირსმყოთ ცეცხლითა დაწვად. რა არა სხვათა მიზეზ დაბრკოლებისა ვიქმნე. გამოძიებისათვის ინებოს მართლმსაჯულმან მაღალყოვლადუსამღვდელოესმან იმერეთის მიტროპოლიტმან და კავალეროსანმა დავითმან, და უკეთუ არა ჯერარს კეთილ სჯიერად ცნობილი იმერეთთაგან, გრიგოლ პაპიტოვი პროტოპოპი, და ზდილობითი გაენათისა არხიმანდრიტი და კავალერი სიმონ და ბლაღოჩინი ოქროპირ წერეთელი და ყ~ი სიმართლე რ~ლ ვიმყოფები უმეტეს სამოცისა წლისა, შ~დ შემინყალოს მეუფემან ამან ანუ გაენათის მონასტერში ანუ მაღალ ღირსს ჭელიშის არხიმანდრიტს, /.../ სამგზის მოუძლურებული და მწუხარე ერთგზის თიაქრითა დღითი დღე მწუხარე, მცირედ შიმშილითა და მესამედ მოხუცებულობითა. უმჯობეს არს ჩემდა სიკუდილი, ვიდრეღა რა სიცოცხლე და უმეტეს ამისთვის ერთგზის არა ღირს ვიქმენ გამოძიებისა განხილვად. წარსულსა წელსა ივნისისა და სექტემბრისას ~დ, ვიველდრე არზით უწმინდესის და უმართებულესის სინოდის კანტორაში და უკეთუ ყოფილიყო მათგანთა ძიება, მათგან გარდასწყდებოდეს ყ~ი. ურიანი და წარმართნი მიიღებენ განათლებულის რუსეთის კანონით სამართალს და მხოლოდ ჩემზა, რომლის მიზეზით მოვაკლდი, არა ვუწყი გთხოვთ ვედრებით ნურღარა დატიებულ ვიქმნები თხოვისა ამისა.

ნამდვილზე ხელმოწერილ არს მღვდელ მონაზონი ისაკი.

* * *

ქცსა. ფ. 21. ს. 4286.

გაენათის მონასტრის არხიმანდრიტის სვიმეონის ბლაღოჩინის მღვდლის გოგი გოგიჯანოვისაგან

უწყება

მდგომარესა გაენათის მონასტრესა შინა დიაჩოქის ბესარიონ სვიმონ მღვდლის ძეს ჭირაქაძეს

მაღალ ყ~დ უსამღვდელოესმა იმერეთის მიტროპოლიტმა და კავალეროსანმა დავით იზ-ამა ივლისიდამ N884 – მოგვანდო ჩვენ საქმე საწარმოებელი სჯულიერის გამომეძიებინა საფუძველსა ზედა უქაზისა უწმინდესის უმართებულესის სინოდის კანტორისა შესახებ შესმენულობისა შენ მიერ არზით მღვდელმონაზონს ისაკისა გაენათის მონასტერსა შინა მყოფს მონაზონს დარიასთან ვითმოც წინააღმდეგ სჯულისა ქცევათა და სხვადასხვა მისის ხარისხიდამ უწესო მოქმედებათათვის, ძალისა გამო რომლის წამოგეწერების შენ, მიღებიდამ ამა უწყებისა წარმოგვიდგინოთ დამტკიცება საფუძვლიანი პირისპირ საჩივრისა შენისა ად რით დაამტკიცებ შენ რ-ლ თვით მნებებელობით მცხოვრები სოფელსა გოდოგანს მღვდელმონაზონი ისაკი შვება სხვადასხვა სჯულის წინააღმდექთ ქცევათ. სახელდობ, აწარმოებდეს ვითომც აღრევასა და აბუნტებასა ესრეთ. რ-ლი ყვარობდეს გაენათის მონასტერსა შინა მყოფსა მონაზონსა დარიას და იგინი ერთი მეორეს უგზავნიდეს დიაჩოქებს და ამასთანავე ერთს ან ორს კვირაში ერთხელ მღვდელმონაზონი ისაკი სოფლის გოდოგნიდამ ჩამოდიოდეს გაენათის მონასტერში ხსენებელის მონაზონ დარიასთან, რომელსაც ვითომცა ამტკიცებდნენ მრავალნი პირნი გაენათის მონასტერსა შინა მყოფნი. უკეთუ მართალ არს მოქმედებანი ესა /მაშინ./ ვალი გაქვს დანიშნონ ცხადნი მოწამენი, თუ რ-ლთა სახელდობ პირთა იციან დამტკიცებით რომ მღვდელმონაზონი იგი ჰყვარობს ზემოხსენებულსა მონაზონს დარიას და აქვს მას მასთან კავშირი ბოროტმოქმედებისა. სახელდობ რომელსა და რომელს დიაჩოქებს აგზავნიან იგინი ერთმანეთში რისთვის

სახელდობ, და უკეთუ ჩამოდის იგი გაენათის მონასტერში ერთხელ ორს კვირაში მაინც მას მონაზონთან საბოროტოთ,

ის პირნი სახელდობ გაენათის მონასტერსა შინა მყოფნი, რომელთა იცოდენ დამტკიცებით მოქმედება ესე. ბ სახელდობ ვის აბუნტებს და აბრიყვებს იგი ისაკი ხალხთაგან და აღვიძებს მათ უმართლის საჩივრისადმი და ვინ გემოწმებიან შენ სახელდობ, რ-ლ ყმა შენი გააბრიყვა მან ისაკმან საჩივლელად რ-ლ ვითმოც ისი იყოს ბუში და არ გეკუთვნოდეს შენ იგი ყმად. პირისპირ ყოველთა ამა ზემორე აღწერილთ გარემოებათა ზედა ვალი გაქვს განუმართლებლისა დროსა შინა მოგვცეთ დამტკიცება სამძღვანებლად გამოძიებასა შინა, თანა დაგიდგენთ რ-ლ არა შემატო სხვა ჰაზრი და საგანი რომელნიცა არა იჩუენებიან არზასა შინა და შენც არა გიჩივლია იმა კანტორასა შინა. გარდა აქა აღწერილთა გარემოებათა.

გაენათის მონასტრის არხიმანდრიტი სიმონ
მიეცა ჭირაქაძეს ბლაღოჩინი გოგიჯანოვი

* * *

ქცსა. ფ. 21. ს. 7096. ფრ. 2–3.

საქართველო – იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორასა შ-ა გაენათის მონასტრის იწროებისათვის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვინაიდგან მდგომარეობს მონასტერი გაენათისა უკიდურესსა იწროებაშიდ, თუმცაღა კრებულნი ითმენენ მწუხარებასა, გარნა ავიწყებსთ უმეტეს მონასტრის ოხრება, გარემოება ესე ვითარი შესდგება ყ-დ სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსის გერმანეს მიზეზით, რადგანაც ქონებია ძველ დროებიდგან ხსენებულის მონასტერზე შური რომელისამე მიზეზით:

ა – შეუღებლობით ოხრდება სახურავნი, რომელშიდაც ჩამოდის წვიმაცა და ოხრდება წმინდანი მხატვრობანი

ბ – ზარები დამტვრეულია, რომ ს-დ აღარ გამოდის ხმა და აღვიძებენ დროებით ერთი მეორეს ძმათაგან ესრეთის

მოხედულობით. ერთი თვისის საკუთრებით შამოსწირა ყ-დ სამღვდელომ იოანემ და სხვა დამტვრეული არ არის.

გ – რახტი შამოსწირა ბატონიშვილმა ღირებული სამასი მანეთისა და ს-დ გაიბნა არავინ არ უწყის.

დ – შესამოსლები არ არის და არცა კრუჟკის ფულები ს-დ ს-დ არ ჩანს.

ე – რამოდენიმე საბალახე პირუტყვთაგანი არცა ეძლევა ნაწილობა კრებულს და არცა ესარგებლება მონასტერს.

ვ – კრებული ყოვლითურთ უნუგეშოდ, ოთხმოცის მანეთის მოადგილეს ეძლევა ჯამაგირად სამოცი მანეთი და სამოცი მანეთის მოადგილეს ორმოცი და ეგრეთვე მსგავსად ამისა: .

ზ – ამა უწმინდესის კანტორის გადაწყვეტილებით სამოწყალოდ აქვს და სანუგეშოდ კრებულს ღრუდე თევზიანი წყალი, ეკუთვნის ორი ნაწილი კრებულს და მესამე წინამძღვარს, სხვათა უწყალობეს თანა, ესეცა მიაქვსთ ნახევარი წინამძღვარს, რომლისგანაც სარგებლობს ეპისკოპოსიცა.

ც – ხსენებული მონასტრის ჯამაგირები შესცვალა პირველ წყობილება და გაატანა გარეშე პირებზედ;

ა – ორმოცი მანეთი იოსოს მღვდელმონაზონს, რომელიც სცხოვრობს თავის ოჯახში ძმასთან.

ბ – ორმოცი მანეთი ეძლევა მოსე ბერს საჩინოს, რომელიც სცხოვრობს მრევლშიდ.

გ – ორმოცი მანეთი ეძლევა ქვრივს დედაკაცს მონამეთას.

დ – ოცდაათი მანეთი ეძლევა ხონს ერის კაცს.

ე – ორმოცდაათი მანეთი მართა მონაზონს ქუთაისშიდ, თავისუფალ ცხოვრებაში და არა დედათა მონასტერში და გაენათის კრებულს საზრდოც არა აქვსთ და ჯამაგირიცა გამორიცხა, გარეშე პირებს აძლევს და აქაურს აბრკოლებს და არა თანასწორ რაოდენივსაც უნდა /.../ შინაგანათ, თუმცა ესრეთის მდგომარეობისათვის ყოველ დროებითად წინამძღვარი თხოულობს რაპორტებით ნაკლულევანებს მონასტრის და კრებულისადმი ჯამაგირის დამცირებასაცა, გარნა ვინაიდგან ჰყავს იძულებული მონასტერი და მისი კრე-

ბული ერთბაშად წინამძღვრის ყ-დ სამღვდელოს გერმანეს ესრეთი რაპორტები უნდა ეგდოს გაუხსნელად მის კრაოტის ქვეშ ვიდრე სამოც დღემდე და არცა შემდგომში მიიღებს განხილვაშიდ და პატივისდებაშიდ, გარემოებასა ამას /.../ სასოება ღ-ის მშობლისადმი, ეგრეთ სიმართლით მაგა კანტორისადმი და მოვალეობისამებრ მაგა კანტორის შეტყობილ იქმნეს ესრეთი დაჩაგვრა მონასტრისა და მისი კრებულისა თუ რომლის მიზეზით სწყალობს გარეშე პირებთა და პირველს მონასტერს ამდაბლებს და მათ წილხდომილ ჯამაგირსაც სხვას აძლევს. უკეთუ არა კეთილ ინებებს გარემოების განხილვასა მაგა კანტორა, მაშინ ესრეთის /.../ უნდა მოხსენდეს უმაღლესსა მთავრობასა.

ჩყნთ[ს] წელს, თებერვლის 5-[ს] რიცხვსა.
1859 წ. 20 თებერვალი

* * *

ქცსა. ფ.21. ს.7231 ფრ.16.

მის ყ~დ უსამღვდელოესობას
იმერეთის ეპისკოპოზს და კავალერს გერმანეს
გაენათის არხიმანდრიტის ნიკოლოზისაგან
რ ა პ ო რ ტ ი.

გუშინდელ რიცხვსა დილით მერვე საათზედ მე წამოვედი რწმუნებულის ჩემდამი გაენათის მონასტრიდამ ქალაქს ქუთაისს საჭიროს საქმისათვის, სადაცა დღევანდელს რიცხვსა დილით მეშვიდე საათზედ მომივიდნენ მოამბეთ მღვდელმონაზონი ვენედიქტე და მოსწავლე მღვდლის შვილი ევსტატე ჯიშკარიანი. სამწუხაროდ ჩემდა განმიცხადეს გაქურდვა წუხანდელს ღამეს მომხდარი გაენათის მონასტრის, რომლიდანაც გაუტანიათ ძვირფასნი ხატნი და ნივთები. ამასთანავე წარმოდგენილის სიასა შ~ა განმცხადებელნი, ხოლო ხატი ხახულისა ღვთისმშობელი ნახულ არს მახლობლად დიდის კარისა ორათ გახეთქილი, რაოდენიმე მაზედ დარჩენილის და დაცვენილის თვლებით და მარგალიტით,

რასა ზ~ა ვალისამებრ ჩემისა უპატივცემულად მოვახსენებ თქვენსა ყდ უსამღვდელოესობას.

ამასაცა დავსძინებ რომელ დაფასება ამა ძვირფასის ხატისა და ნივთებისა ჩემის მხრით და ვერც სხვათა შესაძლებ.

N26 ჩყნთ~ წელსა მაისის არხიმანდრიტი ნიკოლოზ.

* * *

ქცსა, ფ.21. 7731 ფ.17–19.

სია წარტაცებულთა ხატთა და ნივთთა ავაზაკთაგან გაენათის მონასტრის საკუთნელისა

ხახულისა ღვთისმშობლის გული თავის შემკობილის თვლებით, მარგარიტით, ოქროებითა და ძვირფასის ოთხის ქვებით ლალისა. ქრისტეს დაბადების დროს შეწირული მოგუებთაგან ოთხ კუთხიანი ოქრო თვალით და მარგარიტებითშემკობილი.ქრისტეს სუდარი თავის ხატით და ძეწკვი ვეცხლისაოქროშით დაფერილი. პატარა ვეცხლის ხატი ღვთისმშობლის. გელათის ღვთისმშობლის წინ დიდი კანდელი ვეცხლის. ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი და კამარა ოქროსი. ორი ვეცხლის სურა. სამი ლანგარი ვეცხლის დიდი და პატარანი სებისკვერის გასაჭრელი. ერთი ვეცხლის შანდალი. ერთი დიდი შანდლის თავი ნაკლადნის ვეცხლისა. თერთმეტი ოქროსი შარნები და ორი ამათგან დიდროანი. ცამეტი ბეჭედი და სამი საყურე ვეცხლისა. სამი ოქრო ხუთმანეთიანი. ორი ვეცხლის ტაკუკები.

არხიმანდრიტი ნიკოლოზ.

შესწორება: ხახულისა ღვთისმშობელი გაძარცული და ორათ გახეთქილი, რომელზედაც არის კიდე აუგლეჯელი თექვსმეტი თვლები და ცხრა მარგარიტი. მარცხენა გვერდზედ ოქროს სალტით. ამოცვენილის ერთის დიდის ქვით და სამის პატარით. ერთი მარცვლის მარჯნით ორის ვეცხლის რღილის, ასოთმოცდაათის მარგარიტით, ცხრის ბეჭდით და ორის პატარა ნაჭერის ოქროთინახულ არს დიდს კარს ზევით ყორის ძირშიდ.

* * *

ქიმ.N134

სინოდის კანტორასა შინა

ქუთაისის ნაობახთსა შინა ტუსაღათ მყოფის მღვდელმონაზონის ვენედიქტესაგან

თ ხ ო ვ ნ ა

დროიდგან მცირე წლოვანებისა ჩემისა მე, აღმოვიზარდე გაენათელის მონასტერშიდ, სადაც ვიმყოფებოდი იქ ვიდრე ამა უკანასკნელს ჟამამდე, რომელ მე ვიქმნები დღეს უმეტეს ორმოცის წლისა. არასდროს მე არ შემთხვევია საწინააღმდეგო როგორც არხიმანდრიტისა თანა, არცა კრებულთა თანა, არამედ მომყავდა თავი თვისი ვითარცა შეესაბამებოდა ღირსებას ჩემსა.

წარსულ წელში ჩყ /.../ მაისის თუეშიდ, მოხდა საუბედუროდ ჩემდა გაცარცვა გაენათელის ღვთისმშობლის ხატისა და იქიდგან მოკიდებული ვიმყოფები სასტიკს ტყვეობასა ქვეშ.

რასა ზედა დააფუძნეს ჩემი ესრეთი უბრალოდ წვალება არა უწყი. რომელს მოქმედებას მე მხოლოდ უბრალოდ... ამას უწყიან სრულად საზოგადოება და მასთან სახორციელო მმართებლობა. რომელ მე განმათავისუფლა სახორციელო მსაჯულმან, აღმოჩენისამებრ ჩემის სიმართლისა. ხოლო ერთად საქმისათანა გამგზავნეს ეპისკოპოსისა თანა, რომელსაცა მიაჩემეს განთავისუფლება ჩემი, გარნა მისმან მეუფებამ არა ინება განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან, არამედ შეუხედველად ყოვლის ჩემის სიმართლისა და უცნობელისა ჩემდა მიზეზისა დამატყვევა კვალად ნაობახთსა შ~ა. ხოლო საქმე ვითარ ცნობილ შევიქმენ, წარმოდგენილ იქმნა მის მიერ მაგ სინოდალნის კანტორასა შინა. მაშინ ოდესაც მოვმართე საჩივარი არზითა კანტორისა თანა და განვაცხადე მას შინა ამ საქმესა შინა უბრალოდ წვალება და მასთან შევიწროება ჩემი უმართლო მტრისა ჩემისა ნიკოლოზ არხიმანდრიტის ნიჟარაძისა, რომელსაც აქუს ჩემთან პირველიდგან და რაისა მიზეზითა აქვს მას ჩემთან ესევითარი მტრობა მე სრულად არა უწყი, რომელმანაც პირვ-

ელი ხუთი თუმანი ფული, ორი სტოლის კოვზი ვეცხლისა, სამი რკინის კოდი თითოეული რვა ბათმის... ურემი შეშა და მასთან ღვინო, სიმინდი და ღომი, რომელზედაც მივმართე ორგზის საჩივარი არზითა მისი ყდ უსამღვდელოესობისადმი და ვთხოვე დაკმაყოფილება ჩემი ზემოხსენებულის ჩემის საკუთრებისაგან, გარდა, არცა ერთს თხოვნასა ზედა არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ და ვიქმენ ამის გამო მოკლებულ ჩემს საკუთრებასა.

შემდგომ რომლისათვის მივმართე საჩივარი არზითა მაგ სინოდალნის კანტორასა შინა და ვითხოვე დაკმაყოფილება ჩემი, არხიმანდრიტის ნიკოლოზის მიერ, აწ ვითარ შევიქენი მიწერილობითა სინოდალნის კანტორისა მე დავკმაყოფილდები ესრეთს თხოვნაზედა, აქაურის სასულიერო მართებლობათგან, რომელნიც არავითარს ყურადღებას არ მიაქცევენ ჩემს თხოვნასა ზედა, ვითარცა აქამომდე არ მოუქცევიათ. უკეთუ თვით სინოდალნის კანტორა არ ინებებს თვით ფიცხელსა და პირუთნებელსა განკარგულებასა, ჩემს დაკმაყოფილებისათვის ესრეთისა.

გარდა ამისა ხუთი თუმანი ფული დავხარჯე ჩემი საკუთრება სენაჯზედ, რომელშიდაც მე ვიყავ მდგომარედ და დღეს იგიცა მეკარგვის.

ამისათვის მოვაწევინებ ყოველთა ზემო ხსენებელთა შეჭირვებათა გამო ჩემთა, მაგა სინოდალნის კანტორისადმი და ვითხოვ კვარცხლბეკით თხოვნითა მიაქციოთ მართლმსაჯული ყურადღება ჩემს საწყალ და უბრალოდ შევიწროებულთათვის რათა არა მოვაკლდე ჩემს საკუთრებას ნიკოლოზ არხიმანდრიტისაგან, ხოლო ზემოხსენებული ხუთი თუმანი რაიცა დამიხარჯავს სენაჯზედ, ვითხოვ მას ზედა ჰქმნას კანტორამ განკარგულება დანიშვნისათვის გამოძიებისა. ამასაც დავსძინებ, რომელს უფალს ნიკოლოზ არხიმანდრიტს ნიჟარაძეს, არა თუ ერთი მხოლოდ ჩემზედა ემოქმედოს ესრეთი უწესოება, არამედ მსგავსი ამგვარნი უწესოება უხელმძღვანელებია, რომელსაცა ქვემორე ამის განვაცხადებ.

ამის შემდეგ გატანილია, თუ როგორ გააჩუქა ნიკოლოზ არხიმანდრიტმა ეკლესიის /გელათის/ ფულით შეძენილი

ორასი ღერი ფიცარი, რომლის ფასი ცალის იყო სამი მანეთი.

...მაშინ მცხადად დაინახავს სინოდალნის კანტორა კეთილმზრუნველობასა მისსა ეკლესიისადმი; და უმეტეს ამითიც რომელ გაძარცვის შემდგომ გაენათლის მონასტრისა, განკარგულებითა უმაღლესის მმართებლობითა იქმნენ დანესებულნი ყარაულებად ყმანი გრიგოლა ჯანგავაძე, გოგია ტყაპლაძე, გლახუა კეზევაძე, სპირიდონ დოღონაძე და ბასილა ჯანგავაძე.

ნიკოლოზ არხიმანდრიტმან ამა აღნიშნულთა ყარაულებთა გარდაახდევინა ქრთამად პირველს გრიგოლა ჯანგავაძეს და გოგია ტყაპლაძეს ერთი საპალნე ღვინო, გლახუა კეზევაძეს ერთი ცხვარი, ბასილა ჯანგავაძეს ასი კონა ჩალა ღირებული სამის მანეთისა და სპირიდონ დოღონაძეს ცალი ღვინო, რომელიც ამგვარის უწესო მოქმედებით პირველიდანაც იყო ყარაულის დაუყენებლობა უჩასტკის ნაჩალნიკის მიერ, რომელ ამგვარად სთხოვდნენ მცხოვრებთა ქრთამსა და რადგან სიღარიბით ვერ აძლევდნენ ამის გამო მოხთა ესრეთი უბედურებითი შემთხვეულება გაენათლის მონასტერშიდ ერთის მხოლოდ უყარაულობისა გამო/მღვდელმონაზონი ვენედიქტე/.

ჩყ ა̾წელს 3 ივნისის /1861 წ/.

* * *

ქიმ.N156

მისს მაღალ ღირსებას გაენათის მონასტრის არქიმანდრიტს ონიფანტეს

საეკლესიო ყმის დავით ტყაპლაძისაგან მოხსენება:

მოთხოვნასა ზედა პასუხისა თქუენის მაღალ ღირსებისა ჩემდამი მაქვს პატივი მოხსენებად, რომელ მე გარდამაყენა ყარაულობისაგან დედათ მონასტრიდამ არხიმანდრიტმა ნიკოლოზმა, მისთვის რომელ ერთს ღამეს იგი არხიმანდრიტი ამოვიდა დედათ მონასტერზედ არა არა წმინდათ.

ამ დროს ყოველს კაცს სძინავდა და მე ყარაულის წესისამებრ მღვიძარეი ვიყავი და გაიყვანა დედათა მონასტრიდამ იქით გალავანს გარეთ ელენე ჭუმბურიძის ქალი და ძაღლები გაეკიდენ. მე ვიღაცა ქურდი მეგონა და გავრინდი და მოვმართე გატენილი თოფი და ეს არის ვესროლო, და რა დაუახლოვდი, ვნახე არხიმანდრიტი ნიკოლოზი იყო და ელენე ჭუმბურიძის ქალი და რაი შემიტყო იქ ასულაო და მეორეს დღეს ყარაულობიდან გამაგდო. რაიც ვაჩვენე ყოველივე სიმართლე არს. ამას ფიცით დავამტკიცებ, ყმა დავით ტყაპლაძე, რადგან მე წერა არ ვიცოდი ხელის მოწერა ავასრულე და მივანდე ნიკო ესაიშვილს.

ჩყ ბს /1862/ წელს ივლისის 23.

* * *

ქცსა. ფ. 21. ს. 7231; ფრ. 138–141.

ქუთაისის სასამართლოს 1863 წლის 7 მარტის მიმართვის ასლი ქუთაისის საგუბერნიო მთავრობისადმი

მმართველმა სენატმა ამავე წლის 25 იანვრის N193 ბრძანებულებაში ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოსადმი განმარტა: 1859 წლის 18 და 19 მაისს ღამით გელათის მონასტრიდან წინამძღვრის არყოფნის დროს მოპარულ იქნა:

1 – ძვირფასი თვლებით შემკული ხახულის ღვთისმშობლის ხატი.

2 – ე.წ. ოთხკუთხა ოქრო, ძვირფასი თვლებით შემკული.

3 – მაცხოვრის ხატი.

4 – საშუალო ზომის ვერცხლით მოჭედილი ღვთისმშობლის ხატი.

5 – ვერცხლის დიდი კანდელი, რომელიც ენთო გელათის ღვთისმშობლის ხატის წინ.

6 – ოქროს ნივთები: ჭურჭელი, ფიალა, კოვზი და ორი ვარსკვლავი.

7 – ვერცხლის ორი თასი.

8 – ერთი დიდი და ორი პატარა ზომის ვერცხლის თეფში.

9 – ვერცხლის ერთი შანდალი.

10 – ვერცხლით მოჭედილი დიდი შანდლის ზედა ნაწილი.

11 – ორი ოქროსა და ცხრა სხვადასხვა ზომის მედალიონი.

12 – ცამეტი ბეჭედი და ვერცხლის სამი საყურე.

13 – სამი ნახევარიმპერიალი.

14 – ვერცხლის ორი სახელურიანი ფიალა.

19 მაისს მონასტრის ირგვლივ ღობის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ დიდი ჭიშკრის საკეტი არ იყო დაზიანებული, ასევე არ აღენიშნებოდა დაზიანება მთავარი კარის შიდა საკეტებს, მაგრამ ადგილზე არ აღმოჩნდა ჩრდილოეთის მხრიდან შემოსასვლელი კარების გარეთა საკეტი. ტაძარში მთავარი ხატი ხელუხლებელი იყო, მაგრამ მარცხენა მხრიდან ხატის მინის ჩარჩო არ აღმოჩნდა ჩაკეტილი, მისი სპილენძის საკეტი კი იატაკზე ეგდო გასაღების გარეშე. ჩარჩოს უკან დაცული ძვირფასი თვლებით შემკული ხახულის ღვთისმშობლის ხატი ამოღებული იყო ოქროს ძვირფასი საცავიდან. ადგილზე არ აღმოჩნდა ზემოთჩამოთვლილი ნივთები.

20 მაისს ტაძრის ღობეში აღმოჩენილია ხელუხლებელი გასაღები, ხოლო მისგან მოშორებით იპოვეს ღვთისმშობლის დაზიანებული ხატი.

აღნიშნულ დანაშაულში ბრალი წაუყენეს სხვადასხვა პიროვნებებს. ესენი იყვნენ: სვანი პეტრე ავალიანი, ალადაგოვი, მაზაპაშვილი, აბაშიძე და სხვანი, მაგრამ მათი მამხილებელი მტკიცებულებები არ იქნა აღმოჩენილი.

აგვისტოში გელათის მონასტრის მონახულებისას ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა დაკითხა მონასტრის მღვდელი მოხუცი ჭირაქაძე, რომელსაც ებარა გასაღებები. მონასტრის გაქურდვასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ აღნიშნულ ღამეს ის იმყოფებოდა მდუმარე ბერ შიოს სენაკში, რომ მონასტრის კარების დიდი გასაღები მასთან ინახებოდა, ხოლო ღვთისმშობლის ხატის მინის კარებების გასაღები დამალული იყო საიდუმლო ადგილას, ხატის უკან. გამომძიებლებმა გაითვალისწინეს რა ჭირაქაძის პირველი ჩვენება,

სადაც იგი აცხადებდა, რომ აღნიშნულ ღამეს ხატის პატარა გასაღებიც მასთან იყო, გადაწყვიტეს ჩვენებებში არსებული შეუსაბამობის გამო კიდევ ერთხელ დაეკითხათ. ჭირაქაძემ ეს შეუსაბამობა ახსნა იმით, რომ გასაღებები ხშირად მასთან ან საიდუმლო ადგილას იყო, მაგრამ აღნიშნულ ღამეს გასაღები იყო მონასტერში და რომ ამ ადგილის შესახებ ცნობილი იყო მხოლოდ მისი ვაჟიშვილის ბერ ბენედიქტესათვის. ამასთან ერთად ჭირაქაძემ დეტალურად აღწერა საცავიდან ხატის ამოღების პროცესი. ეს შეუძლებელია სანამ არ შებრუნდება ოქროს მილები, რომლებიც ხატს ოთხი მხრიდან ამაგრებენ და სანამ პატარა ზომის რკინის ასაწევით არ იქნება მოწეული ხატის ზემოთ მდებარე საცავში ჩადებული დიდი ოქროს ბეჭედი. ჭირაქაძის თქმით ხატის ამოღება დაუზიანებლად შეეძლო მხოლოდ ამაში კარგად გათვითცნობიერებულ ადამიანს ან კიდევ მას, ვინც რამოდენიმეჯერ ნახა აღნიშნული პროცესი. ამის საპირისპიროდ ბერმა ბენედიქტემ განაცხადა, რომ არ იცოდა თუ სად იყო აღნიშნული /18 და 19 მაისის/ ღამით მონასტრის ჩრდილოეთ კარებისა და ღვთისმშობლის მინის კარებების გასაღები. მან აღნიშნა, რომ როცა მამამისი, მღვდელი ჭირაქაძე იქ არ იყო, დიდ გასაღებს ან მასთან, ან მონასტრის სხვა ბერებთან ტოვებდა, ხოლო ხატის პატარა გასაღებს ხანდახან ინახავდა საკურთხეველთან, ან კიდევ კიდებდა მგლოვიარე ღვთისმშობლის ხატის წინ. როცა მამამისი მიდიოდა სადმე, შვილს ყოველთვის მიუთითებდა ადგილს, სადაც ტოვებდა გასაღებს, რათა საჭიროების შემთხვევაში გაეღოთ ხატის მინის კარები. თუ საჭიროება მოითხოვდა ან თავად მღვდელი ჭირაქაძე აღებდა ხატის საცავის კარებს და ამოჰქონდათ ის, ხან ამას აკეთებდნენ მონასტრის სხვა ბერები. ბერი ბენედიქტეც ეთანხმება მამამისს და აცხადებს, რომ გაუთვითცნობიერებელი ადამიანი ვერ გახსნიდა საცავს ხატის ან მისი მინის კარების დაზიანების გარეშე. გამომძიებელთა შეკითხვაზე, მონასტერში მყოფი სასულიერო და საერო პირებიდან, რომლებიც აქ მოცემულ შემთხვევამდე ცხოვრობდნენ, თუ ვინ იყო ნაკლებად ღირსეული ადამიანი და ვინ იმსახურებს ნაკლებად გამართლებას, გელათის მონასტრის

წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა უპასუხა, რომ ასეთი ადამიანი ბერი ბენედიქტეა. მან თქვა: რომ ბერი გულგრილად და გაუფრთხილებლად ექცევა სიწმინდეებს, ხშირად არ არის მონასტერში, მისი ცხოვრება კი მეტად ჰგავს საერო, ვიდრე სასულიერო პირის ცხოვრებას, რომ როცა ბერები საუბრობდნენ მონასტრის გაძარცვის ფაქტის შესახებ, თურმე ბენედიქტეს სახე ეცვლებოდა და არ გამოხატავდა გულისტკივილს ამ უბედური შემთხვევის გამო. წინამძღვრის თქმით ბენედიქტე ხშირად ამბობს, რომ დააპატიმრებენ მონასტრის გაძარცვის ბრალდებით. ბერმა სხვებზე უკეთ იცოდა გელათში არსებული ვითარება, ხშირად ხელთ ჰქონდა გასაღებები და არქიმანდრიტ ნიკოლოზის შეხედულებით მონასტერში მცხოვრებ ადამიანთა შორის ეჭვმიტანილად შეიძლება მხოლოდ ბენედიქტეს ცნობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მონასტრის ბერთა შორის სხვა არც ერთი სასულიერო პირი არ იყო შემჩნეული თავისი წოდებისათვის შეუსაბამო ქცევაში. ბენედიქტე ჭირაქაძეს მონასტრის ძარცვაში ბრალს სდებენ სხვა ბერებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას ვერ მოახერხებდა მონასტრის გარეთ მცხოვრები პიროვნება. ბერმა ბენედიქტემ არ აღიარა ეს დანაშაული და განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია თუ რატომ სდებენ ბრალს მას მონასტრის მესვეურები იმ დროს, როცა ამის ჩადენა ნებისმიერ მათგანს შეეძლო. ეჭვმიტანილის გაჩხრეკის შედეგად ნაპოვნია ე. წ. შავად ნაწერი არქიმანდრიტ ნიკოლოზის შესახებ დაბეზღება სინოდში, სხვადასხვა სასიყვარულო წერილები ქალებისადმი, უხამსი ლექსები, გარყვნილების სამკურნალო რეცეპტი.

სასულიერო მხრიდან ამ საქმის გამოსაძიებლად წარმოდგენილი იყო მღვდელი კანდელაკი, რომელიც იმერეთის ეპისკოპოსს მოხსენებაში წერდა, რომ ბენედიქტემ გუბერნიის პროკურორსა და გამომძიებელთა თანდასწრებით განაცხადა შემდეგი: მონასტრის ძარცვას თითქოს იღებდა საკუთარ თავზე, მაგრამ მოპარული ნივთების შესახებ არაფრის თქმა არ შეეძლო. ამის შესახებ არ არის შედგენილი ოქმი.

როგორც 1860 წელს შედგენილი სამსახურებრივი სიიდან ჩანს ბენედიქტე ჭირაქაძე არის 39 წლის, 1856 წლიდან არის ბერი. საქართველო – იმერეთის სინოდალურმა ბიურომ განსაზღვრა: 75 წლის მღვდელი სიმონ ჭირაქაძე, რომელმაც არ ცნო თავი დამნაშავედ აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში, ბრალეულობის დამტკიცების გარეშე არ იქნას მიცემული სასამართლო პასუხგებაში, ხოლო მისი ვაჟი ბენედიქტე, რომელსაც ბარლდება გელათის მონასტრის ძარცვის საქმეში, გადაცემულ იქნას სასამართლოსათვის, რომლის დასრულებისას თუკი არ იქნება ცნობილი დამნაშავედ, ამ შემთხვევაში განხილული იქნას ამ საქმიდან დამოუკიდებლად მისი წოდებისათვის შეუფერებელი საქციელი. ამისათვის ეცნობოს ბიუროს საქმის მსვლელობისას გამოაშკარავებული ლექსებისა და წერილების შინაარსი, რაც ადასტურებს ეჭვმიტანილის უწესო ცხოვრებას. რაც შეეხება იმ პიროვნებებს, რომელთაც მონასტრის გასასვლელებთან არ დააყენეს დაცვა, ბიურო განსახილველად გადასცემს საერო ხელისუფლებას.

ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოში 19 მაისს გადაგზავნილ მასალებს თან დაურთო ცნობა იმის შესახებ, რომ გელათის მონასტერში იმდროს დიაკვნად მყოფ ბენედიქტეს შესახებ არსებობდა ორი საქმე. ერთი შეეხებოდა ისააკის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს. 1848 წლის 25 აგვისტოს ამ საქმის შესახებ სინოდალურმა ბიურომ დაბეზღება უსაფუძვლოდ მიიჩნია, რისთვისაც იგი გაგზავნილ იქნა მონასტერში ერთი თვით შავ სამუშაოზე წერილობით შთაგონებით იმის შესახებ, რომ ამიერიდან არასოდეს გაებედა მსგავსი ქმედება მკაცრი სასჯელის შიშით, სინოდალურ ბიუროში აღძრული მეორე საქმე შეეხებოდა თავად ბერ ისააკისაგან ბესარიონ /ბენედიქტე/ ჭირაქაძის დაბეზღებას, რომ უკანასკნელს ყავს უკანონო შვილი. ეს დოკუმენტი 1848 წლის 24 სექტემბერს სინოდალურმა ბიურომ გადაუგზავნა განსახილველად და შესაბამის გადაწყვეტილების მისაღებად იმერეთის ეპარქიის სამმართველოს მის უწმინდესობას მიტროპოლიტ დავითს.

მმართველმა სენატმა განიხილა რა მოცემული საქმე მიიჩნია, რომ ბერ ბენედიქტეს შესახებ აღძრულია საქმე გელათის მონასტრიდან სხვადასხვა წმინდა ნივთის მოპარვის ბრალდებით. მოცემული დანაშაული ბრალდებულმა არ აღიარა და მისი ბრალეულობა არ არის დამტკიცებული იურიდიულად. ეს კი შეუძლებელი გახდა იმიტომ, რომ ადგილობრივმა მთავრობამ ძარცვის ფაქტის დადგენისას არ იზრუნა, რომ მონასტრის ყველა გასასვლელთან დაეყენებინათ დაცვა, მაშინვე არ მომხდარა მონასტერში მყოფი ბერების გაჩხრეკა რის გამოც ხელიდან იქნა გაშვებული გატაცებული ნივთების ცხელ კვალზე პოვნის შესაძლებლობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით გამოძიებამ შეიძლება დაასკვნას, რომ ბერ ბენედიქტეს გარდა ძარცვაში მონაწილეობდა ასევე მონასტერში მყოფი სხვა ბერი ან კიდევ სრულიად უცხო პიროვნებებიც.

მიექცა ყურადღება შემდეგ ფაქტებს:

1. ეჭვმიტანილ ბენედიქტეს უწესო და დაუდევარ საქციელს.

2. გელათის მონასტრის წინამძღვრის მიერ მის არაკეთილსაიმედო დახასიათებას,

ასევე ბერების მიერ საერთო დადანაშაულებას ძარცვაში.

3. თავად ბენედიქტეს ჩვენებას, იმის შესახებ, რომ არავის შეუძლია ხახულის ღვთისმშობლის ხატის ამოღება თავისი საცავიდან მისი დაზიანების გარეშე.

4. ბრალდებულის მამის ჩვენებას იმის შესახებ, რომ აღნიშნული ხატის საცავის გასაღები ინახებოდა მასთან, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში გადასცემდა შვილს ბრალდებულ ბესარიონს.

5. თავად ბენედიქტეს მიერ საგუბერნიო პროკურორისა და გამომძიებლების თანდასწრებით წარმოთქმულ სიტყვებს: „მონასტრის ძარცვას ვთქვათ საკუთარ თავზე ვიღებ, მაგრამ მოპარული ნივთების შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლია". ყოველივე ეს კი ძლიერი ეჭვის საფუძველს იძლევა გელათის მონასტრის ძარცვის საქმეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მმართველმა სენატმა იხელმძღვანელა სისხლის სამართლის მე-

15 ტომის 313-ე მუხლით, ასევე ქუთაისის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებლის აზრის გათვალისწინებით და განსაზღვრა:

გელათის მონასტრის ძარცვაში მონაწილეობისათვის ბერი ბენედიქტე დარჩენილ იქნას ეჭვმიტანილად, საქმის გამოძიებისათვის გაწეული ხარჯები გათვალისწინებულ იქნას ბიუჯეტის ანგარიშზე. აზნაურ ცირღილაძის საქმე, რომელმაც არ დააყენა მონასტრის გასასვლელებთან დაცვა, განიხილოს ქუთაისის საგუბერნიო სამმართველომ. სენატმა გაჭიანურებულად არ სცნო საქმის გამოძიება, რომლის დროსაც ეჭვმიტანილი დაპატიმრებული იყო ერთი წელი. ცნობის მიხედვით აღმოჩნდა, რომ 1860 წლის 7 დეკემბერს შემდგარმა ქუთაისის საგუბერნიო სასამართლომ განაჩენად დაადგინა შემდეგი: ამ საქმეში მონაწილე პირები: სტეფანე ალადაგოვი, სოლომონ მაზაპაშვილი, დავით აბაშიძე, ნიკა ღლონიძე, ეზია ავალიანი, ბასილა და ივანე ბაბუხადიები, თევდორე ბუხაიძე, ქვრივი ნინო კანდელაკი, მორჩილი ეკატერინე, ეგორ თამაზოვი, ეგორ ნერსესოვი, ბათრაჯი კუკია, ლეკი ქაჯიევი, ივანე თავაძე და მათე კუხიანიძე. მათი ბრალეულობის დაუმტკიცებლობის, ასევე I წიგნის 103 და II წიგნის 304 მუხლების გათვალისწინებით ცნობილ იქნან გამართლებულად აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მღვდელ სიმონ ჭირაქაძისა და მისი ვაჟიშვილის ბენედიქტეს ბრალდების ხარისხის სიმძიმეზე, ასევე მონასტრის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების დანაშაულის შესახებ, II წიგნის XV ტომის მე-15 და 154-ე მუხლების თანახმად იმსჯელოს სასულიერო მთავრობამ. რაც შეეხება 54 მანეთსა და 30 კაპიკს რაჭის რაიონის სამმართველოს თანხებიდან, რომელიც გამოყენებულ იყო ამ საქმის გამოძიებისათვის მოადგილე გაბაევის მიერ, ეს საკითხი გადაჭრილ უნდა იქნას ზემოაღნიშნული სასულიერო პირების საქმის საბოლოო განხილვის შემდეგ.

აღნიშნული საქმე განაჩენთან ერთად გადაეგზავნა ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორს 4 იანვარს N7, ხოლო მის მიერ საქართველო – იმერეთის სინოდალურ ბიუროს, მაგრამ ცნობილი არ არის დაამტკიცა თუ არა გუბერნატო-

რმა სასაართლოს განაჩენი საერო პირების შესახებ. ბიურომ 19 მაისს N2127 გადაუგზავნა ზემოთაღნიშნული საქმე საგუბერნიო სასამართლოს, თან აცნობა, რომ სინოდალურმა ბიურომ განიხილა მღვდელ ჭირაქაძისა და მისი ვაჟიშვილის ბერ ბენედიქტეს ბრალეულობის საქმის ვითარება. ასევე იმსჯელა იმ პიროვნებათა შესახებ, რომელთაც უნდა დაეცვათ მონასტრიდან გასასვლელები, განსაზღვრა: 75 წლის ჭირაქაძე, რომელმაც არ აღიარა დანაშაული და მისი ბრალეულობის საკითხი, არ იქნა დამტკიცებული, არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხგებაში, ასაკის გამო გათავისუფლებულ იქნას მონასტერში დაკავებული მეკლიტურის თანამდებობიდან, ხოლო მისი ვაჟიშვილი ბერი ბენედიქტე გადაეცეს სასამართლოს, რომლის დასრულების შემდეგ თუკი არ იქნება გამამტყუნებელი განაჩენი განსაკუთრებულად იქნას განხილული მის მიერ ჩადენილი სასულიერო პირისათვის შეუფერებელი საქციელი. ამის შესახებ საგუბერნიო სასამართლო თავის დროზე თხოვდა სინოდალურ ბიუროს ეცნობებინა ნაპოვნი ჩანაწერები და ლექსები, რომლებიც ადასტურებენ ეჭვმიტანილის უწესო ცხოვრებას.

სასამართლომ განიხილა აზნაურ ცირღილაძის დაუდევრობის საკითხი გელათის მონასტრის გასასვლელებთან დაცვის დაუყენებლობის შესახებ.

1861 წლის 11 აგვისტოს ბერ ბენედიქტესა და ცირღილაძის საქმე გადაწყვეტილ იქნა და გაეგზავნა ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორს.

28 თებერვალს საგუბერნიო სასამართლოს მიერ მმართველი სენატის ბრძანება გაცნობილ იქნა ქუთაისის სატუსაღოში მყოფ ბენედიქტე ჭირაქაძისათვის.

მმართველი სენატის გადაწყვეტილების შესახებ ცნობილ იქნას ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოსათვის, რათა აღსრულებული იქნას სენატის გადაწყვეტილება და დაუყოვნებლივ ეცნობოს სასამართლოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იყო თუ არა დამტკიცებული გუბერნიის უფროსის მიერ 1860 წლის 7 დეკემბრის განაჩენი.

ხელი მოაწერა: თავმჯდომარე – მაჭავარიანი
დაამოწმა მდივანი – მესხი
მაგიდის უფროსი – ხელმოწერა

* * *

ქცსა. ფ.21. ს.7231 ფრ.135–137

სრულიად რუსეთის თვითმპყრობელი საიმპერატორო უდიდებულესობის მოთხოვნით მმართველი უწმინდესი სინოდისა, საქართველო – იმერეთის უწმინდესი სინოდალური ბიუროს ბრძანება. მისი საიმპერატორო უდიდებულესობის ბრძანებით უწმინდესმა მმართველმა სინოდმა განიხილა საქმე ბერ ბენედიქტეს შესახებ, რომელსაც საქართველო – იმერეთის სინოდალურმა ბიურომ მიუსაჯა სასულიერო ცხოვრებიდან განკვეთა უწმინდესი ბერული წოდების ჩამორთმევით. ბრძანეს: გელათის მონასტრის ბერი ბენედიქტე, რომელიც ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი აღნიშნული მონასტრის ძარცვის საქმეში, საქართველო – იმერეთის სინოდალურმა ბიურომ გადასცა საერთო სასამართლოს.

აღნიშნული საქმის განხილვამდე მმართველმა სენატმა ყურადღება მიაქცია ეჭვმიტანილ ბენედიქტეს უწესო საქციელს, ასევე მის წინააღმდეგ საქმეში არსებულ ნივთმტკიცებებს. სენატმა განსაზღვრა მონასტრის გაძარცვის საქმეში ბენედიქტე ჭირაქაძე დაეტოვებინათ ეჭვმიტანილად.

ქუთაისის სამოქალაქო სასამართლომ აცნობა საქართველო – იმერეთის სინოდალურ ბიუროს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, ასევე გადაუგზავნა საქმის გამოძიების დროს ეჭვმიტანილის ჩხრეკისას ნაპოვნი სასიყვარულო წერილები, უხამსი ლექსები და გარყვნილების სამკურნალო რეცეპტი. აღნიშნულის შესახებ ეჭვმიტანილმა განაცხადა, რომ სასიყვარულო წერილის ავტორია სოხასტერის დედათა მონასტრის მონაზონი ელენე /ელისაბედ/ ჭუმბურიძე და განეკუთვნებოდა აზნაურ დიმიტრი კანდელაკის მეუღლეს მაიას, ხოლო წერილი კი ჭირაქაძესთან შემთხვევით მოხვდა. გარყვნილების სამკურნალო რეცეპტი დაწერილია აწ გარდაცვლილ აზნაურ გიგოლა მეძმარიაშვილის მიერ და წამოღებულია ბენედიქტესაგან, როგორც აღნიშნული დაავადებისაგან თავის დაღწევის სასარგებლო საშუალება. უხამსი ლექსები განეკუთვნებოდა მონაზონ ელენეს

და გადაწერილია ბენედიქტეს მიერ ვიღაც უცნობისაგან გამოგზავნილი ეგზემპლარიდან.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით სინოდალურმა ბიურომ 1863 წლის 5 აპრილს მიუთითა იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რომ საერო სასამართლოს მიერ გათავისუფლებული ბენედიქტე ჭირაქაძე გაგზავნილ იქნას შორეულ მონასტერში წინამძღვრის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, ასევე მას აეკრძალოს ღვთისმსახურებმა. დაევალოს უწმინდესს დარწმუნდეს ჭირაქაძესთან აღმოჩენილი უხამსი ლექსების ავტორის მონაზონ ელენეს საქციელის ავკარგიანობაში. ამის შესახებ უწმინდესმა გაბრიელმა მოახსენა, რომ: სოხასტერის დედათა მონასტრის წინამძღვარ ქრისტინეს მტკიცებით მონაზონი ელენე გამოირჩევა კარგი ყოფაქცევით და არანაირ უწესო საქციელში შემჩნეული არ არის. რაც შეეხება ლექსებს, რომლებიც ბენედიქტე ჭირაქაძესთან აღმოაჩინეს, სადაც თითქოს მონაზონ ელენეს უწესო ცხოვრებაა აღწერილი, შედგენილია თავად ბენედიქტეს მიერ მასთან უწესო ურთიერთობაში მყოფ მონასტრიდან გაძევებულ ეკატერინეს რჩევით. საქართველო – იმერეთის სინოდალურმა ბიურომ გაითვალისწინა: ეჭვმიტანილის ხელით ნაწერი უხამსი ლექსების არსებობა, რითაც გამოაშკარავდა სასულიერო წოდების ადამიანისათვის შეუფერებელი საქციელი, ასევე მმართველი სენატის გადაწყვეტილება გელათის მონასტრის გაქურდვასთან დაკავშირებით ბენედიქტე ჭირაქაძის ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ, დაასკვნა: ბერ ბენედიქტეს 1857 წელს გამოცემულ კანონთა კრებულის მე-4 ტომის 255-ე და 257-ე მუხლების თანახმად ჩამოერთვას სასულიერო წოდება, გადაგზავნილ იქნას სამოქალაქო სასამართლოს განკარგულებაში.

საქართველო – იმერეთის სინოდალურმა ბიურომ მოახსენა აღნიშნულის შესახებ უწმინდეს სინოდს, ასევე გადასცა აღმოჩენილი ლექსები და წერილები, მოითხოვა თანხმობა გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ. უწმინდესმა სინოდმა განუსაზღვრა საქართველო – იმერეთის სინოდალურ ბიუროს აღესრულებინა გადაწყვეტილება ბენედიქტე ჭირაქაძისათვის სასულიერო წოდების ჩამორთმევის შესა-

ხებ, რის შესახებაც ეცნობებინათ მისათვის წინასწარ და რაც დადასტურებულია სასულიერო წესდების 181-ე მუხლით და რომ ამიერიდან ემოქმედათ კანონის მიხედვით. ყოველივე ამის შესახებ ეცნობა საქართველო – იმერეთის სინოდალურ ბიუროს და გაეგზავნა ბრძანება 1863 წლის 6 ნოემბერს. ამის შემდეგ ბერმა ბენედიქტემ მიმართა უწმინდეს სინოდს 1864 წ. 24 აპრილს აპელაციით, რომელშიც განმარტა, რომ გელათის მონასტერში მისვლისთანავე წინამძღვარი არქიმანდრიტი ნიკოლოზი ყოველმხრივ ავიწროვებდა მას და ბოლოს დააბრალა კიდეც მონასტრის გაძარცვა. სწორედ ამ ბრალდების გამო დატოვა სენატმა იგი ეჭვმიტანილად, ხოლო საქართველო – იმერეთის სინოდალურმა ბიურომ მას წოდების ჩამორთმევა მიუსაჯა. ამ განაჩენის მიზეზი კი გახდა ჭირაქაძესთან აღმოჩენილი უხამსი ქაღალდები მაშინ, როცა ისინი ეკუთვნის არქიმანდრიტ ნიკოლოზს, ხოლო ბენედიქტემ მოიპოვა ისინი მთავრობისათვის გადასაცემად, მაგრამ ვერ მოასწრო. სინოდალური ბიუროს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ ბენედიქტემ გამოთქვა უკმაყოფილება და მოითხოვა გადაეცათ მისთვის აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ასლი. მისი ეს თხოვნა უარყოფილ იქნა, ამით კი ეჭვმიტანილს მოესპო შესაძლებლობა მის წინააღმდეგ აღძრული ბრალდების მოსახსნელად. რატომ მოთხოვა ჭირაქაძემ უწმინდეს სინოდს მიეცათ საქმისათვის კანონიერი მსვლელობა და ჰქონოდა ეჭვმიტანილს გამართლების შესაძლებლობა. სინოდალურ ბიუროში ამ თხოვნის შესახებ ცნობებში აღნიშნულია, რომ ბიუროს გადაწყვეტილება ბენედიქტე ჭირაქაძისათვის სასულიერო წოდების ჩამორთმევის შესახებ აღმოჩენილი უხამსი ლექსების საფუძველზე ცნობილი გახდა 1864 წლის 30 მარტს უწმინდესი სინოდის მიერ 1863 წლის 6 ნოემბერს გაცემული ბრძანების თანახმად ბრალდებულმა ამის შესახებ წერილობით გამოთქვა უკმაყოფილება და ვალდებული იყო 1 თვის განმავლობაში წარედგინა აპელაცია. 27 აპრილს სინოდალურ ბიუროში შევიდა ბენედიქტე ჭირაქაძის აპელაცია-თხოვნა გადაეცათ მისთვის ბიუროს აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი. 6 მაისს მან ბიუროში წარადგინა განცხადება იმის შესახებ, რომ უკ-

ვე შეტანილია აპელაცია უწმინდეს სინოდში. ამის შემდეგ ბიურომ გადაწყვეტილების ასლის გაცემაზე უარი განაცხადა. ამასთანავე დაამატა, რომ ბიურო თვლის არქიმანდრიტ ნიკოლოზის შესახებ ჭირაქაძის ბრალდებებს უსაფუძვლოდ და არასაპატიოდ.

უწმინდესმა სინოდმა აღნიშნული საქმის განხილვისას განსაზღვრა, რომ სასულიერო კონსტიტუციის 181-ე მუხლის თანახმად აპელაციები სასულიერო პირებისათვის წოდების ჩამორთმევის შესახებ უნდა წარედგინოს ეჭვმიტანილის მიერ ადგილობრივ სასულიერო მთავრობას, შემდეგ კი გადაეგზავნოს უწმინდეს სინოდს საქმის წარმოებასთან ერთად. ბენედიქტე ჭირაქაძემ გამოთქვა უკმაყოფილება საქართველო – იმერეთის სინოდალური ბიუროს გადაწყვეტილების შესახებ, ნაცვლად იმისა, რომ შეეტანა სააპელაციო გასაჩივრება 1-თვიანი ვადის ამოწურვამდე, მიმართა სინოდალურ ბიუროს მისთვის გადაწყვეტილების ასლის გადაცემის თხოვნით. მან არ მოითხოვა აღნიშნული ასლი გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე, როგორც ირკვევა მისი თხოვნიდან რატომ განსაზღვრავს უწმინდესი სინოდი დატოვოს ბენედიქტე ჭირაქაძისათვის საქართველო – იმერეთის სინოდალური ბიუროს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება დატოვოს რეაგირების გარეშე. ამასთანავე მიუთითებს სინოდალურ ბიუროს თავისი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, ასევე თხოვს გაუგზავნოს ჭირაქაძის ჩვენება მასთან აღმოჩენილი უხამსი ქაღალდების შესახებ და თავად ეჭვმიტანილის თხოვნა მისთვის გადაწყვეტილების გაცნობის შესახებ.

ორიგინალი ხელმოწერილი კრილოვის უფროსი მდივნის მიერ.
დამოწმებული მდივნის მიერ.
მდივანი – ხელმოწერა.
დაადასტურა: მაგიდის უფროსი – ხელმოწერა.

* * *

ყ~დ უსამღვდელოესო მეუფეო
მოწყალეო მწყემსმთავარო

მომეცით ნება მხიარულის გულით მოგილოცოთ ყ~დ მოწყალის ხელმწიფისაგან დაჯილდოებაი და ყურადღება სარბიელსა ზედ მწყემსმთავრულისა მსახურებისა თქუენისათვის, მრავალგზის მასმინოს ღმერთმან თქუენის მეუფების კეთილწარმატებაი და სიმართელით სუფევაი, ნუგეშად სამწყსოისა თქუენისა რომელი სულმან წმიდამან მოგანდოთ, რათა გამოზდიდეთ მათ საძოვართა სამღმრთოისა სწავლისა თქუენისა და დაატკბობდეთ ტკბილთა მოძღვრებითა თქუენისა ღ-ის მეტყუელებისათა წყალსა ზედა განსუნებისას...

ყ~დ უსამღვდელოესო მეუფეო! ვესწრაფვი მოხსენებად გელათის ნივთების გარემოებასა ზედა, რა გიახელით მე და ივან ივანიჩი ახალციხეს. აქ ორი სომეხი აქაურნი ვაჭარნი გიახლნენ ჩუენთან და მოგვახსენესთ, რომ იმათ აზრუმს ენახათ გელათის გამტეხნი და ნამდვილად შეეტყოთ თუ ნივთები ვის მოხვდათ და დღესაც იციან სადაც საცეცხლური ჰკიდია, ვინ ბარძიმფეშხუმი დაამტვრია და ოქროები ვის აქვს; ჩვენ მრავალგზის გამოვკითხეთ დაწვლილებით რომ არ შევიქმნეთ დატყუებულნი, ფიცით აღგვითქვეს, უკეთუ ამაზედ მთავარმა ყურადღებას... ესრეთ, რომ იქაურმა ჩუენმა კონსულმა ჟაბამ არ იცოდეს, რადგან იმისი პერევოდჩიკები ურევიან ამ საქმეში და იმათაც მიხვდათ ნაწილი გელათის ნივთებისა. ეს საქმე არ უნდა იცოდეს არც თ. დომბროვსკიმ, რადგან ამასაც ეს კაცები დაულახავს, როდესაც მოუხსენებიათ გელათის გარემოება და ამათი მიცემული განცხადება ჩაულუპამს განზრახვით. ამ საცოდავებმა გუშინ საიდუმლოთ ბორჯომს წავიდნენ და ღენერალ-ღუბერნატორს თავის საქმეზედ და ამაზედაც არზა მიართვეს და იხვეწებიან თქვენის მეუფების მხრით შემწეობას.

მე ასე ვსჯი ამ საქმისათვის, ნუ დაიშურებს თქუენი მეუფება გაენათის მონასტრისათვის ნურც შრომას და ნურცღა მცირედსა ხარჯსა ეკლესიისაგან. ის კაცები, როგორც

საზოგადოებისაგან საიდუმლოთ გამოვკითხე არიან სანდონი და სრულიად ნურც იმათზედ ივან ივანიჩიც წავატანოთ და გაენათის ღთ-ის მშობლის მეოხებით იმოქმედონ და იქნება ინებოს ღმერთმან არ დაჰფაროს დიდის ხნით მართლმადიდებელთაგან პატივცემულის ხატის განძარცვაი და თქუენის მღველმთავრობის დროს განბრწყინდეს საქმე სიხარულევანი ყოველთა მარლმადიდებელთათვის და თითქმის სასწაულიც იქმნება ამ საქმის აღმოჩენა. ნუ დაიშურებთ თქუენს მოწყალებას ამას ზედა მეუფეო ჩემო და ეკლესიათათვის, რწმუნებელთა თუქენის მწყემსმთავრულის კვერთხისადმი, კეთილმზრუნველი და მლვიძარებით ზედა მდგომელო, ეს საქმე სხვა საქმეს არა ჰგავს.

დავშთები თქუენის ყ~დ უსამღვდელოესობის, მოწყალის მწყემს მთავრისა ჩემისა მორჩილი მოსამსახურე დეკანოზი გიორგი გამრეკლოვი

ივ^ს ივლისს ჩყ ე წელს

ქ. ახალციხე /1865 წ/.

* * *

ქიმ. N561

მიღებულ არს ამა წლის აპრილის 15-ს რიცხვით გაენათის მონასტრის წინამძღვარს არხიმანდრიტს სერაპიონს.

განკარგულებისამებრ უწმინდესის სინოდის კანტორისა, 31 იანვრიდგან 1878 წ. N571, ძველი წარჩინებული ტყავის სახარება, რომელიც იყო სვანეთში ბერძნულ ენაზედ დაწერილი, იგზავნების გაენათის მონასტერშიდ. ამისთვის მოგიწერ: 1-ად მიღებისათვის მისისა გამოგზავნოთ სარწმუნო პირი და მომახსენოთ, 2-ედ ჩაწეროთ იგი მონასტრის ქონების სიებში ამა შენიშვნით როდის და ვისგან და რისთვის გამოგზავნილ არს, 3-ედ დაიცვათ იქ სუფთად, წმინდად, მშრალ ადგილზე და ხშირათ არავის აჩვენოთ, გარდა საპატიო კაცთა.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთის

10 აპრილს, 1879 წელსა.

* * *

ქიმ.529

19-ს ოქტომბერს მივიღე 1878-ს წელს
გელათის მონასტრის წინამძღვარს
არქიმანდრიტს სერაპიონს.

როგორც სჩანს კანტორის უქაზიდგან N4000, იმერეთის ვიკარნის ბესარიონს მოუხსენებია კანტორისთვის სხვათა შორის ისიც, ვითმოც გელათის სახარება, რომელიც გადაკრა გრაფმა პანინმა სხვათა თანა ნივთებთა მათ, ბესარიონმა ეპისკოპოსმა. განა დასწრებოდა მაშინდელის კაზნაჩეირაია ღვდელმონაზონი დანიელისა მომიტანა მე ქუთაისს გასაშინჯავათ ვითმოც თანახმად და აღსასრულებლად ჩემი მოწერილობისა და შემდგომათ გაშინჯვისა უბრძანე მე მას და მღვდელმონაზონს დანიელს მოტანა იმა სახარებისა ღრაფ ლევაშოვისათვის.

მოგიწერ თქვენ ამაზედ ჩამოართვათ ჩვენება ღვდელმონაზონს დანიელს და ხვალვე წარმომიდგინოთ მე, მართლად იყო ჩემი ამაზედ მოწერილობა თუ არა, ესე იგი მართლა მოიტანეს მათ და მაშინდელმა არხიმანდრიტმა ბესარიონმა ის სახარება ჩემთან და ჩემი ბრძანებით მიუტანეს ღრაფინია ლევაშოვს თუ არა.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა.

* * *

ქიმ. N1871

19 ივლისი 1904წ. მის ყ~დ უსამღვდელოესობას
იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდეს გაენათის არხიმანდრიტის სერაფიონისაგან

რ ა პ ო რ ტ ი

დღეს, მწუხრის ლოცვის დროს ექვსს საათზედ, როცა ვლოცულობდით, მონასტერს დაეცნენ შვიდი შეიარაღებული ავაზაკნი, რომლებმაც წაიღეს დავით აღმაშენებლის ბეჭ-

ედი, ერთი ოქროს ბარძიმი, ორი ვერცხლის ბარძიმი და ფულიც. კრუჟკები დაამტვრიეს და დაცალეს. ჩვენ კრებული დაგვიჭირეს და იატაკზედ დაგვახეთქეს თავდაღმა და დაგვადგენ თავზედ ბერდენკებით, ხანჯლებით. ზეით არ აგვახედეს ვინემ ესეები არ წაიღეს. ამათ გარდა გარეთაც იყვნენ, როგორც სოფლელები ამცხადებენ და შიგნით არავინ შემოვიდესო. გარეთ იყო სასტიკი ბერდენკის სროლა.

უმორჩილესად მოვახსენებ თქვენს მეუფებას

წინამძღვარი გაენათის მონასტრისა არხიმანდრიტი სერაფიონ.

* * *

ქიმ.N1875

მის მაღალ ღირსებას წინამძღვარს გაენათის მონასტრისა არხიმანდრიტს სერაფიონს ამა მონასტრის კრებულისაგან განცხადება

გუშინდელმა ავაზაკების ლოცვის დროს თავსდასხმამ და ჩვენი სასიქადულო დიდებულის მონასტრის გაძარცვამ იმდენათ შეგვაძრწუნა და შეგვაშინა, რომ გვიჭირს და ვშიშობთ ჩვეულებრივით ლოცვას. მონასტერშიდ მისთვის კი არა, რომ ჩვენ ამოგვწყვეტენ, არამედ შეიძლება კიდევ განიმეორონ ესრეთი თავდასხმა და თუ რამე გადარჩა გუშინდელ გაძარცვას, კვლავ გაგვიცარცვონ მონასტერი.

ამისთვის ვთხოვთ თქვენს მაღალ ღირსებას გვიშუამდგომლოთ ვის და მიც ჯერ არს, რომ სტრაჟების პოსტი, რომელიც არის დანიშნული გელათის სტანციაზედ იქნეს გადმოტანილი მონასტერში იმ წესით და რიგით, როგორც დღეს იქ არიან, ხოლო ჩვენ მონასტრის საშუალებით მივსცეთ მათ ბინა წესიერი.

იღუმენი სოფრონი მღვდელმონაზონი ანთიმოს, იკონომოსი, მღვდელმონაზონი დოროთე, მღვდელმონაზონი მათე, მღვდელმონაზონი დანიელი, მღვდელმონაზონი ილარიონი, იეროდიაკონი იოსებ, მორჩილი იერემია დათიაშვილი.

23 ივლისი 1904 წ.

განცხადებას ამას წარვუდგენ მის ყდ უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდეს, ვსთხოვ მის მეუფებას ამ გადაწყვეტილებისამბერ გვიშუამდგომლოს ვის და მიც ჯერ არს, სტრაჟების დანიშვნაზედ, რათა მეორეთ არ იქნეს განმეორებული ესრეთი თავდასხმა მონასტერზედ.

წინამძღვარი გაენათის მონასტრისა არხიმანდრიტი სერაფიონი.

21 ივლისი. 1904 წ.

* * *

ქიმ.N1889

ეპისკოპოს ლეონიდეს
რ ა პ ო რ ტ ი

უმორჩილესად მოგახსენებ თქვენს ყ~დ უსამღვდელოესობას, რომ წუხელ რვა საათზე დაეცნენ გელათის მონასტერს ავაზაკები და ასტეხეს ხშირი სროლა სამის მხრიდან: განსვენ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახლის ქვეითიდამ, ტყიან ქედიდამ ძველი ეკლესია, რომ არი სოფლისა და ბოლოს საფუტკრიდამ ჭის კარის პირდაპირ. სროლაზედ პირველად უპასუხა მონასტრის ყარაულმა არსენ კეზევაძემ და მეორე შიგ მდგომმა სტრაჟნიკებმა, რომელთაც მეტად დიდი სამსახური გაუწიეს მონასტერსა და გადაარჩინეს უეჭველს უბედურებას თავდაუზოგველად. იმ წამსვე ტელეგრამით ვაცნობე მაზრის უფროსს, ამასობაში გაიგო სოფელმაც და ნახევარი საათის შემდეგ მცხოვრებნი უკვე შეგროვდენ ეზოს შიგნით და გარეთ შეიარაღებულნი, თერთმეტ საათზე სტრაჟნიკებიც მოვიდნენ ქუთაისიდამ თორმეტი კაცი და რამოდენიმე ხნის შემდეგ მათ მოჰყვა თანაშემწე მაზრის უფროსისა და ერთი პარტია მაშინათვე გაეგზავნა მოწამეთის მონასტერში, ხოლო რაკი დარწმუნდა რომ გელათს შიში აღარ მოელის, მისცა შესაფერისი განკარგულება და თითონაც ღამის პირველ საათზე წავიდა. დანარჩენმა ღამემ მშვიდობიანათ ჩაიარა, კაცს უბედურება არავის შემთხვევია.

რამდენადაც შეიძლება გამოცნობა განზრახვა ავაზაკებისა ის იყო, რომ სტრაჟნიკები გარეთ გაეტყუებინათ ქე-

დზე სროლით, რომ ჭისკართან ჩასაფრებულთ ესენი დაეხოცათ და თითონ კი შიგნით შეცვივნულიყვნენ ბოროტმოქმედებისათვის, ამიტომ პირველად ქედიდამ ასტეხეს სროლა.

ძმებში მონასტრის ერთგულება გამოიჩინეს მღვდელმონაზონთ მათემა და მიხეილმა და მორჩილმა დავით გიორგაძემ, რომელთაც გაბედეს და თავიანთ სენაკებიდან გამოვიდნენ და ზოგი ეკლესიას ურბენდა და ზოგიც მე დამდევდა და ყოველას განკარგულებას ფიცხლე ასრულებდნენ. იკონომოსი ანთიმოზი ფხიზლად იყო, მხოლოდ შიშისაგან უმოქმედობდა. ჩემგან ზომებია მიღებული, რომ მუდამ მზათ ვიყვნეთ ამ გვარ შემთხვევისათვის და დანარჩენს ბერებსაც ებრძანათ, რომ ისინიც ეგრე ერთგულად და ღირსეულად მოიქცნენ, როგორც დანარჩენი ზემოთ ნაჩვენები მათი ძმები.

მოგახსენებთ რა ამას, უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს ყ~დ უსამღვდელოესობას, ვისაც აქ აღნიშნულ პირთაგან ღირსთა სცნობთ, მღვდელმთავრული მადლობა უბრძანოთ და თქვენის მხრივაც რჩევა-დარიგება გვიბოძოთ.

გაენათის წინამძღვარი ნიკოლოზ არხიმანდრიტი

* * *

ქიმ. N1879

„გელათში 1904 წლის გაძარცვისას მღვდელმონაზონმა მათემ „გარდა ამისა 19 ივლისს 1904 წ. როცა გაენათის მონასტერს ავაზაკები დაეცნენ და გაცარცვეს რამოდენიმე ნივთი, იგი შემოსილი არ დაერიდა შეიარაღებულ მძარცველებს, გამოუხდა გარეთ და დაიწყო ძახილი და ზარის რეკა. რომელსაც რამოდენჯერმე ბერდენკა კიდეც ესროლეს /და ამის ხმაზედ მოვიდა ხალხი გადაშლილი/ გარედან ზარის ხმაზე და ბერდენკის სროლამ სალაროში მყოფი მცარცველები შეაშინეს და გაიქცენ. ამის მიზეზათ მონასტერს რამოდენიმე ნივთეულობა დარჩა".

* * *

ქიმ. N1891

გაენათის იკონომოსს მღვდ. ანთიმოზს

წუხელის რვა საათზე გელათის დიდებულს მონასტერს, რომლის კალთებსაც შემოვფარებივართ ჩვენ ყველანი და რომლიდანაც საზდოობს თვითეული ჩვენთაგანი, დაეცნენ ავაზაკები, დაუწყეს საშინელი თოფის სროლა სამის მხრიდამ იმ განზრახვით, რომ სტრაჟნიკები გარეთ გაეტყუებინათ და თითონ კი შემოცვენილიყვნენ.

იმ დროს, როდესაც ეს გუშაგნი თვით უცხო ტომისანი ასე თავგამოდებით იცავდნენ ამ ჩვენის ეროვნების დიდებასა და სიამაყეს და არავითარ შიშსა და საფრთხეს არ შეუდრკენ, მონასტრის ძმები სენაკებში იყვნენ და შიშს იქ მოელოდენ დამალულნი და არა ეკლესიასთან, იმის კარების წინ მაგალითისამებრ ძველის ბერებისა; ჩვენ თუ რაიმე შიში მოგველის, სენაკებში კი არ უნდა დავიმალნეთ, ეკლესიის კარებ წინ უნდა დავიხოცნეთ სიწმიდეთა დაცვაში, სიკვდილმა სენაკებში არ უნდა გვისწროს ჩვენდა შესარცხვენად და ხალხისათვის სალაპარაკოთ, რომ ბერებით ავიანთ თავს უფრთხილდებიან და ქვეყნისაგან და ღვთის მობარებელი მონასტერი ავაზაკთ მიანებეს გასაცარცვადო. არავითარი თავის მართლება არ შეიძლება იმით, რომ მონასტერს ყარაულები ჰყავს: კაცს სამი ტყვია ეყოფა და მათი თავდადება ჩვენს /.../

ვერ გაანთავისუფლებს მოვალეობისაგან და პასუხისმგებლობისაგან წინაშე ღვთისა და ხალხისა და იმათი, რომელნიც გვენდნენ და მოგვანდეს მონასტერი დაცვისათვის და არა ყაჩაღთაგან გაცარცვისათვის. ამგვარი ნდობა და მოვალეობა აღასრულეს მღვედმონაზონთ მათემ და მიხაილმა და მორჩილმა დავით გიორგაძემ, რომელნიც გამოვიდნენ სენაკებიდან და ზოგი ეკლესიას ურბენდა, ზოგი ჩემს განკარგულებას ასრულებდა. ამისათვის სიყვარულით მადლობას ვუცხადებ სამივეს; ხოლო, რომ შემდეგში აღარ განმეორდეს ამგვარი რამე, როდესაც საერთო შიში მოელის

მონასტერს, კრებულითურთ მოგიწერ გამოუცხადო ყველა ძმებს და სასტიკად აღასრულონ შემდეგი.

1/ თუ კიდევ განმეორდა ასეთი თავდასხმა, რაიცა მოსალოდნელია ამ არეულ დროში და განსაცდელია მოსასვლელი, არავინ ძმათგანი არ დარჩეს მარტო თვის სენაკში, არამედ შეიკრიბნენ ან წინამძღვართან და ანუ ეკონომოსთან, ვინც როგორც მოახერხებს და როდესაც საჭირო შეიქმნება ყველამ თავი გამოიდოს. სიკვდილისა ნუ შეგეშინდებათ, თქვენ თქვენი მოვალეობა აღასრულეთ და თვით უფალი უხილავად გამოგიჩენთ საფარველს, ხოლო ვინც სიკვდილს გაექცევა ამისთანა საქმეში, იგი ღალატობს ყველაფერს და ღირსი არ შეიქმნება საფარველისა.

მე ვერ მოვიფიქრებდი, თუ 1904 წლის 19 ივლისიდამ რომელიმე ძმათგანი თავსღა გაიმეტებდა, როდესაც მონასტერს ასეთი განსაცდელი დაატყდებოდა, მაგრამ ნამდვილად ასე მოხდა და მათდამი ჯერ საყვედური მეთქმის და მერე დარიგება და /2/ ჭიშკარი მუდამ დაკეტილი იყოს. შემოსასვლელი მხოლოდ ზარათი გაუღონ კარები. თუ რამდენიმე მლოცველი ერთად შემოვიდა და ეკლესიის გაღება მოითხოვეს, ეკონომოსმა გაუღოს ერთი სტრაჟნიკის თანხლებით ყარაული არსენ კეზევაძე აღარაფრის დავალებით აღარ გაიგზავნოს მონასტრის გარეთ. აღარც თვითონ სადმე წავიდეს /3/ ცისკარი საღამოს ლოცვა იწყებოდეს და სრულდებოდეს მუდამ წმ. გიორგის ეკლესიაში; იწყებოდეს სამ საათზე და თავდებოდეს ხუთზე, ან ისე რომ ხშირმა ბინდმა არ წამოუსწროს და იმ დახშირებულ ბინდში ეკლესიის კარები დაკეტილი არ იყოს; ამისთვის პარაკლისები სრულდებოდეს სენაკებში, გარდა კვირა-უქმე დღეებისა და სხვა დღესასწაულებისა; ხოლო თვით ცისკარი აღსრულდებოდეს დაბეჭდილ წიგნებით უჟამანგულანოთ, ვიდრე ასეთი შიში იქნება. ჯანყიან-ბურუსიან დღეებში ლოცვა და ცისკარი სრულდებოდეს სენაკებში, რომ ავაზაკებმა წინანდელი ხერხით არ ისარგებლონ, ამ შემთხვევაში შეიძლება საძმო დაიყონ და ვისაც ვისთანაც უნდა ერთად აღასრულონ საცისკრო ვედრება. ნიშანი იმის, რომ ჯანყიან-ბურუსიანი საღამოა და ეკლესიის კარები არ გაიღება იქნება სამჯერ ზარის ჩა-

მორეკა და ამას აღასრულებს იკონომოსი, ან ის ვისაც იგი დაავალებს თვით ლოცვის ჟამის დროს. ხოლო წირვა კი სრულდებოდეს მუდამ ჩვეულებისამებრ იმავე ეკლესიაში.

წაკითხვის შემდეგ ხელმოწერილი ძმათგან უკანვე წარმომიდგინეთ მოწერილობა ესე.

გაენათის წინამძღვარი ნიკოლოზ არხიმანდრიტი.
1905 წ. ნოემბრის 5 დღესა

* * *

ქიმ. N3308

ო ქ მ ი

1919 წლის 23 ივანობისთვეს თანახმად სამიტროპოლიტო საბჭოს მოწერილობისა 18 ივნისიდან ამავე წლის N2458; ჩვენ საბჭოს წევრებმა: დეკანოზმა თომა დუგლაძემ და სამსონ გიორგის ძე ყიფიანმა ადმინისტრაციის წარმომადგენელის ალექსანდრე შენგელიასთან ერთად და გელათის მონასტრის არხიმანდრიტის ნიკოლოზის და ამავე მონასტრის დროებით მმართველის მღვდელმონაზვნის ზენონის თანადასწრებით გავაღეთ ლუქით დაბეჭდილი გელათის მონასტრის ტაძრის კარები და ხალამბარა. ბეჭდები ორივე ადგილას ხელუხლებელი აღმოჩნდა: შევამოწმეთ ხალამბარა და აღმოჩნდა შემდეგი ნივთები და ფული:

ნივთები: საარხიმანდრიტო ჯვარი კოლოფში, ასეთივე ერთი ჯვარი, რომელსაც აქა-იქ სამკაული ქვები აკლია. ერთი ძველი სანაწილე ხის კოლოფი, რომელზედაც ბევრ ადგილას ნაწილები აღარ არის. ერთი ლითონის სანაწილე თავის ძენწვით და შიგ სხვადასხვა ნაწილები ქაღალდში შეხვეული, რომელ ნაწილებზედაც წარწერა იუწყება ასე: „ქ. ემმანუილ...“ და სხვა. ერთი სამღვდელო ჯილდოს ჯვარი, ერთი ვერცხლის სანაწილე მღვდელმონაზვნის თეოდორეს შეწირული, ორი სანაწილე ვერცხლის სხვა და სხვა ზომის; ერთზე ღვთისმშობლის და წმ. გიორგის ხატია ამოჭრილი, მეორე პატარაზე – ღვთისმშობლისა. ერთი პატარა ხატი ხეზე გადაკრული ლითონის, ხათქზე მომძვრალი ოქროს ნატეხი

ხუთჭვიანი, სანათლავი ოქროს ჯვარი წარწერით კიდევ პატარა სანათლავი ჯვარი ვერცხლის წარწერით პატარა ოქროს ჯვარი ქვებით შემკული და ჯვარზე მოტეხილი სამკაული ქვებით /6 ქვა/, 18 წვრილი მარგალიტი ცხვირსახოცში გახვეული. 1 ოქროს სიმი ათ რგოლად ხვეული. ვერცხლის სიმები და სხვა და სხვა ზომის ვერცხლის აკვნები; ერთზე ბეჭედია მიკრული, ესენი ქაღალდშია გახვეული. 2 ოქროს მედალიონი, იმათგან ერთს აქვს ორი თვალი. ერთი ბროშკა ჯვარზე დაკიდებული სამი თვალით, ოქროსია ბროშკაც და ჯვარიც. 4 თავი შანდლის მოწყობილობა ვერცხლის. 2 ვერცხლის მძივი სინაზე წამოცმული. 48 ცალი რუსის ვერცხლის წვრილი ფული, მათ შორის ერთი მანეთიანია და ერთიც ათ შაურიანი. ორი უცხოს ქვეყნის წვრილი ვერცხლის ფული. ერთი ჯვარი ანდრიას ეკვდერიდან გამოტანილი, ძველი ხელოვნების და იშვიათი ქვებით შემკული. ერთი ბარძიმი; ფეშხუმი, კამარა და კოვზი ვერცხლის. ერთი უბრალო ზეთის სასანთლე ძეწკვით. დამტვრეული სასანთლე ვერცხლის, ამის შესახებ ცნობის ბარათი აქვეა ჩადებული, 1 ღრუბელი, 5 ნაჭერი ხატის პერანგის ნატეხი /პატარები/, შემოწირული ვერცხლის სიმები და ვერცხლის აკვნები სხვა და სხვა ზომის. 1 პატარა სანაწილე, შიგ აწყვია ბარძიმი, ორი კოვზი და ორი პატარა სიწმინდის კოლოფი და ყველა ესენი მოოქრული ვერცხლია. 1 შავი სევადიანი ვერცხლის სანაწილე. სპიჩკის კოლოფში 37 თათრული ფარა ძველი. ძაფზე აცმული წვრილი მარგალიტები შემოწირული, ქაღალდში გახვეული და მასთან ხატებზე მომძვრალი წვრილი და სხვილი მარგალიტები სიმებზე აცმული და ქვები და ხატებზე მოვარდნილი თვლები და ქვები და წვრილი ვერცხლის ნატეხები, ერთს უბრალო სანაწილეში მოქცეული, მათ შორის ერთი პატარა ღვთისმშობლის ვერცხლის ხატი. შესამოსელზე მომძვრალი ჯვარედინი ძვირფასი თვალმარგალიტით ნაქარგი, ესეც იმავე სანაწილეში. 2 ვერცხლის ბალთი; ორი ცხვრის რქებზე საცმელი სალტი. 26 ნატეხი ვერცხლის ხატის პერანგისა, მათში უბრალო ლითონისა ქაღალში გახვეული ზონრით შეკრული. ერთი შეკვრა თითის ბეჭდები რიცხვით 21, მათში ზოგი ოქროსი, ზოგი ვერცხლის და ზოგი

უბრალო ლითონის სხვა და სხვა ზომის. ერთი ძველებური გვირგვინის ნატეხი ოქროსი. 1 პატარა თხელი ვერცხლის ხატი, უწვერო სანაწილე, ვერცხლის კოვზი. 1 პატარა ხავერდის ქალის საფულე, 2 საყურე, 2 ბეჭედი ფირუზის თვლებით, ოქროსია. 1 დიკორი, 1 ენრიკორი, 1 კვერთხი სპილოს ძვლით შემკული. 1 მაცხოვრის უბრალო ხის, 2 რგოლის ძველებური გვირგვინი. 1 რიპიდის ხატი ვერცხლით მოჭედილი ტარი. 1 დამტვრეული კვერთხი სპილოს ძვლით და სადაფით მოჭედილი. 1 უბრალო მიტრა. 1 მოქარგული უბრალო ოლარი. ერთი ძველი ლახვარი სპილოს ძვლის ტარით. 1 სახარება რუსული ხელობისა უბრალო. 5 სპილენძის შაურიანი, 3 სამკაპიკიანი, 1 ვერცხლის აბაზიანი, 1 სამშაურიანი, 1 ეგვიპტის ფარა. ერთი ვერცხლის რგოლი ბეჭედი. 1 ვედრების ღვისმშობლის მაცხოვრით, დიდი ძვირფასი ხატი.

ფული აღმოჩნდა ექვსი ათას შვიდას ორმოცდაცამეტი მანეთი და 53 კაპ. ამათგან ძველი რუსული ხუთასიანი, ასიანი 14, ხუთთუმნიანი 2, ოცდახუთიანი 3, თუმნიანი 33, ხუთმანეთიანი 39, სამმანეთიანი 72, მანეთიანი 879, ვერცხლის ფული წვრილი 30 მანეთის. სპილენძის ათი მანეთის და 49 კაპიკის. რუსეთის ახალი ფული /კერენსკის/ ოცდახუთთუმნიანი 1, ოთხთუმნიანი 1 და ორთუმნიანი 1200 მანეთის და ერთი თუმანი როსტოვ-დონის რესპუბლიკის, ჩვენი ბონები /2350მ/ ორი ათას სამას 50 მანეთის.

ნივთების აღწერისა და ფულების მიღების შემდეგ მონასტრის და ხალამბრის კარები დაიკეტა და ლუქით დაიბეჭდა ქუთაისის საბლაღოჩინოს ბეჭდის და მონასტრის ბეჭდის დასმით.

დედანთან სწორია, მას შინა ხელს ვაწერთ:

იმერეთის სამიტროპოლიტი საბჭოს წევრნი

დეკ. თ. დუგლაძე

ს. ყიფიანი

ა. შენგელია

დავესწარი და ხელს ვაწერ და ამასთან ვადგენ ჩემს წერილობით აზრს და განცხადებას გელათის არხიმანდრიტი ნიკოლოზი გაენათის მონასტრის დროებითი მმართველი მღვდელ მონაზონი ზენონი.

* * *

ქცსა. ფ.21. ს.27642

ოქმში შესატანი განცხადება

1918 წლის აპრილის თვეში შიშიანობის გამო, ანტონ მიტროპოლიტის განკარგულებით და თანდასწრებით მონასტრის ძვირფასეულობა იქმნა გადამალული და ეკლესია გაუღებლივ დაკეტილი, ხოლო კლიტეები იმ დღიდან მე ჩავიბარე, გარდა ორისა, რომლებიც დარჩნენ ერთი სამხრეთ კარისა მღვდელმონაზონ ზენონის ხელში და ერთი ჩრდილოეთ გარე კარისა დარაჯ ერმილე გელაძის ხელში.

1919 წელს მღვდელმონაზონმა ზენონმა შეიტანა სამიტროპოლიტო საბჭოში რაპორტი, რომელშიც საჩივრის გვარად აღნიშნა, რომ ხარლამბარში დარჩენილ ნივთებს და ფულს რაღაცეები უნდა აკლდეს. სამიტროპოლიტო საბჭომ დანიშვნა ოთხის თვისის წევრებისაგან კომისია საქმის გამოსაძიებლად. 9 თებერვალს კომისიამ ხარლამბარა გახსნა, ფული ანგარიშისამებრ სწორი აღმოჩნდა, ხოლო ნივთები, თვალმარგალიტი გაასინჯვინა თვით მღვდელ მონაზონ ზენონს. მამა ზენონმა ყოველივე ამოალაგა, სადაც რამ შენახული ჰქონდა, თავის ხელით დაათვალიერა და განაცხადა, რომ ყველა ნივთი და თვლები უკლისად თავის ადგილზედ იმყოფებაო და ამაზედ შედგა ოქმი. ხარლამბარა ხელმეორედ იქნა დაკეტილი და საბჭოს კომისიისაგან ბეჭედდაკრული, ეგრეთვე თვით ეკლესიაც. ხოლო კლიტეები რაც არის ხარლამბარასი ამ ეკლესიის შიგნით თუ გარეთ კარებებისა ჩაიბარა სულერთიანად საბჭოს კომისიამ, ხელში შერჩა მხოლოდ ერმილე გელაძის თავის ნაქონი კლიტე და ამასთანავე როდესაც მოვითხოვე, რომ მღვდელ მონაზონ ზენონსაც ჩამოერთვას ეკლესიის გასაღებები, მას ხელთ აღმოაჩნდა დიდი ეკლესიის შიგნით შემავალი კარის გასაღები მეორე ცალი. ამის შემდგომ რამოდენიმე ხნის უკან გაზეთ „სოციალ-დემოკრატში", რომ ხარლამბარიდან დაკარგულია რამდენიმე ნივთები. ასეთ გარემოების გამო, ხარლამბარა აღარ უნდა გახსნილიყო საქმის გამორკვევამდე. თვრთ შემ-

ოწმება ძვირფასეულობისა უნდა მოხდეს არა უბრალო აღნიშვნით, არამედ არქეოლოგების და თვალმარგალიტების მცნობ პირების თანდასწრებით, ძველ სიებთან შეფარდებით. ამასთანავე, რაც ძვირფასი რამ არის დაშლილი, აწერვის გარდა უნდა იყოს აწონილი და თავის წონის აღნიშვნით ცალკე ფუტლიარებში დაცული, ხოლო სხვებიდან უნდა იქმნეს გადაღებული ფოტოგრაფიული სურათები. ამასთანავე აღვნიშნავ, რომ მღვდელს ამბროსი ფოფხაძეს და იღუმენს დომენტი გიორგაძეს ჩემის ნებადართვით მღვდელმონაზონ ზენონისაგან წაღებულები აქვთ ნათხოვრობით ხელწერილ ქვეშ ჯილდოს ჯვრები. წინადადება მიეცეს მღვდელმონაზონ ზენონს, რატომ ხარლამბარაში არ ინახება ეს ხელწერილები და სადაც აქვს დააბრუნოს.

გელათის არქიმანდრიტი ნიკოლოზი
1919 წ. ივნისის 23

* * *

ქცსა. ფ.21. ს.27642122

ოქმი

1919 წელსა 29 ივნისს თანახმად სამიტროპოლიტო საბჭოს მიწერილობისა 18 ივნისიდან ამავე წლის N2456, ჩვენ საბჭოს წევრებმა: დეკანოზმა თომა დუგლაძემ და სამსონ გიორგის ძე ყიფიანმა, ადმინისტრაციის წარმომადგენელთან შენგელიასთან ერთად და გელათის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ნიკოლოზის და ამავე მონასტრის დროებითი მმართველის მღვდელ მონაზონის ზენონის თანდასწრებით გავაღეთ ლუქით დაბეჭდილი გელათის მონასტრის ტაძრის კარები და ხარლამპარა. ბეჭდები ორივე ადგილას ხელუხლებელი აღმოჩნდა. შევამოწმეთ ხარლამპარა და აღმოჩნდა შემდეგი ნივთები და ფული.

ნივთები: საარქიმანდრიტო ჯვარი კოლოფში, აგრეთვე 1 ჯვარი, რომელსაც აქა-იქ სამკაული ქვები აკლია, ერთი ძველი სანაწილე – ხის კოლოფი, რომელშიდაც ბევრს ადგილას ნაწილები აღარ არის, ერთი ლითონის სანაწილე თავის

ძეწკვით და შიგ სხვადასხვა ნაწილები ქაღალდში გახვეული, რომელ სანაწილეზედაც წარწერა იწყება ასე: „ქ. ემმანუილ“ და სხვა, ერთი სამღვდელო ჯილდოს ჯვარი, ერთი ვერცხლის სანანილე სხვა და სხვა ზომის – ერთზედ ღვთისმშობლის და წმ.გიორგის ხატია ამოჭრილი, მეორე პატარაზე – ღვითსმშობლისა, ერთი პატარა ხატი ხეზე გადაკრული/ ერთ ხატზე მომძვრალი ოქროს ხუთქვიანი ნატეხი, ერთი სანათლავი ჯვარი ოქროს წარწერით:

კიდევ პატარა სანათლავი ჯვარი ვერცხლის წარწერით, ერთი პატარა ოქროს ჯვარი ქვებით შემკული და ჯვარზე მოტეხილი სამკაული ქვებით /6 ქვა/, თვრამეტი წვრილი მარგალიტი ცხვირსახოცში გამოხვეული, ერთი ოქროს სიმი ათ რგოლათ ხვეული; ვერცხლის სიმები და სხვა და სხვა ზომის ვერცხლის აკვნები – ერთზედ ბეჭედია მიკრული და ესენი ქაღალდშია გახვეული, ორი ოქროს მედალიონი, იმათგან ერთს აქვს – ორი თვალი, ორი ოქროს საყურე ქაღალდზე დაკიდებული. თითოეულზე ორ-ორი თვალი, ერთი ბროშკა ჯვარზე დაკიდებული სამი თვალით – ოქროსია ბროშკაც და ჯვარიც; ოთხი თავი შანდალის მოწყობილობა ვერცხლის, ორი ცხვრის რქაზე წამოსაცმელი ვერცხლის რგოლი, ორი ძველი ეჟვანი ვერცხლის, რვა ცალი ვერცხლის პერანგის ხატის ნატეხი, ორი ვერცხლის მძივი სინაზე წამოსაცმელი, ორმოცდარვა ცალი რუსის ვერცხლის წვრილი ფული, მათ შორის ერთი მანათიანი და ერთი ათ შაურიანი, ორი უცხო ქვეყნის წვრილი ვერცლის ფული, ერთი ჯვარი ანდრიას ეგვტერიდან გამოტანილი, ძველი ხელოვნებისა და იშვიათი ქვებით შემკული ერთი ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი ვერცხლის, ერთი უბრალო ზეთის კანდელი – სასანთლე ძეწკვით, დამტვრეულლი სასანთლე ვერცხლის და ამის შესახებ ცნობის ბარათი იქვეა ჩადებული, ერთი ღრუბელი, ხუთი ნაჭერი ხატის პერანგის ნატეხი/პატარეები/, შემოწირული ვერცხლის სიმები და ვერცხლის აკვნები – სხვა და სხვა ზომის, ერთი პატარა სანაწილე, შიგ აწყვია: ბარძიმი, ორი კოვზი, ორი პატარა სიწმინდის კოლოფი და ყველა ეს მოოქრული ვერცხლია, ერთი შავი სევადიანი ვერცხლის სანაწილე, სპიჩკის კოლოფში 37 თათრ-

ული ფარა, ძაფზე აცმული წვრილი მარგალიტები შემოწირული, ქაღალდში გახვეული და მასთან ხატებზე მომძვრალი წვრილი და სხვილი მარგალიტები სიმებზე აცმული და ქვები და ხატებზე მოვარდნილი ქვები და თვლები და წვრილი ვერცხლის ნატეხები – ერთ უბრალო სანაწილეში მოქცეული, მათ შორის ერთი პატარა ღვთისმშობლის ვერცხლის ხატია, შესამოსელზე მომძვრალი ჯვარედინი ძვირფასი თვალმარგალიტით ნაქარგი, ესეც იმავე სანაწილეში, ორი ვერცხლის ბალთი, ორი ცხვრის რქებზედ მონაჭედი ვერცხლის სალტი, ოცდაექვსი ნატეხი ვერცხლის ხატის პერანგისა და მათში უბრალო ლითონისა ქაღალდში გახვეული ზონრით შეკრული ერთი შეკვრა თითის ბეჭდები რიცხვით 21, მათში ზოგი ოქროსი, ერთი ძველებური გვირგვინის ნატეხი – ოქროსი, ერთი პატარა თხელი ვერცხლის /.../ ერთი ვერცხლის სანაწილე კოჭი, ერთი პატარა ხავერდის ქალის საფულე, ორი საყურე და ორი ბეჭედი ფირუზის თვლებით, ერთი მაცხოვრის ხატი ხის, ორი რგოლის ძველებური გვირგვინი, ერთი რიპიდის ვერცხლით მოჭედილი ტარი, ერთი დამტვრეული კვერთხი სპილოს ძვლით შემკული და მოჭედილი, ერთი უბრალო მიტრა, ერთი მოქარგული უბრალო ოლარი, ერთი ძველი ლახვარი სპილოს ძვლის ტარით, ერთი სახარება რუსული ხელობისა უბრალო, ხუთი სპილენძის შაურიანი, ერთი ვერცხლის აბაზიანი და ერთი სამშაურიანი, ერთი ეგვიპტის ფარა, ერთი ვერცხლის რგოლბეჭედი, ერთი ვედრების ღვთისმშობლის დიდი ხატი მაცხოვრით, ძვირფასი.

ფული აღმოჩნდა ექვსი ათას შვიდას ორმოცდაცამეტი მანეთი და 53 კაპიკი.

ამათგან: ძველი რუსული ფული: ხუთასიანი – ერთი, ასიანი – თორმეტი, ხუთთუმნიანი – ორი, ოცდახუთმანეთიანი – სამი, თუმნიანი – ოცდაცამეტი, ხუთმანეთიანი – ოცდაცხრამეტი, სამმანეთიანი – სამოცდათორმეტი, მანათიანი – ოთხმოცდაშვიდი, წვრილი ვერცხლის ფული – ოცდაათი მანათის და სპილენძის – ათი მანათის და 49 კაპ.

რუსეთის ახალი ფული /ვერენსკის/ ოცდახუთთუმნიანი – ერთი, ოთხი თუმნიანი – ოცდასამი და ორი თუმნიანი –

თოთხმეტი. სულ 1200 მან. და ერთიც როსტოვ-დონის რესპუბლიკის ათ მანათიანი.

ჩვენი ბონები: სულ ორიათას სამას ორმოცდაათი მანათისა.

ნივთების აღწერისა და ფულების მიღების შემდეგ მონასტრისა და ხარლამპარის კარები დაიკეტა და ლუქით დაიბეჭდა ქუთაისის საბლაღოჩინო ბეჭდის და მონასტრის ბეჭდის დასმით. ასლი ამა ოქმისა რჩება ხალამპარაში, თანახმად საბჭოს დადგენილებისა.

* * *

1919 წ. ივნისი 24 მოხსენდეს საბჭოს აღნიშნული საბჭოს წევრი: ბ. სამსონ ყიფიანი გადასცემს იმერეთის სანთლის ქარხნის და საწყობის მმართველს ქ. სამიტროპოლიტო საბჭოს, დეკ. გაბრიელ ცაგარეიშვილს, ქუთაისის მიტრ. ნაზარს.

საბჭოს წევრის დეკანოზის თ. დუგლაძისა და ს. ყიფიანისაგან მოხსენება

ამასთანავე წარმოვადგენთ ოქმს, რომელიც შევადგინეთ გელათის მონასტრის ხალამბარში დაცულ ნივთების აღწერილობის და აქ შენახული ფულის ექვსი ათას შვიდას ორმოცდაცამეტი მანეთის და 53 კაპ. მიღების შესახებ, სათანადო განკარგულებისათვის.

ოქმი ცნობათ მიღებული იქმნას, დეკ.ცაგარეიშვილმა. კეთილ ინებოს წარმოადგინოს ანგარიში, რამდენად გაყიდა რუსული ფულები. გელ. არქიმანდრიტის მიერ წარმოდგენილი განცხადება ცნობად მიღებული იქმნება.

5. 07. 1919 წ.

წევრნი ს. ამირეჯიბი

ს. ყიფიანი

* * *

გაენათის მონასტრის წინამძღვარს
არქიმანდრიტ ნესტორს

ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარია ამით გაუწყებთ თქვენ ჯეროვანი განკარგულების მოსახთენად,

რომ ამავე საეპარქიო მმართველობის, საბჭოს ამა თვის 5 რიცხვს მოისმინა რა საქმე ექვთიმე თაყაიშვილის მომართვით მისგან ეკლესია-მონასტერთა დათვალიერების და მათში დაცულ სიძველეთა და საგანძურით აღნუსხვის შესახებ.

23 თებერვალი 1920 წ.

დაადგინა: დაევალოს ყველა მონასტრების წინამძღვრებს არავის მონასტრიდან, ადგილობივი საეპარქიო მთავრობის ნებადაურთველად არავითარი სამონასტრო და საზოგადოთ მონასტერში დაცული ნივთი, წიგნი იქნება ხატი, ჯვარი ან სხვა რაიმე, არ გაატანოთ.

კანცელარიის გამგე: თუთბერიძე

* * *

ქიმ.N3314

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ბ-ნ ნ. ჟორდანიას

გაენათის მონასტრის წინამღვრის არხიმანდრიტის ნესტორისაგან

მოხსენება

ბ. ნოე! უმორჩილესად გთხოვთ ეს მოხსენება დამშვიდებით წაიკითხოთ და, თუ რაიმე ჰპოვოთ შიგ თქვენი შეხედულობით შეუსაბამო, არ გამირისხდეთ. მე ვცდილობ, ძლიერ თავდაჭერით მოგახსენოთ ყოველივე და არ გაგაწყრომთ, თუ ჩვენმა ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობამ და უკიდურესმა მთავრობის უყურადღებობამ არ აღმოფეთქა გულისაგან ჩემისა და არ წამომიცდინა რაიმე შეუსაბამო. ხოლო თუ რაიმე ეგეთი ჰაზრი ან სიტყვები იპოვოთ ამ ჩემს მოხსენებაში ის დაფაროს თქვენმა სულგრძელებამ და შთასთხიოს დავიწყების სიღრმეში. ვერც მე და ვერც ჩემდამი რწმუნებული გელათის მონასტრის მღვდელმონაზვნები და მორჩილები ვერ ვიცნობთ მთავრობის წევრებს, ხოლო თქვენ, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, ყველა იცნობთ. ამიტომ ვკადნიერდები და გკითხავთ: მთავრობის წევრთაგან

არის ვინმე ურწმუნო და თუ არის, ნუ თუ ისეთი გავლენა აქვს მას მთელ მთავრობაზე, რომ მას უჯერებს მთელი შემადგენლობა მთავრობისა?! ეს კითხვები მისთვის დაიბადენ ჩემში, რომ მთავრობა სრულად ყურადღებას არ აქცევს სასულიერო პირებს, რომელნიც არიან, როგორც დასაბამითგან ქვეყნისა იყვნენ, შეძლებისდაგვარად სარწმუნების დამცველნი და მოსამსახურენი: სასულიერო პირთ ჩამოართვეს სამრევლო შკოლები, ჩამოართვეს უფლება სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლებისა და სასწავლებლებში საღვთო სჯულის სწავლება სრულიად მოსპეს, ვითამც საღვთო სჯული ზედმეტი ბარგი ყოფილიყოს, მაგრამ საღვთო სჯული ზედმეტი ბარგი არ არის და უმისოთ კაცობრიობა წარმატებას ვერ ეღირსება; სამღვდელო პირთ არ აქვთ მთავრობისაგან დანიშნული დღიური საზრდო-ჯამაგირი, ეკლესიებს და მონასტრებს ჩამოართვეს მორწმუნე ქრისტიანთაგან შეწირული ქონება, ადგილ-მამული, ტყე და წისქვილები. მოკლეთ რომ ვსთქვათ, სასულიერო პირნი სრულიად გარიყეს, მოიძულეს, შეურაცხყვეს და რაც ჰქონდათ ისეც წაართვეს. აი ამ გარემოებამ დაბადა ჩემში ის აზრი, რომ შეიძლება, მთავრობის შემადგენლობაში ერიოს იგეთი წევრი და შეიძლება, წევრნიც, რომ მათი შთაგონებით და გავლენით მოხდა ყოველივე ზემოაღნიშნული. თუ არიან ეგეთი ურწმუნონი, მე ვსთხოვ მათ დაუკვირდენ დავით წინასწარმეტყველის სიტყვებს: „თქვა უგნურმა გულსა შინა თვისსა, არა არს ღმერთი" /ფსლ. 52,1/ ეს თქვა უგნურმა და ისეც გულსა შინა თვისსა, თორემ გონიერი კაცი ამას არც იტყვის და არც იფიქრებს. ურწმუნონი კარგს ინებებენ რომ წაიკითხავდნენ და საფუძვლიანად შეისწავლიდნენ საღვთო წერილის წიგნებს, წაიკითხავდნენ და კარგად შეისწავლიდნენ ციცერონის თხზულებას, კანტის თხზულებას, შეისწავლიდნენ ნიუტონის ცხოვრებას, ლიუტარდტის აპოლოგიას და სხვა მეცნიერების ნაწერებს. წაიკითხონ ღვთის არსებობაზე დამტკიცება ისტორიული, კოსმოლოგიური, ტეოლოგიური, ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და ლოღიკური და „ნუ იქმნებიან ურმუნონი, არამედ ირწმუნონ, რომ ღმერთი ჭეშმარიტად არსებობს და, რაკი დარწმუნდებიან, რომ ღმერ-

თი არსებობს, უნდა დაგვეთანხმონ, რომ ღვთის სამსახურიც საჭიროა და რაკი ღვთის სამსახური საჭიროა, უეჭველია, რომ ღვთის სამსახურის აღმსრულებელნიც, ესე იგი, სასულიერო პირნიც საჭირონი არიან; ხოლო რადგანაც სასულიერო პირნი საჭირონი არიან, მათი არსებობისათვის ზრუნვაც მთავრობის მიერ საჭიროა. გადავავლოთ თვალი ისტორიას და ცხადად დავინახავთ, რომ დასაბამიდგან ყოველი მორწმუნე მთავრობა ზრუნავდა სასულიერო პირთა დაკმაყოფილებაზე მატერიალურის მხრით: იუდელების მეფემ ეზეკიამ უბრძანა ხალხს, რომ მიეცათ სასულიერო პირთათვის განსაზღვრული ჯამაგირი /მეორე წიგნ. ნეშტთა, თავი 31, მუხლი 4/; რომ ძველ აღთქმაში სასულიერო პირთ ჰქონდათ დანიშნული საზრდო, ამაზე ხშირად არის მოთხრობილი დაბადებაში. ციტატების მოყვანას არ ვრაცხ საჭიროდ, რადგანც ეს ყველამ იცის, ვისაც დაბადება უკითხავს. ახალ აღთქმაშიც ბევრგან არის ნათქვამი, რომ სასულიერო პირნი უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი მატერიალურად. პავლე მოციქული სწერს: არა უწყითა, რამეთუ რომელნი იგი ბაგინსა მსახურებენ; ბაგინისაგან სჭამიან? და რომელნი საკურთხეველსა წინაშე სდგანან საკურთხეველისაგან ნაწილი გაიღიან? /...9,14/ ამ ციტატზე, შეიძლება გვითხრათ: ჩვენ რისთვის მოგცემთ საზრდოსო, თქვენ მონასტერს მსახურებთ და მონასტრისაგან მიიღეთ საზრდოო. თანახმა ვიქნებით და ასეც იყო იმ დრომდი, სანამ მონასტერს არ ჩამოართმევდენ ადგილ-მამულს, ტყეს და წისქვილს. დაუბრუნეთ ყოველივე ესენი და ჩვენ მონასტრები დაგვაკმაყოფილებს და თქვენ აღარ შეგაწუხებთ. კიდევ ბევრ ადგილს არის ნათქვამი სასულიერო პირთა მატერიალურად უზრუნველყოფაზე: /1 ტიმ. 5, 17-18, მათ.10/ 10 დას./ ამ ადგილებიდან სჩანს, რომ მოციქულების დროს მორწმუნენი აკმაყოფილებდენ სასულიერო პირთ. მერმე როცა ქრისტიანობა აღიარებულ იქმნა სახელმწიფო რელიგიად რომის იმპერიაში, კონსტანტინე დიდმა განათავისუფლა სამღვდელოება სახელმწიფო გადასახადისაგან, დაუნიშნა მათ საზრდო, მიანიჭა ეკლესიებს და მონასტრებს უფლება მიეღოთ ადგილ-მამული, შეწირული მორწმუნე ქრისტიანთაგან. აღ კიდევ

რას გვეუბნება ისტორია: არა თუ ქრისტიანი მთავრობა მფარველობდა ქრისტიანთა ეკლესიებს, მონასტრებს და სასულიერო პირთ; არამედ როცა კონსტანტინეპოლი აიღეს თათრებმა, მათი სულტანი მაღომეტ მეორე მფარველობდა ქრისტიანეთა ეკლესიებს და ხელუხლებლად ტოვებდა საეკლესიო მამულებს და მანვე განათავისუფლა ეპისკოპოსნი, მღვდელნი და დიაკონნი სახელმწიფო გადასახადისაგან, ხოლო პატრიარქს მიანიჭა უფლება ქრისტიანთა საქმეების გარჩევისა და გასამართლებისა /საეკ. ისტ. რუდ. გამო. 28, გვ. 82/. ხოლო ჩვენი დიდებულნი მეფენი, მთავარნი და ყველა შეძლებული მორწმუნე ქართველნი რამდენს სწირავდნენ მონასტრებს და ეკლესიებს მამულებს. ოქროს, ვერცხლს და თვალ მარგალიტებს და სამღვდელოებასაც უზრუნველყოფდენ. ამას მტკიცება არ უნდა, თვალწინ გვიძევს იმ მამულები და ქონება, რაც მათ შეუწირავსთ ეკლესია-მონასტრებისთვის და სამღვდელოებისთვის. აშენებდნენ მონასტრებს და მათში მოსამსახურე სასულიერო პირთ უზრუნველყოფდენ მატერიალურად, არა თუ მარტო საქართველოში, არამედ უცხო ქვეყნებშიაც, მაგალითად: ძველ ათონში, პალესტინაში, სინას მთაზე დასხ. ამითგან სჩანს, თუ რა დიდი მორწმუნენი იყვნენ ჩვენი წინაპარნი და ამ სარწმუნოებამ შეინახა ჩვენი ერი, ჩვენი ქართველობა, თორემ დღეს ქართველების ხსენებაც არ იქმნებოდა. იმ აურაცხელ მტრების გამო, რომელნიც გარს ახვევიან ჩვენ ქვეყანას. მართალია, რუსეთის მთავრობამ რამდენიმე ადგილ-მამული ჩამოართვა ჩვენ ეკლესიებს და მონასტრებს, ვინაიდგან მას გული არ შეტკივოდა ჩვენზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, კიდევ დაუტოვა საკმაო ადგილ მამული და მეორეც ისა, რომ ჩამორთმეულ ადგილმამულების მაგიერ სამღვდელოებას დაუნიშნა ხაზინიდგან ჯამაგირი. ეს ჯამაგირი თუმცა მცირე იყო, მაგრამ შედარებით მაშინდელ სიიეფესთან კარგ საქმეს უშვებოდა სამღვდელოებას. დღეს კი სულ მოძულებული შეიქმნა საქართველოს სამღვდელოება: მთავრობა სრულიად ყურადღებას არ აქცევს ეკლესია-მონასტრებს. ადგილ მამული, ტყე და წისქვილები ჩამოართვეს ნაცვლად მამულზე ორ გროშიან ჯამაგირსაც ვერ ღებულობს თავის დროზე და

ამ „სიკეთეს" ერთვის დამძვინებული აუტანელი და ჯერ რომ კაცობრიობას.არ მოსწრებია იგეთი სიძვირე და იფიქრეთ ახლა თქვენ: რა მდგომარეობაში უნდა იყო სამღვდელოება?! რა გასაჭირს უნდა ითმენდეს ის?! რა ცეცხლი უნდა ტრიალებდეს მის გულში?! რათ სჯიან ასე სამღვდელოებას? რათ ტანჯავენ? რა დააშავა? რა ბრალი მიუძღვის?! ის ბრალი მიუძღვის ჩვენ სამღვდელოებას, რომ თუ არის დაცული ჩვენში სარწმუნოება, თუ არის ჩვენში ძველი მწერლობა და მწიგნობრობა და მით განათლება, ეს თითქმის ყველა სამღვდელოების მოღვაწეობა არის, როცა სჩანს მონასტრებში და კერძო ოჯახებშიაც დაცულ ხელნაწერებისაგან შეიძლება სთქვათ: ეს ძველათო და ახლა რაღას აკეთებენო? დამერწმუნეთ, რომ დღევანდელი სამღვდელოებაც გარემოების და შეძლებისდაგვარად იმ ძველი სამღვდელოების გზას ადგანა და მოღვაწეობს, თავის საქმესაც ასრულებენ, წიგნებსაც სწერენ და სტამბავენ, მაგრამ ბევრნი ყურადღებას არ აქცევენ. სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები დასახურავი კი არ იყო, არამედ გასაწმედი ძველი რეჟიმის ჟანგისაგან, რომ საქართველოს გამოზრდოდა კარგი მიმართულების განათლებული სამღვდელოება. ეს საზოგადო მიმოხილვა ეკლესია-მონასტრების და სამღვდელოების მდგომარეობისა ძველად და აწმყო დროს. ახლა უნდა მოგახსენოთ გარემოება ეკლათის მონასტრის მოკლედ. გელათის მონასტერს ჰქონდა რუსეთის მთავრობისაგან დატოვებული იმდენი ადგილ მამული, საყანე, ტყე, ველი და წისქვილი, რავდენიც ის სიიეფის დროს ავად თუ კარგად ყოფნიდა მას და მის კრებულს. გარდა ამისა რესეთის მთავრობამ ნაცვლად ჩამორთმეული ადგილებისა დაუნიშნა კრებულს ჯამაგირი ხაზინითგან და მონასტერიცა და მისი კრებულიც იოლად მიდიოდა. დღეს კი ამ აუტანელ და ენით გამოუთქმელ სიძვირის დროს მონასტერი და მისი კრებული განიცდის უკიდურეს და კალმით აუწერელ გასაჭირს. რისთვის? ცხადია, მისთვის რომ ადგილ მამული და წისქვილი მთავრობამ ჩამოართვა და ნაცვლად ჩამორთმეულ მამულისა არაავითარი ნუგეში არ მიუცია მონასტრისთვის. დატოვებული აქვს მონასტერს ერთი ნორმა მიწისა. ამ ნორმაში შედის

მონასტრის ეზო, სახლების და ტაძრების მიერ მოკავებული ადგილი და გზები, ასე რომ სასარგებლო ადგილი არ გამოდგება არც მესამედი ნორმა. ჯამაგირი რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული ისე მცირეა, რომ თქმადაც არა ღირს დღევანდელი სიძვირის დროს: თითო მღვდელ მონაზონს წელიწადში აქვს თოთხმეტი თუმანი, დიაკვნებს და მორჩილებს კიდევ ნაკლები. დღეს რომ სიძვირე არის თოთხმეტი თუმანი ხუთ დღეს თუ ეყო ერთ კაცს, კარგი უნდა. ხოლო წელიწადში, მოგეხსენებათ, სამას სამოცდა ხუთი დღეს და ამ 360 დღეში რით ირჩინოს მღვდელმონაზონმა თავი? გარდა საჭმელისა კაცი შიშველ ტიტველი ვერ ივლის, უშეშოთ ზამთარში და ღამე უსინათლოთ ვერ გაძლებს. ახლა მონასტერი თვითონ რა მდგომარეობაშია? გელათის მონასტერს აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ჩამორთმეული ადგილ მამული, საყანე, ტყე და წისქვილი და, სიმართლე მოითხოვს, რომ მთავრობამ დაუნიშნოს მას სუფსიდია ხაზინითაგან, რადგანაც გელათის მონასტერი სულ სხვა პირობებში იმყოფება, ვინემ საქართველოს რესპუბლიკის სხვა მონასტრები. აი როგორ: 1-დ, გელათს ყავს მრავალრიცხოვანი კრებული, თუთხმეტიდან ოცამდე სულსარჩენი, ამდენ ადამიანს დამერწმუნეთ, ერთი ნორმა მიწა ვერ არჩენს, მითუმეტეს, რომ ამ ნორმაში, როგორც ზემოთ მოხსენებულია, შედის მონასტრის ეზო,ტაძრების და სახლების მიერ მოკავებული ადგილი და გზები, რომელზედაც არ იხვნება, არც ითესება და არც მოდის ზედ რამე. ამდენ სულის სარჩენად სულ უკანასკვნელი შვიდი ნორმა მიწა მაინც საჭიროა, რადგანაც აქ, ოკრიბის რაიონში, მომეტებული ნაწილი მცირე მოსავლიანი ადგილებია და ყოველ წელიწადს არ იძლევა მოსავალს, არამედ ორი-სამი წლის მერმე მიწა თხოულობს დასვენებას ე. ი. ველად გაშვებას და ზოგან კიდევ კლდეებია და სახნავ-სათესად გამოუსადეგარნი არიან. 2-დ, გელათის მონასტერი არის საქართველოს რესპუბლიკის დიდებული საუნჯე, რომელშიაც დაცულია ჩვენ მორწმუნე წინაპართაგან შეწირული ძვირფასი ხატები, ჯვრები, საღვთო ჭურჭლები და თვალ მარგალიტი და მათან ერთად დიდებული ტაძრები ჩვენ წინაპართა ხელოვნების და კულტურულად

განვითარების სახსოვარნი, ხოლო ამ ტაძრებში დიდებული ფრესკები, ყველა საჭიროებენ მოვლა-შენახვა-დაცვას და მომავალ თაობისადმი გადაცემას. მათ დასაცველად მონასტერს ეხარჯება დარაჯზე თვეში ათას მანეთზე მეტი. ახლა სხვა ხარჯები თვით მონასტრისა: სანთელი, საკმეველი, ზედაში, სეფისკვერი, ლამპრების ზეთი, შეშა, ნახშირი, რომელნიც საარაკო ფასებში იყიდებიან. რემონტი სახლების. ყველა ამ ხარჯების დასაფარავად საჭიროა ათი ნორმა მიწისა მაინც. 3-დ, მონასტერში მომსვლელ მლოცველებს მონასტერი უფასოდ აძლევს ბინას, ბინის მოწყობილებას, ქვეშაგებს, შეშას და ლამპარს. რადგანაც უამისობაც არ შეიძლება, ვინაიდან მონასტერს გარეშე ვერ იშოვნის მლოცველი ბინას. თუმცა მლოცველები ცოტაოდენს სწირავენ მონასტერს მაგრამ მათი შეწირულება ამ ხარჯებს ვერ ფარავს; ამიტომ ამ ხარჯების დასაფარავად წელიწადში სამი ნორმა მიწის შემოსავალი მაინც მოუნდება. 4-დ, ამ მონასტერში მოდიან ხშირად მკვლევარნი, სიძველეთა მცოდნენი-არხეოლოგნი გამოსაკვლევად და ფოტოგრაფიით გადასაღებად იმ ფესვებისა, რომელნიც ტაძრის კედლებზე არიან და ზოგნიც ძველი ხელნაწერების გამოსაკვლევად. ამათ გარდა ამქ მოდიან უცხოეთიდგან ჩამოსულნი ნასწავლნი პირნი სანახავად ამ დიდებული მონასტრისა და მისი ძვირფასი ნივთებისა. ამ პირებს მონასტერი უპატივცემულოდ ვერ უშვებს, მითუმეტეს, რომ მონასტრის ახლო არ მოიპოვება დუქანი და სანოვაგე გასასყიდლად. ამ ხარჯის დასაფარავადაც რაკვირველია, საჭიროა საშვალება და ამ საშვალებას არ ეყოფა ხუთი ნორმა მიწისა. ყოველივე ზემოალნიშნულისა გამო უმორჩილესად გთხოვთ თქვენ, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს, მაშასადამე სულ საჭირო ყოფილა 25 ნორმა, მაგრამ გელათის ადგილმამული, ტყე და ველი ამის ნახევარსაც არ შეადგენს და მისთვის მოგახსენეთ ზემოთ სუბსიდიის დანიშვნაზედ. კეთილ ინებოთ და მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება გელათის და მისი კრებულის ეგეთ გაჭირვებულ მდგომარეობას, იქონიოთ გავლენა მთავრობაზე, დაგვიდგეთ მთავრობასთან შუამდგომლად, რომ მთავრობამაც კეთილ ინებოს და გელათის მონასტერს დაუბრუნოს

მისი ადგილ მამული, ტყე და წისქვილი და დაუნიშნოს მონასტერს დასაცველად და მონასტერში მომსვლელ უცხოელთა პატივსაცემად სუბსიდია.

წინამძღვარი გელათის მონასტრისა, არხიმანდრიტი ნესტორ

2 მარტი 1920 წ.

P.S. მოევლინეთ გელათის მონასტერს და მის კრებულს მოწყალე სამარიტელად, დაასხათ მათ ზნეობრივად დატანჯულ გულს ზეთი და ღვინო წყალობისა, თხოვნის აღსრულებისა. მე ვხედავ კრებულის გაჭირვებას და მეც როგორც წინამძღვარი ვალდებულად ვხდი ჩემ თავს აღვძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე თანახმად კრებულის სურვილის და მოთხოვნილებისა.

...შევამოკლე რადგანაც არ ეტეოდა ერთ ფურცელ ქაღალდზე არხ. ნესტორ.

N144. 14 აპრილი, 1920 წ.

* * *

ქიმ.N3392

ფრ. სასწრაფოთ გაენათის მონასტრის წინამძღვარს არხიმანდრიტ ნესტორს

გელათის მონასტრის ვერცხლის ნივთების და ვერცხლის ფულების გაყიდვის შესახებ, მყიდველებმა და მღვდელმონაზონმა ექვთიმემ განაცხადეს, რომ გაყიდვის ნებართვა მათ ჰქონდათ მიცემული ქუთათელ მიტროპოლიტის ნაზარისაგან. შეკითხულმა დღეის რიცხვს ჩემ მიერ იმერეთის საეპარქიო კანცელარიამ მაცნობა, რომ გელათის მონასტრის ოქრო-ვერცხლის ნივთების და ვერცხლის ფულების გაყიდვის შესახებ კანცელარიაში საქმე არ ყოფილა აღძრული და ყოველივე ცნობები უნდა ექნეს თქვენ მაღალყურთხევას. ამისათვის გთხოვთ დღესვე ჩემივე შიკრიკის ხელით მომაწოდოთ მე ამ საქმეზედ დაწვრილებითი ცნობები და აგრეთვე მაცნობოთ სად იმყოფება ამ ჟამათ იღუმენი ზენონი მღვდელთმონაზონი ექვთიმე კი გამოცხადდეს ჩემთან ხვალ დილას 9 საათზე აუცილებლად.

მაზრის მილიციის უფროსი: საქმის მწარმოებელი:

* * *

ქიმ.N3400

გაენათის მონასტრის არხიმანდრიტს ნესტორს

ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარია ამით გაუწყებთ თქვენ ჯეროვანი განკარგულების მოსახდენად, რომ მისმა მაღალ ყოვლადუსამღვდელოესობამ ქუთაისის ეპარქიის მიტროპოლიტმა ნაზარ ქუთათელმა განიხილა რა მოხსენება თქვენი N190, გაენათის მონასტრიდან ნივთების წამოღებაზე საერო მთავრობისაგან ქუთაისში,

დაადგინა: 1920წ. 26 ნოემბერი. არხიმანდრიტ ნესტორს სასწრაფო მოსახსენებლად. წარმოდგენილი მოხსენება შეიცავს მხოლოდ გელათის მონასტრის ნივთების ქუთაისში გადმოტანის ფაქტს, მაგრამ საქმისათვის საჭიროა ვრცელი დამატებითი მოხსენება იმ მიზეზებისა დაწვრილებითი აღნიშვნით, რომლებმაც გამოიწვია გელათის ძვირფას განძეულების ქუთაისში გადმოტანა დასაცავად და აგრეთვე საჭიროა განმარტება ნაჩვენებ ხახულის ღვთისმშობლის ხატზე ვითომ ერთი თვალის ახლად აცილების შესახებ, აგრეთვე სია გაყიდული ნივთების და მასში აღებული ფულის რაოდენობა და ასლი ჩემ მიერ ნებადართვისა. აღსრულებულია 26 ნოემბრიდან.

N191 არხ. ნესტორი

კანცელარიის გამგე: თ. თუთბერიძე

* * *

ქიმ. N 3317

მოხსენება მიტროპოლიტს

ამით პატივი მაქვს მოგახსენოთ შემდგომი: 25 ამა ნოემბრიდან მე მოვახსენე თქვენს მეუფებას N190, რომ ძვირფასი განძეულება გადატანილ იქმნა დასაცველად მთავრობის რწმუნებულისაგან თანდასწრებით ერობის თავმჯდ-

ომარისა, ოლქის სასამართლოს ბრალმდებლისა და მაზრის მილიციის უფროსისა გელათიდან ქუთაისის ხაზინაში. ამ ჩემს მოხსენებაზე დადებული თქვენი მეუფების რეზოლუცია მოითხოვს ჩემგან მოგახსენოთ მიზეზი, რამ გამოიწვია ეს საქმე. მე ვფიქრობ მიზეზი უნდა იყოს ავაზაკებისაგან გატაცების შიში და ზემოაღნიშნულ პირთაც ეს დაასახელეს. ხოლო თბილისიდან მთავრობის რწმუნებულის ჩამოსვლის მიზეზი ის არის, რომ მონასტერმა თქვენი ნებართვით ეკონომოსის მღვდელმონაზვნის და იღუმენის ზენონის ხელთ გაყიდა ისეთი ოქრო-ვერცხლის ნივთები, როგორიც არიან ქალის საყურეები, ქინძისთავი, ბეჭდები, სანათლავი პატარა გულსაკიდი ჯვარი, ბროშკა და ვერცხლის ფული. ამისთანა ნივთები წინედაც იყიდებოდა და აღებული ფული მონასტერს ხმარდებოდა და ახლაც თქვენი მეუფების მიერ ნებართვით გაიყიდა, ეს გაეგო მილიციის უფროსს და ერობის თავმჯდომარეს და ეცნობებინათ მათ ქ. თბილისში მთავრობისათვის, რომელმაც გამოგზავნა თავისი რწმუნებული და მან წაიღო განძეულობა ხაზინაში დასაცავად. ხოლო ხახულის ღვთისმშობლის ხატზე ავარდნილა ქვა, იმ დროს, როცა ის აქონდათ ზემოთ ოთახში დასაცველად და ეს თვალი შეენახა მყოფ ეკონომოს იღუმენს ზენონს სხვა ჩამონათვალ ნივთებთან ერთად და, რადგანაც მე მაშინ გელათში არ ვმსახურებდი, არ ვიცი სად ინახება ის თვალი. შეიძლება ის იყოს იმ ნივთებთან, რომლებიც ჩაწერილია NN7 i და 72 ქუეშე მთავრობის რწმუნებულის მიერ შედგენილ სიაში. ამასთან თანახმად თქვენი მეუფების რეზოლუციისა, ვარდგენ თქვენ მიერ ნებართვის შესახებ ნივთების გაყიდვისა და დავსძენ რომ ნამდვილი წაიღო მთავრობის რწმუნებულმა და მე დამიტოვა ასლი. ამასთანავე ვარდგენ გაყიდული ნივთების სიას, შედგენილს ნივთების გამყიდველის ეკონომოსის ევთიმეს მიერ.

N191. წინამძღვარი გელათის მონასტრისა არხიმანდრიტი ნესტორ.

26 ნოემბრი 1920 წ.

ps* და მასში აღებული ფული ოცდაცამეტი ათასი, ექვსას ოცი მანეთი ჩაწერილია შესავალ-გასავლის წიგნში N30 და 82.

* * *

ქიმ. N 3602

გელათის მონასტრის არხიმანდრიტს ნესტორს

ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარია ამით გაუწყებთ თქვენ ჯეროვანი განკარგულების მოსახდენად, რომ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ქუთაისის ეპარქიის მიტროპოლიტმა ნაზარ ქუთათელმა განიხილა რა მოხსენება თქვენი N190 გაენათის მონასტრიდან ნივთების წამოღებაზე საერო მთავრობისაგან ქუთაისში.

დაადგინა: 1920 წ. 26 ნოემბერი. არხიმანდრიტ ნესტორს სასწრაფოთ მოსახსენებლად: წარმოდგენილი მოხსენება შეიცავს მხოლოდ გელათის მონასტრის ნივთების ქუთაისში გადმოტანის ფაქტს, მაგრამ საქმისთვის საჭიროა ვრცელი დამატებითი მოხსენება იმ მიზეზების დაწვრილებითი აღნიშვნით, რომლებმაც გამოიწვია გელათის ძვირფას განძეულობის ქუთაისში გადმოტანა დასაცავად და აგრეთვე საჭიროა განმარტება ნაჩვენებ ხახულის ღვთისმოშბლის ხატზე ვითომ ერთი თვალის ახლად აცილების შესახებ, აგრეთვე სია გაყიდული ნივთების და მასში აღებული ფულის რაოდენობა და ასლი ჩემ მიერ ნება დართვისა".

კანცელარიის გამგე: თუთბერიძე
ასრულებულია 26 ნოემბერი, არხ. ნესტ.

* * *

ქიმ.N3391

გაენათის მონასტრის არხიმანდრიტს ნესტორს სასწრაფოთ

გელათის მონასტერში საუკუნოებით დაცულ ისტორიულ საუნჯის მოულოდნელად ქუთაისის ხაზინაში გადმოზიდვის საქმე მოითხოვს, რათა დაწვრილებით გამორკვეულ იქმნას, თუ რა გარემოებებში მოხდა ეს აღმაშფოთებელი უმაგალითო შემთხვევა.

ამისათვის წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ მომახსენოთ:

1/ ეცნობა თუ არა თქვენ მიერ წინასწარ მონასტრის ძმებს განძეულობის გადმოტანის საქმე მონასტრიდან.

2/ ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე ძალ-დატანებას მთავრობის, ერობის და მილიციის წარმომადგენელთა მხრივ ჩემის ამა ოცი ნოემბრის განკარგულებით დაბეჭდილ მონასტრის სალაროში დაკრძალურ ნივთების გადმოტანის დროს.

3/ თუ განძეულობის მონასტრის ტაძრიდან გადმოტანა და გადმოზიდვა მოხდა თქვენი სურვილის წინააღმდეგ, რატომ არ განაცხადეთ თქვენი პროტესტი ამის შესახებ ოქმში აღნიშვნით.

4/ რატომ არ გამოითხოვეთ ჩემგან, როგორც ეპარქიის მმართველიდან, აღნიშნულ ნივთების მიცემის ნებართვა.

5/ გამომიგზავნეთ თვით წიგნი გელათის განძეულობისა, სადაც არის ნივთების შემოწმების აქტი თაყაიშვილის, ტრიფონ ჯაფარიძის, ფალავანდიშვილის, დეკანოზ კორნელი კეკელიძის და სხვების ხელმოწერილნი – 1919 წელიწადში – მიტროპოლიტი ნაზარი.

ასლი ესე დედანთან სწორია და ეგზავნება გაენათის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტს ნესტორს შესასრულებლად.

28 ნოემბერი 1920 წ. ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარიის გამგე თუთბერიძე.

* * *

ქიმ. N 3318

მოხსენება მიტროპოლიტს

თქვენს მიწერილობაზე 28 ნოემბრიდან N3051 პატივი მაქვს მოგახსენოთ შემდგომი: 1 მუხლზე: მონასტრის ძმები /ჩემგან რა ცნობა უნდოდა/ მონასტერში მყოფნი ყველა უყ-

ურებდა ამ საქმეს და ვფიქრობ /მე რა უნდა მეცნობებია/ იცოდნენ რაც ხდებოდა. 2 მუხლზე: ძალდატანება მთავრობის /მხრივ ის ჩაითვლება/ იყო, რომ იმათ, ალბათ წინათ განზრახული ქონდათ წაღება ნივთებისა, რაიცა სჩანს იქიდან, რომ წინადღით ხაზინაში ნივთების შესანახი ბინა მოემზადებიათ და როცა აქ მოვიდენ, დროგი და ბრეზენტები თან მოიტანეს ნივთების წასაღებად, აგრეთვე 15 მილიციონერი მოიყვანეს, ალბად ნივთების დასაცველად, /ანდა თუ გავძალიანდებოდით მე და ეკონომი, ჩვენდა დასაჭერად/ სხვა რამე მიზნისთვის არ ვიცი. 3 მუხლზე: პროტესტი მიტომ არ განვუცხადე, რომ იმათ მითხრეს, თქვენ გინდა ნება განაცხადე, გინდ წინააღმდეგობაო, ჩვენ ამ ნივთებს მაინც წავიღებთო. 4 მუხლზე: ნებართვის გამოთხოვნის დრო აღარ იყო, ამიტომ რომ როგორც მოვიდენ გელათში მაშინვე შეუდგენ ნივთების გამოტანას.

ამასთან მოგახსენებ, რომ იმ დღეს დილას თქვენთან გახლდით ადრე, გაცნობე მათი მოსვლა, გთხოვე წამობრძანება გელათში, რადგანაც იმათ არ ინებეს თქვენი ნახვა და თქვენ არ ინებეთ წამობრძანება და არც მათი შეკითხვა ტელეფონით.

5 მუხლის ძალით ნივთების აღწერილობის სიას გაახლებთ, ხოლო აქტი არ ჩაუბარებია მყოფ ეკონომოსს ზენონს არც ჩემთვის და არც ახალი ეკონომოსისათვის და არ ვიცი სად არის, ჩვენ ვერ ვნახეთ /არც მე და არც ეკონომოსი არაფერ შუაშია/.

წინამძღვარი გელათის მონასტრისა არხიმანდრიტი ნესტორ
N192. 28 ნოემბერი 1920 წ. .

* * *

ქიმ. N 3428

მოხსენება მიტროპოლიტს

დღეს, 29 ნოემბერს მღვდელმონაზონმა ეპიფანემ მომიტანა ჩემი ორი მოხსენება თქვენი მეუფებისადმი, ჩემ მიერ

წარმოდგენილი ამ წლის 26 ნოემბრიდან N191 და 28 ნოემბრიდან N192 და სიტყვიერად მითხრა თქვენი დანაბარები: „ეს მოხსენებები არ ვარგა, გამოცვალოს და კარგი წარმომიდგინოსო". მე ავიღე თქვენი მოწერილობანი, რომელთა საპასუხოდ იყვნენ დაწერილნი ზემოაღნიშნული მოხსენებანი და შევადარე და მე დავინახე, რომ ყოველ მოთხოვნილებაზე მაქვს მოცემული პასუხი ძალისამებრ ჩემისა. სხვა ამ საქმეზე რა მოგახსენო და როგორ გადავაკეთო, არ ვიცი.

ოთხი წელი ვმსახურებ, მიმსახურია ხუთ ეპისკოპოსთან – გაბრიელთან, ბესარიონთან, ლეონიდთან, პეტრესთან და გიორგისთან, მიმსახურია სამ ეგზარხთან – ინოკენტისთან, ალექსი მეორესთან და პიტირიმთან; მიმსახურია ერთ მიტროპოლიტთან ანტონთან და არც ერთ მათგანს მოხსენებები არ დაუბრუნებია. შეიძლება, ახლა დაჩლუნგდა ჩემი გონება და ვეღარ ვარდგენ მოხსენებას. თუ ასე ფიქრობთ, შეგიძლიათ გადამაყენოთ სამსახურისაგან, მაგრამ ბინა და სარჩო უნდა დამინიშნოთ უეჭველად და ჩემ ადგილზე, ჩემზე უკეთესი ნასწავლი და მოხსენებების უკეთ შემდგენი უნდა დააყენოთ. ამას მოითხოვს სიმართლე. თქვენ კარგად იცით, რომ ერთ წყაროსაგან გამომდინარეობს ერთნაირი წყალი. მე რაც ვიცოდი და რაც ვნახე მოგახსენე აღნიშნულ საქმეზე, სხვა რა დავუმატო არ ვიცი და ვერც გავიგე. იქნება გსურდეთ გაიგოთ ამ ნივთების გაყიდვის ინიციატორი ვინ იყო. ამას არ ვთვლიდი საჭიროდ და, რადგანაც ჩემი აზრით სხვა ყველა გარემოება, რაც კი ვიცოდი, მოხსენებული მაქვს, ახლა ამასაც მოგახსენებ: მე რომ გადამიყვანეთ გელათში, უნდა ჩამებარებია მონასტრის ქონება იღუმენი ზენონისაგან. მაგრამ რაც ძვირფასი რამ ჰქონდა მონასტერს ზემო ოთახში ინახებოდა, რომლის კარები ამოკირწყლულია, გარღვევის ნება ჩვენ არ გვქონდა და, რადგან ზენონი ეკონომოსი იყო და მაშინ აქედან არსად მიდიოდა და ჩაბარების მერმე მაინც ეკონომოსისათვის უნდა გადამებარებია, მე აღარ ჩამიბარებია ნივთები და ამიტომ არც ვიცოდი თუ ოქრო-ვერცხლის /უბრალო/ შენაწირი ნივთები ქონდა მონასტერს./ ჩემი გელათში განწესების მერე გავიდა რამდენიმე თვე და/ ზენონმა მითხრა: მონასტერს აქვს შენაწირი ოქრო-

ვერცხლის ნივთებიო, რომელნიც უსარგებლოდ ინახებაო, გაჰყიდოთ და მონასტრის საშვალება გავაუმჯობესოთო. ეგ-ეთ ნივთების, როგორიც არიან საყურეები, ბეჭდები და სხვა ამგვარი, გაყიდვის ნება მეც მქონდა თქვენდა დაუკითხავად, მაგრამ, რადგანაც გარდამავალი ხანა არის, მე ვერ ვიდევი თავზე გაყიდვა თქვენ მიერ ნება დაურთველად და მიტომ მოგახსენეთ. ჩემი აზრით, ამ საქმეში არც ზენონი, არც მე და არც თქვენი მეუფება არ მოქცეულან უკანონოდ, რადგანაც ამ ნივთებს არ ჰქონდათ მნიშვნელობა არც არქეოლოგიური, არც ისტორიული და არც იყვნენ ეკლესიაში სახმარნი.

ამის მეტი, რაც ვიცოდი და რასაც მოითხოვდით ჩემგან არის აღწერილი ჩემ მიერ ჩემ მოხსენებაში, რომელსაც ამასთანავე გაახლებთ.

N193. წინამძღვარი გელათის მონასტრისა არხიმანდრიტი ნესტორ 29 ნოემბერი 1920.

* * *

ქიმ.N3400

გაენათის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტს ნესტორს

ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარია ამით გაუწყებთ თქვენ გამოსაცხადებლად, ვისდამიცა ჯერ არს, რომ ქუთაისი საეპარქიო კრებამ 29 წარსულ დეკემბერს მოისმინა რა თქვენი დამონასტრის ძმების ჩვენება-განმარტება გაენათის მონასტრიდან მთავრობის განკარგულებით საეკლესიო განძეულობის ქუთაისის ხაზინაში გადატანის შესახებ, სხვათა შორის დაადგინა – „გამეცხადოს საყვედური გაენათის მონასტრის წინმძღვარს და ძმებს იმისათვის, რომ მათ გადასცეს მთავრობის წარმომადგენლებს მონასტრის განძეულობა სასულიერო მთავრობის ნებადაურთველად, მათვე მიეცეს წინადადება ნაცვლად ეკონომოსის ექვთიმესა იმა თანამდებობისათვის აირჩიონ უფრო შესაფერი პირი.

5 თებერვალი 1921 წ.

* * *

ქიმ. N 3443

8. 21 წ. იქმნეს დაცული

1921 წელსა მარტის 6 დღესა იქმნა ჩამოსვენებული ხახულისა ღვთისმშობელი მისი უწმინდესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდის განკარგულებით და დათვლილ იქმნა ამოვარდნილი თვლების ალაგები და აღმოჩნდა შემდგომი: მარჯვენა ფრთაზე აკლია ოთხი თვალი ხატის ძირზე ერთი და ზემორე ნაწილზე ორი, ხოლო მარცხენა ფრთაზე არც ერთი, რასაშინა ხელს ვაწერთ:

დავესწარი კათალიკოზი ლეონიდი
დავესწარი მიტროპოლიტი ნაზარი
გელათის მონასტრის წინამძღვარი არხიმანდრიტი ნესტორი
იღუმენი დოროთე, იღუმენი მათე, მღვდელმონაზონი სილოვანე, მღვდელმონაზონი ეპიფანე, მღვდელმონაზონი დოდო, მღვდელმონაზონი ექვთიმე, მღვდელმონაზონი სვიმონი.

* * *

ქიმ. N 3451

მოხსენება მიტროპოლიტს

ვინაიდან სოფლად ძლიერ გახშირდა ცარცვა-გლეჯა, ჩვენ – კრებულმა გელათის მონასტრისამ ვიქონიეთ ამაზე მსჯელობა და გადავსწვიტეთ ქვეყნის ასე თუ ისე დაწყარებამდი დავკეტოთ დიდი ეკლესია. ღვთის მსახურება ვასრულოთ მონასტრის მეორე ეკლესიაში და სახელდობრ წმ. გიორგის ეკლესიაში და დიდი ეკლესიის ყველა გასაღებები მივიტანოთ თქვენ მაღალ მეუფესთან დასაცველად, რომ ვინცობაა ავაზაკებმა აქაც არ მოატანონ და ძალდატანებით არ გაგვაღებინონ დიდი ეკლესია და თუ რაიმე წაუღებელი დატოვა მენშევიკურმა მთავრობამ, ახლა არ გაიტაცონ ავაზაკებმა, ამ გადაწყვეტილების გამო პატივი მაქვს წარმოგ-

იდგინოთ დიდი ეკლესიის ყველა გასაღებები და გთხოვოთ მიიღოთ ჩემგან გასაღებები დასაცველად, სანამ ამას ცხოვრების მიმდინარეობა მოითხოვდეს, მით უმეტეს ეს დავინახეთ საჭიროდ, რომ მონასტერს კარგა ხანია მთავრობამ მეორე დარაჯი მოაკლო და ერთი ვერაფერს გააწყობს, რომ რამე უბედურება მოხდეს.

4 ივლისი 1921 წ.

წინამძღვარი გელათის მონასტრის არხიმანდრიტი ნესტორ.

* * *

ქიმ. N3419

ასლი

„28. 7. 21 წ. გელათის მონასტერში დანიშნულ საეკლესიო კრების მთავარ მომწყობ კომიტეტის წევრად მოწვეულ იქმნეს მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი, არხიმანდრიტი ნიკოლოზი, რომელსაც ნება ეძლევა და ევალება გელათის მონასტრის იკონომსს მღვდელმონაზონ ეპიფანესთან ერთად მოიწვიოს თავისი შეხედულობით ადგილობრივ საჭირო და დამხმარე პირები, იმუშაოს და იმოქმედოს თავდადებით და თავისუფლად, რათა ხელი შეუწყოს, რომ პირველ სექტემბრისათვის რიგიანად მოეწყოს საეკლესიო კრების ტეხნიკური მხარე და ღირსეულად იქმნენ მიღებულ-დაბინავებულნი 170 წევრი საეკლესიო კრებისა გელათის მონასტერში“.

მიტროპოლიტი ნაზარი.

დედანთან სწორია: გამგის თანაშემწე: მღ. ცაგარეიშვილი ასლი საეპარქიო მმართველობის კანცელარიის მიერ ეგზავნება გელათის მონასტრის წინამძღვარს არხიმანდრიტს ნესტორს ცნობად და სახელმძღვანელოდ.

30 ივლისი 1921 წ. N1065

კანცელარიის გამგის მოადგილე

მისი თანაშემწე: მღ. ცაგარეიშვილი

* * *

ქიმ. N 3417

გაენათის მონასტრის წინამძღვარს

ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარია გაცნობებთ, რა რომ სრულიად საქართველოს ეკლესიის მორიგი საეკლესიო კრება არის დანიშნული გაენათის მონასტერში 1 მომავალი სეკტემბრიდან, გთხოვს თქვენ ეხლავე გამართოთ მიწერ-მოწერა ყველა მამათა მონასტრებთან და ყველამ აირჩიოთ ერთი წარმომადგენელი მონასტრებისა აღნიშნულ კრებაზე დასასწრებად თანახმად საეკლესიო დებულების 3 §-ით და აღჭურვოთ იგი სათანადო მანდატით.

საეპარქიო კანცელარიის გამგე

საქმის მწარმოებელი: მღ. ცაგარეიშვილი

გადავსცემ აღნიშნულ სიას წარმომადგენელს მღვდელმონაზონს ეპიფანეს კრებაზე წასაკითხავად და კრების შემდგომ ეს სია უკანვე დააბრუნოს: 1 აგვისტო 1921 წ.

მივიღე, სია და მანდატი მღვდელმონაზონი ეპიფანე.

* * *

ქიმ. N 3445

გელათის წინამძღვარს არქიმანდრიტ ნესტორს ცირკულიარი

თანახმად საკათოლიკოზო საბჭოს მოწერილებისა, 6 ამა აგვისტოდან, N1774 ამით გევალებათ სამღვდელოების საშუალებით განუმარტოთ სამრევლოებს და საზოგადოთ ეკლესიის და მონასტრის ახლოს მცხოვრებ მორწმუნე ერს – მონასტრების და განძეულების სარწმუნოებრივი, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა და წინადადება მიეცესთ მათ, მოძღვრებთან ერთად აღიმაღლონ თავისი ხმა განძეულების დაცვისათვის, თანახმად წარსული წლის საეკლესიო კრების დადგენილებისა, თუ მორწმუნე ერის და სამღვდელოების ხმას ამ შემთხვევაში ყურადღება არ მიაქც-

იონ და საეკლესიო განძეულებას ძალმომრეობით დაუპირონ მონასტრებიდან ან ეკლესიებიდან წაღება, იმ შემთხვევაში მორწმუნე ერს, სამღვდელოებას და სხვა საეკლესიო დაწესებულებათა, როგორც უმწეოთ დარჩენილებს ძალმომრეობის წინაშე, ევალებათ განაცხადონ პროტესტი და მოითხოვონ მოძალადეთაგან ამ პროტესტის ოქმში შეტანა, რათა თავისუფალი იყვნენ ყოველივე პასუხისმგებლობისაგან განძეულების წაღებისათვის, ხოლო ვინც ამ გაფრთხილებას ყურადღებას არ მიაქცევს და რაიმე მოსაზრებით საეპარქიო მთავრობის დაუკითხავად და ნება დაურთველად, მისდამი რწმუნებულ საეკლესიო ან სამონასტრო განძეულებას ვისმეს გადასცემს, ან ასეთ გადაცემაზე თანხმობას განაცხადებს, ის სასულიერო მთავრობისაგან იქნება პასუხისგებაში მიცემული, როგორც ორგული შვილი და მტერი ეკლესიისა.

12 აგვისტო 1921 წ. N1236

კანცელარიის გამგის მოადგილე: მღ. ცაგარეიშვილი

* * *

ქიმ.N3408

მიტროპოლიტ ნაზარს 27თებერვალს /ძველი სტილით/ 1921 წ. მიეწერა მისი უწმინდესობის კათალიკოსის ლეონიდისთვის წერილი ბოლშევიკების შამოსვლაზე ქალაქ ქუთაისში და ბოლოს მე დავებეზღებიე. ამ ჩემზე რას სწერს: „ამასთანავე არ შემიძლია ჩემი უაღრესი აღელვება არ გაგიზიაროთ, რომ ასე უდიერად მექცევა არქიმანდრიტი ნესტორი და მისი ეკონომი, რომელიც უკვე ეხლა გამოცვლილია კრების მიერ და არქიმანდრიტი ნესტორი განგებ აჩერებს და თუ მას ეს არ შეუსრულებია, მე იძულებული ვიქნები ჩემი უფლებით დავითხოვო. გთხოვთ ეს გადასცეთ და შეაგნოთ, რომ აუცილებლად იქმნას სხვა არჩეული. ამ ეკონომოსმა მონასტრის კლიტეები გელათის ნივთების გადაგების დროს, როგორც გამოირკვა, სხვას გადასცა მონასტრის გასაღები და ის იმით იმართლებდა თავს, რომ კლიტეები მე არ მქონდაო. გუშინწინ სპეციალად კაცი გაუგზავნე არქიმანდრიტს

წერილით და ვთხოვდი ცხენის ნათხოვრობას და იმდენად გაკადნიერდა წინამძღვარი და ამ უკანასკნელის შთაგონებით ეკონომოსი, რომ ცხენი არ მათხოვეს და ჩემ წერილზე პასუხის დაწერაც არ ინება არქიმანდრიტმა – რამდენათაც ეს კანონიერია და შესაბამი – თვით თქვენმა უწმიდესობამ განსაჯოს მართალია მე მომთმენიანი კაცი ვარ, მაგრამ ბოლოს მოთმინების ფიალაც აივსება. ეს მონასტრის მხრით პირდაპირ ანარქიული გამოსვლაა".

* * *

ქიმ. N3445

გელათის წინამძღვარს არქიმანდრიტ ნესტორს

თანახმად საკათოლიკოზო საბჭოს მოწერილებისა, 6 ამა აგვისტოდან, N1774 ამით გევალებათ სამღვდელოების საშუალებით განუმარტოთ სამრევლოებს და საზოგადოთ ეკლესიის და მონასტრის ახლოს მცხოვრებ მორწმუნე ერს – მონასტრების და განძეულების სარწმუნოებრივი, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა და წინადადება მიეცესთ მათ, მოღვრებთან ერთად აღიმაღლონ თავისი ხმა განძეულებისდაცვისათვის, თანახმად წარსული წლის საეკლესიო კრების დადგენილებისა, თუ მორწმუნე ერის და სამღვდელოების ხმას ამ შემთხვევაში ყურადღება არ მიაქციონ და საეკლესიო განძეულებას ძალმომრეობით დაუპირონ მონასტრებიდან ან ეკლესიებიდან წაღება, იმ შემთხვევაში მორწმუნე ერს, სამღვდელოებას და სხვა საეკლესიო დაწესებულებათა, რ̣ოგორც უმწეოთ დარჩენილებს ძალმომრეობის წინაშე, ევალებათ განაცხადონ პროტესტი და მოითხოვონ მოძალადედთაგან ამ პროტესტის ოქმში შეტანა, რათა თავისუფალი იყვნენ ყოველივე პასუხისმგებლობისაგან განძეულების წაღებისათვის. ხოლო ვინც ამ გაფრთხილებას ყურადღებას არ მიაქცევს რაიმე მოსაზრებით საეპარქიო მთავრობის დაუკითხავად და ნებადაურთველად, მისდამი რწმუნებულ საეკლესიო ან სამონასტრო განძეუ-

ლებას ვისმეს გადასცემს, ან ასეთ გადაცემაზე თანხმობას განაცხადებს, ის სასულიერო მთავრობისაგან იქნება პასუხისგებაში მიცემული, როგორც ორგული შვილი და მტერი ეკლესიისა.

12 აგვისტო 1921 წ. N1236

* * *

ქიმ. N 3444

22 აგვისტო 1921 წ.
გელათის მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ ნესტორს

ქუთაისის საეპარქიო მმართველობის კანცელარია ამით გაცნობებთ თქვენ ცნობად და ჯეროვანი განკარგულებისათვის, რომ მისმა მეუფებამ ქუთათელ მიტროპოლიტმა ნაზარმა განიხილა რა თქვენი მოხსენება მონასტრის დიდი ეკლესიის დროებით დაკეტვაზე და ყველა მისი გასაღებების მიტროპოლიტისათვის ჩაბარებაზე, დაადგინა: „18. 7. 21 წ. ამ მოხსენებაში აღნიშნული გელათის დიდი ტაძრის ყველა გასაღებები დაუბრუნდეს უკანვე მონასტრის წინამძღვარს არქიმანდრიტ ნესტორს, რომელსაც კანონით ევალება მათი დაცვა და შენახვა“.

ამასთანავე კანცელარია დასძენს, რომ ყველა გამოგზავნილი გასაღებები ჩაბარდა იკონომოსს მღ. მონაზონ ეპიფანეს თქვენდა ჩასაბარებლად.

კანცელარიის გამგის
მოადგილე: მღ. ცაგარეიშვილი

* * *

ქიმ.N3520

თქვენი წერილობითი ბრძანება 25 ამა აგვისტოდან N1350 მივიღეთ შესახებ გელათის მონასტერში მყოფი ცხენის გადმოგზავნისა ხრესილში და ამის გამო გაცნობებთ შე-

მდგომს: მონასტერს ყავდა ერთი კარგი ცხენი, რომელიც ბოლშევიკების შამოსვლის დროს ერთმა ჯარის კაცმა კაზაკმა პეტრო კაპუსტინმა წაიყვანა, ჩვენი ცხენის ნაცვლად დაგვიტოვა ერთი შავი ცხენი, რომელიც იყო ძვალი და ტყავი ესე იგი ძლიერ გამხდარი და მასთან მუნიანი. ბევრი ხარჯი გავსწიეთ, მაგრამ არ გამოკეთდა, მერმე ოც წარსულ ივნისს მონასტრის ეკონომმა წაიყვანა მეგრელიაში და გააბარა ს. ნოღოზაში, აბაშიძის რაიონში საბალახოდ, ყავს მიბარებული ალექსანდრე გაბელაიას. ამის გამო მონასტერში არავითარი ცხენი არ არის და რაც არ არის იმის გამოგზავნაც შეუძლებელია. თუ საზოგადო განკარგულება არის ცხენების ჩამორთმევისა, აბაშაც ამ სახელმწიფოშია და ეს განკარგულება იქაც იქნება და იქაური ადგილობითი მთავრობა ჩამოართმევს ალექსანდრე გაბელაიას აღნიშნულ ცხენს და სახელმწიფოს არ დაეკარგება ის მუნიანი ცხენი თუ მარტო მონასტერს ართმევენ, შეგიძლიათ იქაურ ადგილობრივ შეფობას მისწეროთ ჩამოართვას და გამოგიგზავნოს.

* * *

ქიმ.N3426

მიტროპოლიტს ნაზარს

თქვენ, როგორც მიტროპოლიტს და ეპარხიის მმართველს, ჩემი აზრით, უფრო ბევრი გესმის, უფრო დიდი უფლება გაქვს მინიჭებული და უფრო მეტიც მოგეთხოვება ღვთისაგანც და კაცისაგანც, ვინემ თქვენ ხელქვეით სამღვდელოებას. ამიტომ უკეთუ თქვენმა ხელქვეითმა სამღვდელოებამ ვერ გაიგო რაიმე საქმე უნდა შამოგეკითხოს, ეს თუ ის საქმე როგორ არის? ვის რა უფლება აქვს თავის სამსახურში და სხვა. თქვენ უნდა განუმარტოთ, აუხსნათ და მოაწესრიგოთ. მე ასე მესმის და თქვენ როგორ ხედავთ ამ საქმე მე არ ვიცი. მეც, როგორც თქვენ ხელქვეით მოსამსახურეს, ბევრი ვერ გავიგე თქვენი მოქმედებისაგან შესახებ გელათის მონასტრისა და გთხოვთ განმიმარტოთ შემდგომი:

წინამძღვრის დაუკითხავად შეუძლია ბერებმა იაროს ქალაქში და სოფლებში, თუ არა? ამას მისთვის გკითხავ, რომ ჯერ კიდევ ერთი წელიწადი თუ არის რაც აქ გელათში გადმომიყვანეთ და ამისთანა შემთხვევა ბევრი იყო და ამ ერთ წელიწადში როცა ვკითხე იმ ბერს, სად იყავი თქო?– მიტროპოლიტმა დამიბარა და მასთან ვიყავიო. კეთილი. თქვენ ჩემდა გაუგებლად უნდა დაიბაროთ ბერები, თუ მე უნდა მიბრძანოთ: ეს და ეს ბერი გამომიგზავნე? როცა ბერის გამოგზავნას შამომითვლი, უნდა შამომითვალო რაზე იბარებთ ბერს თუ არა? თქვენ უნდა მისცეთ ნება, რომ ბერი, მღვდელმონაზონი აქედან წაიყვანოთ თოხით და ბარით მხარზე გადებული და მანდ მიწა ათხრევინოთ, ყანა ათოხნინოთ, ამუშაოთ რაოდენიმე დღით და მონასტერს მიაბაროთ, როცა რომ მონასტერში მორჩილები არ არიან და ბერის აქედან გაწვევა თქვენი საკუთარი მუშაობისთვის დიდად დასაკლისია მონასტრისთვის? ამ კითხვას მისთვის მოგახსენებ, რომ ბევრჯერ იყო შემთხვევა, რომ წაიყვანეთ სიმონ მღვდელმონაზონი და მთელი კვირაობით ამუშავეთ თქვენ საკუთარ საქმეებზე და ერთხელ მთავარი დიაკონიც. დასაშვებია, რომ მღვდელმონაზონმა კრუხ-წიწილები აისვას მხარზე და წაგვაროს მიტროპოლიტს გელათიდან? როგორც თქვენ ეს ინებეთ, აქ ერმილე გელაძეს და დარაჯს აყიდვინეთ კრუხ-წიწილები და სიმონს ჩამოაყვანინეთ? შესაძლებელია, რომ მღვდელმონაზონმა ფუთობით ღვინო გიზიდოს მხარზე აკიდებული ხვირჯინით ქვეითად? შესაძლებელია ბერები სოფლად მოფინოთ და ყურძენი აყიდვინოთ და ღვინო აკეთებინოთ მონასტერში და ვოტკა ახდევინოთ და თუ ამას შესაძლებლად სთვლით, ამ დროს თქვენ მიერ დასაქმებული ბერები სცდებიან ღვთის სამსახურს თუ არა? ბერები მისთვის შედიან მონასტერში, რომ ღმერთს ემსახურონ, თუ იმისთვის რომ მიტროპოლიტს ემსახურონ? მე მგონია ღვთის სამსახურებლად შამოდიან და ყველა ზემოჩამოთვლილი საქმე მიტროპოლიტმა თავის მოსამსახურეებზე უნდა გაწეროს. ჩემი აზრით ყველა ეს და ამისთანები უკანონო უნდა იყოს და თუ თქვენ კანონიერად მიგაჩნია გთხოვთ განმიმარტოთ. მე შემეძლო ამ კითხვების და სხვა ამგვარი კი-

თხვების განსამარტებლად სხვისთვის მიმემართა, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდები არ მინდა თქვენ შეურაცხყოფა მოგაყენო ამით. ნათქვამია: მოკეთეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანო. აგერ ერთი კვირაა, რაც სიმონ ბერი თითქმის ყოველდღე ქუთაისში დადის, არც მეუბნება რისთვის. მამა ზენონს იბარებთ ხშირად, რისთვის არ ვიცი და მგონი საჭიროა ვიცოდე. თუ წინამძღვრად მთვლით და თუ არ მთვლით წინამძღვრად, მიზეზი მაინც უნდა ვიცოდე. ორმოცდაოთხი წლის ნამსახური ვარ და ბევრი თანამდებობა აღმისრულებია და ღვთის შემწეობით საქმე არ გამბრუდებია და ნუთუ თქვენთან შევიქენი უხეირო. მე დავრწმუნდი, რომ თქვენთან სიტყვა მოაქვს ვიღაცეებს და თქვენ გჯერათ და მისთვის შევიქენი მიწაშინ გასწორებული. მაგრამ ღმერთია დიდი, კიდევ ვითმენ ღვთის იმედით.

* * *

ქიმ.3451

მოხსენება მიტროპოლიტს

ვინაიდგან მენშევიკურმა მთავრობამ ადგილ-მამული, ტყე ჩამოართვა მონასტერს და მით მონასტერის საშუალება შემცირდა და ყველა საჭიროებას ვერ აკმაყოფილებდა, ეკლესიების შეკეთება, შენობების სახურავების შეკეთება მაშინდელმა მთავრობამ აღგვითქვა და ერთხელ კიდეც გამოგზავნა მუშები და შეაკეთა დიდი ტაძრის სახურავი მათი მასალით და ხარჯით, ხოლო რადგანაც აწინდელ მთავრობას არც ადგილ-მამული დაუბრუნებია და არც ტყე, გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რომ იქნება ხაზინის ხარჯით და საშუალებით შეაკეთონ ეკლესიებისა და შენობების სახურავი, რომელიც დიდი ქარიანობის გამო ძლიერ დაზიანებული და გაფუჭებულია და არ ეყოფა მათ შეკეთებას ერთი მილიონი ფული.

წინამძღვარი არხიმანდრიტ ნესტორი

1 თებერვლის 1922 წ.

* * *

ქიმ. N 3519

1923-სა წელსა მარტის 6-სა დღესა ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერთა გელათის მონასტრის წინამძღვარმა და კრებულმა მოვილაპარაკეთ მონასტრის ქონების მოვლა-დაცვაზე და სამონასტრო საქმეების განაწილებაზე და დავადგინეთ შემდეგი: 1/ წინამძღვარმა, როგორც ამ დრომდინაც იყო, აწარმოვოს მიწერ-მოწერა მონასტრის საქმეების შესახებ, როცა დაისაჭიროს საქმემ, მოეხმაროს ეკონომოსს წიგნის წარმოებაში, თვალყური ადევნოს ღვთის მსახურების აღსრულებას და სხვა სამონასტრო საქმეებს 2/ ეკონომოსმა მღ-მონაზონმა ათანასემ დაიცვას ეკლესიის ქონება, აწარმოვოს შესავალ-გასავლის წიგნი, მოუაროს ფუტკარს და წისქვილს 3/ იღუმენმა მათემ აცხოს სეფისკვერი 4/ მღ. მონაზონ ეპიფანეს მიენდოს გალავნის დიდი კარების და რკინის კარების გასაღებები და თავ-თავის დროზე გააღოს და დაკეტოს 5/ მღ-მონაზონს სილოვანეს დაევალოს ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს წიგნების კითხვა. შენიშვნა: ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს სიარული და წიგნების კითხვა ყველასთვის სავალდებულოა, მაგრამ წიგნების კითხვა სხვებზე მომეტებულად ევალება სილოვანეს, რადგანც ის სხვა სამონასტრო საქმეებისაგან თავისუფალია. 6/ მღ. მონაზონს დოდოს ევალება ჩიხაოს მოვლა და ღამე გამთევ სტუმრების და მლოცველების მიღება ჩიხაოში შენახულ ყოველივე ნივთების დაცვა დაკარგვისა, გატეხისა და გაფუჭებისაგან. 7/ მღ. მონაზონს ევთიმეს ევალება მორჩილ იოსებ ლეჟავასთან ერთად მონასტრის ეზოს დასუფთავება და სუფთად შენახვა. 8/ მთავარ დიაკონს ლუკა ჭირაქაძეს მორჩილის დახმარებით და ეკონომოსის ზედამხედველობით ევალება ეკლესიის დაგვა-დახვეტა-დასუფთავება, შანდლების დაწმენდა და ხატების სუფთად შენახვა. ზემო აღნიშნულნი

პირნი ვალდებული ვართ ჩვენდამი მინდობილი საქმე რიგიანად და დაუზარებლად შევასრულოთ, რასა შინა ხელს ვაწერთ:

წინამძღვარი მონასტრისა არხიმანდრიტ ნესტორ, მღვდელმონაზონი ათანასე, მღ. მონაზონი დიშდო, მღვდელმონაზონი ექვთიმე, მღვდელმონაზონი სილოვანე, იღუმენი მათე, იოსაფატი.

* * *

ქიმ. N3518

გელათის მონასტრის წინამძღვარს
არქიმანდრიტ ნესტორს

ამით გაუწყებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოდან მე მაქვს მინდობილი ქუთაისის გუბერნიაში ყოველგვარ საისტორიო და საარქეოლოგიო ნაშთთა დაცვა, ამიტომ თქვენ, როგორც პასუხისმგებელ წინამძღვარს ამ გუბერნიის უმთავრეს საარქეოლოგიო ნაშთის – გელათის დამცველს, იყოთ ფრთხილად და არავინ შეეხოს ან შენობას, ან გალავანს ან ნივთებს და თუ ამისთანა რამ იქნეს დაუყონებლივ საჩქაროთ გამოგზავნილი განსაკუთრებული მოამბით მაცნობოთ სათანადო ზომების მისაღებად.

მუზეუმის დირექტორი: ტ. ჯაფარიძე

* * *

ქიმ.N5234

ტრ. ჯაფარიძეს

გელათის მონასტრის ლიკვიდაციის კომისია დღეს მიემგზავრება გელათში. გთხოვთ დილითვე და ამა ბარათის მი-

ლებისთანავე გამოცხადდეთ ქალაქის მილიციის სამართველოში კომისიაში მონაწილეობის მისაღებად.

ქუთმაზრის აღმასკომის წევრი ი. დევდარიანი

* * *

ქიმ.N3516

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

1923 წელს ივნისის 5 დღის გელათის მონასტრის ლიკვიდაციის კომისიის თავმჯდომარე პ. ქუთათელაძემ მივიღე გელათის მონასტრის გალავანში მყოფ მთავარი ტაძრის, წმიდა გიორგის და ნიკოლოზის ეკლესიების გასაღებები, რომელნიც დღეის რიცხვით დახურული იქმნება და ლუქ დასხმული.

ხელ ვაწერთ: პ. ქუთათელაძე 5. 06. 23 წელი

* * *

ქიმ.N3527

ბ-ნ ვუკოლ! იმის დამატებით, რაც პირადათ მოგახსენათ გიორგი კოკოჩაშვილმა, მოკლედ გატყობინებ შემდეგს: რადგან ქალაქშიდაც და სოფლებშიდაც დაიწყეს ეკლესიების კეტვა და ნივთების გამოტანა. მე ვაცნობე აღმასკომს ჩემი მოვალეობა, დანიშნულება და მოვსთხოვე მთელ მაზრაში ყველა თემისათვის ეცნობებია, რომ ნივთები პასუხისმგებელ პირებს ჩაბარებოდა და ჩვენს უნახავად არაფერი დაკარგულიყო. დავუსახელე ეკლესიები, სადაც ნივთებს გარდა თვით შენობებია /მოხატული/ ფრესკებიანი დასაცავი და არ წაეხდინათ. გელათის არხიმანდრიტს მივეცით დასაცავი ქაღალდი. მოწამეთის ნივთები ჩამოიტანეს პროფკავშირში. იქ მივედი კონდაკოვის წიგნით ხელში და მოვსთხოვე ყოველივე ჩემთვის გადასარჩევათ ეჩვენებინათ, თან მახლდა კოკოჩაშვილიც, მაჩვენეს და გარდა იმისა, რაც კონდაკოვში

არის აწერილი /სულ ექვსი ნივთი აქვს კონდაკოვს/, სხვაც ბევრი ვნახე სამუზეუმოთ საჭირო, უარი არ უთქვამთ, გადმომცეს. კონდაკოვის სიიდან აკლდა ერთი პატარა საცეცხლურის ჯვარი და საძებრად გავატანე ამონაწერი წიგნიდან ისევ მონასტერში. ცალკე სიით წამოვიღე ყველაფერი სამუზეუმო და ვათავსებ ცალკე შკაფში.

მივსწერე გაფრთხილება შორაპნის მაზრის კომისარს და აღუნიშნე მონასტრები და ეკლესიებიც, სადაც რა უნდა დაიცვას. შემთხვევით ვინახულე მისი მოადგილე მოწამეთის ნივთების გადარჩევის დროს და მითხრა, ყველაფერს თქვენი ჩვენების თანახმად შევინახავო, დამამშვიდა, თანაც მითხრა რა შორაპნის მაზრაში ცალკე გვინდა მუზეუმიო. მე ვუთხარი, თუ ნივთებს არ გააბნევთ, დაიცავთ, გიახლებით და მოგიწყობთ მუზეუმს თქო. რაჭაში მივსწერე ძვირფასეულის დაცვა მასწავლებელ სხირტლაძეს /სოფ. ბრავალძა/ და მაქვს იმედი არა წახდება რა. გურია-სამეგრელოს მაქიდან უშველეთ რამე, თუ ზუგდიდის მუზეუმის გამგის იმედი არ კმარა.

ამ დღეებში შევუდგებით საკათედრო ტაძრის ნივთების გადარჩევას და იქაც აწერის დროს აღვნიშნე სამუზეუმო ყველაფერი და იმედი მაქვს უარი არ მითხრან.

/ვნახოთ, დანარჩენს როგორც მოიხმარებენ არ ვიცი/...

ტრიფონ ჯაფარიძე

* * *

ქიმ.N3542

მისს ყ~დ უსამღვდელოესობას
გურია–სამეგრელოს ეპისკოპოსს დავითს
დროებით იმერეთის ეპარქიის მმართველს!
გელათის მონასტრის წინამძღვრის
არხიმანდრიტის ნესტორისაგან, მოხსენება

ამით პატივი მაქვს მოგახსენო შემდგომი: ამ წლის 5 ივნისს საერო მთავრობის მიერ გამოგზავნილმა კომისიამ დაკ-

ეტა გელათის მონასტერი, ეკლესიები ყველა დაბეჭდა და ჩვენ მონასტრის მკვიდრთ გამოგვიცხადა, რომ ერთი კვირის განმავლობაში დაგვეტოვებია მონასტერი და წავსულიყავით ჩვენი ბარგით, განგუეთავისუფლებია მონასტრის შენობები, რომელიც ჩვენ გვჭირდებაო. დაკეტვის წინ ჩვენ ვსთხოვეთ კომისიას, რომ მახლობლად მცხოვრებნი მოეწვიათ და ეკითხათ: სურსთ თუ არა დაიკეტოს მონასტერი როგორც ამას ნებულობენ ეკლესიების დროს, მაგრამ კომისიამ ხალხის მოწვევა არ ინება და ამაზე ასე გვიპასუხა: გელათის მონასტერი ეკუთვნის მთელ საქართველოს და არა ამ სოფლის მცხოვრებთო და ამიტომ დაკეტვა ჩვენი ნება არისო. ჩვენ ვსთხოვეთ დამკეტ კომისიას, რომ შემოდგომამდი მაინც დავეტოვებინეთ მონასტერში, რადგანაც ყანაბოსტანი-ვენახი გვაქვს ნამუშევარი და ჩვენი ნამუშევარი ნუ წაგვერთმევა. კომისიამ გვირჩია, რომ ამის თაობაზე თხოვნა შეიტანეთ აღმასკომშიო. 6 ივნისს შევიტანეთ თხოვნა აღმასკომში შემოდგომამდი დატოვების შესახებ, ამ თხოვნის შედეგია, რომ ორი მღვდელმონაზონი დატოვეს მონასტერში ნამუშევრის მეთვალყურედ და მომვლელად, შემოდგომაზე იმათ უნდა მყოფ გელათის ბერებს თავი-თავისი წილი ნამუშევარი დაურიგონ. 12 იმავე ივნისს გელათში მოვიდა ექიმი ლოსაბერიძე და ინჟინერი მგალობლიშვილი, როგორც იმათ განაცხადეს მთავრობის ბრძანებით, ასწერეს ყველა სახლები, სენაკებიანად და მოგვთხოვეს ბინების დაცლა, აქ უნდა მოვიყვანოთ საზაფხულოდ ბავშვებიო. 15 ივნისს მოვიდა მთავრობის გამოგზავნილი დარაჯი /მილიციონერი/, მოითხოვა და ჩაიბარა ალაყაფის კარების გასაღებები. მერმე ორიოდ დღის უკან ამოვიდენ რაოდენიმე მასწავლებელი ქალები დარაჯის თანხლებით, იმათ ხელმეორედ ასწერეს სახლები და მოგვთხოვეს ბინების დაცვლა. 26 იმავე ივნისს მოვიდა ისევ დამბეჭდი კომისია, რომელმაც მოიყვანა საგუბერნიო მუზეუმის დირექტორი, აღწერეს მონასტრის ყოველი ნივთები, რაც კი იყო ეკლესიებში და ეკლესიებს გარე, რაც კი დარჩათ წაულებელი მენშევიკებს. ამათ არაფერი არ წაულიათ, ისევ დაკეტეს ეკლესიები და გასაღებები ჩააბარეს მუზეუმის დირექტორს – ხოლო გარეთ რაც სახმ-

არი ნივთები იყო, ყველას ჩამოართვეს სიით და დროებით მიაბარეს მონასტრის ეკონომოსს მღვდელმონაზონს ათანასეს, ხოლო ზემოაღნიშნულ ორ ბერის გარდა, ყველას გამოგვიცხადეს მინისტრიდან წასვლა. ახლა მონასტერში არის მხოლოდ ორი ბერი მთავრობის ნებართვით დატოვილი და ერთიც თვის ნებით დარჩენილი. სხვები წავიდ-წამოვიდნენ იქ, სადაც შეიძლება თავის შეფარება.

* * *

ქიმ.N3504

ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს გელათის მონასტრის წინამძღვრის და კრებულისაგან თხოვნა

ამა წლის 5 ივნისს მოვიდა გელათში მთავრობის გამოგზავნილი კომისია და გელათის მონასტრის ეკლესიები დაკეტა, დაბეჭდა და ჩვენ /მონასტრის მკვიდრთ/ გამოგვიცხადა, რომ ერთ კვირის განმავლობაში მონასტრიდან წადითო. ჩვენ ვალდებული ვართ მთავრობის განკარგულებას დავემორჩილოთ, მაგრამ ამასთანავე იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩვენ მდგომარეობასაც მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას და არ დაგვსჯის იმდენად, რომ შიმშილით სიკვდილს მიგვცეს პირში. საქმე მდგომარეობს შემდგომში: არცერთ ჩვენგანს გელათის მონასტერში მოსამსახურეთ არა გვაქვს არავითარი ჯამაგირი არც საერო და არც სასულიერო მთავრობისაგან და ჩვენ ვირჩენთ ჩვენ თავს ჩვენი ფიზიკური შრომით, ვაკეთებთ ყანას, ბოსტანს და ვენახს და ეს ერთადერთი წყარო ჩვენი არსებობისა არის ჩვენი პირადი ფიზიკური შრომა, რაშიც მონასტრის დამკეტი კომისია დარწმუნდა. დღეს ჩვენ გვაქვს დათესილი ყანები, ბოსტანი, დამუშავებული ვენახი და შემოდგომამდი მათ ნამყოფს ვერ მოვიმკით და დღეს რომ დავანებოთ თავი მონასტერს და ჩვენი ოფლით მორწყული ყანა-ბოსტანი-ვენახი დავტოვოთ, ვის უნდა მივადგეთ კარზე? ვინღა უნდა გვასაზრდოვოს, ვინ უნდა შეგვ-

იბრალოს? თუ მთავრობა ჩვენ ნაშრომს დაგვატოვებიებს, ზამთარი რომ იყოს ან ახალი გაზაფხული და ყანების მუშაობა ჯერ არ გვქონდეს დაწყებული, მაშინ კიდევ რაღა გვეთქმოდა, რადგანაც მთავრობას სურს ჩვენი გაძევება მონასტრიდან, ამასთან ისიც უნდა მოვახსენოთ, რომ ვინაიდგან მთავრობის კანონით მოხუცებულებს, რომელთაც შრომა აღარ შეუძლიათ თავის ხელით მოხუცებულობის გამო, ნება ეძლევა თავისი ადგილი სხვას მიაზიაროს. ჩვენ შორის ორ პირს წინამძღვარს და მორჩილს თავისი წილი ადგილი მიზიარებული აქვთ სხვაზე. ამით მთავრობის კანონი არ ირღვევა. როგორც ზემოთ მოხსენებულია და ნუ წაერთმევა მათი წილი მოსავლისაგან. მოვახსენებთ რა ყოველივე ზემო აღწერილს, უმორჩილესად ვთხოვთ აღმასრულებელ კომიტეტს, შემოდგომამდი დაგვტოვონ ჩვენ ყველანი მონასტერში და რაკი მოსავალს მოვისთველებთ ჩვენ დავსტოვებთ მონასტერს და სადმე მოვიძებნით თავშესაფარ ადგილს.....

* * *

ქიმ.N102

ო ქ მ ი

1923 წლის 24 აგვისტოს გელათის მონასტრის ქონების აღწერის დროს, როდესაც მუზეუმის მოსამსახურის პირნი მივადექით წყაროს თავზე მდებარე პატარა ეკლესიას აღსაწერად, გამოირკვა, რომ სამწირველოს ედვა ძველი ბოქლომი, რომლის გასაღებიც აღმოუჩნდა მონასტრის დარაჯ ილია ნიკოს ძე ლაფერაძეს. შეკითხვაზე თუ როგორ მოხდა, რომ მის ხელშია ეკლესიის გასაღები, მან განაცხადა: ერთი კვირის წინათ, შევნიშნე ეკლესიაში ეწყო სანთელი, წინადადება მივეცი მღვდელმონაზონს ათანასეს მოეტანა გასაღები და გაგველო, მართლაც მან მომიტანა წვრილი გასაღები, მაგრამ არც ერთი არ მოერგო. მერმეთ წამოვედი უკან, შევედი ჩემს სადარაჯო ბინაში, იქ ვნახე დაკიდებული კლიტე და წავედი სასინჯავათ თუ მოერგებოდა ბოქლომს და კიდევაც გაიღო. შევედი შიგ და წამოვიღე 15 ღერი სანთელი.

ამ დროს შემხვდა გზაში კომიტეტის წევრი მარკოზა კეზევაძე და მასაც მივეცი 5 ღერი სანთელი, თან უთხარი, რომ წამოსულიყო და ეყურებია ჩემთვის მისი დაკეტვა. ის წამომყვა, შევედით ეკლესიაში და იმ დროს წამოვიღე სააიაზმე ფარფორი ჯამი. დავკეტე ძველი გასაღებით და განუცხადე ბერებს, რომ გავაღე ეკლესია და გამოტანილი სანთლიდან მათაც მივეცი. ბერმა ეპიფანემ კიდევაც დამიშალა, რომ ჯამზე ცუდი რამ არ დამესხა, როგორც საეკლესიო ნივთზე. ილია ლაფერაძე.

მარკოზ კეზევაძე ამის გამო დაკითხული იქმნა, რომელმაც განაცხადა შემდეგი: „მე მქონდა საქმე ბერ ათანასესთან, ჩამოვედი მონასტერში, საღამო ხანი იყო, ათანასე ვერ ვნახე, დავბრუნდი უკან, მონასტრის კარებთან შემხვდა ბერი ათანასე და მილიციონერი ილია ლაფერაძე. ჩემ შეკითხვაზე; თუ სად იყვნენ, ათანასე ბერმა სთქვა: რომ ისინი იყვნენ წყაროს თავის ეკლესიასთან, მილიციონერს იქიდან სანთლის გამოტანა უნდოდა, მაგრამ გასაღებები არ მოერგო და სახლში მივდივარო. მე უთხარი მათ, რა საქმე გაქვთ ეკლესიაში, სანთელია თუ არა, თუ საჭირო იყო კომიტეტი გახსნიდა და გამოიტანდა. მე წამოვედი ათანასესთან, ხოლო მილიციონერი დაბრუნებულიყო და გაეღო ეკლესია. სახლში რომ მივდიოდი შემხვდა წმიდა გიორგის ეკლესიის გვერდზე, სანთელი მოქონდა, ვკითხე სად იყავი-თქო. მან სთქვა, ეკლესია გავაღე და სანთელი გამოვიტანეო. თან მთხოვა რომ პატარა მომეცადა, მაშინ წამოიღო თავის ბოქლომი, გამოიტანა ეკლესიიდან სააიაზმე თეთრი თეფში და დაადვა ბოქლომი. მომცა მან ლაფერაძემ 2 ღერი სანთელი, მათში ერთი ნაწვავი და მეორე მთელი, რომლებიც ეხლაც ხელუხლებელია...

დაკითხული იქმნა ბერი ათანასე, რომელმაც განაცხადა შემდეგი: „დაახლოებით ორი კვირის წინათ, მილიციონერმა ილია ლაფერაძემ მითხრა, რომ წყაროსთავთან მდებარე ეკლესია გამეღო, მე უარი უთხარი, კომისიას არ გაუღია და ჩვენ რა უფლება გვაქვს გაღებისა. მან სთქვა, არაფერი უშავს, გავაღოთო, იქ სანთელი იქნება _ა გამოვიტანოთ, მჭირდებაო. წავედით, წავიღეთ წვრილი გასაღები, მაგრამ არ-

ცერთი არ მოერგო. მერე მოიტანა თავის გასაღები, მაგრამ არც ის მოერგო და დავანებეთ თავი და წამოვედით სახლში. მონასტრის ეკლესიის კარებთან რომ მოვედით, მოგვწია ათისთავი მარკოზა კეზევაძე და გვკითხა, სად იყავითო. დარაჯმა უპასუხა, რომ ეკლესიის გაღება უნდოდა, მაგრამ ვერ გავაღეთ. კეზევაძის შეკითხვაზე, რად გინდოდათ ეკლესიის გაღება – დარაჯმა უპასუხა, რომ იქ სანთელია ტყუილად. მაშინ კეზევაძემ უთხრა, სანთელი იქ თუ არის, შენი საქმე არ არისო. მე ჩემს ბინაზე წავედი, მარკოზა კეზევაძე მე გამომყვა, ამის შემდეგ დაღამებამდე მილიციონერმა მოიტანა 2 ღერი სანთელი, „თქვა, რომ გავაღე ეკლესია და სანთელი და ჯამი წამოვიღეო. უპასუხე დარაჯს – მარტო რისთვის შედი, მან მითხრა, რომ კომიტეტი დავისწარი და ისთე შევედიო. მღ. მონაზონი ათანასე: შეკითხვაზე, თუ რამდენი ხანია ეს ეკლესია არ გაღებულა, ათანასემ სთქვა, რომ ის თითქმის წელიწადნახევარია მონასტერშია და ნაჩვენები ეკლესია არ ყოფილა ამ ხანში გაღებული და წინათ როდის გაიღო არ ვიცი. როგორც მას გაუგონია ბერებიდან, ის ეკლესია არ გაღებულა ანთიმოზ არხიმანდრიტის გარდაცვალების შემდეგ, რომელმაც განაახლა ეკლესია და განაგებდა მას: მღ. მონაზონი ათანასე. დაკითხულ იქმნა ბერი ეპიფანე, რომელმაც განაცხადა, რომ წყაროს თავის ეკლესია არ გაღებულა არქიმანდრიტ ანთიმოზის სიკვდილის შემდეგ, რომელიც მოხდა ექვსი წლის წინათ და არ ვიცი რა ნივთები ინახებოდა შიგ: მღ. მონაზონი ეპიფანე:

შეკითხვაზე ილია ლაფერაძემ განაცხადა, რომ ეკლესია, გაღების შემდეგ დაკეტა თავისი ბოქლომით, ვინაიდან ძველი არ დაიკეტა. ხოლო მეორე დღეს შევაკეთე ძველი ბოქლომი და დავკეტე მითი. ლაფერაძემ დაადასტურა, რომ კომიტეტის წევრი კეზევაძე უსაყვედურებდა ეკლესიის გაღებას.

გამოტანილი ჯამი ლაფერაძემ მუზეუმის თანამშრომელთა თანდასწრებით მოიტანა და დადგა ეკლესიაში თავის ადგილას.

მუზეუმის დირექტორი: ტრ. ჯაფარიძე

საქმის მწარმოებელი: ტ. სოხაძე

* * *

ქიმ.N3524

ქუთაისის სამაზრო აღმასკომს

ამით მოვალე ვარ მოგახსენოთ, რომ ამა აგვისტოს 22–26 აგვისტოს მუზეუმის მცველი ჩემი ხელმძღვანელობით მუშაობდა გელათის მონასტერში. მონასტრის ქონების დეტალური აღწერის შესადგენად, ქონების ხასიათის და ღირებულების გამოსარკვევად და ეკლესიის შენობებში გიგიენური დაცვის მხრივ გეგმის მოსაგვარებლად. ყოველივე მუშაობა დასრულებულია შავად შედგენილი სია თეთრად მუშავდება.

მუზეუმის დირექტორი:
საქმის მწარმოებელი:

* * *

ქიმ. N153

გელათის მონასტრის ნივთების აწერილობა
შესრულებული 21–25 აგვისტოს 1923 წ. მ. კოკოჩაშვილი
ხატები, ჯვრები, ნაშთები მღვთისმშობლის ტაძარი

1. ხახულის ღვთისმშობლის ხატი, აწერილია ნ. კონდაკოვის მიერ. ხატს აქვს მინებიანი ბუდე. ბუდეში დევს 4/ოთხი/ ახლანდელი რუსულის ხელობის პატარა ხატი, წმ. ნიკოლოზის, მღვთისმშობლის და ორიც მაცხოვრის. ხახულის ხატის მთავარ ნაწილზე მღვისმშობლის ხატის ქვევით ჩამოკიდებულია ერთი პატარა ოქროს ჯვარი ახალი ხელობისა და ერთი ძლიერ პატარა ქინძისთავისებური ბრილიანტის ჯვარი.

2. აწყურის მღვთისმშობლის ხატი, შემკულია მოოქრული ვერცხლით, ტრიპტიხი, თავის მინის ბუდეში. ხატი ოქროსია.

3. „გელათის" მღვითმშობლის ხატი, ტრიპტიხი, მოოქრული ვერცხლისა, თავის მინის ბუდეში, მთავარი ხატი ოქროსია.

4. მაცხოვრის ხატი, ვერცხლის, თავის მინის ბუდეში.

5. მაცხოვრის ხატი, მოოქრული ვერცხლის, მინის ბუდეში.

6. მღვთისმშობლის ხატი „ბაგრატის ვედრება" დიდი, მინის ბუდეში.

7. მღვთისმშობლის ხატი, ტრიპტიხი, მოოქრული ვერცხლისა, კამერებით, თვით ხატი ოქროსია, მინის ბუდეში / გადმოტანილია წმ. გიორგის ეკლესიიდან გელათშივე /. ამავე კოლოფში დევს უბრალო ემალის ახლანდელი დროის პატარა ხატი გელათის მღვთისმშობლისა.

8. წმ. გიორგის ხატი, ვერცხლის რელიეფური, ხეზე ზომით 36 X 32 სმ. წმ. გიორგი ცხენზე; მარჯვენა ხელში უჭირავს ჯვარი. ცხენი ფეხებით სთელავს წაქცეულ მხედარს. გიორგის თავის ორივე მხარით წარწერა ხუცური ასომთავრული, ხატს შემოვლებული აქვს სამ წყებად ფართო ჩარჩო ვერცხლისავე, ჩუქურთმებითა და მრავალი თვლებით შემკული. ბევრს ადგილას სთვლები ამოვარდნილია და დაკარგულია, როგორც ჩარჩო, ისე თვით ხატი ბევრს ადგილას დაზიანებულია, დაჭეჭყილი და მიმტვრეული სულ არის 37 დიდი და მოზრდილი თვლები. დანარჩენი წვრილი თვალი – ფირუზი ხატი მოთავსებულია მინიან ხის კოლოფში; წარწერა არა აქვს.

9. მაცხოვრის ხატი ვერცხლის, მოოქრული მაცხოვარი ზის ცხენზე და მარჯვენა ხელით კურთხევას იძლევა. ხატი მოთავსებულია შუშიან კოლოფში. წარწერა მთავრული კონდკოვს არ აქვს წაკითხული. მაცხოვრის ნათელზე სამი დიდი მოწითალო თვალია. წარწერა იხ. გ. წერეთელთან გვ. 36.

მ.კოკოჩაშვილი ამის შემდეგაც ნ. კონდაკოვის აღწერილობას ეყრდნობა.

10. მღვთისმშობლის ხატი მაცხოვრით, მოოქრულ ვერცხლისა დევს შუშიან კოლოფში, შემკულია ორი დიდი და საშუალო ზომის თვლებით.

11. მღვთისმშობლის ვერცხლის ხატი მაცხოვრით მღვთისმშობლის ნათელს აქვს ორი დიდი მოწითალო ქვა. მინებიან კოლოფში.

წაღებულია მთავრობის განკარგულებით გამოფენისათვის. იხ. ოქმი 1930წ.

12. მაცხოვრის ხატი ოქროსი, ხატს არა აქვს კოლოფი. კონდაკოვის აწერილობის წინააღმდეგ მინაქრიანი ემალი „კაიმაზე“ აკლია /მთავარ ანგელოზის/.

წაღებულია მთავრობის განკარგულებით გამოფენისათვის. იხ. ოქმი 1930წ.

13. მღვთისმშობლის ხატი 52 X 39 სმ. წელზეითი ნახატი ხეზე. წითელ პერანგში. ხელები გაშვერილი აქვს მარცხნივ სალოცველად: სახე ¾ მარცხნივ მიმართული. ხატი ჩარჩოთივე მოჭედილია მოოქრული ვერცხლით, ფოთლოვანი სახეებით. მდარე ხელობისა, ნათელიც ასეთივეა. შემკულია დიდი თვლებით. ორი წითელი ნათელს ძირში კისერთან თითო აქეთ-იქით, ერთი მსხვილი ფირუზი მარცხენა ხელის მტევანთან, ერთი მუქი დიდი ქვა მღვთისმშობლის თავზე. მარჯვენა კუთხეში ერთი წითელი თვალი, რომლის თანაბარი მარცხენა კუთხეში აკლია. ხატი შემკულია მსხვილი და წვრილი მარგალიტებით, რომლებიც მავთულზეა აცმული. როგორც მხატვრობა, ისე მოჭედილობა დაზიანებულია: მარცხენა ზემო და ქვემო კუთხეებში ვერცხლი მოგლეჯილია, მხატვრობა შესრულებულია მუქი ფერებით. სახე ყავისფერი, თვლები მსხვილი. მოჭედილობის საერთო ხასიათი და ნახაზობა ამტკიცებს, რომ იგი შესრულებული ყოფილია მე-14 ს. შემდეგ, უფრო კი საფიქრებელია მე-16 საუკ. დაახლოვებით იმ დროს, როცა შემკული იქნა ღვთისმშობლის ხატი ე. წ. „ვედრება ბაგრატ მეფისა“. ხატს არავითარი წარწერა არა აქვს. ეს ხატი არა აქვს აწერილი არც კონდაკოვს, არც გ. წერეთელს.

14. მღვთისმშობლის ხატი მოოქრული წელზეით მაცხოვრით მარცხენა ხელში. ზომით 42 X 52 სმ. მღვთისმშობლის თავის ორივე მხრით მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების წელზეითი გამოსახულება ასომთავრული ხუცური წარწერით /.../ მღვთისმშობლის და მაცხოვრის ნათელი მოჩუქურთმებულია ამოზნექილად წარწერა ასომთავრულად: „ყოვლად წმიდა მღვთისმშობელი“ და „იესო ქრისტე“. ორივე ქარაგმით. ჩარჩო მოჩუქურთმებულია ფოთლოვანი სახით, მხოლოდ ჩაზნექილი. ჩარჩოს ქვემო ნაწილზე ასომთავრული ორ რიგად წარწერა. არეზე არის ორი ოქროს ოთხკუთხელი

ხუთ-ხუთი საშუალო ზომით ფირუზით და ერთი დიდი მწვანე ქვით და ერთიც მოთეთრო გამჭვირვალე ქვა. ხატი მოთავსებულია შუშიან კოლოფში. წარწერა: ეს ხატი კონდაკოვს აწერილი არა აქვს.

15. მღვთისმშობლის ხატი მაცხოვრით 28 X 32 სმ. მხატვრობა მთლად დაცვივნულია. დანარჩენი ნაწილი შემკულია ფოთლოვანი სახის ჩუქურთმით /ვერცხლი/ თვლებით, ფირუზებით და მარგალიტით არეზედ არის ოთხი პატარა ვერცხლის ფირფიტები ბერძნული წარწერით, ზემოთ მღვთისმშობელი, ქვემოთ ისეო ქრისტე. მაღლა ჩარჩოზე არის სამი ცისფერი მინაქრიანი ემალი. თვლები: ფირუზი 23. მოწითალო ქვა – 23. მრავალი მარგალიტებით. უკანა გვერდზე ვერცხლის ფიცარზე მხედრული წარწერა: „ქ:... უფროსად კურთხეულო უმეტესად აღმოცენებულო ქალწულო დედოფალო მარიამ ღთისმშობელო ტაძრად მიყვანებულო და ბეთლემს ნათლისმყოფელო რამეთუ მუცლად იღე უფალი ჩუენი იესო ქრისტე და განხორციელდა ხსნისა ჩვენისათვის და შეფარებენ ყოველი სული და გადიდებდნენ დედად ღთისად ხოლო იგინიცა შორეულნი მოშურობდენ ხილვად თქვენად რომელმან არა იცოდა გზა და მოზდევდენ ვარსკვლავსა და გიხილეს ბრწყინვალებითა და თაყვანი მცეს ოქროვანითა პირითა და მიიღებდენ ბევრეულად ძღვენსა და ყოველივე სული წმიდა ფრინველიცა ხმობდენ და ადგიდებდენ ძესა შენსა და ამაღლდა ზეცად და მოგვედრა ყოველი სული ქრისტიანული. ხოლო მოწამან თქვენმან და ვედრებად თაყვანისმცემელმან თქვენმან მეფემან ალექსანდრემ და თანამეცხედრემან ჩუენმან... მეფის ასულმან დედოფალმა ნესტანდარეჯანმა ვიგულისხმეთ და ვიგულისმოდგინეთ და შეგამკვეთ თვალითა და მარგალიტითა და დაგასვენეთ ტაძარსა შენსა და განსასვენებელსა ეკუდერსა ჩვენსა ზედა საზეოდ და დახსნისა სულისა ჩუენისა... ის მცირე ესე შემკობა შეიწირე ვითარცა მწვლილი ძემან შენმან და გვიხსენ ცოდვისა ჩვენისაგან.

ხატი წმ. ანდრიას ეკვდერისა.

16. მაცხოვრის ხატი რუსული მხატვრობისა, ვერცხლით შემოჭედილი. 29 X 34 სმ. ხეზე. ზემოთ ვერცხლის ფირ-

ფიტაზე წარწერა მხედრულად: „დაისვენა ხატი ესე მაცხოვრისა გელათს წმინდის მარინეს ეკვდერშიდ მეფისა სოლომონის მიერ მრჩობლთა ცხოვრებათა მისთა წარსამართებლად და ნეტარად ხსენებულის დედოფლის მარიამ სულის საოხალ, ვინც ამ ეკვდერს ესე ხატი გამოსწიროს შვილთა მსოფლიოთა კრებათა და ოთხთა პატრიარქთაგან შეჩვენებული იყოს უკუნისამდე ამინ.

ძველი ჯვრები

17. ჯვარი დიდი, ტრაპეზის უკან დასადგმელი, ხის ვერცხლით მოჭედილი დაზიანებული. კონდაკოვს გაზომილი და მოხსენიებული არა აქვს ამ ჯვრის ფეხი ზომით 25 სმ. წარწერა არა აქვს.

ძველებური სამწეროები

18. სამწერო ვერცხლის /შიგ ხეა/.

19. სამწერო ასეთივე

20. სამწერო ვერცხლის /შიგ ხეა/.

ახალი ჯვრები

21. ხის ჯვარი ათონის ხელობისა, ვერცხლით შემოვლებული წარწერით:

„ჯ-სა ამას უძღვნი გაენათის მონასტერს მღ. პაფნუტი დვალიშვილი, 1884 წ.

22. ხის ჯვარი ათონის ხელობისა, უტარო.

23. ხის ჯვარი სადაფით მორთული, რელიეფით.

24. ხის ჯვარი ათონის ხელობისა, უტარო.

ახალი ხატები

25. მღვთისმშობლის მიძინების ხატი ვერცხლით შემოვლებული ზომით 28 X38სმ.

26. იოანე ღვთისმეტყველის ხატი, ვერცხლით შემოვლებული ზომით 27 X31 სმ.

27. ღვთისმშობლის ხატი ვერცხლით მოჭედილი, ეგზარხოსი ევრევისაგან შემოწირული ზომით 27 X30, შუშიან კოლოფში.

28. დავით აღმაშენებლის ხატი ხეზე 35 X44, შუშიან კოლოფში.

29. წმ.ნინოს ხატი 27 X22 სმ. შუშიან კოლოფში.

30. ღვთისმშობლის ხატი ვერცხლის 14 X18 სმ. შუშიან კოლოფში.

31. ღვთისმშობლის ხატი უბრალო, ხეზე 14 X17 სმ. შუშიან კოლოფში.

32. შიო მღვიმელის ხატი ქაღალდზე, 17 X22 სმ. შუშიან კოლოფში.

33. დავით და კონსტანტინეს ხატი ხეზე, 18 X14 სთ. შუშიან ჩარჩოში.

34. მარტის თვის წმინდანების ხატ ქაღალდზე 28 X30 სმ. შუშიან ჩარჩოში.

35. ათთორმეტის საუფლო ხატი ხეზე, 42 X53 სმ.

36. პეტრე და პავლეს ხატი ქაღალდზე, 16 X18 სმ. შუშიან ჩარჩოში.

37. დავით აღმაშენებლის დიდი ხატი ხეზე.

38. ხუთი პატარა ფიცარზე ხატი.

39. წ–ა გიორგის ხატი ლითონის, 18 X22 სთ. შუშიან კოლოფში.

ძველი ხატი

40. ღვთისმშობლის ხატი მაცხოვრით, წვრილი ხატებით მოციქულებისა არშიაზე, შემკული ვერცხლით იმერეთის მეფის სოლომონის მიერ წარწერით: „შეიმკო ხატი ესე ყ~დ წ~სა ღვთივ ამაღლებულისა მეფისა სოლომონისა მიერ მრჩობლთა ცხოვრებათა მისთა წარმარსა მართებელად და ნეტარხსენებულის დედოფლის მარიამის სულის საოხად დაისვენა გელათის წ~ს მარინეს ეკვდერში. ვინც ამ ეკვდერს ეს ხატი გამოსწიროს შვიდთა მსოფლიოთა კრებათა და ოთხთა პატრიარქთაგან შეჩვენებულ იყოს. ზომით 30 X35 სმ.

41. ხის ხატი წმინდანებისა 65 X140 სმ. შუშიან ბუდეში. ბუდეშივე არის ხატზე ჩამოკიდებული ორი ათონის ხელობის ხის ხუთი ხატი ვერცხლით შემკული. ორი პატარა ხატი ჩამოვიტანეთ 22.XI–24–ს.

ახალი ხატები კანკელისა

42. ჩრდილოეთის მხარეს ხატი მთავარანგელოზი მიხეილისა დიდი ზომის.

43. კანკელის ხატი დიდი ზომის მთავარანგელოზი მიხეილისა.

44. ხატი სერობისა აღსავლის კარების მაღლა, დიდი ზომით.

45. აღსვლის კარების ექვსი ხატი და ზედ ორი პატარა ვერცხლის ხატი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის, შემოწირული ჯიმშელეიშვილისაგან.

46. სამხრეთის კარის ხატი გაბრიელ მთავარანგელოზის, დიდი ზომით

გაბრიელ ეპისკოპოსის სახატე

47. გაბრიელ ეპისკოპოსის საფლავის სახატე 26 ვერცხლის ხატით და სახარებით.

სამხრეთის შუა სვეტი

48. ხატი „დიდება საქართველოს ეკლესიისა" შუშიან ჩარჩოში.

49. ღვთისმშობლის ხატი ვერცხლის, გაბრიელ ეპისკოპოსის ნაქონი 26 X22 სთ. შუშიან კოლოფში.

50. მაცხოვრის ვერცხლის ხატი 21 X26 სმ. შუშიან კოლოფში. გაბრიელ ეპისკოპოსის ნაქონი.

51. წ~ა გიორგის ხატი ხის დიდი, უზარჩოთ.

საკურთხეველში ახალი ხატები

52. ღვთისმშობლის ხატი ხეზე 25 X31 შუშიან ჩარჩოში.

53. მაცხოვრის ხატი ხეზე 27 X31.

54. მაცხოვრის ხატი ხეზე 34 X25, შუშის ჩარჩოში.

55. იოანე ნათლისმცემლის ხატი ხეზე, 2732 უჩარჩო.

56. ღვთისმშობლის ხატი ხეზე, დაჭმული 33 X38 და დაზიანებული.

57. ღვთისმშობლის ხატი ხეზე პატარა, 9 X12 დაზიანებულია მხატვრობა.

58. ორი უბრალო ხატი.

59. ნათლიღების ხატი 53 X93 სმ.

ნაშთები

60. კიდობანი წ~ა ნაშთებით.

ტრაპეზი

61. ჯვარი ვერცხლის ფინიფტის ხატებით 23 X37 სმ.

62. ხუცური სახარება ხავერდის ყდით, ვერცხლით მოჭედილი 23 X37 სმ.

63. ხის ჯვარი ათონის ხელობისა, 17 X7 ჩამ. 22/XI-24წ.

64. სანაწილე ფრაჟესი და ორი ლახვარი, ერთი ჯვარი ლითონის, ერთი ლანგარი, ერთი პატარა სასანთლე.

65. ოდიკი ყვითელი

66. აბრეშუმის ხელსახოცი – 3 ც.

67. საზეთე

68. კანდელი

სამკვეთლო

69. ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი, ვარსკვლავი, ლახვარი, ორი ტაკუკი, სამი ლანგარი, გამოხვეული აბრეშუმის მოსასხამში ჩამ. 22/XI-24წ.

70. სამი შანდალი პატარა და საცეცხლურის ნაწილი.

71. საცეცხლური ლითონის და წყლის ასადუღებელი სპილენძის.

ეკლესიაში

72. თერთმეტი ლითონის დიდი შანდალი

73. ლითონის შანდალი პატარა გაბრიელის საფლავზე

74. ექვსი ჩამოკიდებული საზეთე

75. ლითონის სიაზო თავისი უსუფით

76. ასეთივე უფრო მოზდილი

77. სასანთლე ვერცხლის

78. სასანთლე ბროლით გაწყობილი

79. პურის საკურთხი ფრაჟესი ჩამ. 22/XI-24წ. მხოლოდ ლახვარი.

80. ზეთის საკურთხი ფრაჟესი

81. საკურთხებელი ემალის

82. საზეთე ყვითელი ლითონის, სამი, ერთი მათგანი ფერადი შუშებით.

83. თანაარსი ყვითელი ლითონის

84. ბრინჯაოს სამი დაფა დავით აღმაშენებლის საფლავზე დასადებათ, განზრახული ლოდზე მისამაგრებელი.

ხარლამპარში

85. ორი სასანთლე და სამსანათლე

86. ბარძიმი, ვარსკვლავი, კოვზი, ლანგარი, ტაკუკი, ლახვარი და სამდუღრე. ჩამოტანილია 22/XI-24წ.

87. საარხიმანდრიტო ჯვარი ძენკვით.

88. ხის სანაწილე თავისი ფარჩის პირბადით ჩამ. 22/XI-24წ.

89. მღვდლის ჯოხი შუშით თავით. ჩამ. 22/XI-24წ.

90. ასეთი ხის, ვერცხლის თავით; ჩამო. 22/XI-24წ.

91. კვერთხი სადაფით გაწყობილი, სამად გადატეხილი.

92. კვერთხი შავი ხის და ძვლებით გაწყობილი.

93. საარქიმანდრიტო ჯვარი ძეწკვით.

94. მიტრა ხავერდის თავისი კრიშის ბუდით. ჩამ. 22/XI-24წ.

95. მიტრა მუქი ლურჯი ხავერდის თავის რკინის ბუდით.

96. სამი ფიცრის ხატი.

97. ორი პატარა შანდალი. ჩამ. 22/XI-24წ.

98. ძველი ხელში დასაკავებელი ჯოხის ხატები ჩამ. 22/XI-24წ.

99. ჟესტის კოლოფი, აკვნები, ბეჭდები და სხვა, აგრეთვე ვერცხლისა და სპილენძის ფული 72 მან. 10 კაპ. ჩამ. 22/XI-24წ.

მარინეს ეკვდერი

100. კანდელი ძველებური ხატებით

101. ხატი ლაზარეს აღდგინება ხეზე.

102. ღვთისმშობლის ხატი შუშანი ხის კოლოფში.

103. ორი დიდი ხის შანდალი.

104. ორი თიბერის პატარა შანდალი.

105. ლანგარი სპილენძის და მახვილი. ჩამ. 22/XI-24წ. მხოლოდ მახვილი.

106. ხის ჯვარი ათონის ხელობის. ჩამ. 22/XI-24წ.

107. სპილენძის ხატის ნაწილი ემალით. რუსული ხელობის ჩამ. 22/XI-24წ.

108. საზეთე კანკელზე ჩამოკიდებული ოთხი.

ანდრიას ეკვდერი

109. კანკელი ძველებური ხატებით.

110. სასანთლე და საზეთე ჩამოკიდებული კანკელზე.

111. სანაწილე ლითონის.

112. ბარძიმი, კოვზი, ლანგარი, ფეშხუმი ჩამო. 22/XI-24წ.

113. საცეცხლური უბრალო ლითონის.

114. სამი პატარა შანდალი ლითონის.

115. დიდი შანდალი ლითონის.
116. მამა ღმერთის ხატი უბრალო შუშიან კოლოფში.
117. წმ.ნიკოლოზის ხატი კოლოფში უშუშოდ.
118. სამი უბრალო ხატი.
119. ორი უბრალო ლითონის ჯვარი. ჩამ. ერთი ჯვარი 22/XI-24წ.

იოაკიმე და ანნას სამწირველო

120. საზეთე უბრალო კანკელზე

თამარის ეკვდერი

121. კანკელი ხატებით ექვსი.
122. დაძველებული უბრალო სამი სასანთლე.
123. ასეთივე უბრალო ორი საცეცხლური.

წმ.ნიკოლოზის ეკლესია

124. კანკელი ოთხი ხატით.
125. ექვსი ხატი.
126. ორი დიდი შანდალი
127. ერთი პატარა შანდალი.
128. სამი ჩამოკიდული საზეთე
129. საცეცხლური
130. აიაზმის ჭურჭელი

წმ. გიორგის ეკლესია

131. სამი ხატი კანკელისა და ორიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარებების, აღსავლის კარებზე ჰკიდია ორი პატარა ხატი.
132. ხუთი ხატი კანკელთან ჩამოკიდებული და მიდგმული.
133. ხუთი დიდი შანდალი.
134. სამი საზეთე კანკელთან ჩამოკიდებული.
135. საიაზმე. ჩამ. 22/XI-24წ.
136. თორმეტი უბრალო ხატი.
137. ხატი ღვთისმშობლის ძველი ნახელოვანი.
138. სანაწილე ლითონის.
139. ჯვარი ფინიფტის ხატებით . ჩამ. 22/XI-24წ.
140. ჯვარი უბრალო ლითონის.
141. ბარძიმი, ფეშხუმი, იანდაზი, ლანგარი, კოვზი, ვარსკვლავი და ლახვარი და ტაკუკი ჩამო. 22/XI-24 წ.

142. ოთხი დაძველებული შანდალი, ერთი მათგანი გატეხილია.

143. პურის საკურთხეველი ლითონის.

წყაროს თავის სამწირველო

1. კანკელი შვიდი ხატითა და ორი საზეთეთი.
2. ერთი ხის სასანთლე.
3. ორი საცეცხლური ძველი.
4. უსუფი
5. ორი ლითონის სასანთლე
6. ერთი პატარა ხატი შუშაში.
7. ორი ხის ხატი-ბეჭედი
8. მახვილი, სადულებელი, პატარა სასანთლე
9. სამი პატარა უბრალო ხატი
10. ხუთი სპილენძის რუსული ფული
11. ერთი ფაიანსის ჯამი

სია ნივთებისა, რომლებიც წაღებული იქნა გელათის მონასტრიდან ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში მოსათავსებლად.

1. სამი ვერცხლის საცეცხური

2. ძველებური ჯვრისწერის გვირგვინი, ვერცხლშემოვლებული.

3. ერთი და ასეთივე მეორეც, მხოლოდ ნახევარი მოტეხილი აქვს.

ძველებური ხის ჯვარი ვერცხლშემოვლებული და მინაქრით და უბრალო თვლებით მორთული ერთი.

4. ორი ხის ხატი-ბეჭედი წმ. გიორგისა და ღვთისმშობლისა 7X9 სმ.

5. ალებასტრიდან გადმოღებული ღვთისმშობლის სახე, გელათის ხატიდან, რომელიც ანერილია კონდაკოვის მიერ N10.

6. სამი გულის ხატი – სანაწილეები პატარა.

7. გულის ხატი ნაწილებით, შემკულია მარგალიტით და თვლებით, თავის ყუთში ერთი.

8. შავი საბერო კრიალოსანი, გაბრიელ ეპისკოპოსის ნაქონი.

9. ორი ოქროს ბეჭედი მისივე და თმებით შემოვლებული.

10. უბრალო ძველებური ბეჭედი ლურჯი თვალით.
11. ორი თითო მანეთიანი და ერთიც 50 კ. ნიკოლოზის.
12. დავით აღმაშენებლის თითბერის მედალი.
13. სპილენძის პატარა ჯვარი-მედალი ალექსანდრე II, ოთხი.
14. სამი ჯვარი ერთი ვერცხლშემოვლებული.
15. სპილენძის ლანგარი წარწერით: ნეფე ერეკლე.
16. პატარა ხის აკვანი, მლოცველისაგან შეწირული.
17. მაუდი მწვანე, 1,57 საჟ.
18. გადამოხსნა ორი
19. გადასაფარებელი ერთი.
20. ოლარი ერთი.
21. დაფარნა დიდი, ათი
22. დაფარნა სამი, პატარა.
23. ენქერი ხუთი
24. ერთი სარტყელი შესაბნევით.
25. ერთი ცალი სამაჯური.
26. პატარა ასადულებელი ვერცხლის ჭურჭელი.
27. პატარა ხატი დაზიანებული.

გ. კოკოჩაშვილი. 1923 წლის 21–25 აგვისტო.

* * *

სია გელათის მონასტრიდან 1924 წლის 22 ნოემბერს ჩამოტანილი სამუზეუმო ნივთებისა /გახსნილ იქნა 3 ივნისს 1925 წ./

1. ლითონის ჯვარი ფინიფტის ხატებით, შემკული წმ. გიორგის ეკლესიიდან, ძველი N139. საერთო კატალოგში ჩაწერილია N1034.
2. ხის ჯვარი; მარინეს ეკვდრიდან, ძვლ. N106, N1035.
3. ხის ჯვარი ვერცხლში, მთავარ ტაძრიდან, ძვლ. N21. N1036.
4. ხის ჯვარი ათონის ხელობისა, უტარო მთავ. ტაძ. N24. N1037.
5. ხის ჯვარი ათონის ხელობისა, 17X18 მთავ. ტაძრის ტრაპეზი ძვ. N63, N1038.

6. ხის ჯვარი ათონის ხელობისა, ძვლ. N გაურკვეველია, N1039.

7. სპილენძის ჯვარი ფინიფტიანი, რუსული ხელობისა, ანდრიას ეკვდ. ძვ. N119 /ამავე ნომერთან იყო მეორე ჯვარი, რომელიც იქ დატოვებულია/ N1040.

8. პატარა სპილენძის ხატი /ნაწილია მხოლოდ/ ემალით, რუსული ხელობისა, მარინეს ეკვდ. ძვ.N107, N1041.

9. ორი პატარა ხის ხატი შუშით და ვერცხლშემოვლებულ ბუდეში; ათინის ხელობისა, ერთი პეტრე და პავლესი, მეორე წ~ა ნიკოლოზის /ეკიდა ხატზე N41, მთავარ ტაძარში კანკელთან/. NN1042 და 1043.

10. პატარა ხატი ფიცარზე ფერადებით ნახატი.წ~ა ნიკოლოზის /?/ ხარლამპარა, N არ ქონდა N1044.

11. მინაქრის ხატი /ღვთისმშობელია გამოხატული წმინდანებში/ ლითონის ვიწრო ყდაში. ძვ.N არ ქონდა. ხარლამპარა N1045.

12. ხის საჯვარე, თამარის ეკვდერი, N არ ქონდა. N1046.

13. ორი გულის ხატი წ~ა გიორგისა უბრალო, ლითონის, N არ ქონდა. N1046

14. ორი გულის ხატი ღვთისმშობლისა, ასეთივე N არ ქონდა, N1046.

15. ერთი „–" მაცხოვრის, ასეთივე, N არ ქონდა. N1048.

16. ხის სანაწილე ხარლამპარიდან, ძვ.N88 /ფარჩის პირბადე ფრიად დაფლეთილი დატოვებულ იქნა იქვე/ N1050.

17. სანაწილე კოლოფი პატარა, ვერცხლის, ამ კოლოფში დევს უფრო პატარა ასეთივე კოლოფი ნაწილებით, ხარლამპ. N არ ქონდა /ამოღებულია თუნუქის ყუთიდან. ძვ. N99, N1052/.

18. სანაწილე კოლოფი ძვლის, უთავსახუროდ. N არ ქონდა, ხარლამპარა /ამოღებულია თუნ.კოლ. N99 ძვ.N1051./

19. სპილენძის საიაზმე თავსახურით, მარინეს ეკვდ. ძვ. N არ ქონდა. N1099.

20. სპილენძის საიაზმე /უთავსახუროთ/ წ~ა გიორგისს ეკლ. ძვ. N135. N1100.

21. სპილენძის თუნგი პატარა, წ~ა გიორგის ეკლ. ძვ. N71, N1101.

22. საცეცხლური სპილენძის, თამარის ეკვდ. /ძვ. N არ ქონდა/ N1054.

23. საცეცხლური ვერცხლის, წ~ა გიორგის ეკლ. /ძვ.N არ ქონდა/ N1053.

24. შანდალი სპილენძის, წ~ა გიორგის ეკლ. /ძვ. N არ ქონდა/ N1055.

25. ორი შანდალი ვერცხლის, დაბალი /პატარა/ ძვ.N27, ხარლამპარში N1056.

26. ძვ.N69 ბარძიმი N1060, ფეშხუმი N1064, კოვზი N1082; ვარსკვლავი N1078 /ყველა ვერცხლის/, ლახვარი შავი რქის ტარით N1088, ორი ტაკუკი /ვერცხლის/ NN1073 და 1064, ლანგარი ორი /ერთი ვერცხლის N1068, ერთი თითბერის N1071/, /მესამე ლანგარი, რომელიც აღნიშნულია ძველ აღწერ-ში წამოღებული არ იქნა/, სამკვეთლოდან ხარლამპარში.

27. ძვ.N86 ბარძიმი /ვერცხლის/ N1059. კოვზი /ვერცხლის/ N1083, ლანგარი /ვერცხლის/ N1070.

28. ძვ.N112 – ბარძიმი /ვერცხლის/ N1061, ფეშხუმი / ვერცხლის/ N1065, კოვზი /ვერცხლის/ N1084, ლანგარი / ვერცხლის/ N1070, ანდრიას ეკვდ.

29. ძვ.N141 – ბარძიმი /ვერცხლის/ N1062, ფეშხუმი / ვერცხლის/ N1066, ლანგარი /თითბ./ N1072. კოვზი /ვერცხლის/ N1085, ვარსკვლავი /ვერცხ.?/ N1086, ლახვარი / თეთრი ძვლის ტარით/ N1089. ტაკუკი /ვერცხლის/ N1076, იანდაზი, რომელიც აღნიშნულია ძვ.აღწერ-ში წამოღებული არ იქნა. წ~ა გიორგის ეკლ.

30. ბარძიმი /ვერცხლის/ N1069, ფეშხუმი /ვერცხლის/ N1067, ტაკუკი /ვერცხ./ N1077, ვასკვლავი /ვერცხ./ N1081, ლახვარი /შავი რქის ტარით/ N1090, ძველ აღწერ-ში შეტანილი არ იყო.

31. მახვილი /ლახვარი/ ყვითელი ხის ტარით, ძვ.N105. მარინეს ეკვდ. /ამავე N-ით დანიშნული ლანგარი დატოვებულია/ N1092.

32. ლახვარი თეთრი ძვლის ტარით, ძვ.N79 /ამოღებულია პურის საკურთხებელის ნივთებიდან/ მთავ. ტაძრ. შკაფი N1091.

33. სადუღებელი სპილენძის, სპილენძისავე ხელით. თამ. ეკვდ. /ძვ. N არ ქონდა/ N1096.

34. სადუღებელი სპილენძის უბრალო ხის ტარით. მარინკ. ეკვდ. /ძვ.N არ ქონდა/ N1094.

35. სადღებელი სპილენძის, უბრალო ხის ტარით. წ~ა გიორგის ეკლ. /ძვ.N არ ქონდა/ N1095.

36. სადუღებელი სპილენძის მოტეხილი ხელით, ხარლამპ. /ძვ.N არ ქონდა/ N1097.

37. კოვზი სპილენძის, ტარის ხელში ქანდაკებაა. ხარლამპ. /ძვ.N არ ქონდა/N1086.

38. კოვზი უბრალო ლითონის, ტარზე ჩაჭედილი ჩუქურთმებით, ხარლამპ. /ძვ.N არ ქონდა/ N1087.

39. პატარა ყუთი ფერებით მოხატული, ძველი. ძვ.N45 ინვ. ხარლამპ.N1102.

40. ვერცხლის ნატეხები /ორი/ ჯვრის მოჭედილობისა /ძვ.N არ ქონდა/ N1104.

41. ორი პატარა აკვანი ლითონის მავთულებისგან გაკეთებული /ძვ. N არ ქონდა/ N1058.

42. შვიდი ასეთივე აკვანი, ხარლამპ. თუნუქის ყუთიდან, ძვ. N99, N1103.

43. მინანქრიანი ფოლაქის ნატეხი, ხარლამპ. თუნ. ყუთიდან ძვ. N99, N1103.

44. თუნუქის ყუთი სხვადასხვა წვრილი ნამტვრევებით ძვ. N99, N1140.

45. ორი ნატეხი სადაფით გაწყობილ კოლოფისა, წმ. გ-ის ეკლ. /ძვ.N არ ქონდა/ N1051.

46. რკინის დასაჯდომი /სკამი/ დასაკეცი, ტყავით. მთ. ტაძ. ძვ. N20 ინვ. N1106.

47. მიტრა ლურჯი მუქი ხავერდის /თავისი თუნუქის კოლოფით/ ხარლამპ.N1105; ძვ.N94.

48. კვერთხი შუშის თავით, ხარლამპ. ძვ.N89; N1107.

49. კვერთხი ვერცხლის თავით, ხარლამპ. ძვ.N90, N1108.

50. კვერთხი სადაფით გაწყობილი სამ ნაჭრად გატეხილი, ხარლამპ. ძვ.N91. შეკეთებული იქნა მუზეუმში N1109.

51. კვერთხი შავი ხის ძვლებით გაწყობილი, ხარლამპ. ძვ.N92 /ეს ორი კვერთხი N50-51 ჩამოტანილია წინეთ გელათიდან/ N1110.

52. ორი საჯვარე ჯოხი, ერთი უფრო მოკლე, ხარლამპ. /ძვ. N არ ქონდა/ NN1111–1112.

53. ერთი ორკაპიანი ჯოხი, ხარლამპ. /ძვ.N არ ქონდა/ N1113.

54. ხის კვერთხის ნაწილი, თავი და ბოლო აკლია /ძვ.N არ ქონდა/ N1114.

55. ხელში დასაკავებელი ჯოხის ნატეხი, ნაწილობრივ შემოვლებული აქვს ვერცხლი. ხარლამპ. ძვ.N98. N1115.

ქსოვილები

1. ტრაპეზის გადასაფარებელი, ლურჯი და ყვითელი. დაძველებული და დახეული N1116.

2. პატარა გადასაფარებელი ყვითელი ქსოვილის, კიდეებზე მიკერებული აქვს წითელი არშია, შუაში ოქრომკედით ნაქარგი ჯვარი აქვს. N1117.

3. გადასაფარებელი პატარა ყვითელი ქსოვილის, ფრიად დახეული, სარჩული წითელი ჰქონია, გვერდებზე მიკერებული აქვს ხელით ნაქარგი არშია. N1118.

4. დაფარნა დიდი, ნაქსოვი აბრეშუმის ფერადი /ნაზი/ ძაფებით. კიდეებზე შემოკერებული აქვს სოსანი აბრეშუმი, შუაში აქვს პატარა ჯვარი სირმისა. N1119.

5. დაფარნა დიდი, მოყვითალო, შუაში პატარა ჯვარია. კიდეებზედ ფართო ცისფერი, ორი გვერდით და ზოლებიანი /ორ მოპირდაპირე გვერდით/ არშია N1120.

6. დაფარნა დიდი, ჭრელი, წითელ და ცისფერ ზოლებიანი, რომლებზედაც მოქარგულია ყვავილოვან-ფოთლოვანი სახეები. შუაში პატარა ჯვარი, დაფარნა შუაში დასვრილია ხმარებისაგან, სარჩული წითელი ქსოვილისაა. N1121.

7. დაფარნა პატარა წითელ ხავერდზე ოქრომკედით მოქარგული. ფართო არშიით. კრემისფერის, აგრეთვე სირმებით მოქარგული და ასეთივე ფოჩვით N1122.

8. დაფარნა პატარა, ასეთივე ქსოვილების და ასეთივე ხელობის მხოლოდ უფრო პატარა ზომისა N1123.

9. დაფარნა პატარა, ოქრომკედით ნაქსოვ ქსოვილებისა, შუა გულში მოცისფრო-მომწვანო ქსოვილის, ხოლო კიდეების ბინდის ფერისა N1124.

10. სამკლავე ერთი წყვილი, აბრეშუმის, აგურის ფერისა და ლურჯი ზოლებიანი, რომლებზედაც მცენარეული სახეებია გამოყვანილი ძაფებით. სარჩული მწვანე. N1125.

11. ბედენიკი, ძველი ოქრომკედით და აბრეშუმის ძაფების ქსოვილისა, კიდეებზე მიკერებული აქვს სირმის არშია და ძირს ფოჩვებით, შუაში ფართო ჯვარი. დახეული და დაძველებულია, N1126.

12. ოლარი, ყოველ არეზე ცისფერი ყვავილებიანი ქსოვილის, წვრილი ლურჯი არშიით შუაში ჯვარი, ძირში მოცისფრო ქსოვილის ფართო არშია, N1127.

13. ოლარი, ძალზე დაძველებული, დახეული და მრავალჯერ შეკეთებული. ქსოვილებზე ძაფებითვე გამოყვანილია მსხვილი ყვავილები. სარჩული ჭრელ ზოლებიანია. N1128.

14. პირსახოცი ფერადი ძაფებით მოქარგული, ფოჩვებით, დახეული. შერჩენილი აქვს მცირე წარწერა ყავისფერ ძალით. მხედრულად /გაურკვეველია/ N1129.

კიდევ:

1. ოდიკები რიცხვით ცხრა სხვადასხვა წლისა NN1130-1138.

2. ხატი პატარა, სადაფის ფირფიტებისაგან, ზედ მოხატულია სამი წმინდანი, N1139.

3. მოსასხამი /ბაღდათი/ აბრეშუმის, სოსანი ფერის, შუაში გაცრეცილია და საერთოდ მოძველებული. N1141.

* * *

ქიმ: N272

კოლიას გადაეცა 1/ წმ. გიორგის ტაძრიდან:

ორი დამპალი ფიცარი, წვრიმალი ყავრები და ნამსხვრევები, ერთი დამპალი საწიგნე და დაზიანებული პატარა შკაფი ორ ჯუჯრიანი.

2/ მთავარი ტაძრიდან:

დაზიანებული და კარებდამკილული დაბალი შკაფი ორ უჯრიანი

აღწერ. N5/


3/ საოჯახო ნივთებიდან გამორიცხული მე–7 ოქმით

4/ მთავარი ტაძრიდან: – დაშლილი და დანგრეული ნაჭრები ხის მოთავსებული ხის

ნივთებიდან

4/ მთავარი ტაძრიდან – კიდობნის დასადგმელი.

* * *



ПОСТАНОВЛЕНИЕ № 1092

Совета Министров Грузинской ССР и ЦК КП Грузии

29 ноября 1952 года

О передаче художественно-исторических ценностей бывшего Гелатского монастыря в Государственный музей искусств Грузии

Совет Министров Грузинской ССР и ЦК КП Грузии постановляет:

1. Предложить Президиуму Академии наук Грузинской ССР передать на постоянное хранение Государственному музею искусств Грузии следующие уникально художественно-исторические ценности бывшего Гелатского монастыря:

1. Триптих Кахульской богоматери;
2. Большой образ спасителя, грузинской чеканки работы X века,
3. Образ спасителя (вклад Давида Нарина),
4. Икону богоматери ("Молоко царя Баграта"),
5. Икону "Ацкурской" богоматери.

2. Обязать директора Государственного музея искусств Грузии т. Амираджиби обеспечить должное хранение указанных ценностей в сейфах музея.

Председатель Совета Министров Грузинской ССР З. Ломтатидзе

Секретарь ЦК КП Грузии А. Мгеладзе

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ.ბოჭორიძე, იმერეთი, თბ.1995 წ.
2. გ.ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. თბ.1959 წ.
3. ლ. ტყეშელაშვილი, საქართველოს მონამე მღვდელმთავარნი. თბ. 2005 წ.
4. საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ.1980 წ.
5. А. Натроев, Свети-цховели, Тиф. 1900 г.
6. ლ.მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები.
7. ხახულის ხატი. ხელოვნება თბ.1979 წ.
8. Н. Кондаков, Опись Памятников древности в некоторыхъ храмахъ и Монастырях Грузий. Спб. 1890 г.
10. მ.ბროსე, საქართველოს ისტორია, II ნაწილი. 1900 წ.
11. „ქართლის ცხოვრება" ტ. I. 1955 წ.
12. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV.
13. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, შ. ბურჯანაძის გამოცემა, თბ.1959 წ.
14. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1926 წ.
15. ბერი ეგნატაშვილი, „ქართველის ცხოვრება", II 1959 წ.
16. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია ტ. IV. 1967 წ.
17. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VI. 1973 წ.
18. ს. კაკაბაძე, დას.საქართველოს საეკლესიო საბუთები. I. 1921 წ.
19. ს. კაკაბაძე, დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები. II. 1921 წ.
20. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ. ი. ცინცაძის გამოცემა. 1970 წ.
21. ალექსი იეფლევის 1650-1652წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა. ი. ცინცაძის გამოცემა, 1969 წ.
22. გ. კალანდია, მარიამ ღვთისმშობლის სინმინდეები და საქართველო. 1999 წ.
23. ნ. ასათიანი, მასალები XVII ს. საქართველოს ისტორიისათვის, 1973 წ.
24. გ. პაიჭაძე. მასალები, საისტორიო მოამბე, N23–24.
25. მცირე ქრონიკები, ჯ. ოდიშელის გამოცემა. 1968 წ.
26. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II. 1897 წ.
27. ბ. ლომინაძე, გელათი, 1955 წ.
28. მ. გოგსაძე, ნარკვევები 1949 წ.
29. Г. Церетели, полное собрание надписей на стенах и камнях и приписок к рукописям Гелатского монастіря, М. 1891 г.
30. განძთა ქვაბი, თბ. 2006 წ.
31. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1974 წ.
32. ვახუშტი, ისტორია. ხელნაწერი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი. N46.
33. ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება. 1912 წ.
34. ე. თაყაიშვილი, საქართველის სიძველენი I-II ტ.
35. А. Муравев, Грузия и Армения. Т. III. 1848 г.
36. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე. 1882 წ.
37. ნ. ურბნელი, მეფე დავით აღმაშენებლი და მისი დრო, თბ.1894 წ.
38. ნ. ჩუბინაშვილი, აღწერა საათაბაგოსა, თბ.1842 წ.
39. ქართლის ცხოვრება, 1942 წ.
40. ქართლის ცხოვრება, 1912 წ.
41. გ. ნერეთელი, გელათის მონასტერი „ჯეჯილი" N5-6. 1880 წ.
42. М. Броссе, Переписка Грузинских царей с Россискими Государями – от 1639 по 1770 гг. 1861 г.
43. რ. ყენია, ხახულის ღვთისმშობლის ხატის კარედის მოჭედილობა, 1972 წ.
44. П. Иоселиани, Квитахевский монастирь., 1847 г.
45. შ. ამირანაშვილი, დაბრუნებული საუნჯე. 1975წ.

46. საისტორიო მოამბე 1,2. 1924 წ.
47. შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი. 1956 წ.
48. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ოქრომჭედლობა VIII-XVIII სს. 1957 წ.
49. დ. ღამბაშიძე. გაენათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით III აღმაშენებლისა. 1888 წ.
50. მ. კეზევაძე გელათის მონასტერი ეგზარქოსობის დროს. 2006 წ.
51. მ. ნიკოლეიშვილი, გელათი, 1982 წ.
52. ლ. ხუსკივაძე. გელათის მოზაიკა, 2005 წ.
53. ვ. ჩაკვეტაძე. გელათის აკადემია. 1958 წ.
54. მ.მგალობლიშვილი, ლ. მიქიაშვილი. ფრ. დიუბუა დე მონპერეს ცნობები გელათის შესახებ. „ანალები" 2000 წ.
55. Кавказъ. Путевые заметки гр. Уваровой. М. 1887 г.
56. დ. მელიქიშვილი, გელათის სამონასტრო-ლიტერატურული სკოლა, ქუმ. 1993 წ.N1.
57. გ. ვაჭრიძე. იმერეთის დროებითი მმართველობა /1810–1840 წწ./ 1999 წ.
58. ქუთაისის მუზეუმის შრომები. XIII. 2001 წ.
59. გ. ტყეშელაშვილი, გელათის სინმინდენი, 2005 წ.
60. გ. ასათიანი. ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი. 1995 წ.
61. თ. საყვარელიძე. XIV-XIX სს. ქართული ოქრომჭედლობა, 1987 წ.
62. ქ. ი. ე. მ. გელათის მონასტრის არქივი, N6466.
63. თ. საყვარელიძე, XII ს. ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან. 1980 წ.
64. ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1966 წ.
65. მ. რეხვიაშვილი. დას. საქართველო XVII ს თბ.1978 წ.
66. მ. რეხვიაშვილი. იმერეთის სამეფო XVI ს. 1976 წ.
67. მ. ჯანაშვილი, საქართველოს საეკლესიო ისტორია, 1886 წ.
68. ივ. ლოლაშვილი, თამარ მეფის აკლდამა გელათში. 1989 წ.
69. რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი.
70. რ. მეტრეველი. თამარ მეფე.
71. ი. დოლიძე. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. 1970 წ.
72. გ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, 1967 წ.
73. ი. ბატონიშვილი, კალმასობა. 1986 წ.
74. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი IX-XIII სს. 1984 წ.
75. რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე, გელათი. 1982 წ.
76. თ. ალდამიძე. ხახულის ღვთისმშობლის ხატის ისტორიისათვის. 1999 წ.
77. ნ. ნადარაია „გელათის საქმე" სს. ბიულეტინი N37–39. 1980წ.
78. ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი. 1993 წ.
79. ე. გაბიძაშვილი, ნმინდა გიორგი. 1991 წ.
80. წმინდა გიორგის რაზმი, თბ.1904 წ.
81. „მწყემსი" 1887წ. N17-26.
82. „საქართველოს საპატრიარქო" 1999 წ. N1.
83. „მნათობი" 1991 წ. N11-12.
84. გაზ. „დროება" 1875 წ. N175.
85. გაზ. „შრომა" 1883 წ. N68.
86. გაზ. „ივერია" 1893 წ. N205.
87. გაზ.„ივერია" 1904 წ. N219.
88. გაზ. „24 საათი" 2004 წ. N170.
89. გაზ. „ჩემი ქუთაისი" 2003 წ. N6.
90. გაზ.„ახალი ეპოქა" 2001 წ. N50.

შემოკლებანი

1. ქიმ – ქუთაისის ისტორიული მუზეუმი.
2. ქცსა – ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი.
3. რფია – რუსეთის ფედერალური ისტორიული არქივი.